12. Amiranashvili A., Lominadze G., Melikadze G., Tsikarishvili , Chikhladze V. – Aero - Ionizing State and Radiological Situation in the Tskaltubo Cave. Proc. of Mikheil Nodia Institute of Geophysics, ISSN 1512-1135, vol. 60, Tbilisi, 2008, pp. 206 – 212 (in Russian).
13. Saakashvili N.M., Tabidze M.Sh., Tarkhan-Mouravi I.D., Amiranashvili A.G., Melikadze G.I., Chikhladze V.A - To a Question About the Organization of Ionotherapy at the Health Resorts of Georgia. Modern Problems of Using of Health Resort Resources, Collection of Scientific Works of International Conference, Sairme, Georgia, June 10-13, 2010, ISBN 978-9941-0-2529-7, Tbilisi, 2010, pp. 168-174, (in Russian).
14. ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ. – ფოტოქიმიური სმოგი თბილისში. მონოგრაფია, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ISSN 1512-1135, ტ. LXIII, თბილისი, 2012, 160 გვ.
15. Amiranashvili A. - Tbilisi Type of Smog as Attribute of Feedback Effect Between the Air Ionization Intensity and Small Ions Concentration. Proc. of 7th Asia-Pacific Int. Conf. on Lightning, Chengdu, China, November 1-4, 2011, <http://www.apl2011.net/>.

უკ 551.594(061.6)

**ქალაქ თბილისის ჰაერის მიწისპირა ფენაში მსუბუქი იონების კონცენტრაციის გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი 2010-2011 წწ.** / ბლიაძე თ., კირკიტაძე დ., ნიკიფოროვი გ., ჭანკვეტაძე ა./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.110-114. - რუს.; რუს. ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია მონაცემები თბილისის ჰაერის მიწისპირა ფენაში 2010-2011 წწ. მსუბუქი იონების ჯამური კონცენტრაციის შესახებ. გაზომვები წარმოებდა გეოფიზიკის ინსტიტუტის თერმობაროკამერის ტერიტორიაზე გერდიენის ტიპის ხელსაწყოთა გამოყენებით ყოველდღიურად ოთხჯერ დღეში (9, 12, 15, 17-18 სთ.). შესწავლილია ატმოსფეროში მსუბუქი იონების კონცენტრაციის თვიური და დღიური სვლა. აგებულია მსუბუქი იონების კონცენტრაციის განაწილების ფუნქცია წლის სხვადასხვა სეზონისათვის.

UDC 551.594(061.6)

**SOME RESULTS OF THE ANALYSIS OF LIGHT IONS CONCENTRATION IN SURFACE BOUNDARY LAYER OF TBILISI IN 2010-2011** / Bliadze T., Kirkitadze D., Nikiforov G., Chankvetadze A./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. - т.119. – pp. 110-114. - Russ.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

The data about the content of light ions in surface boundary layer of Tbilisi city in 2010-2011 yr. are represented. Measurements on the territory of the thermobaric chamber of the institute of geophysics with the use of a Gerdien's type instrument four times during the day every day (9, 12, 15 and 17-18 hours) in 2010-2011 yr. were conducted. The monthly and daily behavior of the concentration of light ions in the atmosphere is studied. The functions of the distribution of the concentration of light ions for different seasons of year are given.

УДК 551.594(061.6)

**НЕКОТОРЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ ИССЛЕДОВАНИЯ КОНЦЕНТРАЦИИ ЛЕГКИХ ИОНОВ В ПРИЗЕМНОМ СЛОЕ ВОЗДУХА ГОРОДА ТБИЛИСИ В 2010-2011 ГГ.** / Блиадзе Т.Г., Киркитадзе Д.Д., Никифоров Г.В., Чанкветадзе А.Ш./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. –2013. – т.119. – с. 110-114 . – Рус. ; Рез. Груз., Англ., Рус.

Представлены данные о суммарной концентрации легких ионов в приземном слое воздуха в Тбилиси в 2010-2011 гг. Измерения проводились на территории термобарокамеры института геофизики с использованием прибора типа Гердиена в 2010-2011 гг. ежедневно по четыре раза в день (9, 12, 15 и 17-18 час.). Изучен месячный и дневной ход концентрации легких ионов в атмосфере. Построены функции распределения концентрации легких ионов для различных сезонов года.

შპს 551. 521.

## წაყინვების ზოგიერთი თავისებურება კახეთში

ჯ.ვანხაძე, ც.დიასამიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

სოფლის მეურნეობის მეტეოროლოგიური მომსახურების ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს გვიანი გაზაფხულისა და ადრეული შემოდგომის საშიში წაყინვების კლიმატოლოგიური კვლევა.

წაყინვებისაგან ძვირფასი ტექნიკური კულტურების დაცვის ზომებმა შეიძლება აამაღლოს მათი მოსავლიანობა და უფრო მეტიც ექსტრემალურ მეტეოროლოგიურ პირობებში განადგურებისაგან იხსნას მოსავალი. აქედან გამომდინარე გვიანი გაზაფხულისა და ადრეული შემოდგომის წაყინვების გენეზისის ხანგრძლივობისა და ინტენსივობის შესწავლა კახეთის ზონაში მიზნად ისახავს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას, როგორცაა დაბალი ტემპერატურების მიმართ გამძლე ახალი ტექნიკური კულტურების გამოყვანა-რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათი გავრცელების არეალს. ცირკულაციური და რადიაციული ფაქტორების გათვალისწინება, თესვის და მორწყვის ვადების კორექტირება ხელს შეუწყობს კონკრეტული ნაკვეთების უფრო რაციონალურად გამოყენებას, მაღალი მოსავლის მიღებას და ადებას.

კახეთის რეგიონისათვის წაყინვების შესახებ ფაქტიური მასალა მოცემულია მრავალრიცხოვან ცნობარებში. ამ მასალის დეტალური ანალიზი დაგეგმარება ჩვენი კვლევის შესრულებაში. დასკვნები ძირითადად მიღებულია სამი მეტეოროლოგიური სადგურის-თელავი, ყვარელი, გურჯაანი დაკვირვების მასალების ანალიზის საფუძველზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ დაახლოებით 1000 მეტრი სიმაღლის ზევით მკვეთრად მცირდება მოსახლეობის სიმჭიდროვე და სახნავ-სათესი სავარგულების ფართობი, შეიძლება გარკვეული დაშვებით ვივარაუდოთ, რომ შევძელით მოგვეცვა კახეთის უმეტესი ნაწილი.

როგორც წესი, წაყინვების ქვეშ იგულისხმება გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, როდესაც ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურა დადებითია, ტემპერატურის ხანმოკლე დაცემა 0°C-ზე დაბლა მეტეოროლოგიურ ბუდრუგანის მონაცემების მიხედვით.

კახეთის რეგიონს უკავია საქართველოს ტერიტორიის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი. აღნიშნული რეგიონი ხასიათდება რთული ოროგრაფიით, განსხვავებული მცენარეული საფარითა და ვერტიკალური გრადიენტით შირაქის ველიდან კავკასიონის ქედის მარადთოვლიან მწვერვალებამდე. ჩრდილოეთით მთავარი კავკასიონის ქედის არსებობა საიმედოთ იცავს აღნიშნულ რეგიონს უშუალოდ ჩრდილოეთიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან.

თავისი წარმოშობის მიხედვით წაყინვები იყოფა ადვექციურ, რადიაციულ და ადვექციურ-რადიაციულ ტიპებად. იმის მიხედვით თუ როგორია სინოპტიკური პროცესების თავისებურება, წაყინვების განსხვავებული ტიპები სხვადასხვა ალბათობით ფიქსირდება სეზონების მიხედვით. მოკლედ განვიხილოთ საქართველოში ძირითადად გავრცელებული სინოპტიკური პროცესები და მათი თავისებურებები.

ცირკულაციური პროცესები საქართველოში ხასიათდება მასშტაბურობით და რიგი თავისებურებებით. რადგან კახეთის რეგიონი არ მოიცავს დიდ ფართობს უფრო მართებული იქნება ვიმსჯელოთ აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე. სინოპტიკური პროცესების მთელი მრავალფეროვნება პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ტიპად. ზონალური პროცესები (აღმოსავლეთის და დასავლეთის მდგენელით); მერიდიონალური პროცესები (უპირატესად ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებით); ანტიციკლონური მდგომარეობა.

ზონალური პროცესები დასავლეთიდან იწვევს ჰაერის ტემპერატურის და სინოტივის მატებას, ქარის სიჩქარის გაძლიერებას, ზაფხულში მთის ფერდობებზე ნალექების მომატებას კახეთში, ამიტომ ჩვენთვის საშიში და საინტერესო არ არის.

თუ პროცესი აღმოსავლეთიდან ვითარდება, მაშინ ადგილი აქვს ციმბირის ანტიციკლონის სამხრეთ-დასავლეთის ღარის გაძლიერებას, ჰაერის ცივი მასების გადატანას აღმოსავლეთიდან-დასავლეთის მიმართულებით, ქარის სიჩქარის ზრდას და ა.შ.

მერიდიანული პროცესების შემთხვევაში მთავარი კავკასიონის ქედი საიმედოდ იცავს კახეთის რეგიონს ჰაერის ცივი მასების შემოჭრისაგან. რაც შეეხება სამხრეთიდან გადმონაცვლებულ ე.წ. სამხრეთის ციკლონებს, ამ დროს ციკლონების გავრცელება ხდება კასპიის ზღვის

ტერიტორიის გავლით. საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადად იგრძნობა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონებში ჩამოყალიბებული ციკლონების გავლენა. ამ პროცესის დროს წარმოიქმნება ძირითადად ადექციურ-რადიაციული ტიპის წაყინვები.

რაც შეეხება ანტიციკლონარულ მდგომარეობას, ამ დროს საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადად ადგილი აქვს უქარო, მოწმენდილი ცის პირობებს, რომელიც ხელსაყრელია რადიაციული ტიპის წაყინვების გავრცელებისათვის შედარებით დიდ ფართობზე.

მეტეოროლოგიურ ბუდრუგანაში ჰაერის ტემპერატურის 0<sup>0</sup>-ზე ქვემოთ დაცემა ჩვენთვის აღიქმებოდა როგორც წაყინვიანი დღე. დაკვირვების 35 წლის პერიოდში ასეთი დღეები (ანუ შემთხვევათა რიცხვი) იყო თელავში-360; ყვარელში-244 და გურჯაანში-174.

თვეების მიხედვით ეს რიცხვები საშუალოდ შემდეგნაირად ნაწილდება:

**ცხრილი 1. წაყინვების საშუალო თვიური რაოდენობა**

| სადგური  | H, მ | ჯამი | თვე |     |       |      |     |     |
|----------|------|------|-----|-----|-------|------|-----|-----|
|          |      |      | III | IV  | . . . | IX   | X   | XI  |
| თელავი   | 562  | 360  | 6.3 | 0.9 |       |      | 0.2 | 2.8 |
| ყვარელი  | 449  | 244  | 5.9 | 0.3 |       |      | 0.3 | 3.2 |
| გურჯაანი | 415  | 174  | 3.7 | 0.5 |       | 0.03 | 0.2 | 0.7 |

წაყინვების გაზრდილი რაოდენობა გურჯაანთან შედარებით შეიძლება აიხსნას სიმაღლეში სხვაობით და გურჯაანში ოროგრაფიის თავისებურებით (შედარებით გაშლილი ადგილი).

გარდა წაყინვიან დღეთა რიცხვის რაოდენობისა, მცენარეთა დაზიანების ხარისხი დამოკიდებულია მისი განვითარების ფაზაზე და წაყინვის ინტენსივობაზე. მცენარეთა განვითარების ფაზა სეზონების მიხედვით ყოველ წელს იცვლება. რაც შეეხება წაყინვების ინტენსივობის მიხედვით განაწილებას სათანადო მასალა მოგვყავს ცხრილში №2.

**ცხრილი 2. წაყინვების ინტენსივობა სადგურების მიხედვით**

| თელავი  |       |     |    |   |     | ყვარელი |       |     |    |   |    | გურჯაანი |       |     |    |    |   |    |
|---------|-------|-----|----|---|-----|---------|-------|-----|----|---|----|----------|-------|-----|----|----|---|----|
| გრადუსი |       | თვე |    |   |     | გრადუსი |       | თვე |    |   |    | გრადუსი  |       | თვე |    |    |   |    |
| დან     | მდე   | III | IV | X | XI  | დან     | მდე   | III | IV | X | XI | დან      | მდე   | III | IV | IX | X | XI |
| 0.0     | -0.9  | 104 | 22 | 8 | 46  | 0.0     | -0.9  | 67  | 4  | 3 | 38 | 0.0      | -0.9  | 57  | 10 | 1  | 4 | 6  |
| -1.0    | -1.9  | 64  | 4  |   | 27  | -1.0    | -1.9  | 47  | 1  | 3 | 19 | -1.0     | -1.9  | 36  | 2  |    | 3 | 7  |
| -2.0    | -2.9  | 28  | 1  |   | 17  | -2.0    | -2.9  | 20  | 1  | 1 | 11 | -2.0     | -2.9  | 19  | 1  |    | 1 | 5  |
| -3.0    | -3.9  | 19  | 1  |   | 8   | -3.0    | -3.9  | 6   | 1  | 1 | 11 | -3.0     | -3.9  | 6   | 2  |    |   | 4  |
| -4.0    | -4.9  | 6   | 1  |   | 2   | -4.0    | -4.9  | 6   |    |   | 1  | -4.0     | -4.9  | 6   | 1  |    |   | 1  |
| -5.0    | -10.0 | 1   | 1  |   |     | -5.0    | -10.0 | 2   | 1  |   |    | -5.0     | -10.0 | 2   |    |    |   |    |
| Σ       |       | 222 | 30 |   | 100 | Σ       |       | 148 | 8  | 8 | 80 | Σ        |       | 126 | 16 | 1  | 8 | 23 |

როგორც ცხრილის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, წაყინვების უდიდესი რაოდენობა არ არის ინტენსიური, შემთხვევათა 50%-ის დროს, ჰაერის ტემპერატურის დაცემა არ ხდება -2.0<sup>0</sup>-ზე დაბლა.

ასევე საინტერესოა წაყინვიან დღეთა რიცხვის და მათი საშუალოდან გადახრის ალბათობის ცოდნა. სათანადო სიდიდეები მოგვყავს ცხრილებში 3 და 4.

**ცხრილი 3. წაყინვიან დღეთა რიცხვის უზრუნველყოფა (%)**

| სადგური  | უზრუნველყოფა |    |    |    |    |    |    |
|----------|--------------|----|----|----|----|----|----|
|          | 5            | 10 | 25 | 50 | 75 | 90 | 95 |
| თელავი   | 21           | 17 | 14 | 11 | 5  | 2  | 1  |
| ყვარელი  | 21           | 17 | 12 | 9  | 4  | 2  | 1  |
| გურჯაანი | 15           | 10 | 8  | 4  | 2  | -  | -  |

**ცხრილი 4. საშუალოდან გადახრის ალბათობა (დღე)**

| სადგური  | ალბათობა |    |    |     |      |
|----------|----------|----|----|-----|------|
|          | ±2       | ±6 | ±9 | ±12 | > 12 |
| თელავი   | 37       | 40 | 11 | 6   | 6    |
| ყვარელი  | 24       | 36 | 36 | 4   | -    |
| გურჯაანი | 51       | 49 | -  | -   | -    |

გარდა ინტენსივობისა, მცენარეებისათვის საშიშაა წაყინვები, რომლებიც გრძელდება რამდენიმე დღის განმავლობაში. სათანადო მონაცემები მოყვანილია ცხრილში №5.

**ცხრილი 5. წაყინვების ხანგრძლივობა (დღე)**

| სადგური  | ხანგრძლივობა |    |    |   |   |   |   |   |   |
|----------|--------------|----|----|---|---|---|---|---|---|
|          | 1            | 2  | 3  | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| თელავი   | 52           | 28 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | - | - |
| ყვარელი  | 55           | 22 | 13 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | - |
| გურჯაანი | 61           | 23 | 8  | 3 | 4 | 1 | - | - | - |

ამ ცხრილის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ წაყინვების ნახევარზე მეტი არის ეპიზოდური, ერთ დღეზე მეტ ხანს არ გრძელდება, ხოლო ორდღიანი წაყინვების რაოდენობა მერყეობს 77-დან 84%-ის ფარგლებში.

წაყინვების ეპიზოდურობაზე წარმოდგენას გვაძლევს კიდევ ერთი მახასიათებელი, სადაც გამოთვლილია 4 ჯერადი დაკვირვების შემთხვევაში რამდენიმე ვადა ადასტურებს წაყინვის ფაქტს (ცხრ 6). ამ ცხრილის მოკლე ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შემთხვევათა ერთი მესამედი ეპიზოდურია, მათი ფიქსირება არ ხდება ერთი ვადის დაკვირვების დროსაც კი. 70-76% შემთხვევაში წაყინვების ფაქტს ადასტურებს მხოლოდ ერთი ვადის მონაცემი. შემთხვევათა მხოლოდ 1% აფიქსირებს შედარებით ხანგრძლივ წაყინვის ფაქტს, კერძოდ დაკვირვების სამი ვადის მონაცემი დღე-ღამის განმავლობაში.

**ცხრილი 6. წაყინვების შემთხვევაში უარყოფითი ტემპერატურების განმეორებადობა დაკვირვების ვადების მიხედვით (%)**

| სადგური  | ვადა |    |    |   |
|----------|------|----|----|---|
|          | 0    | 1  | 2  | 3 |
| თელავი   | 42   | 30 | 27 | 1 |
| ყვარელი  | 43   | 33 | 23 | 1 |
| გურჯაანი | 35   | 35 | 29 | 1 |

მოკლედ განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის წაყინვებისათვის დამახასიათებელ ამინდის პირობებს. ადვექციური ტიპის წაყინვებისათვის დამახასიათებელია ქარის სიჩქარის ზრდა, 2 მ/წმ და მეტი, ტემპერატურის საგრძნობი დაცემა დროის მცირე მონაკვეთში, მოღრუბლულობა 5-6 ბალი და მეტი და ა. შ. ეს პირობები, როგორც წესი დამახასიათებელია ჰაერის ცივი ფრონტის გადაადგილების დროს.

რადიაციული ტიპის წაყინვები დაიშორება მოწმენდილი ცის პირობებში, უქარო ამინდის შემთხვევაში, როგორც წესი მზის ამოსვლის წინ. წაყინვების დანარჩენი შემთხვევები მივაკუთვნეთ ე.წ. შერეულ ანუ ადვექციურ-რადიაციულ ტიპს. სადგურების მიხედვით ამ ტიპის წაყინვების განმეორებადობის მონაცემები მოგვყავს სათანადო ცხრილში.

**ცხრილი 7. სხვადასხვა ტიპის წაყინვების განმეორებადობა კახეთში**

| სადგური  | წაყინვის ტიპი |            |                      |
|----------|---------------|------------|----------------------|
|          | ადვექციური    | რადიაციული | ადვექციურ-რადიაციული |
| თელავი   | 28            | 42         | 30                   |
| ყვარელი  | 45            | 30         | 25                   |
| გურჯაანი | 52            | 18         | 30                   |

ამ ცხრილის ანალიზი რამდენიმე საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. რადიაციული ტიპის წაყინვები ყველაზე იშვიათად გურჯაანში გვხვდება, მხოლოდ 18%. აქვე ყველაზე მეტი ალბათობა ადვექციური ტიპის წაყინვებისა-52%. ადვექციურ-რადიაციული ტიპის წაყინვები თითქმის თანაბარი ალბათობით გვხვდება სამივე სადგურზე და ა.შ.

შედარებისათვის მოგვყავს ამ ტიპის წაყინვების ალბათობა მთელი საქართველოსათვის: ადვექციური-43%; რადიაციული-31% და ადვექციურ-რადიაციული-26%.

წაყინების თავისებურებების უფრო სრულად დახასიათების მიზნით შეგვიძლია მოვიყვანოთ სადგურების მიხედვით ქარის და ფარდობითი სინოტივის მიხედვით მათი განაწილების სურათი მოღრუბლულობის განსხვავებულ რეჟიმის დროს (ცხრილი 8÷10).

**ცხრილი 8. წაყინების კომპლექსური მახასიათებლები თელავში**

| ჰაერის ტემპერატურა |      | მოღრუბლულობა |     | ქარის სიჩქარე მ/წმ     |         |     |       |         |     |       |         |     |     |         |     |      |
|--------------------|------|--------------|-----|------------------------|---------|-----|-------|---------|-----|-------|---------|-----|-----|---------|-----|------|
|                    |      |              |     | 0 ÷ 1                  |         |     | 2 ÷ 4 |         |     | 5 ÷ 6 |         |     | >6  |         |     |      |
| დან                | მდე  | დან          | მდე | ფარდობითი სინოტივე (%) |         |     |       |         |     |       |         |     |     |         |     | ჯამი |
|                    |      |              |     | ≤60                    | 61 ÷ 80 | >80 | ≤60   | 61 ÷ 80 | >80 | ≤60   | 61 ÷ 80 | >80 | ≤60 | 61 ÷ 80 | >80 |      |
| 0.0                | -2.0 | 0            | 2   | 4                      | 18      | 16  | 8     | 25      | 2   | 3     | 3       | 1   | 3   | 1       | -   | 84   |
|                    |      | 3            | 7   | 1                      | 11      | 13  | 2     | 9       | 3   | 2     | 3       | -   | 2   | 1       | -   | 47   |
|                    |      | 8            | 10  | 4                      | 12      | 88  | 1     | 10      | 22  | -     | 1       | 7   | 1   | -       | 4   | 150  |
| -2.1               | -5.0 | 0            | 2   | 4                      | 13      | 2   | 3     | 15      | 2   | -     | 3       | -   | -   | 1       | -   | 43   |
|                    |      | 3            | 7   | 1                      | 4       | 1   | 2     | 4       | -   | 1     | -       | -   | 1   | -       | -   | 14   |
|                    |      | 8            | 10  | 2                      | 2       | 11  | 1     | 4       | 2   | -     | -       | -   | -   | -       | -   | 22   |
| ჯამი               |      |              |     | 16                     | 60      | 131 | 17    | 67      | 31  | 6     | 10      | 8   | 7   | 3       | 4   | 360  |

**ცხრილი 9. წაყინების კომპლექსური მახასიათებლები ყვარელში**

| ჰაერის ტემპერატურა |      | მოღრუბლულობა |     | ქარის სიჩქარე მ/წმ     |         |     |       |         |     |       |         |     |     |         |     |      |
|--------------------|------|--------------|-----|------------------------|---------|-----|-------|---------|-----|-------|---------|-----|-----|---------|-----|------|
|                    |      |              |     | 0 ÷ 1                  |         |     | 2 ÷ 4 |         |     | 5 ÷ 6 |         |     | >6  |         |     |      |
| დან                | მდე  | დან          | მდე | ფარდობითი სინოტივე (%) |         |     |       |         |     |       |         |     |     |         |     | ჯამი |
|                    |      |              |     | ≤60                    | 61 ÷ 80 | >80 | ≤60   | 61 ÷ 80 | >80 | ≤60   | 61 ÷ 80 | >80 | ≤60 | 61 ÷ 80 | >80 |      |
| 0.0                | -2.0 | 0            | 2   | 1                      | 19      | 39  | -     | 3       | 5   | 1     | -       | -   | -   | -       | -   | 68   |
|                    |      | 3            | 7   | -                      | 9       | 15  | 2     | 1       | 4   | -     | -       | -   | -   | -       | -   | 31   |
|                    |      | 8            | 10  | -                      | 9       | 73  | -     | 2       | 6   | -     | -       | -   | -   | -       | -   | 90   |
| -2.1               | -5.0 | 0            | 2   | 1                      | 10      | 19  | -     | 3       | 1   | -     | -       | -   | -   | -       | -   | 33   |
|                    |      | 3            | 7   | -                      | 7       | 1   | -     | -       | -   | -     | -       | -   | -   | -       | -   | 8    |
|                    |      | 8            | 10  | -                      | 3       | 9   | -     | -       | 2   | -     | -       | -   | -   | -       | -   | 14   |
| ჯამი               |      |              |     | 2                      | 57      | 156 | 2     | 9       | 18  | 1     | -       | -   | -   | -       | -   | 244  |

**ცხრილი 10. წაყინების კომპლექსური მახასიათებლები გურჯაანში**

| ჰაერის ტემპერატურა |      | მოღრუბლულობა |     | ქარის სიჩქარე მ/წმ     |         |     |       |         |     |       |         |     |     |         |     |      |
|--------------------|------|--------------|-----|------------------------|---------|-----|-------|---------|-----|-------|---------|-----|-----|---------|-----|------|
|                    |      |              |     | 0 ÷ 1                  |         |     | 2 ÷ 4 |         |     | 5 ÷ 6 |         |     | >6  |         |     |      |
| დან                | მდე  | დან          | მდე | ფარდობითი სინოტივე (%) |         |     |       |         |     |       |         |     |     |         |     | ჯამი |
|                    |      |              |     | ≤60                    | 61 ÷ 80 | >80 | ≤60   | 61 ÷ 80 | >80 | ≤60   | 61 ÷ 80 | >80 | ≤60 | 61 ÷ 80 | >80 |      |
| 0.0                | -2.0 | 0            | 2   | 6                      | 12      | 11  | 5     | 2       | 6   | 1     | -       | -   | 1   | -       | -   | 44   |
|                    |      | 3            | 7   | 1                      | 3       | 7   | 2     | 5       | -   | -     | -       | -   | -   | 1       | -   | 19   |
|                    |      | 8            | 10  | 1                      | 3       | 55  | 1     | 1       | 8   | -     | -       | -   | -   | -       | -   | 69   |
| -2.1               | -5.0 | 0            | 2   | 1                      | 5       | 4   | 4     | 5       | -   | -     | 1       | -   | -   | -       | -   | 20   |
|                    |      | 3            | 7   | 2                      | 1       | 4   | 1     | 1       | -   | -     | -       | -   | 1   | -       | -   | 10   |
|                    |      | 8            | 10  | -                      | 2       | 6   | -     | -       | 1   | -     | -       | -   | -   | -       | 1   | 12   |
| ჯამი               |      |              |     | 11                     | 26      | 87  | 13    | 14      | 15  | 1     | 1       | -   | 2   | 1       | 1   | 174  |

ამ ცხრილებიდან თვალნათლივ ჩანს სადგურების მიხედვით წაყინვიან დღეთა რიცხვის ინტენსივობისა და ტიპების მიხედვით განაწილებით.

ჩვენი მსჯელობა არ იქნება სრული, თუ მოკლედ არ შევეხეთ წაყინებისაგან მცენარეთა დაცვის ყველაზე მეტად გავრცელებულ საშუალებებს. მართებული იქნება თუ ამ მეთოდებს გაეყოფთ იმის მიხედვით თუ რა არის ჩვენი მიზანი—შევებრძოლოთ ბუნების ამ მოვლენას ნებისმიერი მატერიალური დანაკარგების ფასად, თუ შევეცადოთ მივიღოთ სასურველი შედეგი მინიმალური მატერიალური და ფინანსური დანახარჯების ფასად. ეს უკანასკნელი უფრო ეკონომისტების კვლევის საგანი შეიძლება იყოს. რაც შეეხება სასურველი შედეგის მიღწევას, ეს შეიძლება მოხერხდეს რამდენიმე მეთოდით.

პირველი, ყველაზე იაფი და ხელმისაწვდომი, როდესაც გამოყენებულია ხეხილის ყინვაგამძლე ჯიშები ან ბოსტნეულის თესვის ოპტიმალური ვადები.

მეორე, როდესაც ვცდილობთ შევამციროთ მიწისპირა ფენის გადაციება, ვსარგებლობთ ხელოვნური დაწვიმების, ზედაპირის გაფხვიერების ან ხელოვნური საფარის გამოყენებით.

მესამე, მცენარეთა დაცვის ინდივიდუალური ზომები, მათი დაფარვა უქსოვადი ქსოვილით, მიწის მიყრა და სხვა.

მეოთხე, როდესაც ვცდილობთ თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში შევიტანოთ სითბოს დამატებითი წყარო, ჩალის ან ფიჩხის დაწვა და ა.შ.

მეხუთე, იშვიათ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს რადიაციული ტიპის წაყინვებს ჰაერის მიწისპირა ფენის აღრევის, ვერტმფრენის ან თვითმფრინავის პროპელერის დახმარებით.

წარმატების იმედს გვაძლევს ის ფაქტი, რომ წაყინვების უმეტესობა კახეთში ლოკალურია, 60% შემთხვევაში დაიმზირება მხოლოდ ერთ სადგურზე. ასევე 60% წაყინვებისა ეპიზოდურია, დაიმზირება მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში. წაყინვების 50%-ზე მეტი ეპიზოდურია, ფიქსირდება მხოლოდ მეტეოროლოგიურ ბუდრუგანაში  $t_{min}$  თერმომეტრის ჩვენებით.

უმეტეს შემთხვევაში წაყინვები არაინტენსიურია მინიმალური ტემპერატურა ეცემა არაუმეტეს  $-2,0^{\circ}$ -ისა. წაყინვების საშუალო რაოდენობა წელიწადში 10-ს არ აღემატება, თანაბრად ნაწილდება გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ადვექციური ტიპის წაყინვებს ტემპერატურის მკვეთრი დაცემით, ძლიერი ქარით დიდ ფართობზე და რამდენიმე დღის ინტერვალით წაყინვებისაგან მცენარეთა დაცვა ძალიან რთული იქნება.

უახლოეს პერიოდში, საყოველთაოდ აღიარებული კლიმატის დათბობის პირობებში, იმედი უნდა ვიქონიოთ წაყინვების რიცხვის, ხანგრძლივობის, ინტენსივობის შემცირებისა, რაც გააადვილებს მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

შპპ 551. 521.

**წაყინვების ზოგიერთი თავისებურებები კახეთის რეგიონში**/ვანნაძე ჯ. ი., დიასამიძე ც.ო./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლო-გიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. ტ.119 გვ.115-119, ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში მოკლედ განხილულია გვიან გაზაფხულზე და ადრე შემოდგომით ჰაერში წაყინვების გამომწვევი სინოპტიკური პროცესები. გამოთვლილია წაყინვიან დღეთა რიცხვის ძირითადი სტატისტიკური მახასიათებლები თვეების მიხედვით. დადგენილია ადვექციური, რადიაციული და ადვექციურ რადიაციული წაყინვების განმეორებადობა სამი სადგურის მონაცემების მაგალითზე. შესწავლილია წაყინვების ინტენსივობის და უყინვო პერიოდის ხანგრძლივობის ძირითადი მახასიათებლები. მოცემულია წაყინვებისაგან მცენარეთა დაცვის ძირითადი რეკომენდაციები.

UDC 551.5521.

**SOME FREEZING RECUIARITIES IN KAKHETI REGION.**/Vachnadze D.I., Diasamidze Ts.O./Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Tekhnical University. -2013. - т.119 , – pp.115-119, -Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

The synoptic processes causing late and first autumn air frost have been shortly discussed in presented article. The main statistical characters of freezing days by month are calculated. The advective, radiation and advective-radiation freezing frequency using three station data have been identified. The main characters of freezing intensity and freezing free period duration also are studied. The basic recommendations to protect plant against freezing have been given.

УДК 551.5521.

**НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ЗАМОРОЗКОВ В КАХЕТИ.** /Вачнадзе Д.И., Диасамидзе Ц.О. /Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. –2013. - т.119 ., – с.115-119, – Груз .; Рез. Груз., Англ., Рус.

В данной статье коротко рассмотрены основные синоптические процессы, вызывающие заморозки в Кахети. Рассчитаны основные статистические показатели среднемесячного числа дней с заморозком. Дана повторяемость адвективных, радиационных и адвективно-радиационных заморозков. На основании анализа данных трёх станции изучена вероятность возникновения заморозков. Изучены некоторые основные показатели заморозков, в том числе продолжительность, интенсивность и др. Перечислены основные методы защиты растений от заморозков.

УДК 551.509.9

## ВЫБОР АЭРОЗОЛЯ ДЛЯ БОРЬБЫ С РАДИАЦИОННЫМИ ЗАМОРОЗКАМИ

М.Т. Абшаев\*, А.М. Абшаев\*, Х.Ж. Малкаров\*\*, Л.Т. Созаева\*

\* ФГБУ "Высокогорный геофизический институт", г. Нальчик

\*\* Научно-производственный центр «Антиград», г. Нальчик

**1. Введение.** Радиационное выхолаживание земной поверхности за счет инфракрасного теплового излучения является основной причиной формирования радиационных заморозков, наносящих серьезный ущерб сельскохозяйственным культурам. В качестве одного из наиболее распространенных методов защиты от радиационных заморозков применяется метод создания дымовых завес, обеспечивающий парниковый эффект [2, 4].

Задача состоит в том, чтобы найти дисперсность искусственного аэрозоля, которая способна обеспечить максимальный парниковый эффект при минимальных затратах диспергируемого аэрозоля, т.е. обеспечить максимальное поглощение и отражение инфракрасного излучения поверхности земли в окне прозрачности атмосферы  $8,5 < \lambda < 11$  мкм.

**2. Методика расчета.** Отражаемость  $\eta(\lambda, m, r)$  и объемные коэффициенты ослабления  $k_{oc}(\lambda, m, r)$  и поглощения  $k(\lambda, m, r)$  зависят от длины волны  $\lambda$ , дисперсности и диэлектрических свойств аэрозоля. Если слой аэрозоля является полидисперсной средой и состоит из сферических частиц, то значения отражаемости, коэффициентов ослабления и поглощения могут быть рассчитаны по формулам:

$$\eta(\lambda, m, r) = \int_0^{\infty} n(r) \sigma(\lambda, m, r) dr, \quad (1)$$

$$k_{oc}(\lambda, m, r) = \int_0^{\infty} n(r) \sigma_{oc}(\lambda, m, r) dr, \quad (2)$$

$$k_n(\lambda, m, r) = \int_0^{\infty} n(r) \sigma_n(\lambda, m, r) dr, \quad (3)$$

где  $r$  – радиус аэрозольных частиц;  $\lambda$  – длина волны;  $m$  – комплексный показатель преломления вещества частицы ( $n$  – показатель преломления и  $k$  – показатель поглощения);  $n(r)$  – функция распределения аэрозольных частиц по размерам;  $\sigma(\lambda, m, r)$ ,  $\sigma_{oc}(\lambda, m, r)$  и  $\sigma_n(\lambda, m, r)$  – поперечные сечения обратного рассеяния, ослабления и поглощения, которые рассчитываются в соответствии с классической теорией рассеяния Ми.

Для выбора оптимальной дисперсности аэрозоля, обеспечивающей максимальное ослабление инфракрасного излучения в окне прозрачности атмосферы, целесообразно положить, что аэрозоль монодисперсный.

При сжигании дымообразующего состава в единице объема создается число частиц аэрозоля  $N$ , которое определяется общей массой  $M$  диспергируемого дымообразующего вещества и объемом диспергирования

$$N = \frac{3M}{4\pi r^3 \rho V} \quad (4)$$

где  $\rho \approx 1,35$  г/см<sup>3</sup> – плотность частиц сажи;  $V$  – объем диспергирования, равный  $V = L \cdot l \cdot h$  ( $L$  – длина пути диспергирования в м;  $l$  – ширина области диспергирования в м;  $h$  – толщина слоя аэрозоля в м).

Полагая, что масса аэрозоля, диспергируемого в единице объема  $M/V = 1$  г/м<sup>3</sup> и с учетом (4) выражения (1 - 3) примут вид:

$$\eta = 0,177 \frac{\sigma}{r^3}, \quad (5)$$

$$k_{oc} = 0,177 \frac{\sigma_{oc}}{r^3}, \quad (6)$$

$$k_n = 0,177 \frac{\sigma_n}{r^3}, \quad (7)$$

где  $\eta$ ,  $k_{oc}$ ,  $k_n$  – выражено в м<sup>-1</sup>;  $\sigma$ ,  $\sigma_{oc}$ ,  $\sigma_n$  – в мкм<sup>2</sup>;  $r$  – в мкм.

Согласно закону Бугера, интенсивность проходящего через аэрозольную среду излучения  $J$  определяется выражением:

$$J = J_0 e^{-k_{oc} h}, \quad (8)$$



где  $J_0$  - интенсивность падающего излучения.

Степень уменьшения интенсивности восходящего инфракрасного излучения земли  $\tau$  в аэрозольном слое толщиной  $h$ , может быть рассчитана по формуле:


$$\tau = \frac{J_0}{J} = e^{k_{oc}h} \quad (9)$$

### 3. Рассеяние, ослабление и поглощение инфракрасного излучения аэрозолями сажи

Расчет рассмотренных интегральных характеристик распространения электромагнитных волн в аэрозольной среде проведен по строгой дифракционной теории Ми для размеров частиц аэрозоля  $1 < r < 20$  мкм с шагом  $\Delta r = 0,1$  мкм для длин волн  $1 < \lambda < 20$  мкм с шагом  $\Delta \lambda = 1,0$  мкм. Были проведены расчеты отношения

коэффициентов рассеяния, поглощения и отражаемости к коэффициенту ослабления:  $\frac{K_p}{K_{oc}}$ ,  $\frac{K_n}{K_{oc}}$  и  $\frac{\eta}{K_{oc}}$ . В

качестве комплексных показателей преломления на данных длинах волн использовались комплексные показатели преломления для сажи.



На рис. 1а и 1б показана зависимость коэффициента ослабления и поглощения от размера аэрозоля, а на рис. 1в – от длины волны.

На рис. 1г представлено семейство кривых зависимости потерь интенсивности инфракрасного излучения в аэрозольном слое от длины волны. Из этого рисунка следует, что двукратное уменьшение интенсивности инфракрасного излучения может быть достигнуто при толщине аэрозольного слоя  $h = 1$  м, с массовой концентрацией  $1 \text{ г/м}^3$  и дисперсностью  $1,0 < r < 2,0$  мкм.

Однако, учитывая, что продолжительность заморозков обычно составляет несколько часов, необходимо подобрать размер аэрозоля, имеющий минимальную скорость гравитационного оседания при достаточно вы-

сокой поглощательной способности. Кроме того, необходимо учесть, что реальные источники аэрозоля (дымовые шашки) обычно создают слой аэрозоля достаточно быстро увеличивающийся во времени за счет турбулентной диффузии до нескольких десятков метров. Детальное рассмотрение этого вопроса является предметом дальнейшего исследования. С учетом этих дополнительных факторов можно полагать, что для защиты от заморозков спектр аэрозоля должен иметь максимум в диапазоне размеров  $1,0 < r < 2,0$  мкм.

#### **Заклучение**

Оптимальный для предотвращения радиационных заморозков парниковый эффект может создать аэрозольный слой с содержанием  $N \geq 1,77 \cdot 10^{11} \text{ м}^{-2}$  частиц аэрозоля радиусом  $1,5 \div 2$  мкм.

Для широкого применения предлагаемого метода целесообразно создать специальные генераторы непрерывного действия с производительностью около  $0,1 \text{ кг/с}$  аэрозоля размером  $1,5 \div 2$  мкм. Один такой генератор, установленный на наветренной стороне защищаемой территории, может обеспечить защиту 20 - 40 га.

### **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Абшаев М.Т., Бурцев И.И., Ваксенбург С.И., Шевела Г.Ф. Руководство по применению радиолокаторов МРЛ-4, МРЛ-5 и МРЛ-6 в системе градозащиты. – Л.: Гидрометеиздат, 1980. – 230 с.
2. Абшаев М.Т., Малкаров Х.Ж. Метод защиты от радиационных заморозков // Труды ВГИ. 2004. Вып. 92.
3. Золотарев В.М., Морозов В.Н., Смирнова Е.В. Оптические постоянные природных и технических сред. Справочник. – Л.: Химия, 1984. – 216 с.
4. Малкаров Х.Ж. Ослабление инфракрасного излучения в слое искусственного аэрозоля // Труды молодых ученых КБ НЦ РАН. – 2003.
5. Патент РФ, МКИ G01 J 29/08. Способ и устройство защиты от заморозков / Абшаев М.Т. и др. № 2069945. 1994. Заявка от 24.06.1993 №930331104/23.
6. Вопросы защиты растений от заморозков /Под ред. докт. ф.м. наук Юдина М.И./ // Тр. Главной геофизической обсерватории. – Л.: Гидрометеиздат, 1948. – 156 с.
7. Годунов С.К., Рябенский В.С. Разностные схемы. – М.: Наука, 1977. 440 с.
8. Ильин В.О. Анализ конечно-разностных схем численного решения уравнения адвекции. – Метеорология и гидрология. – 1983, № 6. с. 13 - 24.
9. Марчук Г.И., Дымников В.П., Залесный В.Б. Математические модели в геофизической гидродинамике и численные методы их реализации. – Л.: Гидрометеиздат, 1987. – 296 с.
10. Созаева Л.Т., Малкаров Х.Ж. Оптимизация дисперсности искусственного аэрозоля для защиты растений от радиационных заморозков // Сборник статей V Конференции молодых ученых и аспирантов КБНЦ РАН, Нальчик, 2004.

#### **UDC 551.509.9**

**AEROSOL SELECTION FOR SUPPRERSSION RADIATION FROSTS.** Abshaev M.T., Abshaev A.M., Malkarov Kh.Zh./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp. 120-122 -Рус.; Summ. Eng., Russ.

The questions of optimization of radiation frosts suppression methods, based on creation of artificial aerosol layers and frogs are considered. The purpose of this task is to find out dispersion of artificial aerosol which is capable to provide maximal greenhouse effect at minimal spending of used aerosol, it et to provide maximal absorption and back-reflection of infrared radiation from ground surface in atmosphere transparency window  $8,5 < \lambda < 11$  micron.

#### **УДК 551.509.9**

**ВЫБОР АЭРОЗОЛЯ ДЛЯ БОРЬБЫ С РАДИАЦИОННЫМИ ЗАМОРОЗКАМИ./** М.Т. Абшаев, А.М. Абшаев, Х.Ж. Малкаров, Л.Т. Созаева/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.- т.119.-с.120-122 -Рус., Рез. Англ., Рус.

Рассматриваются вопросы оптимизации методов защиты от радиационных заморозков, основанных на создании искусственных дымовых завес и туманов. Задача состоит в том, чтобы найти дисперсность искусственного аэрозоля, которая способна обеспечить максимальный парниковый эффект при минимальных затратах диспергируемого аэрозоля, т.е. обеспечить максимальное поглощение и отражение инфракрасного излучения с поверхности земли в окне прозрачности атмосферы  $8,5 < \lambda < 11$  мкм.

უაკ 551. 521

**ნისლი იმერეთის რეგიონში**

რ.სამუკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი


ნისლი განეკუთვნება საშიშ მეტეოროლოგიურ მოვლენათა რიცხვს, ის ამცირებს მხედველობის სიშორეს 50 მეტრამდე და მეტად (ძლიერი ნისლი), რითაც უარყოფითად მოქმედებს ტრანსპორტის ყველა სახეობის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. იგი ასევე უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე თერმორეგულაციის პროცესებზე. გენეზისის პირობებზე დამოკიდებულებით ნისლი შეიძლება იყოს შიდამასიური და ფრონტალური, შიდამასიური ნისლის სახეობებია: ადვექციური და რადიაციული ნისლი. მთიან რაიონებში ხშირად აღინიშნება ადვექციური ნისლის ნაირსახეობა-ფერდობების ნისლი. უნდა აღინიშნოს, რომ ნისლის ცალკეულ სახეობებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს, რადგანაც მათ წარმოშობაში მონაწილეობს მეტეოროლოგიური ფაქტორების მთელი კომპლექსი. იმერეთის ტერიტორიაზე ნისლიან დღეთა საშუალო  $\bar{n}$  და მაქსიმალური  $n_{max}$  რაოდენობა მოცემულია ცხრილ 1-ში [1,2].

**ცხრილი 1. ნისლიან დღეთა საშუალო  $\bar{n}$  და მაქსიმალური  $n_{max}$  რაოდენობა**

| სადგური     | N(მ) | 0 3 3 |     |     |     |      |     |      |      |      |     |     |      | წელი |
|-------------|------|-------|-----|-----|-----|------|-----|------|------|------|-----|-----|------|------|
|             |      | I     | II  | III | IV  | V    | VI  | VII  | VIII | IX   | X   | XI  | XII  |      |
| ტყიბული     | 593  | 2     | 1   | 2   | 3   | 3    | 1   | 2    | 1    | 1    | 0.3 | 0.7 | 0.8  | 18   |
| საჩხერე     | 415  | 0.9   | 0.9 | 0.3 | 0.3 | 0.04 | 0.1 | 0.1  | 0.04 | 0.4  | 1   | 1   | 1    | 6    |
| ხონი        | 114  | 0.3   | 0.6 | 0.4 | 1   | 1    | 0.6 | 0.3  | 0.3  | 0.6  | 0.5 | 0.3 | 0.1  | 6    |
| წყალტუბო    | 121  | 0.7   | 0.4 | 0.5 | 1   | 1    | 0.3 | 0.1  | 0.4  | 0.4  | 0.5 | 0.2 | 0.1  | 5    |
| ქუთაისი     | 114  | 0.9   | 1   | 0.9 | 2   | 2    | 0.8 | 0.4  | 0.9  | 0.6  | 0.6 | 0.5 | 0.7  | 12   |
| კორბოული    | 793  | 2     | 2   | 5   | 6   | 4    | 2   | 3    | 2    | 2    | 0.8 | 2   | 2    | 33   |
| სამტრედია   | 28   | 0.5   | 0.4 | 0.5 | 1   | 1    | 0.6 | 0.5  | 1    | 2    | 1   | 0.6 | 0.4  | 9    |
| საქარა      | 148  | 0.4   | 0.3 | 1   | 0.9 | 0.9  | 0.2 | 0.3  | 0.3  | 0.3  | 0.2 | 0.7 | 0.3  | 6    |
| ვანი        | 46   | 0.7   | 0.2 | 0.6 | 1   | 0.9  | 0.2 | 0.4  | 0.6  | 0.8  | 2   | 0.4 | 0.4  | 8    |
| დიმი        | 200  | 0.1   | 0.7 | 2   | 3   | 3    | 0.6 | 0.7  | 0.5  | 0.2  | 0.2 | 0.5 | 0.3  | 12   |
| მთა საბუეთი | 1242 | 23    | 21  | 23  | 20  | 20   | 21  | 24   | 22   | 21   | 22  | 21  | 20   | 258  |
| ხარაგაული   | 280  | 0.5   | 0.6 | 0.4 | 0.1 | 0.4  | 0.4 | 0.05 | 0.4  | 0.4  | 0.3 | 0.3 | 0.05 | 4    |
| სურამი      | 743  | 0.7   | 0.5 | 0.1 | 0.1 |      |     | 0.04 | 0.04 | 0.04 | 0.1 | 0.8 | 0    | 3    |
| წიფა        | 673  | 6     | 6   | 6   | 4.  | 3    | 1   | 2    | 1    | 0.4  | 1   | 3   | 4    | 37   |

| სადგური     | N(მ) | $n_{max}$ |    |     |    |    |    |     |      |    |    |    |     | წელი |
|-------------|------|-----------|----|-----|----|----|----|-----|------|----|----|----|-----|------|
|             |      | I         | II | III | IV | V  | VI | VII | VIII | IX | X  | XI | XII |      |
| ტყიბული     | 593  | 12        | 11 | 10  | 8  | 11 | 7  | 15  | 6    | 11 | 2  | 8  | 5   | 77   |
| საჩხერე     | 415  | 3         | 5  | 2   | 2  | 1  | 1  | 2   | 1    | 2  | 4  | 3  | 5   | 14   |
| ხონი        | 114  | 2         | 2  | 3   | 5  | 4  | 4  | 1   | 2    | 4  | 2  | 4  | 1   | 12   |
| წყალტუბო    | 121  | 5         | 2  | 2   | 4  | 5  | 2  | 1   | 2    | 2  | 3  | 2  | 1   | 14   |
| ქუთაისი     | 114  | 4         | 4  | 4   | 5  | 7  | 3  | 4   | 4    | 4  | 2  | 6  | 3   | 26   |
| კორბოული    | 793  | 7         | 5  | 13  | 15 | 10 | 7  | 8   | 10   | 4  | 3  | 4  | 7   | 67   |
| სამტრედია   | 28   | 3         | 2  | 3   | 5  | 4  | 2  | 4   | 5    | 9  | 5  | 2  | 3   | 18   |
| საქარა      | 148  | 3         | 3  | 5   | 4  | 6  | 2  | 3   | 3    | 2  | 9  | 3  | 5   | 18   |
| ვანი        | 46   | 5         | 2  | 4   | 6  | 5  | 3  | 5   | 4    | 5  | 5  | 3  | 7   | 24   |
| დიმი        | 200  | 2         | 5  | 7   | 11 | 10 | 5  | 6   | 2    | 2  | 1  | 2  | 3   | 24   |
| მთა საბუეთი | 1242 | 30        | 27 | 29  | 28 | 27 | 27 | 30  | 29   | 28 | 30 | 28 | 27  | 291  |
| ხარაგაული   | 280  | 3         | 8  | 4   | 1  | 3  | 1  | 1   | 2    | 2  | 2  | 3  | 1   | 15   |
| სურამი      | 743  |           |    |     |    |    |    |     |      |    |    |    |     |      |
| წიფა        | 673  | 16        | 13 | 14  | 12 | 12 | 5  | 7   | 7    | 2  | 5  | 8  | 10  | 71   |

ნახ. 1-ზე წარმოდგენილია წელიწადში ნისლიან დღეთა საშუალო  $\bar{n}$  და მაქსიმალური  $n_{max}$  რაოდენობის ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე  $H$  დამოკიდებულების გრაფიკული სახე



ნახ.1 წელიწადში ნისლიან დღეთა საშუალო  $\bar{n}$  და მაქსიმალური  $n_{max}$  რაოდენობის ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე  $H$  დამოკიდებულება: 1- $n_{max}=f(H)$ , 2-  $\bar{n} = f(H)$ .

დამოკიდებულებები  $\bar{n}=f(H)$  და  $n_{max}=f(H)$  შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მანვენებლიანი ფუნქციის  $y=a \cdot b^x$  სახით, რომელიც ლოგარითმირების შედეგად გადადის წრფის განტოლებაში  $\lg y = \lg a + x \lg b$ , რომლის გამოყენებით მარტივდება  $a$  და  $b$  პარამეტრების გამოთვლა. დამოკიდებულებებს  $\bar{n}=f(H)$  და  $n_{max}=f(H)$  აქვს შემდეგი ანალიზური სახე:

$$\lg \bar{n} = 0.46 + 0.27H \quad (1)$$

$$\lg n_{max} = 1.28 + 0.17H \quad (2)$$

ამ გამოსახულებებში  $H$  იცვლება 0.1-1.3კმ-ის ფარგლებში. დამოკიდებულებების ანალიზური სახეების დადგენისას შესაბამის გამოთვლებში გამოყენებული იქნა არა ადგილის აბსოლუტური სიმაღლის  $H$  გრადაციები 0.2კმ ბიჯით (0.1; 0.3; 0.5; ... 1.1; 1.3კმ), არამედ მათი შესაბამისი ნატურალური რიცხვების რიგი (1, 2, 3, ... 7). (1) და (2) გამოსახულებებით ნისლიან დღეთა საშუალო  $\bar{n}$  და მაქსიმალური  $n_{max}$  რაოდენობები წელიწადში განისაზღვრება ლოგარითმების ცხრილების საშუალებებით. შესაბამისი ამ გამოთვლებიდან ჩანს, რომ გამოსახულებებით გამოთვლილი  $\bar{n}$  და მაქსიმალური  $n_{max}$ -ის სიდიდეები ახლოა შესაბამის სიმაღლეებზე დაკვირვებებით მიღებულ სიდიდეებთან.

გარდა ნისლწარმოქმნელი ზოგადი პროცესებისა, როგორცაა შედარებით ცივ ქვეყნებში ზედაპირზე თბილი ჰაერის მასის მოძრაობა, როდესაც ადგილი აქვს წყლის ორთქლის კონდენსაციას და ადვეციური ნისლის წარმოქმნას, მოწმენდილი ცის პირობებში ქვეყნებში ზედაპირის და ჰაერის მიწისპირა ფენის გაცივება გრძელტალღიანი გამოსხივების შედეგად და მასში არსებული წყლის ორთქლის კონდენსაცია რადიაციული ნისლის წარმოქმნით, ორი სხვადასხვა თერმოპირომეტრიული თვისებების ჰაერის მასების შერჩევა (ზღვიდან შედარებით თბილი და ნოტიო ჰაერის მასა, ხმელეთიდან კი მშრალი და ცივი ჰაერის მასა), რაც მთავრდება სანაპიროს ნისლის წარმოქმნით, იმერეთის ტერიტორიაზე ნისლიან დღეთა რაოდენობა აგრეთვე დამოკიდებულია ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე და ოროგრაფიის თავისებურებებზე. მთიან რაიონებში ამ ფაქტორების გავლენით ადგილი აქვს ადვეციური ნისლის ვერტიკალურ ნაირსახეობას—ფერდობების ნისლს, რომელიც წარმოიქმნება შავი ზღვიდან წამოსული ნოტიო ჰაერის ფერდობებზე ასვლისას მისი ადიაბატური გაცივების და მასში არსებული წყლის ორთქლის კონდენსაციის შედეგად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნისლიან დღეთა რაოდენობას მთიან რაიონებში. როგორც ცხრილ 1-ში მოყვანილი მონაცემებიდან და ნახ. 1-დან ჩანს, იმერეთის

ტერიტორიის დაბლობ ნაწილში ნისლიან დღეთა საშუალო რაოდენობა  $\bar{n}$  მერყეობს 3-12 დღის ფარგლებში, ხოლო მაქსიმალურ დღეთა რაოდენობა  $n_{max}$  12-26-ის ფარგლებში დაბალ მთაში (0.6-0.8კმ) სიმაღლეზე ამ მაჩვენებლების სიდიდე მერყეობს შესაბამისად 18-37 და 67-77 დღის ფარგლებში შუამთის ქვედა საზღვარზე (მთა საბუეთი 1242მ) ეს მაჩვენებლები შესაბამისად ტოლია 258 და 292 დღისა. ე.ი. ადგილის სიმაღლის მატებისას იმერეთის ტერიტორიაზე აღინიშნება  $\bar{n}$  და  $n_{max}$ -ის მკვეთრი ზრდა.

იმერეთის ტერიტორიაზე არსებული მეტეოროლოგიური სადგურების ქსელის მრავალწლიური ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გარდა ნისლიან დღეთა საშუალო და მაქსიმალური რაოდენობისა, გაანალიზდა ნისლიან დღეთა გრადაციების განმეორადობა თვეების და წელიწადის მიხედვით, ნისლების საშუალო ხანგრძლივობა, ნისლების ხანგრძლივობა დღეღამის სხვადასხვა დროს. თვეების მიხედვით ნისლიან დღეთა გრადაციების (ინტერვალთ 2 დღე) განმეორადობა (1-2, 3-4, 5-6 დღე და ა. შ.) იმერეთის დაბლობ რაიონში მაქსიმალურია 1-2 დღის გრადაციისთვის. წელიწადში იგი იცვლება ხონში 14%-დან (XI, XII) 50%-მდე (IV), წყალტუბოში 15-18%-დან (XI, XII) 50%-მდე (V), ქუთაისში 17%-დან (XI) 60%-მდე (V), სამტრედიაში 27%-დან (I) 54%-მდე (V), აღსანიშნავია, რომ ნისლიან დღეთა მაქსიმალური განმეორადობა ამ გრადაციისთვის (1-2 დღე) იმერეთის დაბლობ ტერიტორიაზე აღინიშნება ძირითადად მაისში (ხონში კი აპრილში), მინიმალური განმეორადობა კი ძირითადად ნოემბერ-დეკემბერში. რაც შეეხება შუა მთაში განლაგებულ მთა საბუეთის სადგურს, აქ დაბლობი რაიონისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად მატულობს ნისლიან დღეთა რაოდენობა. აქ დღეების გრადაციებისათვის 1-2 დღიდან 9-10 დღის ჩათვლით. ნისლიან დღეთა განმეორადობა ნულის ტოლია. აქ ნისლიან დღეთა განმეორადობა ძირითადად მოდის 11-12 და 27-28 დღის გრადაციების ინტერვალზე. ამასთანავე ერთად ნისლიან დღეთა მაქსიმალური განმეორადობა მოდის დღეების შემდეგ გრადაციებზე: 19-20, 21-22, 23-24 და 25-26 დღე. წელიწადში ნისლიან დღეთა სხვადასხვა რიცხვის განმეორადობა (%) მოცემულია ცხრილ 2-ში.

**ცხრილი 2. წელიწადში ნისლიან დღეთა სხვადასხვა რიცხვის განმეორადობა, %**


| სადგური     | დღეთა ინტერვალი |         |         |         |         |         |         |         |         |       |       |
|-------------|-----------------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|-------|-------|
|             | 1-5             | 6-10    | 11-15   | 16-20   | 21-25   | 26-30   | 31-35   | 36-40   | 41-45   | 46-50 | 51-55 |
| ტეიბული     | 18              | 18      | 18      | 25      | 3       | 3       | 3       | 3       | 3       | 3     |       |
| საჩხერე     | 35              | 61      | 4       |         |         |         |         |         |         |       |       |
| ხონი        | 41              | 45      | 14      |         |         |         |         |         |         |       |       |
| წყალტუბო    | 38              | 58      | 4       |         |         |         |         |         |         |       |       |
| ქუთაისი     | 4               | 35      | 42      | 15      |         | 4       |         |         |         |       |       |
| კორბოული    |                 |         | 4       | 14      | 18      | 11      | 11      | 15      | 15      | 4     | 4     |
| სამტრედია   | 13              | 33      | 38      | 13      |         |         |         |         |         |       |       |
| საქარა      | 54              | 15      | 19      | 8       |         |         |         |         |         |       |       |
| ვანი        | 37              | 26      | 19      | 7       | 4       |         |         |         |         |       |       |
|             | დღეთა ინტერვალი |         |         |         |         |         |         |         |         |       |       |
|             | 211-220         | 221-230 | 231-240 | 241-250 | 251-260 | 261-270 | 271-280 | 281-290 | 291-300 |       |       |
| მთა საბუეთი | 4               |         | 12      | 12      | 28      | 16      | 20      | 4       | 4       |       |       |

ნისლების საშუალო ხანგრძლივობა მოცემულია ცხრილ 3-ში.

როგორც ცხრილ 3-დან ჩანს, ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებისას ნისლების საშუალო ხანგრძლივობა იზრდება და მთა საბუეთში აღწევს 3111.9 საათს წელიწადში. დამოკიდებულების  $t=f(H)$  (სადაც  $t$  არის ნისლების საშუალო ხანგრძლივობა წელიწადში (სთ),  $H$  - ადგილის აბსოლუტური სიმაღლე (კმ)) გრაფიკული სახე წარმოდგენილია ნახ. 2-ზე.

ცხრილი 3. ნისლების საშუალო ხანგრძლივობა (სთ)

| სადგური     | თ ვ ე |       |       |       |       |       |       |       |       |       |       |       | წელი   |
|-------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|--------|
|             | I     | II    | III   | IV    | V     | VI    | VII   | VIII  | IX    | X     | XI    | XII   |        |
| ტყიბული     | 5.0   | 2.4   | 6.8   | 7.0   | 9.8   | 2.2   | 2.2   | 1.2   | 1.4   | 0.4   | 0.5   | 1.1   | 40.0   |
| საჩხერე     | 3.3   | 3.3   | 2.8   | 3.5   | 2.5   | 0.2   | 2.3   | 0.5   | 0.8   | 3.2   | 3.5   | 9.9   | 35.5   |
| ქუთაისი     | 2.9   | 3.1   | 1.6   | 4.9   | 6.5   | 1.6   | 0.4   | 2.1   | 1.0   | 1.5   | 1.4   | 1.8   | 28.8   |
| კობოლუღი    | 8.6   | 7.9   | 33.8  | 37.8  | 19.4  | 8.3   | 12.8  | 8.7   | 5.1   | 2.4   | 7.6   | 6.5   | 158.9  |
| სამტრედია   | 1.5   | 1.0   | 1.6   | 4.1   | 3.5   | 0.9   | 1.1   | 3.3   | 3.2   | 4.1   | 1.6   | 1.1   | 27.0   |
| საქარა      | 1.1   | 1.0   | 5.2   | 2.5   | 2.5   | 0.7   | 0.3   | 0.7   | 0.5   | 1.0   | 0.8   | 1.1   | 17.7   |
| მთა საბუეთი | 332.2 | 312.0 | 334.5 | 256.1 | 213.5 | 203.5 | 258.3 | 215.3 | 202.2 | 239.3 | 276.0 | 269.0 | 3111.9 |



ნახ. 2 ნისლების საშუალო ხანგრძლივობის დამოკიდებულება ადგილის სიმაღლეზე.  $t=f(H)$ .

ანალიზურად დამოკიდებულება  $t=f(H)$  წარმოიდგინება მაჩვენებლიანი ფუნქციის სახით  $y=ab^x$ , რომელიც ლოგარითმების შედეგად გარდაიქმნება წრფის განტოლებად:  $lgy=lg a + x lgb$ , რომელიც  $a$  და  $b$  პარამეტრების სიდიდების მარტივად გამოთვლის საშუალებას იძლევა. დამოკიდებულებას  $t=f(H)$  აქვს შემდეგი ანალიზური სახე:

$$lgt=0,74+0,30H \quad (3)$$

ამ განტოლებაში  $H$  იცვლება 0,1-0,9კმ-ის ფარგლებში. ამ გამოსახულებით ნისლების საშუალო ხანგრძლივობის გამოსათვლელად ადგილის სიმაღლის ( $H$ ) გრადაციების ნაცვლად (0.1; 0.3; . . . 0.9კმ) გამოიყენება მათი შესაბამისი ნატულარული რიცხვების რიგი (1, 2, 3, . . . 5). (3) გამოსახულება საშუალებას იძლევა საკმაო სიზუსტით გამოითვალოს წლების საშუალო ხანგრძლივობა დაბლა მთაში. შუა მთისათვის ნისლების საშუალო რაოდენობა დგინდება ექსტრაპოლაციის გზით.

უაკ 551. 521

**ნისლი იმერეთის ტერიტორიაზე.** დ. სამუკაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2013, ტ.-119, გვ.-123-126, ქართ.; რეზ. ქართ.; ინგლ.; რუს. გამოკვლეულია ნისლის რეჟიმული მახასიათებლები.

UDC 551. 521

**AFOG ON THE TERRITORY OF IMERETI.** /Samukashvili R.D /Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. - т.119, – pp.123-126, -Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ. Regime characteristics of the fog are investigated.

УДК 551. 521

**ТУМАНЫ НА ТЕРРИТОРИИ ИМЕРЕТИ.** /Р. Д Самукашвили./ Сб. Трудов Института Гитрометеорологии Технического Университета Грузии. 2013, т.119, с.123-126, Груз.; Рез. Груз.; Англ.; Русск. Исследованы режимы характеристики тумана.

УДК 551..5

**ИССЛЕДОВАНИЕ ОСОБЕННОСТЕЙ МЕТЕОРОЛОГИЧЕСКИХ УСЛОВИЙ ОБРАЗОВАНИЯ ТУМАНА В РАЙОНЕ АБШЕРОНА И НЕФТЯНЫХ КАМНЕЙ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ДАННЫХ НАЗЕМНЫХ И АЭРОЛОГИЧЕСКИХ НАБЛЮДЕНИЙ**

Сафаров С.Г., Джуваров Р.П.  
 Национальная Академия Авиации АР

Туманы являются одними из опасных явлений погоды для многих отраслей экономики, в первую очередь для транспорта. Известно, что туманы образуются в результате создания у земной поверхности благоприятных условий конденсации водяного пара. Второстепенными причинами образования тумана являются возрастание влажности воздуха вследствие испарения с теплой подстилающей поверхности в холодный воздух [2, 4].

18. Монин А.С. Прогноз погоды как задача физики. – М.: Наука, 1969. – 184 с.
19. Сизов А.А., Чехлан А.Е. Аномалии осадков в Украине в связи с 11-летним циклом солнечной активности // Морской гидрофизический журнал. – 2004. – №1. – С. 41 – 51.

UDC 551.509.336+556.16

**SOLAR – CONDITIONED QUASI-TWENTY-YEAR PRECIPITATION ACTIVITY IN THE DANUBE COLLECTION AREA AND ITS DISCHARGE**/Ivanov V.A., Prusov A.V., Sizov A.A./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. - 2013. - т.119. – pp. 178-183. -Russ.; Summ. Eng.; Russ.

Precipitation activity in the Danube collecting area and its discharge is analyzed for even and odd cycles of solar activity (s.a.). It is shown that during even s.a. cycles, precipitation deficit in the Danube collecting area and its minimum discharge are observed. These phenomena are connected with predominant anticyclonic atmospheric circulation over the southern Europe. During odd s.a. cycles, precipitation in the Danube collecting area and its discharge exceed corresponding multi-year average values that is explained by predominant cyclonic atmospheric circulation over the southern Europe. Thus This is the formation mechanism of a quasi-twenty-year precipitation cycle in the Danube collection area and its discharge. Significant differences in the Danube inter-year precipitation and discharge variability are observed within even and odd s.a. cycles.

УДК 551.509.336+556.16

**СОЛНЕЧНО – ОБУСЛОВЛЕННАЯ КВАЗИДВАДЦАТИЛЕТНЯЯ ИЗМЕНЧИВОСТЬ ОСАДКОВ В ВОДОСБОРЕ ДУНАЯ И ЕГО СТОКА**/ Иванов В.А., Прусов А.В., Сизов А.А./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета – 2013. – т.119. – с.178-183 . – Рус.; Рез. Англ.,Рус.

Анализируется изменчивость осадков в водосборе Дуная и его сток в годы четного и нечетного циклов солнечной активности (с.а.). Показано, что в годы четного цикла с.а. наблюдается дефицит осадков в водосборе Дуная, связанный с преобладанием антициклонической циркуляции атмосферы над южной частью Европы. В эти годы отмечается минимальный сток Дуная. В годы нечетного цикла с.а. увлажненность в водосборе Дуная выше средней многолетней, что связано с преобладанием в эти годы циклонической циркуляции атмосферы над южной частью Европы. Соответственно сток Дуная в годы нечетного цикла с.а. выше средней многолетней нормы. Таким образом формируется квазидвадцатилетний цикл осадков в водосборе Дуная и его стока. Наблюдаются заметные отличия в межгодовой изменчивости осадков и стока Дуная в годы четного и нечетного циклов с.а.

უაკ 551.495

**მდინარეების წყლიანობის პროგნოზირების შესაძლებლობა ბრუნტის წყლების მარაგის გამომყენების საფუძველზე**

ვ.ცომიაია \*, ლ.ჭარელი \*, მ.ფხაკაძე \*\*, კ.ლაშაური\*\*\*, ნ.ნ. ბეგალიშვილი\*, ნ.ცინცაძე\*  
 \* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
 \*\* საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო  
 \*\*\* ი.გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, აშშ-კანადა

მდინარეების წყლიანობის პროგნოზირებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სამეურნეო საქმიანობაში. ამ მხრივ საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტს შემუშავებული აქვს საფუძვლიანი მეთოდები მდინარეების თხევადი ჩამონადენის პროგნოზირებისათვის. აქედან მნიშვნელოვანია წყალდიდობის პროგნოზი. იგი ემყარება თოვლის საფარის აგეგმვის მასალებს და ეს აგეგმვა ტარდება ყოველწლიურად, მარტის პირველ დეკადაში, სპეციალურად შერჩეულ თოვლის საფარის აგეგმვის 27 მარშრუტზე. თითოეული მარშრუტის სიგრძე 15-20 კმ-ია, ისინი მდებარეობენ 1100-3000 მ სიმაღლის ზონებში. თოვლის საფარის სისქე იზომება ყოველ 100 მ-ზე, სიმკვრივე (წყლიანობა) კი - ყოველ 500 მ-ზე. გაზომვას აწარმოებს თოვლმზომ სპეციალისტებისგან შემდგარი თოვლის საფარის ამგეგმავი 3-5 კაციანი ჯგუფი.

თოვლის საფარის მარშრუტული აგეგმვა არის შრომატევადი სამუშაო. ამიტომ ცდილობენ, თავი აარიდონ გაზომვებს და წარმოადგინონ "მოგონილი" მასალები. ამის გამო შეწყდა თოვლის საფარის მარშრუტული აგეგმვის ცნობარების შედგენა და გამოქვეყნება. ასევე შეწყდა თოვლის საფარის ფიზიკური თავისებურებებისა და მათთან დაკავშირებული საშიში მოვლენების შეფასება. ეს კი უარყოფითად მოქმედებს პროგნოზირების შედეგებზე. ამიტომ გამახვილდა ყურადღება პროგნოზირების ხარისხის გაუმჯობესებაზე ახალი მაფორმირებელი ფაქტორების გამოყენების საფუძველზე. წინამდებარე ნაშრომში ასეთ მახასიათებლად აღებული იქნა მიწისქვეშა წყლის მარაგი. ამ მხრივ შედგენილია მრავალი მდინარის წყლიანობის პროგნოზი ნებისმიერი რეგიონის სხვადასხვა მდინარისათვის.

მინგეჩაურის წყალსაცავი ერთადერთი დიდი ხელოვნური წყალსატევია სამხრეთ კავკასიაში. ის მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე; მასში ჩაედინება საქართველოს სამი დიდი მდინარე: მტკვარი, იორი და ალაზანი. მათი გრუნტის წყლებისა და წლიური ჩამონადენის მონაცემები ქ. თბილისთან (1), ს. ლელოვანთან (2) და 1,7 კმ-ით ქვემოთ მდ. აგრიჩაის შესართავიდან (3), ოყვანილია ცხრ.1-ში.

**ცხრილი 1. მდინარეების მტკვარი - ქ. თბილისი (1), იორი - ს. ლელოვანი (2) და ალაზანი - 1,7 კმ-ით ქვემოთ მდ. აგრიჩაის შესართავიდან (3) გრუნტის წყლის (Q<sub>გრ</sub>) და წლიური ჩამონადენის (Q<sub>წლ</sub>) მონაცემები 1971-1975 წლების მაგალითზე**

| წელი | მდინარის რიგითი ნომერი   |      |      |      |                           |      |      |      |
|------|--------------------------|------|------|------|---------------------------|------|------|------|
|      | გრუნტის წყლის ჩამონადენი |      |      |      | მთლიანი წლიური ჩამონადენი |      |      |      |
|      | 1                        | 2    | 3    | ჯამი | 1                         | 2    | 3    | ჯამი |
| 1971 | 139                      | 4,56 | 52,0 | 196  | 238                       | 11,0 | 77,9 | 327  |
| 1972 | 130                      | 2,85 | 37,3 | 170  | 196                       | 9,98 | 101  | 307  |
| 1973 | 149                      | 5,68 | 60,3 | 215  | 256                       | 10,7 | 124  | 391  |
| 1974 | 150                      | 4,41 | 88,2 | 243  | 245                       | 11,9 | 132  | 389  |
| 1975 | 138                      | 1,44 | 83,0 | 222  | 267                       | 10,6 | 81,4 | 359  |
| ჯამი |                          |      |      | 1046 |                           |      |      |      |



| წელი  | გამოთვლილი            |                    |      |                    |                    |     |  |
|-------|-----------------------|--------------------|------|--------------------|--------------------|-----|--|
|       | $Q'_{წლ}=1,54 Q_{გრ}$ | $Q''=1,1 \cdot Q'$ |      |                    |                    |     |  |
|       | მ <sup>3</sup> /წმ    | ΔQ                 |      | მ <sup>3</sup> /წმ | ΔQ                 |     |  |
|       |                       | მ <sup>3</sup> /წმ | %    |                    | მ <sup>3</sup> /წმ | %   |  |
| 1     | 10                    | 11                 | 12   | 13                 | 14                 | 15  |  |
| 1971  | 302                   | 25                 | 7,6  | 332                | 5                  | 1,5 |  |
| 1972  | 262                   | 45                 | 14,7 | 288                | 19                 | 5,2 |  |
| 1973  | 331                   | 59                 | 15,9 | 365                | 26                 | 25  |  |
| 1974  | 374                   | 14                 | 3,6  | 411                | 89                 | 5,9 |  |
| 1975  | 342                   | 17                 | 4,7  | 376                | 17                 | 4,8 |  |
| ჯამი  | 1611                  |                    |      | 1772               |                    |     |  |
| $K_p$ | 1,10                  |                    |      |                    |                    |     |  |

ცხრ. 1-დან ჩანს, რომ მეორე გაანგარიშებით ( $Q''$ ) დისპერსიის კორექციის კოეფიციენტის მნიშვნელობაა:

$$K_p = 1772/1611 = 1.1$$

მისი გათვალისწინებით მიღებულ იქნა დამაკმაყოფილებელი შედეგი: ცლომილება 6,6%-ზე ნაკლებია, საშუალოდ შეადგენს 4.9%-ს.

**ცხრილი 2 მოლდავეთის მდინარეთა ზედაპირული და მიწისქვეშა ჩამონადენის მონაცემები**

| წელი | მდ. ბილია -<br>ს. ბალასინეშთი |                                | მდ. დრატიშე -<br>ს. ტრინკა  |                                | მდ. ჩუგური -<br>ს. ბარლანდიანი |                                | მდ. კამენკა -<br>ს. ყუბანი  |                                |
|------|-------------------------------|--------------------------------|-----------------------------|--------------------------------|--------------------------------|--------------------------------|-----------------------------|--------------------------------|
|      | ზედაპირული ჩამონადენი, მ/წმ   | გრუნტის წყლის ჩამონადენი, მ/წმ | ზედაპირული ჩამონადენი, მ/წმ | გრუნტის წყლის ჩამონადენი, მ/წმ | ზედაპირული ჩამონადენი, მ/წმ    | გრუნტის წყლის ჩამონადენი, მ/წმ | ზედაპირული ჩამონადენი, მ/წმ | გრუნტის წყლის ჩამონადენი, მ/წმ |
| 1947 |                               |                                |                             |                                |                                |                                | 12,1                        | 2,6                            |
| 1948 |                               |                                |                             |                                |                                |                                | 7,1                         | 4,9                            |
| 1949 |                               |                                |                             |                                |                                |                                | 6,9                         | 3,3                            |
| 1950 |                               |                                |                             |                                | 1,6                            | 6,3                            | 8,3                         | 2,3                            |
| 1951 |                               |                                |                             |                                | 1,6                            | 3,0                            | 4,3                         | 1,7                            |
| 1952 |                               |                                |                             |                                | 0,7                            | 2,2                            | 2,2                         | 1,7                            |
| 1953 | 5,9                           | 2,8                            |                             |                                | 1,8                            | 2,7                            | 13,3                        | 1,5                            |
| 1954 | 4,1                           | 2,9                            |                             |                                | 0,7                            | 2,4                            | 3,7                         | 1,1                            |
| 1955 | 8,6                           | 1,9                            |                             |                                | 3,3                            | 3,3                            | 4,2                         | 1,6                            |
| 1956 | 14,2                          | 2,4                            |                             |                                | 3,0                            | 2,3                            | 6,3                         | 1,2                            |
| 1957 | 4,3                           | 0,5                            | 1,7                         | 1,0                            | 1,1                            | 3,3                            | 2,2                         | 0,8                            |
| 1958 | 6,5                           | 1,7                            | 2,6                         | 1,6                            | 1,0                            | 2,8                            | 2,9                         | 0,8                            |
| 1959 | 3,6                           | 1,6                            | 2,9                         | 0,4                            | 0,6                            | 2,5                            | 2,2                         | 1,4                            |
| 1960 | 8,7                           | 2,4                            | 7,7                         | 3,6                            | 3,6                            | 4,4                            | 5,7                         | 1,8                            |
| 1961 | 4,7                           | 3,8                            | 5,6                         | 2,2                            | 2,3                            | 3,8                            | 5,8                         | 1,4                            |
| 1962 | 8,9                           | 3,5                            | 12,3                        | 2,6                            | 3,9                            | 4,0                            | 5,1                         | 2,3                            |
| 1963 | 9,5                           | 3,1                            | 10,2                        | 2,3                            | 3,8                            | 4,1                            | -                           | -                              |
| 1964 | 5,4                           | 1,8                            | 4,8                         | 1,5                            | 1,4                            | 4,6                            | 6,0                         | 2,7                            |
| 1965 | 15,5                          | 9,7                            | 12,7                        | 7,3                            | 3,7                            | 5,0                            | 9,2                         | 4,5                            |
| 1966 | 13,8                          | 6,4                            | 11,0                        | 3,7                            | 3,7                            | 4,0                            | 10,8                        | 2,3                            |
| 1967 | 7,7                           | 5,5                            | 6,9                         | 2,8                            | 2,9                            | 3,3                            | 8,7                         | 2,7                            |
| 1968 | 7,1                           | 2,3                            | 5,7                         | 1,3                            | 1,0                            | 3,7                            | 8,5                         | 1,7                            |
| 1969 | 38,5                          | 13,6                           | 28,9                        | 6,5                            | 3,6                            | 5,2                            | 32,5                        | 6,4                            |

გამოქვეყნებულ მასალათა შორის საინტერესო აღმოჩნდა მოლდავეთის ოთხი პატარა მდინარის გრუნტის წყლების მონაცემები, რომლებიც მიღებულია 72 ჰიდროგრაფის დანაწევრების საფუძველზე (ცხრ. 2).

ცხრ. 2-ში მოყვანილი მასალების საფუძველზე გამოთვლილია რიგების საშუალო სიდიდე, ვარიაციის, ასიმეტრიის, მათი ფარდობისა და სხვა კოეფიციენტები (ცხრ. 3).

სტატისტიკურ მახასიათებელთა მნიშვნელობებიდან ჩანს, რომ  $C_C$  მაღალია, იგი შეადგენს ზედაპირული ჩამონადენისათვის 0,65-0,82-ს, გრუნტის წყლებისათვის - 0,30-0,81-ს,  $C_s$  კი 2,5-6,0  $C_c$  ზედაპირული ჩამონადენისათვის და 2,5-3,5-ს  $C_v$  გრუნტის წყლებისათვის.

მიუხედავად სტატისტიკური პარამეტრების დიდი რყევადობისა, მდინარეების წლიური და გრუნტის წყლების ჩამონადენის ურთიერთკავშირი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ასევე დამაკმაყოფილებელია წლიურისა და გრუნტის წყლების ჯამური ჩამონადენის ურთიერთდამოკიდებულებაც.

**ცხრილი 3 მდინარეების ჩამონადენის ძირითადი სტატისტიკური პარამეტრები**

| ფარ-<br>თობი,<br>კმ         | წელთა<br>რიცხვი | პარამეტრები           |     |          |     |           |                            |     |           |     |       |
|-----------------------------|-----------------|-----------------------|-----|----------|-----|-----------|----------------------------|-----|-----------|-----|-------|
|                             |                 | ზედაპირული ჩამონადენი |     |          |     |           | გრუნტის წყლების ჩამონადენი |     |           |     |       |
|                             |                 | Q                     | ε,% | $C_{cn}$ | ε,% | $C_s$     | $Q_{gr}$                   | ε,% | $C_{cgr}$ | ε,% | $C_v$ |
| მდ. ბღაღია - ს. ბაღასინეთი  |                 |                       |     |          |     |           |                            |     |           |     |       |
| 261                         | 17              | 9.80                  | 18  | 0.75     | 15  | $5C_v$    | 3.88                       | 19  | 0.77      | 15  | 2.50  |
| მდ. დრატისუ - ს.ტრინკა      |                 |                       |     |          |     |           |                            |     |           |     |       |
| 225                         | 13              | 8.70                  | 21  | 0.77     | 17  | $2.5 C_v$ | 2.80                       | 22  | 0.81      | 17  | 3.50  |
| მდ. ჩუგური - ს. ბარლანდიანი |                 |                       |     |          |     |           |                            |     |           |     |       |
| 168                         | 20              | 2.26                  | 14  | 0.65     | 14  | $6 C_v$   | 3.64                       | 6.4 | 0.29      | 23  | 3.50  |
| მდ. კამენკა - ს. ყუბანი     |                 |                       |     |          |     |           |                            |     |           |     |       |
| 284                         | 23              | 7.60                  | 14  | 0.82     | 13  | $6 C_v$   | 2.30                       | 12  | 0.60      | 14  | 3.50  |

მათი კავშირებისათვის მიღებულ იქნა ფორმულები:

|                             |                                  |
|-----------------------------|----------------------------------|
| მდ.ბღაღია – ს.ბაღასინეთი    | $Q_{gr} = 0,32Q_{წლ}$            |
| მდ.დრატისუ – ს.ტრინკა       | $Q_{gr} = 0,24Q_{წლ}$            |
| მდ. ჩუგური - ს. ბარლანდიანი | $Q_{gr} = 0,62Q_{წლ}$            |
| მდ. კამენკა - ს. ყუბანი     | $Q_{gr} = 0,25Q_{წლ}$            |
| ჯამური ჩამონადენი:          | $\Sigma Q_g = 0,35\Sigma Q_{წლ}$ |

დამოკიდებულებაში შესული კოეფიციენტები ფაქტობრივად წარმოადგენენ გრუნტის წყლების წილს წლიურ ჩამონადენში. ისინი თითქმის ერთგვაროვანია, გარდა მდ. ჩუგურისათვის, სადაც იგი შეადგენს 0.62-ს, ე. ი. მთელი ჩამონადენის 62%-ს. ასეთი დიდი სიდიდე გამოწვეულია აუზის კარსტული აგებულების გავლენით [1]. მაგრამ თუ გამოვიყენებთ [2]-ში მოცემულ გამოთვლის სქემას არაასოცირებული და ასოცირებული რიგების შესახებ და დისპერსიის კორექციის კოეფიციენტს  $K_k$ , მივიღებთ საპროგნოზო მეთოდის მაღალ უზრუნველყოფას - 83-100%.

ამრიგად, წარმოდგენილი მეთოდი შეიძლება გამოიყენებული იქნას არა მარტო საქართველოს პირობებისათვის, არამედ ნებისმიერი ტერიტორიის მდინარეებისათვის. ის შეიძლება საფუძველად დაედოს მიწისქვეშა წყლების მარაგის გამოთვლას, მისი გამოყენების ამოცანების გადაწყვეტას, ასევე, გრუნტის წყლებთან დაკავშირებულ შენობების სარდაფების დატბორვის თავიდან აცილების რეკომენდაციების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და სხვ.

## ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. Ресурсы поверхностных вод СССР. Том 9. Вып.3. Под редакцией Алушинской Н.М и др., Гидрометеоиздат.Л., 1966, 299 с.
2. ნ.ა.ბეგალიშვილი, თ.ცინცაძე, ვ.ცომაია, კ. ლაშაური, ნ.ნ.ბეგალიშვილი, ნ.ცინცაძე. საქართველოში მდინარეთა მიწისქვეშა ჩამონადენის გამოკვლევა და გრუნტის წყლების მარაგის შეფასება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2011.-ტ.117.-გვ. 46-51.

უაკ 551.495

**მდინარეების წყლიანობის პრობლემატიკის შესაძლებლობა ბრუნვის წყლების მარაგის გამოყენების საფუძველზე** /ვ.ცომაია, ლ.ჭარელი, მ.ფხაკაძე, კ.ლაშაური, ნ.ნ. ბეგალიშვილი, ნ.ცინცაძე /ჰმი-ს შრომათა კრებული-2013. – ტ.119, გვ.184-187-ქართ; რეზ. ქართ. ინგლ. რუს.

კავკასიის და მოლდავეთის მდინარეების მაგალითზე მოცემულია მდინარეების მთლიანი ჩამონადენის პროგნოზირების შედეგები გრუნტის წყლის მარაგის გამოყენების საფუძველზე. საპროგნოზო მეთოდის უზრუნველყოფა შეადგენს 83-100%.

UDC 551.495

**ON THE POSSIBILITY OF RIVERS' WATER CONTENT FERECASTING ON THE BASIS OF UNDERGROUND WATER RESERVE USE.**/V.Tsomaia, L.Chareli, M.Pkhakadze, M.Lashauri, N.Begalishvili, N.Tsintsadze/ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.184-187 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ. The results are given of river discharge projection according to grounwater stocks, carried out in case of rivers in the Caucasus and Moldova. Provision of the method varies in the range of 83-100%.

УДК 551.495

**ВОЗМОЖНОСТЬ ПРОГНОЗА ВОДНОСТИ РЕК НА БАЗЕ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ЗАПАСОВ ГРУНТОВЫХ ВОД.** /Цомаია В.Ш., Чарели Л.Р., Пхакадзе М.В., Лашаури К.А., Бегалишвили Н.Н., Цинцадзе.Н. Т./Сб. Трудов Института Гидрометеорологии Технического Университета Грузии. -2013. -Т.119. -с.184-187 -Груз.; Рез. Груз., Англ., Рус.

На примерах рек Кавказа и Молдавии приведены результаты прогноза стока рек по запасам грунтовых вод. Обеспеченность метода прогноза составляет 83-100%.

შპს 632.123.627.51

## 2005 წლის მასშტაბური წყალდიდობები საქართველოში და კატასტროფების შერბილების ბზები

ბასილაშვილი ც.ზ., მესხია რ.შ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე, როცა გლობალური დათბობის გამო, ჰაერის საშუალო წლიურმა ტემპერატურამ 0,5-0,7 °C-ით მოიმატა, შესაბამისად გაიზარდა აორთქლება, რომელიც სათანადო პირობებში კონდენსირდება ატმოსფერული ნალექების სახით. საქართველო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და ამიტომ დასავლეთიდან წამოსული ნოტიო ჰაერის მასები მთის მაღალ ფერდობებზე დაბალი ტემპერატურების გამო იძლევა უხვ ნალექებს. ასეთი შემთხვევები იშვიათია აღმოსავლეთის – კასპიის ზღვის მხრიდან. სამხრეთიდან პირიქით, შემოდის თბილი, მაგრამ მშრალი ჰაერის მასები, რაც ზაფხულში იწვევს გვალვებს. ჩრდილოეთის მხრიდან, ძირითადად, ზამთარში გვევლინება ცივი ჰაერის მასები, რომლებიც ყინვას და დიდი რაოდენობის მყარი ნალექების მოსვლას განაპირობებს. გაზაფხულზე იწვევა მათი დნობა, რომელიც მიმდინარეობს ხანგრძლივად მარტიდან ივლის - აგვისტომდე, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით დაბლობიდან 5000 მ. სიმაღლემდე. ამ დროს აქ მდინარეები მძლავრ ნაკადებად და დიდი სიმძლავრით მიექანებიან დაბლობისაკენ.

მთის მდინარეებზე წყალდიდობებს ყოველ წელს აქვს ადგილი, მაგრამ მათ ყოველთვის არა აქვთ დამანგრეველი ხასიათი. იმ შემთხვევაში, თუ თოვლის ინტენსიურ დნობას თან დაერთო თავსება წვიმები, მაშინ მდინარე ვერ იტევს წყალშემკრები აუზიდან წამოსულ წყალს და გადმოდის ნაპირებიდან, ტბორავს მიმდებარე ტერიტორიას და დიდ ზიანს აყენებს გარემოს და მოსახლეობას. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ბოლო წლებში წყალდიდობების მიზეზით ბევრ ქვეყანაში მრავალი ადამიანი დაიღუპა და მრავალი უსახლკაროდ დარჩა. წყლის სტიქიით მიყენებული ზარალი ყველაზე დიდია სხვა სტიქიურ უბედურებათა შორის.

საქართველოში ყველაზე დიდი მასშტაბურობით გამოირჩეოდა 2005 წლის წყალდიდობა, რომლის დროსაც კატასტროფულმა წყალმოვარდნებმა მოიცვა ქვეყნის მრავალი რეგიონი. დიდი წყალდიდობა განპირობებული იყო ზამთარში დაგროვილი დიდი თოვლის საფარით. აქ ჯერ კიდევ 2004 წლის ოქტომბერში დასავლეთიდან ცივი ფრონტალური ჰაერის მასების შემოჭრის შედეგად მაღალმთიან სარტყელში მოვიდა თოვლი, ხოლო საშუალო და დაბლობ ნაწილში წვიმდა. ნოემბრიდან მაღალმთიან და საშუალომთიან სარტყელში დაიწყო უკვე მდგრადი თოვლის საფარის ფორმირება. დაბალმთიან და დაბლობ ადგილებში (არამდგრადი თოვლის სარტყელში) თოვლი მოვიდა 6 იანვარს, შემდეგ თოვდა თებერვლის პირველ დეკადაში და ასევე განმეორდა 29 მარტს.

1 აპრილისათვის თოვლის საფარის სიმაღლემ მაქსიმუმს მიაღწია და გადააჭარბა მის მრავალწლიურ ნორმას 1,5-ჯერ, ზოგან კი 2-3-ჯერ. დასავლეთ საქართველოში თოვლის სიმაღლე იცვლებოდა 150 სმ-დან (650 მ. სიმაღლეზე) 450 სმ-მდე (2000 მ. სიმაღლეზე). აღმოსავლეთ საქართველოში ის იცვლებოდა 150 სმ-დან (1000 მ. სიმაღლეზე) 280 სმ-მდე (2200 მ. სიმაღლეზე). ზამთარში უხვთოვლიანობის გამო პერიოდულად იკეტებოდა საუღელტეხილო გზის მონაკვეთები. ზოგ მთიან რაიონებში თოვლმა დააზიანა მაღალი და დაბალი ძაბვის გადამცემი ხაზები და ამიტომ ავარიული გამორთვების რიცხვი გაიზარდა. ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყდა აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან სოფლებს.

აპრილის თვეში დაბალ სიმაღლით ზონებში ჰაერის ტემპერატურის მკვეთრმა მომატებამ გამოიწვია თოვლის ინტენსიური დნობა. 2-დან 4 აპრილამდე ადიდდა მდ. ყვირილა, გაარღვია სანაპირო ჯებირი და დატბორა ქ. ზესტაფონთან არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები.

მაღალი ტემპერატურების გამო 15-20 აპრილისათვის თოვლი მხოლოდ 1500-1600 მ. სიმაღლის ზემოთ იყო შენარჩუნებული, მის ქვემოთ მდებარე ტერიტორიის 60% თოვლისაგან უკვე თავისუფალი იყო. 23-დან 27 აპრილამდე საქართველოს ტერიტორიაზე მოვიდა ინტენსიური, გადაუღებელი ხასიათის წვიმები, რომელთა საერთო ჯამი იყო 20 მმ. (გორში – 600 მ. სიმაღლეზე), ზოგან კი 73 მმ. (გუდაურში – 2200 მ. სიმაღლეზე). ამან ჰაერის მაღალ ტემპერატურულ ფონზე კიდევ უფრო გაააქტიურა თოვლის დნობის პროცესი, ხოლო ნიადაგ-გრუნტის გაჯერებამ მაქსიმალურ ტენტივობამდე, ინფილტრაციასა და აორთქლებაზე დანაკარგების გარეშე გამოიწვია ინტენსიური ზედა-

პირული ჩამონადენის ფორმირება. შედეგად მოხდა თოვლის ნადნობი და წვიმის წყლების სწრაფი კონცენტრაცია მდინარეთა კალაპოტებში, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა კატასტროფულ წყალმოვარდნებს.

ადიდებულმა მდ. რიონმა ქ. ქუთაისში რამდენიმე ადგილას გაარღვია ნაპირდამცავი ჯებირები, დატბორა სანაპიროსთან განლაგებული სახლები, დაახიანა გზები. მარტო წყალტუბოს რაიონში დაზარალდა 66 ოჯახი. ონის რაიონში მდინარეების: რიონის, ღარულასა და ჭანჭახის ადიდების შედეგად დაიტბორა 100 სახლი, დაინგრა 8 ხიდი და საავტომობილო გზები, რის შედეგად 18 სოფელი მოწყდა რაიონულ ცენტრს. სათავე ნაგებობების მოშლის გამო სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდა ქ. ონს.

ვანის რაიონში მდ. რიონი ჯებირებიდან გადავარდა და სოფ. ჭყვიშში დატბორა საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები. შინაური საქონელი და ფრინველი კი წყალმა წაიღო. ნათესი ფართობები დაიტბორა ქ. სამტრედიასა და

სოფ. ჭალადიდშიც. სულ ამ სტიქიის შედეგად იმერეთში ზარალმა დაახლოებით 10 მლნ. ლარი შეადგინა.

26-27 აპრილს რაჭა-ლეჩხუმში კოკისპირული წვიმების შედეგად მდ. ცხენის-წყლის ადიდებამ გამოიწვია ნაპირდამცავი ჯებირებისა და ხიდების დანგრევა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვა, დაზიანდა წყლის სათავე ნაგებობები და კომუნიკაციები.

აპრილის ბოლოს მესტიის რაიონში მდ. ენგურისა და მისი შენაკადების ადიდების შედეგად წარმოიქმნა ღვარცოფული ნაკადები, რომელთაც დაახიანეს მრავალი სახლი, დაანგრეს ხიდები სოფ. მაზურთან და სოფ. ლენჯურთან. აქ ღვარცოფმა ამოავსო ხიდის ქვეშ გასასვლელი და ამიტომ წყალი შევარდა საცხოვრებელ სახლებში, დაახიანა საავტომობილო გზები და 8 სოფელი მოწყვეტილ იქნა რაიონულ ცენტრს.

ჯვრის წყალსაცავში ჭარბი წყლის ( $\approx 500$  მ) გაშვების შედეგად ქვემო ბიეფში მდ. ენგურის წყლის დონემ აიწია და დატბორა ზუგდიდის რაიონის სოფლების (ორსანტიას, ოტობაიას, განმუხურისა და სხვ.) სავარგულები.

აჭარაში ხანგრძლივი წვიმების შედეგად წყალმა დაანგრია ხიდები და 17 სოფელი მოწყვეტილი იყო რაიონულ ცენტრს. სოფ. დიდ თხინვანში და სოფ. ღურტასთან ჩამოწვა მეწყერები და დაახიანა საავტომობილო გზები.

აღმოსავლეთ საქართველოში 25-დან 27 აპრილამდე მოსული წვიმების შედეგად მდ. მტკვრის დონემ ქ. თბილისთან 565 სმ-ს მიაღწია, რაც 237 სმ-ით აჭარბებდა წყალდიდობების მაქსიმალური დონეების მრავალწლიურ მნიშვნელობას – 328 სმ-ს და მხოლოდ 157 სმ-ით ჩამორჩებოდა 1968 წლის კატასტროფულ დონეს – 722 სმ-ს (ცხრ. 1).

2005 წ. გაზაფხულზე დიდი წყალდიდობა იყო სამცხე-ჯავახეთშიც. აქ 27 აპრილს მდინარეთა დონეები გადასცილდა საშიშ ზღვრებს. კერძოდ მდ. მტკვარზე 70 სმ-ით, მდ. ფარავანზე 55 სმ-ით, მდ. ფოცხოვზე 66 სმ-ით, მდ. ქვაბლიანზე 90 სმ-ით. ამან გამოიწვია ნაპირსამაგრი ჯებირების ნგრევა და 35 ჰა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების დატბორვა, ქ. ვალეში მოიშალა წყალმომარაგების სათავე ნაგებობა.

4-5 მაისს კახეთში ხანგრძლივი წვიმების შედეგად ადიდებულმა მდ. ალაზანმა და მისმა შენაკადებმა გაარღვიეს ნაპირდამცავი ჯებირები და დატბორეს ასობით ჰექტარი მიწა, ნათესი ფართობები, სავარგულები და საცხოვრებელი სახლები, წყალმა წაიღო ხიდები. დიდი ზარალი იყო სოფლებში: ბირკიანში, ზემო და ქვემო ალვანში, შახვეტილაში, სანიორეში, შაქრიანში და სხვა.

ალაზანთან ერთად მაისის დასაწყისში ადიდებული იყო აგრეთვე მდინარეები: ლიახვი, ქსანი და არაგვი. მდ. ქსანმა დაბა ახალგორში რამდენიმე ადგილას გაარღვია ჯებირი და დატბორა ნათესები. მდ. ფშავის არაგვმა სოფ. ჩარგალში დაახიანა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი.

4-7 ივნისს აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კვლავ მოვიდა დიდი ნალექი, რომელთა ჯამი იყო 68 მმ-დან ქ. თბილისში, 100 მმ-ზე მეტი დაბა ფასანაურში, დუშეთსა, თელავსა და ყვარელში. კვლავ ადიდდა მდ. მტკვარი და 7 ივნისს ქ. თბილისში წყლის მაქსიმალური დონე ისევ 565 სმ-ს აღწევდა. მაქსიმალურმა ხარჯმა კი 2250 მ<sup>3</sup>/წმ-ს მიაღწია, რაც მხოლოდ 200 მ<sup>3</sup>/წმ-ით ჩამორჩებოდა 1968 წლის უდიდეს მაქსიმალურ ხარჯს 2450 მ<sup>3</sup>/წმ.

ადიდებულმა არაგვმა წააქცია 110 კვტ-იანი მაღალი ძაბვის ანძა. დაზიანდა ბულაჩაურის, საგურამოსა და ნატახტრის სასმელი წყლის წყალსაცავები, გაჩერდა ბულაჩაურისა და ჭოპორტის საფილტრო სადგურები, რის გამოც ქ. თბილისს სასმელი წყალი დიდი შეზღუდვით მიეწოდებოდა.

6-7 ივნისს უჩხვალის წყალსაცავში მოიმატა დონემ და წყლის მოცულობის მაქსიმუმს მიაღწია, რის გამოც საჭირო გახდა ჭარბი წყლის გაშვება საგანგებო არხით. 600 მ წყლის გაშვებამ კი გა-

მოიწვია ქვემო ბიუფში მდ. არაგვზე და თვით მდ. მტკვარზეც წყლის დონის მკვეთრი მომატება. მას მოჰყვა ახლომდებარე სახლებისა და ნაკვეთების დატბორვა, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უინვალის წყალსაცავმა მრავალჯერ შეაკავა აღიდებული არაგვის წყლის მასა და გადაარჩინა მიმდებარე გარემო და თვით ქ. თბილისის უფრო დიდი დაზიანებისაგან.

13-15 ივნისს მდ. არაგვის აუზში მდ. დუშეთის ხეზე მოხდა კატასტროფული წყალმოვარდნა, რის შედეგადაც დაბა დუშეთში დაიღუპა 2 ადამიანი, დაინგრა 50-მდე სახლი, წყალმა გაიტაცა პირუტყვი, ფრინველი, მსუბუქი და მძიმე ტექნიკა, დაინგრა ბოლორნის სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, დაიტბორა და ქვა-ღორღით აივსო საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 15 ივნისს ჯავახეთის ზეგანზე სოფ. ნინოწმინდასთან ძლიერი ქარბორბალას შედეგად ტრავმირებული იყო 13 ადამიანი.

17 ივნისს კოკისპირული წვიმების შედეგად კვლავ აღიდა მდ. ალაზანი, რასაც მოჰყვა გზებისა და ხიდების ნგრევა, ნათესების დატბორვა და ზარალმა დაახლოებით 100 ათას ლარს მიაღწია. მნიშვნელოვან წყალმოვარდნებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე მდინარეებზე: ლიახვზე, ქსანზე, არაგვზე, თერგზე, თეძამზე, მეჯულაზე, სნოს წყალზე და სხვ.

ამრიგად 2005 წლის გაზაფხულზე, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში, უხვი თოვლის საფარის დნობისა და მრავალჯერადი ინტენსიური ხასიათის წვიმების თანხვედრის შედეგად წაიღეკა გზები, მრავალი საცხოვრებელი სახლი, ნათესი ფართობები, შინაური პირუტყვი და ფრინველი. მრავალ ოჯახს წყალმა წაუღო როგორც სახლი, ისე ყველაფერი და დარჩა სრულიად ხელცარიელი. ასეთ მდგომარეობაში დაახლოებით 500 ოჯახს შეექმნა ბინის პრობლემა. იყო რამოდენიმე ადამიანის მსხვერპლიც. მთლიანად წყალდიდობით მიყენებულმა ზარალმა საქართველოს ფარგლებში დაახლოებით 300-500 მლნ. ლარი შეადგინა.

2005 წლის წყალდიდობით გამოწვეული ზარალის მიზეზი, გარდა ბუნებრივი სტიქიის მასშტაბისა იყო ის, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული ინტენსიურად ხდებოდა ტყის საფარის გაჩეხვა, რომელიც წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების ბუნებრივი მარეგულირებელი ფაქტორია. ტყე აკავებს წყლის ზედაპირულ ჩამონადენს და რამდენადმე ამცირებს მის მაქსიმალურ პიკებს. ახანგრძლივებს მის ჩადინებას მდინარეთა კალაპოტებში, რადგან ახორციელებს ამ ბუნებრივ მოვლენას ძირითადად მიწისქვეშა ჩამონადენის სახით. რაც მთავარია, ტყის საფარი იცავს და ამაგრებს ნიადაგის საფარს და ხელს უშლის ეროზიას, მეწყერებისა და თოვლის ზვავების ფორმირებას.

ტყის გარდა, წლების განმავლობაში არ ხდებოდა მდინარეთა კალაპოტების გაწმენდა. პირიქით, მოსახლეობას, განსაკუთრებით რაიონებში მდინარეთა ხეობები ნაგავსაყრელად აქვთ გადაქცეული, რაც აკავებს წყლის მასას მდინარის კალაპოტში, ხელს უშლის მის გადინებას და მაღლა სწევს წყლის დონეს. აქედან გამომდინარე ხდება წყლის გადაღინება ნაპირებიდან და გარემოს დატბორვა.

გარდა ამისა, არ ხდებოდა მდინარეთა ნაპირების კაპიტალური დაცვა - დამბების, ჯებირების ან მიწაყრილების მშენებლობა. არ ხდებოდა აგრეთვე მთისძირა არხების მოწობა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები: დატერასება, ფერდობების გარდიგარდმო ხენა-თესვა და მათზე მცენარეული საფარის გამრავლება და სხვა.

წყალდიდობების საშიშროებას მნიშვნელოვნად ამცირებს წყალსაცავები, რომლებიც წყალდაგროვებით აუმჯობესებენ მდინარეთა ჩამონადენის რეგულირების პირობებს. წყალსაცავებს დიდი სარგებლობა მოაქვთ მდინარეთა წყლის რესურსების გამოყენებისათვის ელექტროენერჯის მისაღებად, ასევე ჰიდრომელიორაციისათვის და რაც მთავარია, მოსახლეობისა და მეურნეობის წყალმომარაგებისათვის. მათი საშუალებით დაიძლევა ენერგეტიკული კრიზისი და გაუმჯობესდება მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ელექტროენერჯის მოგვარებით მკვეთრად შენელებს ტყეების გაჩეხვის პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ჰიდრორესურსების ხვედრითი წილით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ამიტომ მთის მდინარეთა ხეობებში უმჯობესია განხორციელდეს მცირე წყალსაცავების მშენებლობა, როგორც წყალდიდობებისა და წყალმოვარდნებისაგან დაცვის ყველაზე საიმედო და ეფექტური საშუალება. ამასთან ერთად უნდა შედგეს წყალსაცავების ავარიული დაცვის სადისპეტჩერო გრაფიკები ისე, რომ ამ დაცვამ არ გამოიწვიოს მის ქვემოთ წყალმოვარდნის გაძლიერება და თანდაზნობითი დაცვის შედეგად ეფექტიანი გახდეს მოდინებული მაღალი წყლის აკუმულირების პირობები. წყლის დიდი ნაკადის შეკავებით კი, თავიდან ავიცილებთ მოსალოდნელ ზარალსა და მსხვერპლს. მცირე წყალსაცავების ქსელი პერსპექტივაში აუცილებლად უნდა გაიზარდოს. მართალია მათი აშენება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ რო-

გორც 2005 წლის შემთხვევებმა აჩვენა, მთის მცირე მდინარეების აღიდებამ შეიძლება გაცილებით დიდი მატერიალური დანაკარგი გამოიწვიოს.

წყალდიდობებისაგან მიყენებული ზარალის თავიდან აცილების მიზნით ყველა დასახლებულ ადგილზე და სამეურნეო ობიექტებთან უნდა განისაზღვროს და დადგინდეს მოსალოდნელი წყალდიდობის შედეგად დატბორვის საზღვრები და უნდა აიკრძალოს ამ საზღვრებში სამოსახლო მშენებლობა და მეურნეობის წარმოება.

ყოველი წყალმოვარდნის გავლის შემდეგ უნდა გაიწმინდოს და გადრეკილი მდინარეთა კალაპოტები ქვა-ღორღისაგან, რომელთა გამოყენებით უნდა მოხდეს ნაპირსამაგრი ნაგებობების გამაგრება და მათი დაშენება. გაყვანილ უნდა იქნეს წყალგადამგდები არხები, რომლებიდანაც მოხდება მდინარიდან მაღალი წყლის გადაღინება უსაფრთხო ადგილებში.

ყველაზე მთავარი არის ის, რომ მოსალოდნელი საშიშროებისაგან თავდაცვის მიზნით საჭიროა შემუშავდეს წყალდიდობების გრძელვადიანი და წყალმოვარდნების მოკლევადიანი საპროგნოზო მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლოა სტიქია ვერ აღგვევითოთ, მაგრამ შეიძლება მისი ნეგატიური ზეგავლენის შესუსტება. წყალდიდობის ოპერატიული პროგნოზები გაიცემა ყოველწლიურად მარტის თვეში, მდინარეზე წყლის მაქსიმალური ხარჯები კი გაივლის მაის-ივნისში. პროგნოზების 2-3 თვიანი წინსწრება საშუალებას იძლევა მოსალოდნელი მაღალი პიკების შემთხვევაში დროულად ჩატარდეს ყველა პრევენციული ღონისძიება, რათა დაცულ იქნეს ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი და არ მოხდეს გაუთვალისწინებელი ზარალი და მსხვერპლი. გარდა ამისა ჰიდროლოგიური პროგნოზები აუცილებელია წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით ჰიდროელექტროსადგურების, წყალმომარაგებისა და საირიგაციო სისტემების მუშაობის სწორი რეჟიმის შესამუშავებლად და წყალსაცავების უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის.

**ცხრილი მდინარეთა დონეები (სმ) 2005 წლის წყალდიდობების დროს**

| მრავალ-წლიური მაქსიმუმი    |      | 2005 წ. დონეები (სმ) |       |       |      |      |      |      |
|----------------------------|------|----------------------|-------|-------|------|------|------|------|
| სმ.                        | წელი | 25 IV                | 26 IV | 27 IV | 5 VI | 6 VI | 7 VI | 8 VI |
| რიონი – ალპანა F=2830      |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 450                        | 1983 | 468                  | 439   |       |      |      |      |      |
| რიონი –საქონაკიძე F=13300  |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 783                        | 1987 | 670                  | 741   |       |      |      |      |      |
| ცხენისწყ-რცხმელურ F=1450   |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 500                        | 1984 | 645                  | 424   |       |      |      |      |      |
| ტეხური –ნოქალაქევ F=558    |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 615                        | 1983 | 408                  |       |       |      |      |      |      |
| მტკვარი –ხერთვისი F=4980   |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 460                        | 1968 |                      | 250   | 217   |      | 106  | 117  | 112  |
| მტკვარი – მინაძე F=8010    |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 362                        | 1968 |                      | 305   | 273   |      | 135  | 145  | 145  |
| მტკვარი – ლიკანი F=10540   |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 516                        | 1968 |                      | 387   | 400   | 260  | 256  |      |      |
| მტკვარი –თბილისი F=21120   |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 722                        | 1968 |                      | 455   | 565   | 318  | 430  | 500  | 363  |
| ფარავანი –ხერთვისი F=2350  |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 304                        | 1968 |                      | 270   | 251   |      |      |      |      |
| ფოცხოვი –სხვილისი F=1730   |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 605                        | 1968 |                      | 490   | 453   |      | 400  | 399  |      |
| თ. არაგვი –ფასანაური F=335 |      |                      |       |       |      |      |      |      |
| 250                        | 1934 |                      | 218   | 212   | 204  |      |      |      |

პროგნოზებით მოსალოდნელი საშიშროების დროული შეტყობინება, თუნდაც საორიენტაციოდ კონსულტაციის სახით, საშუალებას იძლევა ბუნებრივი სტიქიისაგან მიყენებული ზარალის მნიშვნელოვნად შემცირებას. ეს განსაკუთრებით ეფექტურია მთიან რეგიონებში, სადაც მსგავსი კატასტროფები უცხო არ არის. ჰიდროლოგიური პროგნოზირების განვითარებისათვის საჭიროა ჰიდრომეტეოროლოგიურთან ერთად, რადიოლოკაციური და დისტანციური ზონდირების ქსელის შექმნა.

გარდა ამისა, რეგულარულად უნდა დამუშავდეს თანამგზავრებისა და აეროფოტოგადაღების სურათებიც. მიღებული მასალების სათანადო მეცნიერული ანალიზით შესაძლებელი იქნება ანომალური პროცესების უფრო ზუსტი პროგნოზირება.

შპს 632.123.627.51

**2005 წლის მასშტაბური წყალდიდობები საქართველოში და კატასტროფების შემრიგების ზეგანი.** / ბასილაშვილი ც.ზ., მესხია რ.შ. / საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2013. -ტ.119. -გვ.188-192-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მოცემულია ოპერატიული მასალები 2005 წლის კატასტროფული წყალდიდობებისა საქართველოს მდინარეებზე. განხილული მაგალითებიდან კარგად ჩანს წყალდიდობებისა და მათ მიერ გამოწვეული მატერიალური ზარალის მასშტაბები. მიღებულია ღონისძიებათა კომპლექსი არსებული და მოსალოდნელი ეკოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებისათვის.

UDC 632.123.627.51

**FLOODS ON THE RIVERS OF GEORGIA IN 2005 FLOOD CONTROL AND MEASURES OF REDUCING THEIR DISASTROUS CONSEQUENCES.** / Basilashvili Ts. Z., Meskhia R.Sh./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.188-192 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ.

The present article deals with statistical data of disastrous floods on the rivers of Georgia in 2005. The considered patterns exemplify the magnitude of the floods and the scale of material damages caused by them. Complex measures are given to prevent existing and expected ecological troubles.

УДК 632.123.627.51

**МАСШТАБНЫЕ НАВОДНЕНИЯ 2005 ГОДА НА РЕКАХ ГРУЗИИ И ПУТИ СМЯГЧЕНИЯ ОПАСНЫХ ПОСЛЕДСТВИЙ.** / Басиладшвили Ц.З., Месхия Р.Ш. / Сб. Трудов Института Гидрометеорологии Технического Университета Грузии. -2013. -Т.119. -с.188-192 -Груз.; Рез. Груз., Англ., Рус.

Даётся оперативный материал катастрофических наводнений 2005 года на реках Грузии. Рассмотренные примеры хорошо показывают размеры самых паводков и наносимого ими материального ущерба. Дан комплекс мероприятий для предотвращения существующих и ожидаемых экологических неполадок.



UDC 551.50.501.7

## INVESTIGATION OF CAUCASIAN GLACIERS BY SATELLITE DATA

G.Kordzakhia\*, L.Shengelia\*, G.Tvauri\*\*

\* The Institute of Hydrometeorology at the Georgian Technical University.

\*\* I. Javakhishvili Tbilisi State University's M. Nodia Institute of Geophysics.

The main objective of present work is the investigation of glaciers melting including significant ecological risks especially in connection with climate change issues. Long term satellite monitoring objectives toward the climate are:

- Determination of the processes related with climate and glaciers interaction.
- Detection of climate and environmental changes provided through glaciers changes;
- Validation of global and regional climate models, sensitivity studies, climate change scenarios specification, etc.

Satellite monitoring of glaciers has the well expressed potential to facilitate measurements that traditionally were performed using field techniques or ground based observations in one or several spots. High resolution space borne data allow glacier length change measurements along the entire glacier tongues, and in that way complement or even replace ground-based measurements.

Using the remote sensing data it can be determined:

- The ice snow border;
- Glaciers movement speed;
- The glacier elevation model and area of contours;
- Glaciers mass balance.

The surface of a glacier can be roughly divided into accumulation and ablation areas, separated by the equilibrium line where accumulation is exactly equal to ablation. The equilibrium line is generally more or less coincident with the snow line. In winter, before any ablation starts, practically the whole glacier is accumulation area and in summer, at the end of the glacier's year; the accumulation area is at its smallest. The end of the glacier's year is the time when the greatest amount of the previous winter's snow has melted (the ablation area is at its maximum) and new snow has not yet fallen. This occurs typically in September or October in the Alps, so that the mass balance year begins on the first of October, by convention in the so called fixed date system. Further north, in Scandinavia and Svalbard, the moment is approximately a month earlier, while on the glaciers in the southern hemisphere it is in March or April according to the geographical location and altitude [1]. Tropical glaciers, such as the glaciers of Mount Kilimanjaro, are defined by the global circulation patterns of the Inter Tropical Convergence Zone (ITCZ) and have low thermal seasonality which leads to ablation all year round, while the occurrence of accumulation varies between the humid inner tropics, the outer tropics and the subtropics. The investigation of glacier zones is typically carried out at the end of the glacier's year at a time when snow cover on the glacier and in the surrounding is at its minimum.

A glacier can be divided (see fig.1) into a number of specific zones (or facies). Starting from upper elevation and using Paterson's [2] nomenclature, the uppermost zone is dry snow zone in which no melting occurs. This zone exists only in the highest elevations of the ice sheets and on the highest (and coldest) mountain glaciers, where the annual average temperature is lower than the threshold value of  $-11^{\circ}\text{C}$ .

Below the snow zone, the dry snow line separates from the percolation zone in which some melting takes place during the summer. The wet snow line separates the percolation zone from the wet snow zone in which all the current year's snow melts. Below this, and separated from it by the snow line, is the superimposed ice zone, in which melt water refreezes onto the colder glacier ice surface. As the superimposed ice is created by melting and refreezing of the current year's snow this zone is still considered to be part of the accumulation area. The equilibrium line (EL) separates the accumulation and ablation areas and is located at the lower boundary of the superimposed ice zone and the bare-ice zone. At the equilibrium line, accumulation is exactly equal to ablation, and the EL is more or less coincident with the snow line. Below the snow line is the firn zone, which represents last year's snow.

The various zones to be detected by remote sensing were first proposed by Ostrem [3] and they have since been mapped with optical sensors, passive microwave sensors and synthetic aperture radar (SAR). The zones can be detected by various remote sensing data based on the surface wetness, grain size and purity of the glacier surface. Some attempts at glacier mapping have been made using multiangular satellite imagery (MISR, Multi-angle Imaging Spectroradiometer).



**Fig. 1. Glacier Zones on example of the Kirtisho Glacier**

The glacier zones can be mapped using radar data from the ablation period using the microwave backscattering properties of the surface. In summer, the accumulation area is in general covered with wet snow, surface scattering is controlled by the water content and surface roughness dominates. Typically the backscattering coefficient is low over a smooth snow surface. Surface scattering is high in ablation areas controlled by surface roughness, which is typically higher than in accumulation areas [4] and increases downward or through-out the summer as a result of melting. Crevassed areas give high backscatter values depending on the orientation of the crevasses relative to the look-direction of the radar. This use of summer SAR data for glacier zone mapping is based on distinguishing areas of contrasting backscatter on glaciers. So called radar glacier zones are defined as follows: the dry snow zone, frozen-percolation radar zone, wet snow radar zone, phase 2 melt radar zones, superimposed radar zone and the bare glacier ice radar zone. However, these zones do not necessarily coincide with the classical glaciological zone described earlier [2]. Winter radar images may be applied to glacier zone mapping as the radar radiation is able to penetrate through dry snow.

A fairly new and promising approach to assessing surface zones is to use laser scanner data. Modern laser scanners also retrieve an intensity signal from the surface, as well as the travel time which is used for elevation determination, and this can be used for mapping surface characteristics. Some preliminary classifications using the intensity signal have been made in Norway.

The mean specific mass balance  $b$  (expressed in metres water equivalent per year) results from averaging the accumulation and ablation of the various glacier locations. Usually  $b$  is averaged over 100 m elevation bands as  $b(z)$ . Multiplying  $b(z)$  by the area of the respective elevation bands  $s(z)$  and adding over all elevations gives the volume balance  $B$  ( $m^3$  w. e. per year). The equilibrium line altitude (ELA) is assessed from glaciological field study as that altitude where  $b(z)$  is equal to zero. The equilibrium line is close to the snow line at the end of glacier's year. However, in this case one has to use term averaged snow line, since the snow line separating snow and firn does not follow the contour lines, so that it does not have a unique altitude.

The accumulation area  $S_c$  is defined not as the area above the EL, but as the area of the glacier surface where  $b > 0$ , and the ablation area is defined correspondingly. The accumulation area ratio (AAR, Equation 3.1) is characteristic of the glacier's status.

$$AAR = S_c / S \quad (1),$$

where  $S_c$  is the accumulation area and  $S$  is whole glacier area.

AAR has values between 0.6 and 0.7 on stationary glaciers. Values above or below are for positive or negative mean specific mass balance values, respectively.

Using remote sensing methods, the AAR can be determined at the end of the glacier year by mapping the glacier zones and dividing the snow covered area of the glacier by the whole glacier area [1]. Imprecision in this method may be caused by the non-optimal data of the remote sensing image (taken before the timing of the maximum ablation area) or inaccuracies in the classification itself. The EL may also be determined by detecting averaged snow line, a border between snow and firn, simply by manual delineation. Based on the high correlation between AAR and mean specific mass balance, classification of glacier surface characteristics into snow, firn and ice calculation of AAR from the re-

sults gives an approximation of the mean specific mass balance for the glacier in certain year. Some uncertainties exist since same AAR can still give values of specific mass balance (b) spreading over several hundred mm of water equivalent as presented for glacier Hintereisferner in Kuhn et al. [3].

The snow line and AAR can be monitored by various optical remote sensing data based on spectral signature differences between snow and firn. In 2007 was applied object oriented classification of snow, firn and ice areas of Landsat TM or ETM+ satellite images at the end of glaciological years. The resulting AAR and snow line altitude were compared with AAR and ELA determined by glaciological method. The results were satisfactory as the correlation between the remote sensing and glaciological methods for AAR was 0.64 and for snow line and ELA was 0.56. Heiskanen et al. (2003) produced AAR by pixel-based classification and studied the location of the snow line using Landsat TM/ETM+ imagery in Engabreen, Norway. The classification produced a measure of AAR that considered spatial variations of ablation better than the one calculated from field measurements. On Engabreen the boundary between firn and snow corresponded well to the equilibrium line derived from mass balance measurements. Also AAR showed a good fit in the mass balance years studied. Another study on Engabreen was performed by Braun et al. (2005), in which unsupervised classification of Landsat TM/ETM+ images was used for mass balance modeling.

Assessing mass balance by AAR is useful for remote glaciers for which mass balance, ELA and AAR are difficult to assess using conventional methods. Aniya et al. (1996) used a Landsat TM mosaic of the Southern Patagonian Ice-field, South America, and supervised classification methods for TM bands 1, 4, and 5, for dividing various glacier drainage basins into accumulation and ablation areas, thereby determining the position of the snow line. It was found that the snow line could be taken as the equilibrium line and by comparing topographic maps the ELA was determined.

Mass balance is most typically determined by the glaciological method, but also using hydrological and geodetic methods. The use of the geodetic method, applying elevation models with greater accuracy than previously available, is gaining popularity especially with the success of airborne laser scanning. The use of remote sensing data for the geodetic method of using the determination of ELA and AAR by classification procedures would increase the number of glaciers for which the mass balance is estimated.

The area of Glacier is a basic property in a glacier inventory that is frequently used for upscaling of only of overall are change or sea level rise). The land surface area covered by glaciers is also important boundary condition for climate models that calculate the energy fluxes according to surface type. As the globally available data sets of glacier covered area are either not complete or very rough, new initiatives like Global Land Ice Measurement from Space (GLIMS) have started to compile a global glacier inventory (location, size, digital outlines) from satellite data.

The area of Glacier is a basic property in a glacier inventory that is frequently used for upscaling of only of overall are change or sea level rise). The land surface area covered by glaciers is also important boundary condition for climate models that calculate the energy fluxes according to surface type. As the globally available data sets of glacier covered area are either not complete or very rough, new initiatives like Global Land Ice Measurement from Space (GLIMS) have started to compile a global glacier inventory (location, size, digital outlines) from satellite data.

Glacier area change (percent per year) could be compared on a global scale to quantify regional climate change effects. However, glacier specific changes could only be determined when the same entities are compared. This is quite troublesome when only point information from the former World Glacier Inventory (WGI) is available. Glacier area changes as obtained from satellite data over large regions do also help to assess representativeness of the sparser sample of field-based length change and mass balance measurements or to identify what else is going on. In South Caucasus such down casting (i.e. stationary thinning) and disintegrating glaciers with little change at the terminus could be observed widely using space borne sensors.

## ლიტერატურა – REFERENCES \_ЛИТЕРАТУРА

1. Past and future mass balance of “Ka Roimata o Hine Hukatere”, Franz Josef Glacier, New Zealand / Anderson, B., W. Lawson, I. Owens and B. Goodsell / Journal of Glaciology. -2006.-52 (179). - pp. 597-607.
2. The physics of Glaciers. Paterson, W.S.B. / 3<sup>rd</sup> ed., Butterworth-Heinemann, Oxford. -1994. -480 p.
3. ERTS data in glaciology, an effort to monitor glacier mass balance from satellite imagery / Ostrem G. / Journal of Glaciology. -1975. -15. - pp.403-415.
4. Find the firn line! The suitability of ERS-1 and ERS-2 SAR data for the analysis of glacier facies on Icelandic ice-caps / Brown, I.A. et al. / International Journal of Remote sensing. -1999. - 20 (15). - pp.3217-3230.

უაკ 551.50.501.7

**კავკასიონის მყინვარების კვლევა თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით/გ.კორძახია, ლ.შენგელია, გ.თვაური/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.193-196-ინგლ., რუს. ქართ., ინგლ., რუს.**

სამუშაოს მიზანია განხილული და შესწავლილ იქნას მყინვარების დნობა, რაც მნიშვნელოვან ეკოლოგიურ საფრთხეებს მოიცავს განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების პრობლემატიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, კლიმატთან დაკავშირებით მყინვარების გრძელვადიანი მონიტორინგის მიზანია: პროცესების დადგენა, რომლებიც დაკავშირებულია მყინვარებისა და კლიმატის ურთიერთმოქმედებასთან; კლიმატისა და გარემოს მოსალოდნელი ცვლილება, განპირობებული მყინვარების ცვლილებით; კლიმატის გლობალური და რეგიონალური მოდელების ვალიდაცია მყინვარების მონიტორინგის შედეგებით; სენსიტიურობის შესწავლა; კლიმატის ცვლილების სცენარების დაზუსტება და სხვა;

მყინვარების თანამგზავრულ მონიტორინგს აქვს ნათლად გამოხატული პოტენციალი იმისა, რომ ემსახუროს იმ საქმეს, რაც ადრე ტრადიციულად წარმოებდა ექსპედიციური გზით, ან მიწისპირა დაკვირვებებით, როგორც წესი ერთ ან რამდენიმე წერტილში. მაღალი გარჩევადობის დისტანციური ზონდირების სივრცითი მონაცემები საშუალებას იძლევა, რათა გაიზომოს მყინვარის სიგრძის ცვლილება მყინვარის მთლიან ენასთან ერთად. ამ გზით შესაძლებელია მიწისპირა დაკვირვებები შეივსოს ან მთლიანად შეიცვალოს დისტანციური ზონდირების ინფორმაციით.

UDC 551.50.501.7

**INVESTIGATION OF CAUCASIAN GLACIERS BY SATELLITE DATE/ G.Kordzakhia, L.Shengelia, G.Tvauri/ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.193-196 - Eng.; Summ. Georg., Eng., Russ.**

The main objective of present work is the investigation of glaciers melting including significant ecological risks especially in connection with climate change issues.

Long term satellite monitoring objectives toward the climate are: determination of the processes related with climate and glaciers interaction; detection of climate and environmental changes provided through glaciers changes; validation of global and regional climate models, sensitivity studies, climate change scenarios specification, etc.

Satellite monitoring of glaciers has the well expressed potential to facilitate measurements that traditionally were performed using field techniques or ground based observations in one or several spots. High resolution space borne data allow glacier length change measurements along the entire glacier tongues, and in that way complement or even replace ground-based measurements.

Using the remote sensing data it can be determined: the ice snow border; glaciers movement speed; the glacier elevation model and area of contours.

The final objectives, based on the remote sensing, hydrometeorological network and glaciological observation data are: glacier monitoring technological line improvement and glacier properties determination; river Enguri pilot basin glacier runoff investigation based on determined values: creation of the Caucasian glacier models using the glacier characterizing data and glacier development forecast using these models.

УДК 551.50.501.7

**ИССЛЕДОВАНИЕ КАВКАЗСКИХ ЛЕДНИКОВ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ СПУТНИКОВОЙ ИНФОРМАЦИИ/ Г.И. Кордзахия, Л.Д. Шенгелия, Г.А. Тваური/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с.193-196 - Англ., Рез. Груз., Англ., Рус.**

Основной целью работы является рассмотрение и исследование таяния ледников, что включает в себе значительные экологические риски, особенно в связи с проблемами изменения климата. Долгосрочными целями спутникового мониторинга ледников относительно климата, являются: определение процессов, которые связаны с взаимодействием между ледниками и климатом; обнаружение изменений климата и окружающей среды, что обеспечивается за счет изменения ледников; проверка глобальных и региональных климатических моделей; исследования восприимчивости, определение сценариев изменения климата и т.д.

Дистанционное зондирование с помощью спутников применительно к мониторингу ледников имеет хорошо выраженный потенциал, способствующий измерениям, которые традиционно проводились с использованием экспедиционных работ или наземными наблюдениями в одной или нескольких точках. Высокое пространственное разрешение спутниковых данных позволяет измерять изменения длины ледника, и таким образом, дополнять или даже полностью заменять наземные измерения.

შპს 551.324/551.583

**გამყინვარების საუკუნოვანი დინამიკა კავკასიაში და მყინვართა ბაქრობის კლიმატური პრობლემა გლობალური დათბობის ფონზე**

ვ.ცომაია\*, ნ.ა.ბეგალიშვილი\*, თ.ცინცაძე\*, კ.ლაშაური\*\*, ნ.ნ.ბეგალიშვილი\*, ნ.ცინცაძე\*  
 \* - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
 \*\* - ი.გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, აშშ-კანადა

გამყინვარების დღევანდელი მდგომარეობისათვის დამახასიათებელია მყინვარების დეგრადაცია, რაც ადრეც და ახლაც სხვადასხვა სიძლიერით მიმდინარეობს. ეს კარგად ჩანს მყინვარების ფართობების შედარებიდან. ამ მხრივ საყურადღებოა 1850, 1890 და 1965 წლების დაკვირვებათა მასალები კავკასიონის ქედის გამყინვარების მონაცემების მაგალითზე [1,2,3]. მაშინ მყინვარებს შესაბამისად ეკავათ 2300, 2000 და 1442 კმ<sup>2</sup> ფართობი. მათი დინამიკის ტრენდი კლებადობის ტენდენციით გამოისახება, რომელიც შეიძლება გამოვსახოთ მარტივი ფორმულით:

$$F_i = F_0 - \alpha(T_i - T_0) \quad (1)$$

სადაც  $F_0$  და  $F_i$  არის მოცემული პერიოდის საწყისი  $T_0$  და ბოლო  $T_i$  წლების მყინვარების ფართობები (კმ<sup>2</sup>).

1850 და 1890 წლების პერიოდისათვის (1)-დან გვექნება:

$$\alpha_1 = \frac{F_0 - F_i}{T_i - T_0} = \frac{2300 - 2000}{1890 - 1850} = 7.50 \text{ კმ}^2/\text{წელიწადში} \quad (2)$$

1850 და 1965 წლებისათვის:

$$\alpha_2 = \frac{2300 - 1442}{1965 - 1890} = 7.46 \text{ კმ}^2/\text{წელიწადში}, \text{ ხოლო} \quad (3)$$

1890 და 1965 წლებთან მიმართებაში:

$$\alpha_3 = \frac{2000 - 1442}{1965 - 1850} = 7.44 \text{ კმ}^2/\text{წელიწადში} \quad (4)$$

ამრიგად, განხილული პერიოდისათვის გამყინვარების დეგრადაცია კარგად აღიწერება წრფივი კანონით, ხოლო მყინვართა ფართობების შემცირების სიჩქარე სამივე შემთხვევაში თითქმის ერთი და იგივეა - საშუალოდ შეადგენს 7.47 კმ<sup>2</sup>/წელიწადში. ეს ნიშნავს, რომ კავკასიონის ქედის გამყინვარება ყოველწლიურად კარგავს საშუალოდ 7.5 კმ<sup>2</sup> ფართობს.

მიღებული შედეგის თანახმად, XXI საუკუნის ბოლოს, როცა გაეროს კლიმატის ცვლილების სცენარით კავკასიაში მოსალოდნელია ატმოსფერული ნალექების შემცირება 10 - 20%-ით, ჰაერის ტემპერატურის მატება კი 3 - 4°C-ით, რაც გამოიწვევს მყინვარების დეგრადაციის გაგრძელებას, კავკასიონის ქედის გამყინვარების ფართობი შემცირდება:

$$F_{2100} = F_{1850} - 7.47(T_{2100} - T_{1850}) = 2300 - 7.47(2100 - 1850) = 432.5 \text{ კმ}^2 - \text{მდე} \quad (5)$$

მყინვარის დარჩენილი ფართობის მთლიან გადნობას დასჭირდება კიდევ

$$\Delta T = \Delta F / a = 432.5 / 7.47 = 58 \text{ წელი} \quad (6)$$

ამრიგად, გამყინვარების დღევანდელი დეგრადაციის ინტენსივობის შენარჩუნების შემთხვევაში კავკასიონის ქედი განთავისუფლდება მყინვარებისგან 2150-2160 წლებში.

იგივე შედეგებს ვღებულობთ, თუ გამოვიყენებთ შეფარდების მეთოდს:

$$a = F_i / F_o \quad (7)$$

სადაც  $a$  არის გამყინვარების მოცემული პერიოდის საწყისი ( $F_o$ ) და ბოლო ( $F_i$ ) წლების მყინვართა ფართობების შეფარდება. როცა  $F_i = F_o$ , რასაც ადგილი ჰქონდა 1850 წელს და ფართობი შეადგენდა 2300 კმ<sup>2</sup>-ს, მაშინ:

$$\alpha = 2300 / 2300 = 1.0 \quad (8)$$

როცა  $F_i = 2000$  კმ<sup>2</sup>-ს, რასაც ადგილი ჰქონდა 1890 წელს, მაშინ:

$$\alpha_2 = 2000 / 2300 = 0.87 \quad (9)$$

როცა  $F_i = 1442$  კმ<sup>2</sup> -ს, რასაც ადგილი ჰქონდა 1965 წელს, მაშინ

$$\alpha_3 = 1442 / 2300 = 0.63 \quad (10)$$

როგორც ვხედავთ  $a_i$ -ის მნიშვნელობა მცირდება გამყინვარების ფართობის შემცირებასთან ერთად, ე.ი. მისი ტრენდი ხასიათდება კლებადობის ტენდენციით და ის შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით:

$$\alpha_i = b_0 - 0.0033(T_i - T_0) = b_0 - 0.0033 \cdot \Delta n \quad (11)$$

სადაც  $\Delta n = T_i - T_0$  არის პერიოდის ხანგრძლივობა.

(11)-ში: თუ  $T_0 = 1850$ , მაშინ  $b_0 = 1$ ; თუ  $T_0 = 1890$ , მაშინ  $b_0 = 0.87$ ; თუ  $T_0 = 1965$ , მაშინ  $b_0 = 0.63$ ; მართლაც,

როცა  $T_0 = T_i = 1850$ , მაშინ

$$\alpha_1 = 1 - 0.0033(1850 - 1850) = 1.0 \quad (12)$$

როცა  $T_0 = 1850$  და  $T_i = 1890$ , მაშინ

$$\alpha_2 = 1 - 0.0033(1890 - 1850) = 1 - 0.13 = 0.87 \quad (13)$$

როცა  $T_0 = 1850$  და  $T_i = 1965$ , მაშინ

$$\alpha_3 = 1 - 0.0033(1965 - 1850) = 1 - 0.38 = 0.62 \quad (14)$$

როცა  $T_0 = 1850$  და  $T_i = 1965$ , მაშინ

$$\alpha_4 = 0.87 - 0.0033(1965 - 1890) = 0.87 - 0.25 = 0.62 \quad (15)$$

როგორც ვხედავთ, (12) - (14) და (8) - (10) ფორმულებით მიღებული გამოთვლის შედეგები დაემთხვა ერთმანეთს. ამიტომ, (11) შეიძლება გამოვიყენოთ კავკასიონის მყინვარებისაგან განთავისუფლების პროგნოზისთვის.

თუ მყინვარული საფარი მთლიანად მოისპობა, მაშინ დნობის სიჩქარე  $\alpha_i = 0$  და (11)-ის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ შესაბამისი წლის მნიშვნელობა. გვექნება

$$0 = b_0 - 0.0033(T_i - T_0)$$

და

$$T_i = \frac{b_0 + 0.0033T_0}{0.0033} \quad (16)$$

ფორმულა (16)-ის თანახმად, 1850 წლის მონაცემების გამოყენების საფუძველზე გვქნება:

$$T_1 = \frac{b_0 + 0.0033 \cdot 1850}{0.0033} = \frac{1 + 6.105}{0.0033} = 2153 \text{ წელი;} \quad (17)$$

1890 წლის მონაცემების შესაბამისად

$$T_2 = \frac{b_0 + 0.0033 \cdot 1890}{0.0033} = \frac{0.87 + 6.237}{0.0033} = 2154 \text{ წელი;} \quad (18)$$

1965 წლის მონაცემების გამოყენებით

$$T_3 = \frac{b_0 + 0.0033 \cdot 1965}{0.0033} = \frac{0.62 + 6.485}{0.0033} = 2153 \text{ წელი.} \quad (19)$$

ამრიგად, ამ შემთხვევაშიც ვღებულობთ, რომ კავკასიონის ქედი მთლიანად განთავისუფლდება მყინვარული საფარისგან 2150-2160 წლებში.

მყინვარების კატალოგებში [2,3] შესული 1890 და 1965 წლების სისტემატიზებული მასალები, დიდი მდინარეების აუზების მიხედვით წარმოდგენილია ცხრ.1-ში (გრაფები 3 და 4). მათ საფუძველზე გამოთვლილია მყინვარების ფართობების შემცირების კოეფიციენტი ( $A$ ):

$$a_i = F_{1965} / F_{1890} \quad (20)$$

სადაც  $F$  მყინვარების ფართობებია კმ<sup>2</sup>-ში;  $F$ -ის ინდექსები აღნიშნავენ წლებს, რომელთაც განეკუთვნება მყინვარების ფართობი.

როგორც ვხედავთ მყინვარების ფართობის შემცირების კოეფიციენტი მერყეობს 0.48-დან (მდ.არდონი, ჩრდილოეთი კავკასიონი) 0.87-მდე (მდ.ენგური, სამხრეთი კავკასიონი), საშუალოდ შეადგენს 0.67-ს.

ცხრილი 1. მყინვარების ფართობების ცვლილების შეფასების შედეგები მყინვარების 1890 და 1965 წლების კატალოგების მიხედვით.

| რიგითი № | მდინარე               | მყინვარების                |                 |         |                 |                 |            |                  |                       |         |      |
|----------|-----------------------|----------------------------|-----------------|---------|-----------------|-----------------|------------|------------------|-----------------------|---------|------|
|          |                       | ფართობი, კმ <sup>2</sup> . |                 |         | რაოდენობა       | ფარდობა         | სიმაღლე მ. |                  |                       |         |      |
|          |                       | 1890წ                      | 1965წ           | სხვაობა |                 |                 | ქვედა      | ზედა             |                       |         |      |
| 1        | 2                     | 3                          | 4               | 5       | 6               | 7               | 8          | 9                |                       |         |      |
| 1        | მზიმთა                | 2.79                       | 1,70            | 1,09    | 7               | 0,61            | 2690       | 2950             |                       |         |      |
| 2        | კოდორი                | 77,0                       | 60,0            | 17,0    | 141             | 0,78            | 2760       | 3160             |                       |         |      |
| 3        | ენგური                | 332.1                      | 288,3           | 43,8    | 250             | 0,87            | 2480       | 3420             |                       |         |      |
| 4        | რიონი                 | 79.4                       | 62,9            | 16,5    | 12,4            | 0,79            | 2970       | 3500             |                       |         |      |
| 5        | კუბანი                | 265.3                      | 196,6           | 68,7    | 356             | 0,74            | 2801       | 3220             |                       |         |      |
| 6        | ჩეგემი                | 93,4                       | 58,1            | 35,3    | 65              | 0,62            | 3340       | 3800             |                       |         |      |
| 7        | ჩერეკი                | 272,0                      | 198,3           | 73,7    | 182             | 0,73            | 3440       | 4060             |                       |         |      |
| 8        | ურუხი                 | 138.4                      | 82,7            | 55,7    | 105             | 0,60            | 3190       | 3560             |                       |         |      |
| 9        | არღონი                | 73.2                       | 35,4            | 37,8    | 79              | 0,48            | 3100       | 373,0            |                       |         |      |
| 10       | თერგის ზემო წელი      | 175.6                      | 121,6           | 54,0    | 191             | 0,69            | 3310       | 3860             |                       |         |      |
| 11       | დაღესტანი აზერბაიჯანი | 85.6                       | 46,9            | 38,7    | 159             | 0,55            | 3670       | 4080             |                       |         |      |
| 12       | ასსა-არგუნი           | 69.4                       | 42,0            | 27,4    | 68              | 0,61            | 3350       | 3950             |                       |         |      |
| 13       | ჯამი                  | 1664                       | 1194,5          | 470,3   | 12,05           | 8,07            |            |                  |                       |         |      |
| 14       | საშუალო               | 138.7                      | 99,5            | 39,2    |                 | 0,67            |            |                  |                       |         |      |
| რიგითი № | მდინარე               | გამოთვლების შედეგები       |                 |         |                 |                 |            |                  |                       |         |      |
|          |                       | არაასოცირებული რიგი        |                 |         |                 |                 |            | ასოცირებული რიგი |                       |         |      |
|          |                       | F' =0,67 F <sub>1</sub>    |                 |         | F'' =1,06 F'    |                 |            | K <sub>k</sub>   | F''=K <sub>k</sub> F' |         |      |
|          |                       | კმ <sup>2</sup>            | სხვაობა         |         | კმ <sup>2</sup> | სხვაობა         |            |                  | კმ <sup>2</sup>       | სხვაობა |      |
|          |                       |                            | კმ <sup>2</sup> | %       |                 | კმ <sup>2</sup> | %          | კმ <sup>2</sup>  |                       | %       |      |
| 1        | 2                     | 10                         | 11              | 12      | 13              | 14              | 15         | 16               | 17                    | 18      | 19   |
| 1        | მზიმთა                | 1,87                       | 0,17            | 10,0    | 1,98            | 0,28            | 16,5       | 0,95             | 1,78                  | 0,04    | 2,3  |
| 2        | კოდორი                | 51,6                       | 8,4             | 14,0    | 54,7            | 5,3             | 8,8        | 1,23             | 69,5                  | 3,5     | 5,8  |
| 3        | ენგური                | 223,0                      | 65,3            | 28,7    | 236,4           | 65,3            | 22,7       | 1,29             | 287,7                 | 0,6     | 0,2  |
| 4        | რიონი                 | 53,2                       | 9,7             | 15,4    | 156,4           | 6,5             | 10,3       | 1,29             | 65,4                  | 2,5     | 4,0  |
| 5        | კუბანი                | 177,8                      | 12,8            | 9,6     | 688,5           | 8,1             | 4,1        | 1,10             | 195,6                 | 1,0     | 0,5  |
| 6        | ჩეგემი                | 62,6                       | 4,5             | 1,7     | 66,4            | 9,5             | 6,0        | 0,96             | 60,1                  | 2,0     | 3,4  |
| 7        | ჩერეკი                | 182,2                      | 16,1            | 8,1     | 193,1           | 5,7             | 2,6        | 1,10             | 200,4                 | 2,1     | 1,1  |
| 8        | ურუხი                 | 92,7                       | 10              | 12,1    | 98,3            | 15,5            | 18,8       | 0,96             | 82,0                  | 6,3     | 7,6  |
| 9        | არღონი                | 49,0                       | 13,6            | 39,3    | 51,9            | 16,5            | 46,7       | 0,81             | 39,7                  | 4,3     | 12,1 |
| 10       | თერგის ზემოწელი       | 117,7                      | 3,9             | 3,2     | 124,8           | 3,2             | 2,6        | 0,96             | 113,0                 | 8,6     | 7,1  |
| 11       | დაღესტანი აზერბაიჯანი | 57,4                       | 10,5            | 22,4    | 60,8            | 16,9            | 28,7       | 0,81             | 46,5                  | 0,4     | 0,9  |
| 12       | ასსა-არგუნი           | 46,5                       | 4,5             | 10,7    | 48,9            | 6,3             | 15,1       | 0,81             | 37,7                  | 4,3     | 10,2 |
| 13       | ჯამი                  | 1121,6                     | 72,9            | 6,1     | 1182,6          |                 |            |                  |                       |         |      |
| 14       | საშუალო               | 93,5                       |                 |         |                 |                 |            |                  |                       |         |      |
| 15       | K <sub>k</sub>        | 1,06                       |                 |         |                 |                 |            |                  |                       |         |      |
| 17       | უზრუნველყოფა          |                            |                 |         |                 |                 |            |                  |                       |         |      |
| 18       | 0-5%                  |                            |                 | 16.6    |                 |                 | 25.0       |                  |                       |         | 58.3 |
| 19       | 0-10%                 |                            |                 | 41.7    |                 |                 | 41.7       |                  |                       |         | 83.3 |
| 20       | 0-15%                 |                            |                 | 66.6    |                 |                 | 50,0       |                  |                       |         | 100  |
| 21       | 0-20%                 |                            |                 | 75.0    |                 |                 | 75,0       |                  |                       |         | 100  |

კოეფიციენტების მნიშვნელობათა გამოყენებით, 1890 წლის მონაცემების საფუძველზე გამოთვლილია მყინვარების ფართობები და მათი გადახრები ფაქტობრივი სიდიდეებიდან (გრაფები

10, 11 და 12). გადახრების უზრუნველყოფა ( $P\%$ ) 5, 10, 15 და 20%-მდე ცდომილების შემთხვევაში შეადგენს შესაბამისად 16.6, 41.7, 66.6 და 75.0%-ს (გრაფა 12) შედეგების გაუმჯობესების მიზნით დადგენილ იქნა ფაქტობრივი ( $\sum F_{\text{ფ}}$ ) და გამოთვლილი ( $\sum F_{\text{გ}}$ ) რიგების ჯამი და მათი საშუალო სიდიდეები, ხოლო მათი შეფარდებით - დისპერსიის კორექციის კოეფიციენტი

$$K_k = \sum F_{\text{ფ}} / \sum F_{\text{გ}} = \bar{F}_{\text{ფ}} / \bar{F}_{\text{გ}} \quad (21)$$

ფორმულა (21)-ის თანახმად ვღებულობთ

$$K_k = 1194.5 / 1121.6 = 1.06 \quad (22)$$

$K_k$  კორექციის კოეფიციენტის გათვალისწინებით პირველი გამოთვლების შედეგები მოყვანილია 13, 14 და 15 გრაფებში. მათი უზრუნველყოფა 5, 10, 15 და 20%-ის ცდომილებათა შემთხვევაში შეადგენს შესაბამისად 25.0, 41.7, 50.0 და 75.0.

უკეთესი შედეგი მიღებული იქნა ასოცირებული რიგების გამოყენების საფუძველზე. არასოცირებული რიგი დაჯგუფდა მაფორმირებელი ფაქტორების სიდიდის მიხედვით. ასოცირებული რიგების დადგენაში დიდ როლს თამაშობს გამყინვარების ფართობი. რაც მეტია ეს ფართობი და რაც უფრო კომპაქტურია მყინვარების მდებარეობა, მით მეტია მათი გამაცივებელი გავლენა გარემოზე და მით ნაკლები ინტენსივობით მიდის მათი დნება. საპირისპირო თვისებებით ხასიათდებიან პატარა ფართობის მქონე, გაფანტულად მდებარე მყინვარები. მათი გამაცივებელი ზემოქმედება გარემოზე ნაკლებია, რაც ხელს უწყობს ამ მყინვარების ინტენსიურ დნობას და მათი ფართობის დანაკარგის ზრდას. შეიძლება ჩამოვთვალოთ სხვა ფაქტორებიც, როგორცაა ზედაპირული მორენული საფარის განლაგების ხასიათი და სისქე, მყინვარის ფარგლებში გაშიშვლებული ფერდობების არსებობა, მყინვარების ექსპოზიცია და სხვ. მაგრამ ჩამოთვლილ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მაინც მყინვარების ფართობების სიდიდე. არასოცირებული რიგის მიხედვით ასოცირებული რიგის დაჯგუფების კრიტერიუმებს წარმოადგენენ: მყინვარების ფართობების სიდიდეები (გრაფა 3) მეტი 265.3კმ<sup>2</sup>-ზე; ნაკლები 85.6კმ<sup>2</sup>-ზე; ინტერვალიდან 85.6-265.3კმ<sup>2</sup>. გრაფა 16-ში ნაჩვენებია ჯგუფების მიხედვით გამოთვლილი  $K_k$ . იგი ტოლია 1.29, 0.85 და 1.23 -კავკასიონის ქედის სამხრეთ მდინარეთა აუზების მყინვარებისათვის, და უდრის 1.10, 0.81 და 0.96 - კავკასიონის ქედის ჩრდილოეთის მდინარეების აუზების მყინვარებისათვის შესაბამისად. პირველად გამოთვლილი ფართობების ნამრავლი კორექციის კოეფიციენტებზე და მიღებული სიდიდეების ცდომილებები მოცემულია მე-17 და მე-19 გრაფაში. როგორც ვხედავთ, აღინიშნება გაცილებით უკეთესი შედეგი: გამოთვლების უზრუნველყოფა დასაშვები ცდომილებების (5, 10, 15 და 20%) ფარგლებში შეადგენს 58.3, 83.3, 100 და 100%-ს.

ამავე შედეგს ვღებულობთ რიგის დაჯგუფებისას გამყინვარების სიდიდეთა მიხედვით:

- პირველ ჯგუფში გაერთიანდა მყინვარები, რომელთა ჯამური ფართობი 1965 წლის მონაცემებით მეტია 121.6 კმ<sup>2</sup> (№3,5,7, და 10);
- მეორე ჯგუფში შესულია მყინვარები, რომელთა ფართობი ნაკლებია 62.9 კმ<sup>2</sup> (№1, 2, 4, 9, 11, 12);
- მესამე ჯგუფში წარმოდგენილია მყინვარები, რომელთა ფართობები მერყეობენ შუალედში 62.9-121.6 კმ<sup>2</sup>-ს (№ 6 და 8).

მათი კორექციის კოეფიციენტი შესაბამისად ტოლია 1.15, 0.96 და 0.91. კოეფიციენტის გათვალისწინებით გამოთვლილი უზრუნველყოფა 5, 10, 15 და 20%-იან გადახრების შემთხვევისათვის შესაბამისად შეადგენს 33.3, 50.0, 66.7 და 91.7%-ს.

თითქმის ასეთივე შედეგს ვღებულობთ კონკრეტული მყინვარებისათვის, რაც კარგად ჩანს ცხრ.2-ის 6-11 გრაფებიდან.



**ცხრილი 2. მდინარეების ენგურისა და თერგის ცალკეული მყინვარების ფართობების გამოთვლის შედეგები 1890, 1965 და 2002 წლების მონაცემების საფუძველზე**

| რიცხვი № | მყინვარი  | ფართობი |        |        | გამოთვლები                 |                  |      |                               |                   |      |
|----------|-----------|---------|--------|--------|----------------------------|------------------|------|-------------------------------|-------------------|------|
|          |           | 1890წ.  | 1965წ. | 2002წ. | $F' = 0.73 \cdot F_{1890}$ |                  |      | $F'' = K_k \cdot F' = 1.12F'$ |                   |      |
|          |           |         |        |        | კმ <sup>2</sup>            | Δკმ <sup>2</sup> | %    | კმ <sup>2</sup>               | Δ კმ <sup>2</sup> | %    |
| 1        | 2         | 3       | 4      | 5      | 6                          | 7                | 8    | 9                             | 10                | 11   |
| 1        | ტვიბერი   | 43.09   | 35.2   |        | 31.5                       | 3.7              | 10.6 | 35.3                          | 0.1               | 0.3  |
| 2        | ცანერი    | 39.68   | 31.0   |        | 29.0                       | 2.0              | 6.5  | 32.5                          | 1.5               | 4.8  |
| 3        | ლელზირი   | 38.49   | 36.0   |        | 28.2                       | 7.0              | 21.7 | 31.6                          | 3.4               | 9.4  |
| 4        | კვიში     | 21.85   | 14.0   |        | 16.0                       | 2.0              | 14.3 | 17.9                          | 3.9               | 27.9 |
| 5        | ხალდე     | 13.37   | 11.7   |        | 9.8                        | 1.9              | 16.2 | 11.0                          | 0.7               | 6.0  |
| 6        | ჯამი      | 156.28  | 127.9  |        | 114.5                      |                  | 69.2 | 128.3                         |                   | 48.4 |
| 7        | საშუალო   | 31.25   | 25.6   |        | 1.12                       |                  | 13.9 |                               |                   | 9.7  |
| 8        | ჭაჭი      |         | 2.8    | 2.3    | 2.0                        | 0.3              | 13.0 | 2.2                           | 0.1               | 4.3  |
| 9        | დედლორაკი |         | 7.0    | 5.0    | 5.1                        | 0.1              | 2.0  | 5.6                           | 0.6               | 12.0 |
| 10       | აბანო     |         | 2.0    | 1.5    | 1.5                        | 0                | 0.0  | 1.6                           | 0.1               | 6.7  |
| 11       | გერგეთი   |         | 8.3    | 7.2    | 6.1                        | 1.1              | 15.3 | 7.2                           | 0                 | 0    |
| 12       | ჯამი      |         | 20.1   | 16.0   | 14.7                       |                  | 30.3 | 16.6                          |                   | 23.0 |
| 13       | საშუალო   |         | 5.0    | 4.0    | 3.67                       |                  | 7.6  |                               |                   | 5.8  |

აღსანიშნავია შედეგი, რომელიც გამოვლინდა თანამედროვე მონაცემების (1965 და 2002წწ) გამოყენებით მყინვარების - ჭაჭის, დედლორაკის, აბანოსა და გერგეთის მაგალითზე დისპერსიის კორექციის კოეფიციენტის გარეშე (გრაფა 6-8) და მისი გათვალისწინებით (გრაფა 9-11): ცდომილებები შეადგენენ საშუალოდ 7.6 და 5.8%-ს.

დადებითი შედეგი გვიჩვენებს ასევე დამოუკიდებელი მასალების გამოყენებამ მყინვარ ჯანკუატის ფართობის შემცირების მაგალითზე ფერნაუს სტადიიდან ანუ დაწყებული 1850 წლიდან (ცხრ.3)

**ცხრილი 3. მყინვარ ჯანკუატის ფართობის დინამიკა 1850, 1910, 1930, 1963 და 1974 წლების მონაცემების მიხედვით [3] და გამოთვლის შედეგები**

| წლები  | 1850 | 1910 | 1930 | 1963 | 1974 | საშუალო |
|--|------|------|------|------|------|---------|
| მყინვარის ფართობი, (F <sub>წ</sub> ) კმ <sup>2</sup> | 6.1  | 4.6  | 4.4  | 3.7  | 3.7  |         |
| ფარდობა ფაქტობრივი - ფორმულა (7)                     | 1.0  | 0.75 | 0.72 | 0.61 | 0.61 |         |
| ფარდობა გამოთვლილი - ფორმულა (10) და (11)            | 1.0  | 0.80 | 0.74 | 0.63 | 0.59 |         |
| ცდომილება $\frac{f_{წ} - f_{ბ}}{f_{წ}} 100\%$        | 0.0  | 6.3  | 2.8  | 3.2  | 3.30 | 3.9     |

გამოთვლებიდან ჩანს, რომ ცდომილება არ აღემატება 6.3%-ს. საშუალოდ შეადგენს 3.9%-ს. რაც გვიჩვენებს, რომ შედეგები სრულიად მისაღებია პრაქტიკული და თეორიული კვლევის მიზნებისათვის.

ჯანკუატის მყინვარის მთლიანად გაქრობისათვის ვისარგებლებთ გამოსახულებით  $0=1-0.0033(T-T_1)$ , საიდანაც ვღებულობთ:  $T=(1+0.0033x1850)/0.0033=2153$  წელი, ეს შეფასება თანხმობაშია ადრე მიღებულ შედეგთან.

ცხრ.4-ში წარმოდგენილია ასევე დამოუკიდებელი მასალების გამოყენების შედეგები, რომლებსაც საფუძველად უდევს შვეიცარიის მყინვარების მონაცემები 2003/04 და 2004/05 წლების გლაციოლოგიური ანგარიშიდან [6]. ამ შემთხვევაში აღებული იქნა გრასგლეტჩერისა და სილვერგლეტჩერის ფართობები 5-წლიანი ინტერვალით 1965 წლიდან.

გამოთვლილი სიდიდეების ცდომილება არ აღემატება 9.9%-ს (მყინვარი გრასგლეტჩერი) და 4.7%-ს (მყინვარი სილვერგლეტჩერი). საშუალო ცდომილება შეადგენს 2.8 და 2.3%-ს შესაბამისად.

ფორმულები (5) და (6), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვაძლევენ საშუალებას დავადგინოთ მყინვართა მთლიანი გადნობის პროგნოზი კლიმატის მიმდინარე დათბობის ინტენსივობის შენარჩუნების პირობებში. 1985 და 2005 წლებში მათი ფართობების ჯამის საფუძველზე (9.325 და 7.957 კმ<sup>2</sup>) შეიძლება შევავსოთ მყინვართა დნობის სიჩქარე, რაც შეადგენს 0.068 კმ<sup>2</sup> წელიწადში. XXI საუკუნის ბოლოსათვის მყინვართა ჯამური ფართობი გახდება ტოლი 1.5 კმ<sup>2</sup>

**ცხრილი 4. შვეიცარიის მყინვარების გრასგლეტჩერისა და სილვერგლეტჩერის ფართობების დინამიკა 1965-2005 წლებში და ფართობების გამოთვლის შედეგები**

| წელი    | ფართობი (F) კმ <sup>2</sup> |                 | გამოთვლის შედეგები                             |      |  |       |               |                 |
|---------|-----------------------------|-----------------|--|------|--|-------|---------------|-----------------|
|         | გრას-გლეტჩერი               | სილვერ-გლეტჩერი | K <sub>i</sub> =1-                             |      |  |       | ცდომილება. %  |                 |
|         |                             |                 | K <sub>i</sub> =F <sub>i</sub> /F <sub>1</sub> |      | 0.0033(T <sub>i</sub> - T <sub>1</sub> ) |       | გრას-გლეტჩერი | სილვერ-გლეტჩერი |
| 1965    | 6.515                       | 3.216           | 1.00   | 1.00 | 1.00                                     | 1.00  | 0.0           | 0.0             |
| 1970    | 6.415                       | 3.174           | 0.98   | 0.99 | 0.984                                    | 0.984 | 0.4           | 0.6             |
| 1975    | 6.372                       | 3.121           | 0.98   | 0.97 | 0.967                                    | 0.967 | 1.3           | 0.3             |
| 1980    | 6.261                       | 3.126           | 0.96   | 0.97 | 0.951                                    | 0.951 | 0.9           | 2.1             |
| 1985    | 6.194                       | 3.131           | 0.95   | 0.98 | 0.934                                    | 0.934 | 1.7           | 4.7             |
| 1990    | 5.891                       | 3.080           | 0.90   | 0.96 | 0.917                                    | 0.917 | 1.9           | 4.5             |
| 1995    | 5.781                       | 2.975           | 0.89   | 0.93 | 0.901                                    | 0.901 | 1.2           | 3.1             |
| 2000    | 5.315                       | 2.949           | 0.82   | 0.92 | 0.885                                    | 0.885 | 7.9           | 3.8             |
| 2005    | 5.133                       | 2.824           | 0.78   | 0.88 | 0.868                                    | 0.868 | 9.9           | 1.4             |
| საშუალო |                             |                 |  |      |  |       | 2.8           | 2.3             |

შვეიცარიის მყინვარული საფარი მთლიანად გადნება  $T = \frac{1.5+0.068 \cdot 2100}{0.068} = 2122$  წლისათვის.

ანალოგიური შედეგები მიიღება სოფისკის მყინვარებისათვის (ალტაი) [4], რომელთა ფართობი 1850, 1898, 1939, 1951, 1963, 1989 და 2000 წლების მონაცემებით შეადგენს შესაბამისად 18.75, 18.08, 17.33, 17.19, 17.03, 16.85 და 16.81 კმ<sup>2</sup>-ს. როგორც ვხედავთ ამ მონაცემებით მყინვარი სოფისკი კარგავს საშუალოდ 0.015კმ<sup>2</sup> წელიწადში ±0.7%-ის ცდომილებით და არსებული ტრენდის თანახმად ალტაი აღნიშნული მყინვარებისაგან განთავისუფლდება გაცილებით გვიან ვიდრე კავკასია, რადგან იგი უფრო ცივ ზონაშია. მართლაც დღეისათვის არსებული დნობის სიჩქარის შენარჩუნების პირობებში, სოფისკის მყინვარის გაქრობის პირობიდან  $0 = 16.81 - 0.015(T - 2000)$ , ვღებულობთ  $T \approx 3120$  წელს.

ამრიგად, მყინვართა დეგრადაცია კავკასიონის ქედზე გრძელდება და მოსალოდნელია მისი განთავისუფლება მყინვარული საფარისაგან 2150-2160 წლებში. ამის გამო საქართველოს დააკლდება წყლის რესურსების მეორე დიდი კომპონენტი - მყინვარული წარმოშობის მაღალი ხარისხის მტკნარი წყალი და გაქრება მდინარეების საზრდოობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო. სასმელი წყლის დეფიციტის მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით განიხილება ჩამონადენის ენულთერმული რეგულირების შესაძლებლობა. ასეთი მეთოდი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. საწყისი შედეგები ბაქოელი მეცნიერის მ.მუსაევას მონაცემებით დადებითია. მყინვარ კუსარჩაის მაგალითზე დამატებით შესაძლებელია მიღებულ იქნას 4.5-5.0 მლრდ ლიტრი წყალი, რაც 450-500-ჯერ მეტია დღევანდელ რესურსზე.

**ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Кавказ. Ледниковые районы. Под редакцией С.В. Колесника. Труды ледниковых экспедиций. Вып.1, Изд. отдел ЦУЕ ГМС. Л., 1936.
2. Каталог ледников СССР. Том 8, части 1 – 12, том 9, части 1 – 7, под редакцией О.Н. Виноградова. Гидрометеиздат, Л., 1967-1975.
3. Ледник «Джанкуат» (Центральный Кавказ). Под редакцией И.Я. Боярского. Гидрометеиздат, Л., 1978.

4. Нарожный Ю.К., Никитин С.Л. и др. Ледник Софийский (Алтай). Динамика, гляциологический режим и распределение запасов льда. МГИ, вып.93, 2002.
5. Подозерский К.И. Ледники Кавказского хребта. Зап. КОРГО. Том 29, вып. 1, 1911.
6. The Swiss glaciers 2003/2004 and 2004/2005. Edited by Andreas Bauder and Roger Ruegg. Zurich. 2009.

შპკ 551.324/551.583

**ბაზილიკის საზღვრებში ღონისძიება კავკასიაში და მდინარეთა ბაზილიკის კლიმატური პრობლემა გლობალური დატბობის ფონზე/**ვ.ცომაია, ნ.ბეგალიშვილი, თ.ცინცაძე, კლაშაური, ნ.ბეგალიშვილი, ნ.ცინცაძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2013. -ტ.119. -გვ.197-203-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლევულია კავკასიონის ქედის გამყინვარების დინამიკა დაკვირვებათა 1850-1890, 1910-1930, 1960-1965, 1970-1995 და 2002-2005 წლების პერიოდების მონაცემთა მიხედვით. უმეტეს შემთხვევებში დაფიქსირებულია მყინვართა ფართობის შემცირების წრფივი ტრენდები. შეფასებულია მყინვართა დეგრადაციის სიჩქარეები. მიღებულია კლიმატური პროგნოზი, რომლის თანახმად მიმდინარე გლობალური დატბობის ინტენსივობის შენარჩუნების პირობებში მოსალოდნელია კავკასიონის ქედის განთავისუფლება მყინვარული საფარისგან 2150-2160 წლებში.

UDC 551.324/551.583

**DYNAMICS OF FREEZING OF CAUCASUS RANGE ON THE BACKGROUND OF THE EXPECTED CLIMATIC CHANGE AND FORECAST ABOUT ITS DISENGAGEMENT OFF THE GLACIER'S COVER./**V.Tsomaia, N.A.Begalishvili, T.Tsintsadze, K.Lashuri N.N.Begalishvili, N.Tsintsadze /Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.197-203 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ.

The dynamics of glaciers of the Caucasus Range based upon the observational data 1850-1890, 1910-1933, 1960-1965, 1970-1995 and 2002-2005 is studied. In most cases, the linear trend of decreasing the area of glaciers is revealed. The rate of degradation of glaciers is assessed. According to climate forecast in case of maintaining the intensity and the current global warming the Caucasus Range would be completely free of ice to the 2150-2160.

УДК 551.324/551.583

**ВЕКОВАЯ ДИНАМИКА ОЛЕДЕНЕНИЯ НА КАВКАЗЕ И КЛИМАТИЧЕСКИЙ ПРОГНОЗ ИСЧЕЗНОВЕНИЯ ЛЕДНИКОВ В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛЬНОГО ПОТЕПЛЕНИЯ./**В.Ш.Цомаия, Н.А.Бегалишвили, Т.Н.Цинцадзе, К.Лашаური, Н.Н.Бегалишвили, Н.Т.Цинцадзе /Сб. Трудов Института Гидрометеорологии Технического Университета Грузии. -2013. -Т.119. -с. 197-203 -Груз.; Рез. Груз., Анг., Рус.

Проведено исследование динамики оледенения Кавказского хребта по данным наблюдений 1850-1890, 1910-1933, 1960-1965, 1970-1995 и 2002-2005 годов. В большинстве случаев зафиксирован линейный тренд уменьшения площади ледников. Выполнена оценка скорости деградации ледников. Составлен климатический прогноз, согласно которому в условиях сохранения интенсивности современного глобального потепления Кавказский хребет будет полностью освобожден от ледникового покрова в 2150-2160 годах.

უაკ 551.50.501.7

## კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ფონზე კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალის შესწავლა თანამგზავრული მონაცემების საფუძველზე

ლ.შენგელია\*, გ.თვაური\*\*, რ.ჭელიძე\*\*\*, ბ.წიგნაძე\*\*\*,  
ლ.მელაძე\*\*\*, ნ.ხვედელიძე\*\*\*, ნ.მაწკეპლაძე\*\*\*, გ.ბერაძე\*\*\*

\* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

\*\* ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

\*\*\* ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის № 199 საჯარო სკოლა.

*(სტატია შესრულებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ SC/3/9-101/12 პროექტის ფარგლებში)*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის (ხელმძღვანელი გია დვალი) მიერ შემუშავებული კონცეფციის უმნიშვნელოვანესი გზავნილია სასიცოცხლოდ აუცილებელი კავშირი მეცნიერებასა და სკოლას შორის. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ამ კონკურსში გამარჯვებულ პროექტში SC/3/9-101/12 „კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ფონზე კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალის შესწავლა თანამგზავრული მონაცემების საფუძველზე“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი ლარისა შენგელია, თანახელმძღვანელი ფიზიკის მასწავლებელი რამინ ჭელიძე) ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის № 199 საჯარო სკოლის მე-10 კლასის ხუთი მოსწავლე მონაწილეობდა. პროექტის ხანგრძლივობა 3 თვე.


წინამდებარე პროექტის მიზანი იყო თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალისა და კონტურების განსაზღვრა და ვიზუალიზაცია.

პროექტში დასმული ამოცანის გადასაჭრელად გამოვიყენეთ თანამგზავრ TERRA-ს სენსორ ASTER-ის DEM (Digital Elevation Model) რელიეფის ციფრული მოდელი და მყინვარების მონიტორინგის საერთაშორისო პროექტის GLIMS (Global Land Ice Measurements from Space)-ის მსოფლიოს მყინვარების მონაცემთა ბაზა, რომელიც ინტერნეტით არის ხელმისაწვდომი [1, 2].


მუშაობის პროცესში მოსწავლე-მკვლევარებმა გამოიყენეს პროგრამები: Google Earth, VISAT BEAM 4.1 [3], გის-პროგრამა GRASS, ხოლო მონაცემთა ანალიზისთვის და გამოთვლებისათვის Microsoft Excel.

GLIMS-ის მონაცემთა ბაზიდან მოვიპოვეთ მყინვარების კონტურების მონაცემები, რომლებიც 2004 წლის 25 სექტემბრითაა დათარიღებული და შედგენილია 15 მ სივრცითი გარჩევითობის სენსორ ASTER-ის თანამგზავრული სურათის საფუძველზე. მყინვარწვერის მყინვარების კონტურები დავაზუსტეთ Google Earth-ის საშუალებით 2010 წლის 1 სექტემბრით დათარიღებული თანამგზავრული სურათის საფუძველზე, რომლის სივრცითი გარჩევადობა 0.6-1 მ-ს შეადგენს. Google Earth-ის თანამგზავრულ სურათს დავაფინეთ თავდაპირველი კონტური. მყინვარწვერის მყინვარების თავდაპირველი და დაზუსტებული სახე წარმოდგენილია სურ.1-ზე. თვალსაჩინოებისათვის მყინვარების არეალები გაფერადებულია.

კონტურების დაზუსტების აუცილებლობა გამოწვეულია არა მარტო მყინვარის ცვლილებით, არამედ იმიტაც, რომ კონტური ვაგებულება ზედხედით. კონტურის დასაზუსტებლად ჩვენ გამოვიყენეთ 3D გამოსახულება. მყინვარწვერის მყინვარების აკუმულაციის ზონა მთლიანად მიკუთვნებული აქვს გერგეთის მყინვარს, მაშინ როცა, ამ ზონიდან გამოდის სულ მცირე ოთხი სხვა მყინვარი. მყინვარების კონტურების დაზუსტების პროცესში გამოვიყენეთ ASTER DEM-ის საფუძველზე გის-პროგრამა GRASS-ის საშუალებით გამოთვლილი სიმაღლის გრაფიკული მოდელები და იზოხაზები, რომელიც დავაფინეთ რუკას (10 მ და 30 მ ბიჯით) და 3D გამოსახულების საშუალებით დავადგინეთ წყალგამყოფები. წყალგამყოფების საშუალებით დავაზუსტეთ მყინვარების კონტურები (სურ.2).



სურ.1. მყინვარწვერის მყინვარების თავდაპირველი და დაზუსტებული სახე




სურ.2. მყინვარწვერის მყინვარების წყალგამყოფების დასადგენად გამოყენებული ASTER DEM-ის სიმაღლის მიხედვით განაწილების იზოხაზები (ბიჯი 10მ.)

მყინვარწვერის კონტურების დაზუსტების შემდეგ VISAT BEAM პროგრამის გამოყენებით გამოვითვალეთ მყინვარების მახასიათებლები. ცალკეული მყინვარის სიმაღლის მიხედვით განაწილების ჰისტოგრამა და ჰიპსომეტრიული მრუდი. მყინვარების კატალოგში ფირნის ხაზის სიმაღლე გამოთვლილია გეფერის მეთოდით. ფირნის ხაზის სიმაღლის დასადგენად ვისარგებლეთ ამავე მეთოდით, სადაც მყინვარების კატალოგის და ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები გამოვიყენეთ.

თანამგზავრული ინფორმაციის გამოყენებით მიღებულ მყინვარწვერის მყინვარების მახასიათებლებს და იგივე პარამეტრებს მყინვარების კატალოგის ძირითადი ცხრილიდან [4] წარმოვიდგინეთ ცხრილ 1-ის სახით. ცხრილში თვალნათლივ ჩანს მყინვარების მახასიათებლების მნიშვნელობებს შორის სხვაობა დაახლოებით 50-წლიანი პერიოდის განმავლობაში.

ცხრილი 1. მყინვარწვერის მყინვარების მახასიათებლები

| მახას. მყინვ. სახ. | სიგრძე (კმ) |      | ფართ. (კვ.კმ) |      | მინ. სიმაღ. (მ) |      | მაქს. სიმაღ. (მ) |      | ფირნის ხაზი(მ) |      |
|--------------------|-------------|------|---------------|------|-----------------|------|------------------|------|----------------|------|
|                    | მილებ.      | კატ. | მილებ.        | კატ. | მილებ.          | კატ. | მილებ.           | კატ. | მილებ.         | კატ. |
| გერგეთი            | 7.1         | 8.5  | 4.4           | 8.3  | 3168            | 2870 | 4934             | 5030 | 3799           | 3650 |
| მნა                | 2.9         | 4.1  | 2.9           | 4.6  | 3335            | 2860 | 4614             | 4600 | 3717           | 3484 |
| ჭაჭი               | 3.1         | 3.2  | 2.1           | 2.8  | 3292            | 3230 | 4444             | 4430 | 3691           | 3660 |
| მაილი              | 6.2         | 6.2  | 6.5           | 7    | 2490            | 2360 | 4452             | 4600 | 3240           | 3170 |
| დევდორაკი          | 6.5         | 7.3  | 3.7           | 7    | 2543            | 2260 | 5039             | 5030 | 3402           | 3260 |
| აბანო              | 4.4         | 4.1  | 1.4           | 2.0  | 3027            | 2950 | 4980             | 5030 | 3739           | 3700 |



სურ.3. მყინვარწყვერის მყინვარების მახასიათებლების ჰისტოგრამები (ღურჯი – თანამგზავრული მონაცემების, წითელი – კატალოგის მონაცემების მიხედვით)

მნიშვნელოვანია, რომ ყველა შესწავლილი მყინვარის ფართობი შემცირებულია. ასევე შემცირებულა ჯამური ფართობი, რომელიც ჩვენი მონაცემებით 21 კვ.კმ-ია, ხოლო მყინვარების კატალოგის მონაცემებით – 31.7 კვ.კმ. სურ.3-ზე წარმოგიდგენთ მყინვარწყვერის მყინვარების მახასიათებლების ჰისტოგრამებს.

ამგვარად, თანამგზავრული და მყინვარების კატალოგის მონაცემების შედარების საფუძველზე ჩვენს მიერ ფიქსირდება, რომ დაახლოებით 50 წლის განმავლობაში:

- მყინვარწყვერის მყინვარების მინიმალური სიმაღლე და ფირნის ხაზის სიმაღლე იზრდება;
- მყინვარწყვერის მყინვარის სიგრძე და ფართობი, მათ შორის ჯამური – მცირდება;
- მყინვარწყვერის მყინვარების მაქსიმალური სიმაღლე გაზომვის ცდომილების ფარგლებში არ იცვლება, რაც ბუნებრივია.

გრანტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული პირველი და მეორე შედეგი კლიმატის ცვლილებას უნდა უკავშირდებოდეს.

მოსწავლე-მკვლევარების მიერ თანამგზავრული მონაცემების დამუშავების შედეგად დადგენილი მყინვართა მახასიათებლები და მათი მიღების მეთოდოლოგია მომავალში გამოყენებული იქნება ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მყინვარების კვლევისა და კლიმატის მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში [5].

## ლიტერატურა – REFERENCES –ЛИТЕРАТУРА

1. GLIMS: Global Land Ice Measurements from Space, <http://www.glims.org/>
2. Remote Sensing of Glaciers/ Petri Pellikka, Gareth Rees W.. Taylor & Francis Group/London, UK. –2010. –Eng.
3. BEAM, Earth Observation Toolbox and Development Platform, <http://www.brockmann-consult.de/cms/web/beam>.
4. Каталог Ледников СССР/ В.Ш. Цома, О.А. Дробышев/ Гидрометеиздат, Ленинград. –1977. –Т. 8, Северный Кавказ, – с. 21-35. – Рус.
5. კავკასიონის მყინვარებზე კლიმატის თანამედროვე ცვლილების ზემოქმედების შესაფასებლად დისტანციური დაკვირვების ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები/ ლ. შენგელია, გ. კორძაძე, გ. თვაური, თ. დავითაშვილი, ნ. ბეგალიშვილი/ თბილისი: ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ –2012. –№4-6. –გვ.24-28. – ქართ.; რეზ. ინგლ., რუს.

უკ 551.50.501.7

**კლიმატის თანამედროვე ცვლილებების ფონზე კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალის შესწავლა თანამდგრადი მონაცემების საფუძველზე/ ლ. შენგელია, გ. თვაური, რ. ჭელიძე, ბ. წიგნაძე, ლ. მელაძე, ნ. ხვედელიძე, ნ. მაცეკლაძე, გ. ბერაძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.204-207-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

წინამდებარე პროექტის მიზანი იყო თანამდგრადი ინფორმაციის გამოყენებით კავკასიონის ცალკეული მყინვარების არეალისა და კონტურების განსაზღვრა, და ვიზუალიზაცია.

პროექტში დასმული ამოცანის გადასაჭრელად გამოიყენეთ თანამდგრადი TERRA-ს სენსორ ASTER-ის რელიეფის ციფრული მოდელი და მყინვარების მონიტორინგის საერთაშორისო პროექტის GLIMS-ის მსოფლიო მყინვარების მონაცემთა ბაზა. მყინვარწვერის მასივის მყინვარების კონტურების დაზუსტება განვახორციელეთ რელიეფის ციფრული მოდელის და მაღალი სივრცითი გარჩევადობის (0.6-1 მ) თანამდგრადი სურათების საფუძველზე.

მყინვარების კონტურების დაზუსტების შემდეგ განსაზღვრეთ მყინვარების მახასიათებლები და შევადარეთ იგივე პარამეტრებს მყინვარების მსოფლიო კატალოგის ძირითადი ცხრილიდან. მყინვარების მახასიათებლების მნიშვნელობებს შორის სხვაობა კლიმატის ცვლილებას უნდა უკავშირდებოდეს.

UDC 551.50.501.7

|----------------|---|--------------------------|--------------|-------------|----------|----------|---------|
|                | Коэфф. множ. детерминации   | Критерий Дарбина-Уотсона | a            | b           | c        | d        | e       |
| Тбилиси, АОТ   | 0.9   | 1.54                     | -0.000000145 | 0.0000132   | -0.00036 | 0.005443 | -0.0046 |
| Кисловодск, КП | 0.852   | 1.95                     | 0.000000109  | -0.00000738 | 0.000059 | 0.001088 | 0.780   |



На рис. 2 представлена автокорреляционная функция аэрозольной оптической толщи атмосферы в Тбилиси и коэффициента прозрачности в Кисловодске. Как следует из этого рисунка для обоих пунктов автокорреляция в рядах наблюдения проявляется в пяти лагах (лаг=1 году). Это, по всей видимости, связано с тем, что в Тбилиси (город с высоким уровнем индустриального загрязнения атмосферы) и Кисловодске (курортный город с относительно чистой атмосферой) на уровень общего загрязнения атмосферы помимо местных факторов оказывали существенное влияние внешние, из года в год усиливающиеся внешние (глобальные) факторы загрязнения воздуха (интенсивный рост промышленности в бывшем СССР, Европе, Азии и др.).

На рис. 3 представлена периодограмма аэрозольной оптической толщи атмосферы в Тбилиси и коэффициента прозрачности атмосферы в Кисловодске. Как видно из рис. 3 пики периодичности общего уровня загрязнения атмосферы для обоих пунктов близки друг к другу и примерно составляют 5 лет.

На рис. 4 изображены данные реальных измерений АОТ в Тбилиси и КП в Кисловодске, а также кривые тренд+фон и случайных составляющих аэрозольной оптической толщи атмосферы и коэффициента прозрачности атмосферы. В таблице представлены значения коэффициентов регрессии тренда для обоих пунктов.

Уравнение регрессии для обоих городов имеет вид полинома четверной степени. Следует отметить, что коэффициент линейной корреляции между случайными компонентами временных рядов АОТ и КП равен примерно 0.06 (незначимая корреляция). В Грузии значения коэффициента корреляции по значениям случайной составляющей временного ряда АОТ между Тбилиси и указанными выше 5 пунктами измерений (Телави и т.д.) менялись в диапазоне 0.46-0.61 (значимая корреляция). То есть, высокая корреляция по уровню аэрозольного загрязнения атмосферы между Тбилиси и Кисловодском главным образом обусловлена переменными составляющими трендов АОТ и КП, имеющими сходную динамику. Здесь же следует отметить, что доля слу-

чайной составляющей от реальных значений АОТ в Тбилиси в среднем составляет 32.4 %, тогда как то же самое в Кисловодске для КП – всего лишь 2.6 %. То есть в Кисловодске, в отличие от Тбилиси, роль случайной составляющей тренда КП в ее изменчивости чрезвычайно мала. В дальнейшем нами предусмотрено провести подобный сравнительный анализ изменчивости КП в Кисловодске и АОТ в остальных пяти указанных выше бывших актинометрических пунктах наблюдений.

Таким образом, в целом динамика аэрозольного загрязнения общей толщи атмосферы в Тбилиси и Кисловодске мало отличается друг от друга. Результаты работы могут найти применение для долговременной прогностической оценки аэрозольного загрязнения атмосферы методами математической статистики. Кроме этого, учитывая, что в отличие от России, с начала девяностых годов прошлого столетия по настоящее время в Грузии Гидрометеорологической службой регулярные актинометрические наблюдения не ведутся (исключением являются не обсерваторские измерения прямой солнечной радиации в Тбилиси в Институте геофизики им. М.Нодия, проводимые с июня 2009 г. по сей день [17]) в будущем по данным о коэффициенте прозрачности в Кисловодске можно будет восстановить значения аэрозольной оптической толщи атмосферы в Тбилиси и других бывших актинометрических пунктах наблюдения за последние 20 лет.

### ლიტერატურა-REFERENCES- ЛИТЕРАТУРА

1. Таваркиладзе К.А. – Моделирование аэрозольного ослабления радиации и методы контроля загрязнения атмосферы. Мецниереба, Тбилиси, 1989, 203 с.
2. Amiranashvili A., Amiranashvili V., Tavartkiladze K., Laulainen N. – Monitoring of Aerosol Pollution in Georgia. Trans. of the Institute of Hydrometeorology of Acad. of Sc. of Georgia, ISSN 1512-0902, vol. 108, Tbilisi, 2002, pp. 19-23, ( in Georgian).
3. Кортунова З.В., Поволоцкая Н.П. – Многолетний ход оптической прозрачности атмосферы в Кисловодске. Сб. докл. Второй межд. конф. “Состояние и охрана воздушного бассейна и водно-минеральных ресурсов курортно-рекреационных регионов”, Кисловодск, 8-14 октября, 2000, 92 – 94.
4. Amiranashvili A., Amiranashvili V., Tavartkiladze K. – Dynamics of the aerosol pollution of the atmosphere in Georgia in 1956-1990. J.Aerosol Sci, Pergamon, vol.30, Suppl.1, 1999, S667-S668.
5. Amiranashvili A., Amiranashvili V., Khurodze T., Tavartkiladze K., Tsitskishvili M. - Some Characteristics of the Aerosol Pollution of the Atmosphere Over the Territory of Kakheti in the Warm Season. Proc.Int.Conf. Dedicated to Memory of Prof.A.Sutugin, Moscow, Russia, June 26-30, 2000, 128-129.
6. Amiranashvili A., Amiranashvili V., Tavartkiladze K., Gabedava V. – Spatil-temporary Characteristics of the Aerosol Pollution of the Atmosphere in Georgia. Proc. 1<sup>st</sup> Int. Conf. on Ecology and Environmental Management in Caucasus, Georgia, October 6-7, Tbilisi, 2001, 57-58.
7. Amiranashvili A., Amiranashvili V., Tavartkiladze K. – Some Characteristics of the Aerosol Pollution of Atmosphere in Eastern Georgia. Proc. 3-rd Int. Conf. "State and the Conservation of Air Pond and Water-Mineral Resources of Health Resort-Recreational Regions", Kislovodsk, 21-24 April 2003, pp. 17-18, (in Russian).
8. Amiranashvili A.G., Amiranashvili V.A., Gzirishvili T.G., Kharchilava J.F., Tavartkiladze K.A. – Modern Climate Change in Georgia. Radiatively Active Small Atmospheric Admixtures. Institute of Geophysics, Monograph, Trans. of M.Nodia Institute of Geophysics of Georgian Acad. of Sci., ISSN 1512-1135, vol. LIX, Tbilisi, 2005, 128 p.
9. Tavartkiladze K., Begalishvili N., Kharchilava J., Mumladze D., Amiranashvili A., Vachnadze J., Shengelia I., Amiranashvili V. – Contemporary Climate Change in Georgia. Regime of Some Climate Parameters and their Variability. Georgian Acad. of Sc., Inst. of Geography, Geophysics and Hidrometeorology, Monograph, ISBN 99928-885-4.7, Tbilisi, 2006, 177 p., (in Georgian).
10. Tavartkiladze K, Shengelia I., Amiranashvili A., Amiranashvili V. – The influence of relative humidity on the optical properties of atmospheric aerosols. J.Aerosol Sci, Pergamon, vol.30, Suppl.1, 1999, S639-S640.
11. Tavartkiladze K.A., Amiranashvili A.G. - The Influence of Relative Humidity on the Changeability of the Atmospheric Aerosol Optical Depth. Proc. 17<sup>th</sup> Int. Conf. on Nucleation & Atmospheric Aerosols, Galway, Ireland, 13-18 August 2007, pp. 761-765.
12. Amiranashvili A., Amiranashvili V., Tavartkiladze K.- Aerosol Pollution of the Atmosphere and Its Influence on Direct Solar Radiation in Some Regions of Georgia. Proc.15th Int. Conf. on Nucleation and Atmospheric Aerosols, Rolla, Missouri, USA, 2000, August, 6-11, AIP, Conference Proc., vol.535, Melville, New York, 2000, pp. 605-607.

13. Amiranashvili A.G., Amiranashvili V.A., Kirkitadze D.D., Tavartkiladze K.A. - Some Results of Investigation of Variations of the Atmospheric Aerosol Optical Depth in Tbilisi. Proc. 16<sup>th</sup> Int. Conf. on Nucleation&Atmospheric Aerosols, Kyoto, Japan, 26-30 July 2004, pp. 416-419.
14. Amiranashvili A.G., Amiranashvili V.A., Kirkitadze D.D., Tavartkiladze K.A. - Connection Between Atmospheric Aerosol Optical Depth and Aerosol Particle Number Concentration in the Air in Tbilisi. Proc. 17<sup>th</sup> Int. Conf. on Nucleation&Atmospheric Aerosols, Galway, Ireland, 13-18 August 2007, pp. 865-870.
15. Amiranashvili A.G., Amiranashvili V.A., Kirkitadze D.D., Tavartkiladze K.A. - Weekly Distribution of the Aerosol Pollution of the Atmosphere in Tbilisi. Proc. 17<sup>th</sup> Int. Conf. on Nucleation&Atmospheric Aerosols, Galway, Ireland, 13-18 August 2007, pp. 756-760.
16. Kendall M.G. - Time-series, Moscow, 1981, 200 p., (in Russian).
17. ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ. – ფოტოქიმიური სმოგი თბილისში. მონოგრაფია, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები, ISSN 1512-1135, ტ. LXIII, თბილისი, 2012, 160 გვ.

უაკ 551.510.42

**ატმოსფეროს აეროზოლური ღაბიბაშრბის დინამიკა თბილისში და კისლოვოდსკში** / ამირანაშვილი ა., თავართქილაძე კ., კირილენკო ა., კორტუნოვა ზ., პოვოლოცკაია ნ., სენიკი ი./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013. -ტ. 119. - გვ.218-221- რუს.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია თბილისში ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის და კისლოვოდსკში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტის მნიშვნელობების დროითი რიგების სტატისტიკური სტრუქტურა 1941-1990 წწ. აღნიშნულ პარამეტრებს შორის აღინიშნება მაღალი წრფივი კორელაცია (-0.85). ატმოსფეროს დაბინძურების სტატისტიკური სტრუქტურა და დინამიკა (მეოთხე ხარისხის პოლინომები) ორივე ქალაქში ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გასული საუკუნის 90-ნი წლების შემდეგ რეგულარული აქტინომეტრული დაკვირვებები აღარ წარმოებს, მომავალში შესაძლებელია ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის მნიშვნელობების აღდგენა თბილისში კისლოვოდსკში ატმოსფეროს გამჭვირვალობის კოეფიციენტის მნიშვნელობების მიხედვით ბოლო 20 წლის განმავლობაში.

UDC 551.510.42

**DYNAMICS OF THE AEROSOL POLLUTION OF ATMOSPHERE IN TBILISI AND KISLOVODSK** / Amiranashvili A., Tavartkiladze K., Kirilenko A., Kortunova Z., Povolotskaia N., Senik I./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. - т.119. – pp.218-221. - Russ.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

The statistical structure of time series of the values of the aerosol optical thickness of the atmosphere in Tbilisi and coefficient of transmission of the atmosphere in Kislovodsk in the period from 1941 through 1990 is studied. High linear correlation (-0.85) is noted between the indicated parameters. Statistical structure and dynamics of the pollution of atmosphere in both cities differs little from each other (polynomials of the fourth power). Taking into account that in Georgia after the beginning of the ninetieth years of past century the regular actinometric observations were not conducted, in the future is possible the restoration of the values of the aerosol optical thickness of the atmosphere in Tbilisi in the last 20 years according to the data about the transmission coefficient in Kislovodsk.

УДК 551.510.42

**ДИНАМИКА АЭРОЗОЛЬНОГО ЗАГРЯЗНЕНИЯ АТМОСФЕРЫ В ТБИЛИСИ И КИСЛОВОДСКЕ** / Амيرانашвили А.Г., Таварткиладзе К.А., Кириленко А.А., Кортунова З.В., Поволоцкая Н.П., Сеник И.А./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2013. – т.119. – с.218-221. – Рус.; Рез. Груз., Англ., Рус.

Изучена статистическая структура временных рядов значений аэрозольной оптической толщи атмосферы в Тбилиси и коэффициента прозрачности атмосферы в Кисловодске в период с 1941 по 1990 гг. Между указанными параметрами отмечается высокая линейная корреляция (-0.85). Статистическая структура и динамика загрязнения атмосферы в обоих городах мало отличается друг от друга (полиномы четвертой степени). Учитывая, что в Грузии после начала девяностых годов прошлого столетия регулярные актинометрические наблюдения не проводились, в будущем возможно восстановление значений аэрозольной оптической толщи атмосферы в Тбилиси за последние 20 лет по данным о коэффициенте прозрачности в Кисловодске.

შპს 656.13

## ქალაქ თბილისის ატმოსფერულ ჰაერზე ავტოტრანსპორტის ნაკადის ბავლინის ეკოლოგიური ასპექტი

ნ.ვაშაყმაძე\*, ნ.ნასყიდაშვილი\*, დ.შავლაძე\*\*, ნ.ბეგლარაშვილი\*

\* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

\*\* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

თბილისი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი, ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქია საქართველოში. მისი მოსახლეობა 1.152.500-ია, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 30%-ს შეადგენს. ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა სატრანსპორტო ნაკადიც.


თბილისის სატრანსპორტო სექტორის არსებული და მომავალში შესაძლო პრობლემები ნაწილობრივ ქალაქის ურბანულ მორფოლოგიას უკავშირდება. თბილისს აქვს ზოლისებრი ფორმა გაშლილი გრძივი ვექტორის გასწვრივ ორი პარალელური ბარიერი: ბუნებრივი – მდინარე მტკვარი და ხელოვნური - რკინიგზა. ეს ბარიერები აფერხებენ ავტომობილების მოძრაობას, რამდენადაც მანქანებმა უნდა გადაკვეთონ ამ ბარიერებით შემქმნილი ურბანული საზღვრები და შედეგად ფერხდება ჰაერის დამაბინძურებლების დისპერსია. დედაქალაქი გარშემორტყმულია მთებით, რაც კიდევ ართულებს ტრანსპორტის მოძრაობას.

ტრანსპორტის მოძრაობა ყველაზე ინტენსიური ქალაქის ცენტრშია – ვაკის, ვერის, მთაწმინდის, დიდუბისა და საბურთალოს რაიონებში. ქალაქში რამდენიმე მთავარი გამზირია და მრავალი მეორხარისხოვანი ქუჩა. პარალელური გზების საფარი ჯერ მაინც უხარისხოა და ამასთან ერთად, მათი უმეტესობა ვიწროა, რაც ხშირად აფერხებს მანქანების ნაკადს.


1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისა და ეკონომიკური აქტივობის დასუსტების შემდეგ, ტრანსპორტის სექტორის წვლილი ჰაერის დაბინძურებაში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა, 1993 წლიდან ტრანსპორტის სექტორმა აღორძინება დაიწყო და ქალაქებში მდგომარეობა ემისიის მხრივ კვლავ გაუარესდა. თბილისის ტრანსპორტის სექტორის შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა, ქალაქში გაიზარდა კერძო, განსაკუთრებით, უცხოეთიდან შემოტანილი მეორადი მანქანების რიცხვი. ინტენსიური მოძრაობის გამო ქალაქში გახშირდა სატრანსპორტო საცობები და მეტად დაბინძურდა ჰაერი.

თბილისის შიგნით რეგულარული მგზავრების მოძრაობა წელიწადში სულ 7544 მილიონ მგზავრ-კილომეტრს შეადგენდა, აქედან 73% კერძო მანქანებით სრულდება, 27% კი – საზოგადოებრივი ტრანსპორტით. საზოგადოებრივი ტრანსპორტით შესრულებული მგზავრ-კილომეტრების რაოდენობის თითქმის 50.3% მინი-ავტობუსებზე მოდის, 25.1% - ავტობუსებზე და 24.6% - მეტროზე. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია თბილისის ტრანსპორტის ტიპების დაყოფა 2009 წლის მონაცემებით.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის არაეფექტურობის გამო მოსახლეობისა და მშპ-ს ზრდას შედეგად მოყვა კერძო ავტომობილების პარკის ზრდა. 2000 წელს ყოველ 1000 მცხოვრებზე 80 საკუთარი მანქანა მოდიოდა, 2005 წელს კი ეს რიცხვი 100-მდე გაიზარდა. 2009 წლისთვის კერძო ავტომობილების პარკმა (ტაქსების ჩათვლით) 233,187 შეადგინა [1]. კერძო ავტომობილების პარკის ზრდასთან ერთად ეკოლოგიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ამ ავტომობილების ასაკი და მათი ტექნიკური მდგომარეობა. მოსახლეობაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს დიდი ზომის ავტომობილები (ე.წ. ჯიპები). ოფიციალური სტატისტიკა სამგზავრო ავტომობილების მოძრაობასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი არ არის. ამ სექტორში მგზავრების მობილურობის განსაზღვრის მიზნით გამოიყენებულ იქნა სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები და ექსპერტთა მოსაზრებები. SYSTRA-ს მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ მანქანების საშუალო დატვირთვა დაახლოებით 1.85 ადამიანია ერთ ავტომობილზე, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ჭარბი რაოდენობის დიდი წონის მანქანებისა და მოუწესრიგებელი გზების/მოძრაობის ქსელის გათვალისწინებით ჩატარებულმა შეფასებამ აჩვენა, რომ ერთი კერძო მანქანის მიერ საწვავის მოხმარება დაახლოებით 12 ლიტრია 100 კმ-ზე, ხოლო დღის განმავლობაში ერთი მანქანის მიერ გავლილი მანძილი საშუალოდ 35 კმ-ია.



ნახ.1. თბილისში მოძრავი ტრანსპორტის ტიპები. BEI 2009



ნახ.2. 2009 წლისთვის საქართველოს მანქანების პარკის სტრუქტურა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

რადგან ჯერ არ არსებობს შეზღუდვები ავტომობილების ექსპლუატაციის ვადასთან დაკავშირებით, ქალაქში მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპიდან შემოყვანილი ნახმარი მანქანების რაოდენობა. 2009 წლისთვის მანქანების 41% 20 წელზე მეტი ხნის (ასაკის) იყო. უმეტეს შემთხვევაში უცხოეთიდან შემოყვანილ მანქანებს მავნე გაზების გამანეიტრალბელი კატალიზური გარდამქმნელები დაზიანებული ან ამოცლილი აქვთ, რათა არ შეიზღუდოს მათ მიერ ტყვიანარევი ბენზინის გამოყენება, რომელიც უფრო ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში და ტყვიამოცლილ ბენზინზე გაცილებით იაფია. საბჭოთა მანქანების წილი ჯერ კიდევ დიდია ქართულ ბაზარზე, თუმცა იგი თანდათან კლებულობს.


მობილური წყაროების მავნე გამონაბოლქვების მოცულობის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია საწვავის ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აკრძალულია ეთილირებული ბენზინის გამოყენება, ოქტანური რიცხვისა და შესაბამისად შემოსავლის გაზრდის მიზნით, მაინც ხდება ტყვიისა და სხვა მავნე მინარეგების დამატება ბენზინებზე, საბითუმო და საცალო გასაღების ადგილებზე.

გაზომვების შედეგად სარეალიზაციო საწვავში ტყვიის შემცველობა, საშუალოდ 50 მგ/ლ-ის ტოლი აღმოჩნდა. ეს მაჩვენებელი თითქმის 4-ჯერ აღემატება კანონით დაშვებულ ნორმას 13 მგ/ლ-ს. ავტოტრანსპორტიდან გაფრქვეული ტყვიის კონცენტრაცია მერყეობს 0,4-2,9 მკგ/მ<sup>3</sup>-ის ფარგლებში 1 კვადრატული კილომეტრის მონაკვეთზე.

ბრიტანული კომპანიის AEA Technology-ის ექსპერტთა მიერ შეფასდა თბილისის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალაქის ზოგიერთ უბნებში მაკვნივითიერებათა შემცველობა საგრძნობლად აღემატება ევროკავშირის ნორმებს, განსაკუთრებით კი მაღალია ბენზოლის კონცენტრაციები.

ექსთვიანი გაზომვების შედეგების მიხედვით აზოტის ორჟანგის მაქსიმალური კონცენტრაციები აღინიშნა სააგრომობილო გზის პირას (აღმაშენებლის გამზირი) და ქალაქის ცენტრალურ უბნებში (ტოვსტონოვოვის ქუჩა). ეს მნიშვნელობები დაახლოებით 2-ჯერ აღემატებოდა ევროკავშირის საშუალო წლიურ ნორმებს. ასევე მაღალი იყო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონე სართიჭაღის მონაკვეთზე, ისნის რაიონში. ვაკე-საბურთალოსა და ნაძალადევის რაიონებში აზოტის ორჟანგის ატმოსფერული კონცენტრაციები ევროკავშირის ნორმებზე დაბალი იყო, რაც შეეხება გოგირდის ორჟანგის კონცენტრაციებს, მისი შემცველობა ჰაერში საკმაოდ დაბალია, რაც მიუთითებს იმაზე რომ მოხმარებული საწვავი არ შეიცავს გოგირდს.

ბენზოლის კონცენტრაცია განისაზღვრა აღმაშენებლის გამზირზე და ქალაქის ცენტრალურ უბნებში. აღმაშენებლის გამზირზე ამ ნივთიერების კონცენტრაცია 7-ჯერ აღემატება ევროკავშირის ნორმას, ხოლო ქალაქის ცენტრალურ უბნებში - ორჯერ. ასევე ევროკავშირის ნორმას აღემატება მტვრის კონცენტრაციაც. ეს მონაცემები სრულად ეთანადება ჰიდრომეტეოპარტამენტის გარემოს ფონური მონიტორინგის ცენტრის წლის მონაცემებს მტვრის საერთო წლიური კონცენტრაციების შესახებ. მოცემული მაჩვენებლების მიხედვით ამ წლებში მტვრის კონცენტრაცია აღემატებოდა ევროკავშირის ნორმებს. ოზონის მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც ზოგადად აღემატებოდა ევროკავშირის ნორმას, დაფიქსირდა თბილისის ზღვაზე, მინიმალური ქალაქის ცენტრში (ტოვსტონოვოვის ქუჩა). გარეუბნებში კონცენტრაციები მერყეობდა ექსტრემალურ მნიშვნელობებს შორის, აქედან მაქსიმალური სიდიდე დაფიქსირდა ჩარგალის ქუჩაზე. ამ ნივთიერებების განსაკუთრებით მაღალი შემცველობა აღინიშნა ივნისისა და ივლისის თვეებში, როდესაც დღეების უმრავლესობა იყო მზიანი და ცხელი.



ნახ. 3. დაგაზიანება და მოძრაობის ინტენსივობა რუსთაველის გამზირსა და ბარნოვის ქუჩაზე (მრგვალი ბადი), 1990-2010.



ავტოტრანსპორტის გაფრქვეული მანე ნივთიერებების საერთო რაოდენობა შეადგენდა 168 ათას ტონას, რაც გაანგარიშებულია ქალაქში მოხმარებული საწვავის მიხედვით და რომელშიც არ შედის ისეთი დამატუქიანებელი ნივთიერებები როგორცაა მძიმე ლითონები (Cu, Zn, Cd, Pb), რომელთა კონცენტრაციის მატების ტენდენცია შეინიშნება უკანასკნელ წლებში და დაკავშირებულია ავტოტრანსპორტის ინტენსიურ მოძრაობასთან.

თბილისის ატმოსფერულ ჰაერში ავტომობილის გამონაბოლქვისა და მოძრაობის ინტენსიობას შორის კავშირის დადგენის მიზნით შევისწავლეთ აგრეთვე ნახშირის მონოქსიდის კონცენტრაცია თბილისში ავტოტრანსპორტის მოძრაობის სხვადასხვა ინტენსიობის ქუჩებზე. კერძოდ მაღალი ინტენსიობის ქუჩად ავირჩიეთ რუსთაველის პროსპექტი (ოპერასთან) და დაბალი ინტენსიობის ქუჩად აბაშიძის ქუჩა (მრგვალ ბაღთან). ეს წერტილები შერჩეული იქნა იმის გამო რომ გარემოს დაცვის ინსტიტუტი 1990 წლიდან ახდენდა დაკვირვებებს სწორედ ამ წერტილებში. ჩვენს მიერ შესწავლილია ნახშირის მონოქსიდის კონცენტრაციასა და მოძრაობის ინტენსიობას შორის დამოკიდებულება 2001-2012 წლებში. ჰაერის სინჯებს აღნიშნულ წერტილებში ვიღებდით რეზინის კამერებით და ნახშირის მონოქსიდის კონცენტრაციას ვსაზღვრავდით ქრომატოგრაფიულად, ქრომატოგრამ Gas-xrom 3101-ზე. ნახაზზე 3.6 მოცემულია დაგაზიანებისა და მოძრაობის ინტენსიობას შორის დამოკიდებულების მრუდი. შესადარებლად აღებულია ტრანსპორტის მაღალი ინტენსიობის (რუსთაველის გამზირი 2500-3000 ეკიპ/სთ) და შედარებით დაბალი ინტენსიობის (აბაშიძის ქუჩა 1000 ეკიპ/სთ) ქუჩები. როგორც მრუდიდან ჩანს, ნახშირბადის მონოქსიდის კონცენტრაცია მოძრაობის ინტენსიობის პროპორციულად იზრდება.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ვაშაკმაძე ნ.-თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება თხევადი საწვავის ციკლითური ფილტრის დამუშავების შედეგად. VI საერთაშორისო კონფერენცია „ჰაერი 2010“, სანკტ-პეტერბურგი, 2010, გვ.16-20.
2. თუშიშვილი მ. -ტრანსპორტის მდგრადი განვითარება, კონფერენცია საქალაქო ტრანსპორტის მდგრადი განვითარება. კიშინოვი, 2008, გვ.29-30.

შპკ 656.13

**ქალაქ თბილისის ატმოსფერულ ჰაერში ავტოტრანსპორტის ნაკადის გავლენის ეკოლოგიური ასპექტი/ნ.ვაშაკმაძე, ნ.ნასკიდაშვილი, დ.შავლაძე, ნ.ბეგლარაშვილი/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული.-2013,-ტ.118. გვ.222-225- ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.**

შესწავლილია თბილისის ატმოსფერულ ჰაერზე ავტოტრანსპორტის გავლენა მოსახლეობის სიმჭიდროვის, ავტოტრანსპორტის ნაკადის მოხმარებული ბენზინის რაოდენობის და ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია კორელაციური კავშირი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და ავტოტრანსპორტის ნაკადის ინტენსიობასთან.

UDC 656.13

**ENVIRONMENTAL ASPECT OF IMPACT OF ATMOSPHERIC AIR ON THE FLOW OF TRANSPORT IN TBILISI CITY/ Vashakmadze N., Naskidashvili N., Shavladze D., Beglarashvili N./Transaction of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University.-2013,-T.118. pp.222-225- Georg. Summ. Georg., Eng., Russ.**

Investigated the influence of transport of atmosphere in Tbilisi city with consideration population density, traffic flow, amount of fuel consumed and geographical location of the city. Based on the investigation was established the correlation between pollution of the atmospheric air and the intensity of the flow of transport.

УДК 656.13

**ЭКОЛОГИЧЕСКИЙ АСПЕКТ ВЛИЯНИЯ АВТОТРАНСПОРТА НА АТМОСФЕРНЫЙ ВОЗДУХ Г. ТБИЛИСИ/ Вашакмадзе Н.А., Наскидашвили Н.И., Шавладзе Д.М., Бегларашвили Н.Г./Труды Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии.-2013.-т.118.-с.222-225. -Груз., Рез. Груз., Анг., Рус.**

Изучено влияние потока автотранспорта на атмосферный воздух г. Тбилиси с учетом плотности населения, количества потребляемого автотранспортом бензина и географического местоположения города. На основе проведенного исследования установлена корреляционная связь между загрязнением атмосферного воздуха и интенсивностью потока автотранспорта.

შაკ 581.

### სოჭის ფორმაციებში ატმოსფერული ნახშირბადის (C-CO<sub>2</sub>) მარაგების დადგენა (ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონის მაბალითზე)

ნაკაიძე ე.\* ვაჩნაძე გ.\* წერეთელი გ.\*\* ტიგინაშვილი ზ.\*\*\*

\*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისასვილის სატყეო ინსტიტუტი,

\*\*მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი

\*\*\* საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო

მსოფლიოს მასშტაბით მრეწველობის (განსაკუთრებით ქიმიური), ატომური ელექტრო სადგურების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და სხვა დარგის ინტენსიურმა განვითარებამ გარემოს მნიშვნელოვანი ტექნოგენური გაბინძურება გამოიწვია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახშირბადის დიოქსიდის როლი. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ფრიად საშიში ე.წ. “სათბურის ეფექტის” წარმოქმნას.

გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციამ (UNCED) მნიშვნელოვნად ჩათვალა ყველა სახის ტყის მდგრადი განვითარების აუცილებლობა. იგი მოუწოდებს ღონისძიებების გატარებას, როგორც სასათბურე აირების ანთროპოგენური ამოფრქვევის შემცირების, ასევე CO<sub>2</sub>-ის შთანთქმის გაძლიერების მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა და გამოირჩევა თავისი ბიომრავალფეროვნებით, ჩვენში ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა ტყის ეკოსისტემების როლი ნახშირბადოვან ციკლში ნაკლებადაა შესწავლილი. საქართველოს ტყის ეკოსისტემებსა და მის ცალკეულ კომპონენტებში ნახშირბადის შთანთქმის პროცესების შესწავლის გარეშე შეუძლებელია მსჯელობა ტყეების როლზე ნახშირბადის გლობალურ ციკლში.

საქართველოს ტყის ეკოსისტემებიდან ჩვენი არჩევანი შევანერეთ კავკასიური სოჭის ტყეებზე. 2006 წლის მონაცემებით მათი საერთო ფართობი 168 589 ჰექტარია, ხოლო მერქნის მარაგი 67220.4 ათასი მ<sup>3</sup> [1].

**კვლევის მეთოდიკა.** მესხეთ-ჯავახეთის სატყეო სამმართველოს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბანზე სოჭნარების მიერ ატმოსფეროდან შთანთქმული ნახშირბადის (C-CO<sub>2</sub>) მარაგების შეფასება მოხდა სატყეო დარგში აპრობირებული კონვერსიულ-მოცულობითი მეთოდით, რომელიც ორიენტირებულია ტყეების აღრიცხვის სახელმწიფო მასალებზე.

საქართველოს ტყის ფონდის ერთიანი აღრიცხვის მასალებში არ არის ქვეტყის, მოზარდისა და ნიადაგის ცოცხალი საფარის ფიტომასის მარაგების მონაცემები. აგრეთვე არ არის ტყის მკვდარი საფარის მარაგებისა და ნიადაგის ჰუმუსის მონაცემები. ტყის ყველა ამ კომპონენტის მარაგების განსაზღვრა აუცილებელია ტყის, როგორც ცენოზის ფიტომასის საერთო მარაგისა და მასში შთანთქმული ნახშირბადის შემცველობის დასადგენად. აღნიშნული ტყის კომპონენტების ფიტომასის დადგენა მოხდა დროებით სანიმუშო ფართობებზე უბნობრივ-ალომეტრიული (ტაქსაციური) აღრიცხვის მეთოდით [2].

სანიმუშო ფართობები (0,25 ჰა) აღებული იყო ყველაზე უფრო დამახასიათებელ ტყის ტიპებში (მკვდარსაფრიან და მჟავიან სოჭნარებში). შესწავლილი იყო კორომის შემადგენლობა, სისშირე, ხნოვანება, საერთო მარაგი. ამიერკავკასიის ძირითადი ტყისშემქმნელი სახეობების უთანრიგო მასობრივი ცხრილების დახმარებით განისაზღვრა კორომის ცალკეული ფრაქციების (ღერო, ტოტი, წიწვი) ბიომასის მარაგები, მათი პროცენტული შემცველობა. მოპოვებული მონაცემები შეჯერებული იქნა კონკრეტული უბნის ტყეთმომწიფობის მასალებთან. ნახშირბადის მარაგი განისაზღვრა მოხდა ზამოლონიკოვისა და სხვ. მიხედვით [3].

ნიადაგში და ტყის მკვდარი საფარის ბიომასა და დეპონირებული ნახშირბადის მარაგი განისაზღვრა სატყეო-ნიადაგმცოდნეობაში მიღებული მოცულობითი მეთოდით [4;5].

საკვლევი ობიექტის შერჩევა და სანიმუშო ფართობების დახასიათება. ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში კვლევის ობიექტები შერჩეული იყო მუქწიწვოვანების გავრცელების ქვედა (ახალდაბა, ნეძვის ხეობა. მომწიფარ სოჭნარებში (სან. ფარ. №3 და №14) და ზედა (ბაკურიანში მწიფე (სან.ფარ. №4) ზონებში. სანიმუშო ფართობების მოკლე დახასიათება მოტანილია ცხრილი 1-ში.

**სოჭის კორომებსა და მის ცალკეულ კომპონენტებში შთანთქმული ნახშირბადის მარაგები.**  
 ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონის სოჭნარების ბიომასისა და ჰაერიდან შთანთქმული და ფიტომასაში დეკონირებული ნახშირბადის მარაგების განსაზღვრა მოხდა კონვერსიულ - მოცულობითი მეთოდის მიხედვით.

**ცხრილი 1. სანიმუშო ფართობების მოკლე დახასიათება**

| სან. ფარ. № | სანიმუშო ფართობების აღების ადგილი | სიმაღლე ზ.დ. მ-ში | ექსპოზ. დაქანება | შემადგენლობა | სიხშირე | ხნოვანების კლასი | ბონიტეტის კლასი | კორომის საშ. სიმაღლე მ | საშუალო დიამეტრი, სმ | ტყის ტიპი    | მკვლ.სი სქე. სმ |
|-------------|-----------------------------------|-------------------|------------------|--------------|---------|------------------|-----------------|------------------------|----------------------|--------------|-----------------|
| 3           | ნეძვისხეობა, ახალდაბა             | 900               | ჩ.ა. 10-15°      | 7 სჭ. 3. ნძ  | 0.9     | VII              | II-III          | სჭ. 28 ნძ. 25          | 37 29                | მკვდ სფრ.    | 8-9             |
| 4           | ახალდაბა, ნეძვის ხეობა            | 900               | ჩ.დ. 5-10°       | 8 სჭ. 2. ნძ  | 0.5     | VIII             | II              | სჭ. 27 ნძ. 19          | 42 20                | მუავ ელი ანი | 5-6             |
| 14          | ბაკურიანი                         | 1750              | ს.დ. 15-20°      | 10სჭ.+ ნძ.   | 0.9     | VII              | II              | 26                     | 38                   | მკვდ სფრ.    | 9-10            |

**ცხრილი 2. ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში სოჭნარების ფიტომასისა და შთანთქმული ნახშირბადის მარაგები ცალკეული ფრაქციებისა და ხნოვანების ჯგუფების მიხედვით აბსოლუტურ მშრალ წონაში, ათას ტონებში**  
*ფიტომასა*  
*ნახშირბადი*

| კორომის ხნოვანების ჯგუფი, ფართობი, ჰა | მერქნის მარაგი მ³ | სოჭნარების ფიტომასა და შთანთქმული ნახშირბადის მარაგი |          |          |           |           |                    |                             |
|---------------------------------------|-------------------|--|----------|----------|-----------|-----------|--------------------|-----------------------------|
|                                       |                   | მერქნის ბიომასა                                      |          |          | წიწვი M/C | ფესვი M/C | სულ სოჭნარებში M/C | სა ფიტომასა ნახშირბადი ტ/ჰა |
|                                       |                   | დეკონირებული ნახშირბადი                              | ღერო M/C | ტოტი M/C |           |           |                    |                             |
| ახალგაზრდა 27                         | 4,5               | 1,57   | 0,460    | 2,03     | 0,25      | 0,393     | 2,67               | 98,93                       |
|                                       |                   | 0,79   | 0,23     | 1,02     | 0,110     | 0,196     | 1,33               | 49,11                       |
| შუახნოვანი 315                        | 86,4              | 30,24  | 9,95     | 40,19    | 4,66      | 7,56      | 52,41              | 166,37                      |
|                                       |                   | 15,12  | 4,98     | 20,10    | 2,10      | 3,780     | 25,98              | 82,46                       |
| მომწიფარი 557                         | 250,1             | 87,54  | 28,27    | 115,81   | 13,13     | 21,88     | 150,82             | 270,78                      |
|                                       |                   | 43,77  | 14,14    | 57,91    | 5,91      | 10,943    | 74,76              | 130,22                      |
| მწიფე 2369                            | 1336,0            | 467,60   | 143,55   | 611,15   | 70,14     | 166,90    | 798,19             | 336,93                      |
|                                       |                   | 233,80   | 71,77    | 305,57   | 31,56     | 58,45     | 395,58             | 166,98                      |
| მწიფეზე უხ-ნესი 258                   | 159,4             | 55,79  | 15,34    | 71,13    | 8,37      | 13,95     | 93,45              | 362,19                      |
|                                       |                   | 27,89  | 7,67     | 35,56    | 3,76      | 6,97      | 46,29              | 179,46                      |
| სულ სოჭ-ბი 3526                       | 1836,4            | 642,74   | 197,57   | 840,31   | 96,55     | 160,69    | 1097,55            | 311,24                      |
|                                       |                   | 321,37   | 98,79    | 420,16   | 43,44     | 80,34     | 543,94             | 154,27                      |

ბიომასისა და ნახშირბადის ყველაზე მაღალი მარაგით გამოირჩევა მწიფე სოჭნარები (2369 ჰა) სადაც კორომის ფიტომასაში არსებული ნახშირბადის მარაგი 395.58 ათას ტონას შეადგენს. ფრაქციების მიხედვით იგი შემდეგნაირად ნაწილდება: ნახშირბადის მარაგი მერქანში შეადგენს 305.57ათას ტონას, რაც მთლიანი მარაგის 77.2%-ია; წიწვიში – 31.56 ათასი (8.0%), ფესვთა სისტემაში – 58.45 ათას ტონას (14.8%).

მომწიფარი ხნოვანების ჯგუფის სოჭნარებში (557.0 კა) სულ დეპონირებულია 74.76 ათასი ტონა ნახშირბადი. საიდანაც, ნახშირბადის მარაგი მერქანში 57.91 ათას ტონას შეადგენს (77.5%), წიწვიში – 5.91 ათასს (7.9%) და ფესვთა სისტემაში – 10.94 ათას ტონას (14.7%).

როგორც მოსალოდნელი იყო შთანთქმული ნახშირბადის ყველაზე ნაკლები მარაგით ხასიათდება ახალგაზრდა სოჭნარები, 27 კა ფართობზე ნახშირბადის მარაგი მხოლოდ 1.33 ათასი ტონაა. სოჭნარების ხნოვანების ჯგუფების მიხედვით კორომის ბიომასაში 1 კა ფართობზე დეპონირებულია: ახალგაზრდა სოჭნარებში 49.11 ტონა, შუახნოვანში – 82.46 ტონა, მომწიფარში – 130.22 ტ., მწიფე კორომებში 166.98 ტონა ხოლო მწიფეზე უხნესში 179.46 ტონა ნახშირბადი.

სულ ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბანზე სახელმწიფო ნაკრძალის სოჭნარები ატმოსფეროდან შთანთქავენ და ბიომასაში აგროვებენ 1097.55 ათას ტონა ნახშირბადს, რომლის 77.2 % მერქანშია კონცენტრირებული.

**სოჭნარების არსებული მოზარდისა და ქვეტყის ბიომასა და ნახშირბადის მარაგები.**

ბორჯომ-ბაკურიანის სოჭნარებში მოზარდის ფიტომასისა და ნახშირბადის მარაგები განისაზღვრა თითოეულ სანიშნო ფართობზე გამოყოფილ 5-5 სამოდულო ხეზე, წონითი მეთოდით, მოზარდის რაოდენობის გათვალისწინებით. რეგიონის სოჭით გაბატონებულ ტყეებში სულ მოზარდის (ძირითადად სოჭის) ბიომასა შეადგენს 63.43 ათას ტონას, ხოლო ნახშირბადის მარაგი შეადგენს 31.14 ათას ტონას. მონაცემები ტყის ცალკეულ ფორმაციებზე მოტანილია ცხრილ 3-ში.

შესწავლილ ტყეებში ქვეტყის რაოდენობა უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი ამიტომ, მათი ბიომასა და ნახშირბადის მარაგები არ იქნება გათვალისწინებული ტყეების საერთო მარაგების ანგარიშისას.

**ნიადაგის ცოცხალი საფრის ბიომასა და დეპონირებული ნახშირბადის მარაგები.**

ჩვენს მიერ შესწავლილ სოჭნარების ნიადაგის ცოცხალი საფრის ბიომასის ოდენობა შეადგენს 0.33-2.26 ტ/კა, ხოლო ნახშირბადის მარაგი 0.15-1.02 ტ/კა. სულ რეგიონის სოჭნარებში ცოცხალი საფარის ბიომასა და ნახშირბადის საშუალო მაჩვენებლებია შესაბამისად 6.45 ათას ტონას, სადაც შტანთქმულია 2.90 ათასი ტონა ნახშირბადი (იხ. ცხრილი 3).

**ტყის მკვდარი საფარის ბიომასა და ნახშირბადის მარაგი.**

მიმდინარე კვლევების მიხედვით ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონის სოჭნარების ტყის მკვდარი საფარის მარაგის მაჩვენებლები იცვლება მთაში ზღვის დონის მატების შესაბამისად. მთაში სოჭნარების გავრცელების ქვედა ზონაში (900-1200მზ.დ.) ტყის მკვდარი საფარის მარაგი 12.6-16.5 ტ/კა ფარგლებშია. ზედა ზონაში (1500-2000მ) კი 20.3-25.0 ტ/კა. სულ რეგიონში სოჭნარების საერთო ფიტომასა საშუალოდ შეადგენს 1527.0 ათას ტონას, სადაც დეპონირებულია 1037.82 ათასი ტონა ნახშირბადი (იხ. ცხრილი 3).

**ცხრილი 3. ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონის სოჭნარების ფიტომასისა და მათში კონცენტრირებული ნახშირბადის მარაგების საერთო ჯამი, M / C , ათას ტონებში**

| ფიტოცენიზი | ფართობი, კა | ტყის მთავარი სართული |       |        |         | დაქვემდებარებული სართული |        | ნიადაგის საფარი |         | სულ ფიტოცენიზი | სა-ზეტში |
|------------|-------------|----------------------|-------|--------|---------|--------------------------|--------|-----------------|---------|----------------|----------|
|            |             | მერქანი (დერო +ტოტი) | წიწვი | ფესვი  | სულ     | მოზარდი                  | ქვეტყე | ცოცხალი         | მკვდარი |                |          |
| სოჭნარი    | 3526        | 840.31               | 96.55 | 160.69 | 1097.55 | 63.43                    | -      | 6.45            | 65.76   | 1233.19        | 349.7    |
|            |             | 420.16               | 43.44 | 80.34  | 543.94  | 31.08                    | -      | 2.90            | 39.14   | 617.06         | 175.0    |

ცხრილი 3-ში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ რეგიონის სოჭნარებში (ფართობით 3526 კა) ტყის მიწისზედა და მიწისქვეშა ბიომასა შეადგენს 1233.19 ათას ტონას, სადაც კონცენტრირებულია 617.06 ათასი ტონა ნახშირბადი. ბიომასა და ნახშირბადის მარაგი ერთ ჰექტარზე სოჭნარებში შეადგენს შესაბამისად 349.7 ტ/კა და 175.0 ტ/კა.

ამრიგად, ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონში არსებული სოჭის ტყის მასივების მიერ ატმოსფეროდან შთანთქმულია და ნახშირბადის სახით მათ ბიომასაში კონცენტრირებულია 2262.8 ათასი ტონა ნახშირორჟანგი (CO<sub>2</sub>). ამჟამად დედამიწაზე მიმდინარე გლობალური დათბობის პირობებში აღნიშნული ტყის მასივები გარკვეულ როლს ასრულებენ ატმოსფეროში ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის აირცვლაზე და სამხრეთ კავკასიის პირობებში დადებითად მოქმედებენ მათ ბალანსზე.

### ლიტერატურა - REFERENCES- ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს სატყეო მეურნეობის ყოველწლიური სტატისტიკური ბროშურა, თბილისი, 2006.
2. მირზაშვილი ვ. – სატყეო ტაქსაცია. “ცოდნა”, თბ. 1963.
3. Замолодчиков Д.Г., Уткин А.Н., Коровин Г.Н. Определение запасов углерода по зависимым от возраста насаждений конверсионно-объемным коэффициентам. Лесоведение 1998, №3.
4. Treifeld R. - Stock and mass of forest detritus (on example of Leningrad region). Sankt-Petersburg, 2001.
5. Post W.M. III Organic carbon in soil and the global carbon cycle / The Global Carbon Cycle: NATO ASI Ser. 1999. V. 115.

შპპ 581.

**სოჭის ფორმაციებში ატმოსფერული ნახშირბადის (C-CO<sub>2</sub>) მარაგების დადგენა (ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონის მაბალოთხე)** ნაკაიძე ე., ვაჩნაძე გ., წერეთელი გ., ტიგინაშვილი ზ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.226-229-ქართ., რუს. ქართ., ინგლ., რუს.

დედამიწაზე გლობალური დათბობის გაძლიერების საშიშროებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მეცნიერთა ყურადღება ტყის, როგორც ნახშირბადის შთანთქმისა და დეპონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვუარისა და მისი როლისა ნახშირბადის გლობალურ ციკლში.

ბორჯომ-ბაკურიანის რეგიონის სოჭნარებში (ფართობით 3526 ჰა) ტყის მიწისზედა და მიწისქვეშა ბიომასა შეადგენს 1233.19 ათას ტონას, სადაც კონცენტრირებულია 617.06 ათასი ტონა ნახშირბადი. ბიომასა და ნახშირბადის მარაგი ერთ ჰექტარზე სოჭნარებში შეადგენს შესაბამისად 349.7 ტ/ჰა და 175.0 ტ/ჰა.

რეგიონში არსებული სოჭის ტყის მასივების მიერ ატმოსფეროდან შთანთქმულია და ნახშირბადის სახით მათ ბიომასაში კონცენტრირებულია 2262.8 ათასი ტონა ნახშირორჟანგი (CO<sub>2</sub>).

UDC 581.

**IDENTIFICATION OF CARBON STOCK IN CAUCASIAN FIR FOREST STANDS OF BORJOMI-BAKURIANI REGION**/Nakaidze E.E., Vachnadze G.S, Tsereteli G.V., Tiginashvili Z. T./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.226-229 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ.

Fir forest stands of Borjomi-Bakurian region (surface area 3526 ha) comprise around 1233.19 tones of phytomass which is releved to around 617.06 tons carbon absorbed in it. Biomass and carbon stocks per hectare are around 349.7 and 175.0 t/ha. Thus, Fir forest stands accumulate about 2262.8 thousand tone of carbon in their phytomass.

УДК 581

**УСТАНОВЛЕНИЕ ЗАПАСОВ АТМОСФЕРНОГО УГЛЕРОДА В ДРЕВОСТОЯХ ПИХТЫ КАВКАЗСКОЙ** /Е.Э.Накаидзе, Г.С. Вачнадзе, Г.В. Церетели, З.Т. Тигинашвили./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с. 226-229-Груз., Рез. Груз., Англ., Рус.

В статье изучено количество запасов поглощенного углерода в Боржомо-Бакурианском регионе в лесах сосны кавказской (3526 га) в различных группах возраста древостоя. Установлены также запасы поглощенного углерода в существующем подросте, подлеске, в живом и мертвом покрове, корневой системе.

უაკ: 504.3.054, 504.054

**ქ. თბილისის დასუშული და მოქმედი ნაბავსაყრელრებიდან მეთანის ემისიის ბანსაზღრა და ბამოყოფილი მეთანის პრაქტიკული ბამოყენების პოტენციალი**

ნ. დვალისიშვილი\*, ნ. ნასყიდაშვილი\*, მ. შვანგირაძე\*\*, ნ. ვაშაყმაძე\*


\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიუტეტის  
 ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი,

\*\*საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

დღეისათვის ნარჩენების მართვა წარმოადგენს, როგორც ეკოლოგიური ისე ეკონომიკური კუთხით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ყველა განვითარებისაკენ მიმავალი ქვეყნებისათვის. 2012 წლის მაისიდან საქართველოში ოპერირება დაიწყო "მყარი ნარჩენების მართვის" სახელმწიფო კომპანია, რომლის მიზანია ნაგავსაყრელების მოწყობა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. აღნიშნული კომპანია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მაგრამ ჯერ კიდევ 2010 წლის შემოდგომამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა XX საუკუნის 60-80-იან წლებში სტიქიურად მოწყობილი ოფიციალურად რეგისტრირებული, მაგრამ ძირითადად უმართავი (რეგიონალური სამმართველოების ინფორმაციით) 69 ნაგავსაყრელი. დღემდე მოუწესრიგებელია მათი უსაფრთხო განთავსების, უტილიზაციისა და გაუვნებლყოფის პრობლემები. სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელები, რომელთაგან დიდი ნაწილი მდინარეების ახლოსაა განთავსებული. შედეგად, ატმოსფერული ნალექებისა და წყალდიდობის დროს ნარჩენების დიდი რაოდენობა ასევე ხვდება მდინარეებსა და მათი მეშვეობით წყალსაცავებში. ნარჩენები ნაგავსაყრელებზე გადის ყოველგვარი დახარისხების გარეშე და აქ მოხვედრილი სახიფათო და ტოქსიკური ნარჩენები გარემოს დაბინძურების სერიოზულ კერას წარმოადგენენ. ნაგავსაყრელები არ არის შემოღობილი და დაცული, რის შედეგადაც ადგილი აქვს ნაგავსაყრელების მთელ ტერიტორიაზე პირუტყვისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას.

ქ. თბილისში ყოველწლიურად გროვდება 1,5 მლნ. მ3 საყოფაცხოვრებო და მონახვეტი ნარჩენი. აღნიშნული მოცულობის გატანა 2000-2010 წლებში ხდებოდა ქალაქის შემოგარენში განლაგებულ 2 ნაგავსაყრელზე (გლდანი და იაღლუჯა). გლდანის ნაგავსაყრელთან ფუნქციონირებდა "ბეკერის" ორმო, სადაც ხდებოდა შინაური ცხოველების ლეშების დამარხვა.

ძველი ტიპის უმართავი ნარჩენების განთავსების ადგილები მნიშვნელოვან ზიანს უყენებენ გარემოს. ნაგავსაყრელების ტერიტორიაზე უმთავაღყოფოდ მიტოვებული სახიფათო და ტოქსიკური ნარჩენები გარემოს სათბურის აირებით დაბინძურების სერიოზულ კერას წარმოადგენენ.



**ნახ.1. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა რეგიონების მიხედვით**

დღესდღეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მათ შორის საქართველოშიც მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების 96—98% იყრება ნაგავსაყრელებზე. საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების 45% წარმოიქმნება ქ. თბილისში (ნახ. 1).

საქართველოს ქალაქებში ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემა. ამასთან 2011 წელს საქართველოში გადაიდგა პირველი ნაბიჯი ნარჩენების ნაწილობრივი გამოყენებისა, როდესაც ქ. რუსთავში გაიხსნა ნარჩენების დამხარისხებელი ქარხანა, რაც მწელოვნად ამცირებს ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობას და ზრდის ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის ხანგძლივობას. კიდევ უფრო ეფექტურ და რეალურ შედეგს იძლევა მოსახლეობის მიერ ნარჩენების დახარისხება, რაც წარმატებულად აპრობირებულია ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ჯერჯერობით საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემა იმყოფება განვითარების დაწყებით სტადიაზე. სანდო მონაცემები მყარი ნარჩენების შედგენილობის და ერთ სულ მოსახლეზე მათი რაოდენობის წარმოქმნის შესახებ ქვეყნის მასშტაბით ამ ეტაპზე არ მოიპოვება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დროის სხვადასხვა მონაკვეთში დედაქალაქში ფუნქციონირებდა 3 მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების (მსნ) განთავსების პოლიგონი [1], რომელთა მახასიათებლები მოყვანილია 1 ცხრილში.

**ცხრილი 1. საქართველოში მოქმედი მსხვილი ნაგავსაყრელების მახასიათებლები 2000-2013წლისათვის**

| № | ნაგავსაყრელი | ამოქმედების წელი | დახურვის წელი | ფართობი კა | დაგროვილი ნარჩენები კმ <sup>3</sup> | ნაგავსაყრელის ტიპი |
|---|--------------|------------------|---------------|------------|-------------------------------------|--------------------|
| 1 | გლდანი       | 1972             | 2010          | 8          | 20000000                            | უმართავი           |
| 2 | იაღლეუჯა     | 1985             | 2010          | 5          | 12000000                            | უმართავი           |
| 3 | ნორიო        | 2010             | მოქმედი       | 94         | 3000000                             | მართავი            |

ამჟამინდელი შეფასებებით თბილისში წარმოიქმნება 850 ტონა მუნიციპალური ნარჩენი დღეში, 350 000 ტონა წელიწადში. ეს შეადგენს დაახლოებით 273.75 კგ-ს ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში, რაც დაბალია ევროპის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაზე – 524 კგ ერთ სულზე 2008 წელს საშუალოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მოსახლეობის და ეკონომიკური განვითარების ზრდის შესაბამისად, ნავარაუდევია ნარჩენების წარმოქმნის ზრდა 2.25%-ით წელიწადში [2].

ქ. თბილისში მონაცემები მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შესახებ ძალიან მწირია (ცხრ. 2) [1].


**ცხრილი 2. მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობა თბილისში**

| ფრაქცია             | ნარჩენების შემადგენლობა |       |
|---------------------|-------------------------|-------|
|                     | 2003წ                   | 2010წ |
| ქალაქი              | 5 %                     | 6 %   |
| პლასტიკური მასალა   | 6 %                     | 6 %   |
| ინერტული მასალები   | 5 %                     | 5 %   |
| ტექსტილი/ტყავი      | 3 %                     | 3 %   |
| ლითონი              | 3 %                     | 3 %   |
| ორგანული ნარჩენები  | 33 %                    | 71 %  |
| ნარჩენი ფრაქცია     | 40 %                    | -     |
| შერეული             | -                       | 1 %   |
| მწვანე ნარჩენები    | 3 %                     | 3 %   |
| ჰიგიენური ნარჩენები | 2 %                     | 2 %   |

2000-2012 წლებში ჩვენს მიერ თანამედროვე, ევროპაში აღიარებული, IPCC მეთოდის გამოყენებით, ოფიციალურად არსებული მონაცემების შეგროვების საფუძველზე, გამოთვლილ იქნა ქ. თბილისის ძირითადი ნაგავსაყრელებიდან მეთანის ემისიები (ცხრ. 3).

**ცხრილი 3. ქ. თბილისის ძირითადი ნაგავსაყრელებიდან მეთანის ემისიები (გგ) 2000-2012 წლებში**

| წელი \ ნაგავსაყრელი | გლდანი | იაღლეჯა | ნორიო  | CH <sub>4</sub> -ის ჯამური ემისიები |
|---------------------|--------|---------|--------|-------------------------------------|
| 2000                | 2,9238 | 1,4917  | -      | 4,4155                              |
| 2001                | 3,1156 | 1,7592  | -      | 4,8748                              |
| 2002                | 3,4060 | 1,9908  | -      | 5,3968                              |
| 2003                | 3,6434 | 2,1814  | -      | 5,8248                              |
| 2004                | 3,8450 | 2,3434  | -      | 6,1884                              |
| 2005                | 4,0176 | 2,4821  | -      | 6,4997                              |
| 2006                | 4,1675 | 2,6022  | -      | 6,7697                              |
| 2007                | 4,3128 | 2,7166  | -      | 7,0294                              |
| 2008                | 4,4372 | 2,8146  | -      | 7,2518                              |
| 2009                | 4,5690 | 2,9155  | -      | 7,4845                              |
| 2010                | 4,6835 | 3,0033  | 0,0000 | 7,6868                              |
| 2011                | 4,7939 | 3,0868  | 1,5907 | 9,4714                              |
| 2012                | 4,1268 | 2,6508  | 2,9503 | 9,7279                              |



**ნახ.2. CH<sub>4</sub>-ის ემისიები (გგ) ქ. თბილისის მოქმედი და დაღუპული ნაგავსაყრელებიდან 2000-2012 წლებში**


როგორც ნახაზიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ტიპის იაღლეჯას და გლდანის ნაგავსაყრელებზე ძირითადად მიმდინარეობდა აერობული პროცესები (უმართავი ნაგავსაყრელები) ატმოსფერულ ჰაერში ემიტირებული მეთანის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. ნაგავსაყრელზე განთავსებული ყოველი ტონა ნარჩენიდან გაზის გამოყოფა გაგრძელდება საშუალოდ 45 წლის განმავლობაში. ხოლო თვით ნაგავსაყრელისთვის ეს დრო შევსების პერიოდის გათვალისწინებით გაგრძელდება 75 წლის განმავლობაში. „ნაგავსაყრელის გაზის“ გამოყოფის სრული დრო 4 პერიოდად იყოფა, რომელს დროსაც გაზგამოყოფის პროცესი სხვადასხვა ინტენსიობით მიმდინარეობს და დროში სხვადასხვა ხანგრძლივობა გააჩნიათ (ცხრ.4).

**ცხრილი 4. ნაგავსაყრელის გაზის გამოყოფის დინამიკა მსნ პოლიგონის ოპერირებისას**

| პერიოდის დასახელება | პერიოდის ხანგრძლივობა წელი-წადი | გამოყოფილი გაზის რაოდენობა % |
|---------------------|---------------------------------|------------------------------|
| საწყისი             | 5                               | 8                            |
| პიკური              | 2                               | 4                            |
| სტაბილური           | 20                              | 83                           |
| დაღმავალი           | 18                              | 5                            |
| სულ                 | 45                              | 100                          |



ჩვენს მიერ შეგროვილი ოფიციალური მონაცემების საფუძველზე გამოვთვალეთ ნორიოს მსნ პოლიგონზე წარმოქმნილი მეთანის პრაქტიკული გამოყენების მინიმალური პოტენციალი, რომლის შედეგები მოყვანილია მე-3 ნახაზზე.



**ნახ.3. ნორიოს მსნ პოლიგონზე წარმოქმნილი მეთანის პრაქტიკული გამოყენების მინიმალური პოტენციალი (მოსახლეობის და ნარჩენების რაოდენობის მუდმივი რიცხვის შემთვევაში)**

როგორც მე-3 ნახაზიდან ჩანს, ნაგავსაყრელის მინიმალური დატვირთვისას, ოპერირების მთელ მანძილზე (45 წელი) მეთანის რაოდენობა იზრდება და ჯამში შეადგენს 445 გგ, რაც შეესაბამება 623 მლნ მ<sup>3</sup> მეთანისა.

დღესდღეობით თბილისში ბუნებრივი აირის წლიური დანახარჯი დაახლოებით 500 მლნ მ<sup>3</sup>-ს შეადგენს [1]. დედაქალაქში გაზის მოხმარების ზრდის ტენდენცია შეინიშნება (ცხრ. 5). მთავარ მომხმარებელს საოჯახო სექტორი წარმოადგენს.

**ცხრილი 5. თბილისში ოჯახების მიერ ბუნებრივი აირით სარგებლობა [1]**

| წელი | საოჯახო სექტორის მიერ მოხმარება (მ <sup>3</sup> ) | იმ ოჯახების რაოდენობა რომლებიც ბუნებრივ აირს მოიხმარენ | ერთი ოჯახის მიერ მოხმარება (მ <sup>3</sup> ) |
|------|---|--|--|
| 2001 | 39514988  | 153602   | 257  |
| 2002 | 47202264  | 197551   | 238  |
| 2003 | 66346740  | 234465   | 283  |
| 2004 | 96676967  | 258700   | 374  |
| 2005 | 117577961   | 278139   | 423  |
| 2006 | 167334114   | 296978   | 563  |
| 2007 | 207793483   | 300205   | 672  |
| 2008 | 201876648   | 304852   | 662  |
| 2009 | 203571665   | 311177   | 654  |

ჩვენი გამოთვლებით, ნორიოს ნაგავსაყრელზე წელიწადში საშუალოდ წარმოქმნება 15 მლნ მ<sup>3</sup> მეთანი, რაც მინიმუმ 30000 ოჯახს სრულიად უზრუნველყოფს გაზის წლიურ მარაგს (ცხრ. 5).

უკვე 2013 წელს მეთანის მიღების მინიმალური პოტენციალი შეადგენს 6 მლნ მ<sup>3</sup>-მდე (ნახ. 3). „ნაგავსაყრელის გაზი“, საერთო ჯამში, გამოიყოფა 85 წლის განმავლობაში (800 მლნ მ<sup>3</sup>), რაც ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ ძვირადღირებულ იმპორტირებული საწვავიდან მიღებულ ელექტროენერჯიას ხანგძლივი პერიოდის განმავლობაში ნაწილობრივ ჩაანაცვლებს იაფი და ეკოლოგიურად მისაღები ელექტროენერჯია.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. GEO-ქალაქები: ანგარიში თბილისის შესახებ, 2010.
2. თბილისის ნარჩენების მართვის კონცეფცია, 2006წ, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), გვ. 63.

უაკ 504.3.054, 504.054

| გლდანისხევი | 17          | 63                               | 9                     | 0.2                             |
| წავკისწყალი | 9           | 21                               | -                     | -                               |

საცხოვრებელი და სამრეწველო ობიექტები ქმნიან მძიმე ეკოლოგიურ პირობებს თბილისში ჩამოდინებული მცირე მდინარეებისათვის. დაჭუჭყიანების ძირითადი წყაროებია: კომუნალური კანალიზაცია, საწარმოო და სამედიცინო დაწესებულებების ჩამდინარე წყლები. დაჭუჭყიანების დიფუზიური წყაროებია: ჩამონადენები სასოფლო-სამეურნეო და საგზაო ფართობებიდან, საყოფაცხოვრებო პოლიგონებიდან და ნაგავსაყრელებიდან.

2013 წლის დასაწყისში ჩვენს მიერ განხორციელდა ზემოაღნიშნული მცირე მდინარეების ფიზიკურ-ქიმიური და ქიმიური პარამეტრების კონტროლი მდინარეების თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით [2]. მონიტორინგის გასაშუალოებული შედეგები მოყვანილია ცხრილებში 2-3.



ნახ. 1. ქ. თბილისში მდ. მტკვრის ძირითადი შენაკადები.

ცხრილი 2. ქ. თბილისის მცირე მდინარეების ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები (2013 წლის იანვარი-თებერვალი)

| მდინარე     | pH   | Cond, $\mu\text{S}/\text{სმ}$ | Sal, % | TDS, მგ/ლ | t°C  |
|-------------|------|-------------------------------|--------|-----------|------|
| ლოჭინი      | 7.75 | 1210                          | 0.6    | 720       | 10.5 |
| ვერე        | 7.35 | 983                           | 0.5    | 584       | 11.2 |
| დიდმისწყალი | 6.95 | 908                           | 0.5    | 540       | 10.8 |
| გლდანისხევი | 7.75 | 619                           | 0.3    | 368       | 9.8  |
| წავეისწყალი | 7.98 | 1063                          | 0.6    | 632       | 8.9  |

ცხრილი 3. ქ. თბილისის მცირე მდინარეების ზოგიერთი ჰიდროქიმიური მახასიათებელი (2013 წლის იანვარი-თებერვალი)

| მდინარე     | მგ/ლ                         |                              |                              |      | მგO <sub>2</sub> /ლ |      | უბმე მგO <sub>2</sub> /ლ |
|-------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|------|---------------------|------|--------------------------|
|             | NO <sub>2</sub> <sup>-</sup> | NO <sub>3</sub> <sup>-</sup> | NH <sub>4</sub> <sup>+</sup> | სორბ | PD                  | ქქმ  |                          |
| ლოჭინი      | 0.24                         | 14.6                         | 2.0                          | 2.05 | 2.3                 | 5.45 | 2.7                      |
| ვერე        | 0.4                          | 4.2                          | 20.2                         | 2.32 | 2.6                 | 6.2  | 3.1                      |
| დიდმისწყალი | 0.6                          | 5.2                          | 14.0                         | 2.5  | 2.4                 | 6.65 | 3.3                      |
| გლდანისხევი | 0.3                          | 5.0                          | 4.2                          | 2.1  | 2.2                 | 5.5  | 2.75                     |
| წავეისწყალი | 0.14                         | 18.6                         | 2.0                          | 2.85 | 3.2                 | 7.6  | 3.8                      |
| ზდკ         | 3.3                          | 45                           | 1.5                          | -    | 5                   | 15   | 4                        |

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ pH-ის მნიშვნელობა ყველა მდინარეში მერყეობს 6.9-8 ფარგლებში (ცხრ.2). ყველაზე ნაკლებად მინერალიზირებულია გლდანისხევის მდინარის წყალი (ცხრ.2), ხოლო ორგანული ნაერთებით ყველაზე მეტად გამდიდრებულია - წავეისწყალი (ცხრ.3). აზოტის ნაერთებიდან, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის (ზდკ) გადაჭარბება შეინიშნება მხოლოდ ამონიუმის იონის შემთხვევაში. ამონიუმის მაქსიმალური მნიშვნელობები, მდ. ვერეს და დიდმისწყალის წყლის სინჯებში 10-ჯერ აღემატება ზდკ-ს (ცხრ.2), რაც ლოგიკურია, რადგან ამ ორი მდინარის ტერიტორია ყველაზე მეტად დატვირთულია საკანალიზაციო წყლებით და არაღეუგალური ნაგავსაყრელებით.



წყლის ობიექტების მონიტორინგის სისტემაში წყლების ხარისხის შეფასების ყველაზე ხშირად გამოყენებულ მაჩვენებელს მიეკუთვნება წყლის დაბინძურების ჰიდროქიმიურ ინდექსი (წდი) [3]:

$$\text{წდი} = \frac{1}{N} \sum_{i=1}^n \frac{C_i}{\text{ზდკ}_i}$$

სადაც  $C_i$  - კომპონენტის კონცენტრაცია, ხოლო  $N$  - მაჩვენებლების რიცხვი (რომელიც  $\geq 5$ ).

წდი-ის გამოთვლისათვის აუცილებელია გახსნილი ჟანგბადის და უბმ-ის მაჩვენებლები, დანარჩენი მინიმუმ 3 კომპონენტის ზდკ-ს გადაჭარბების ხარისხის განსაზღვრისათვის უპირატესობა ენიჭებათ ნივთიერებებს, რომელთაც გააჩნიათ მაკრობიოლოგიური სანიტარულ-ტოქსიკური მაჩვენებელი.

წყლების ხარისხის შესადაარებლად მათი დაბინძურების ხარისხის რანჟირებას წდი სიდიდის შესაბამისად აწარმოებენ მე-4 ცხრილის მიხედვით [3].

**ცხრილი 4. წყლის ხარისხის კლასიფიკაცია წდი სიდიდის შესაბამისად**

| წყლის დაბინძურების კლასი | აღწერილობა             | წდი სიდიდე |
|--------------------------|------------------------|------------|
| I                        | ძალიან სუფთა           | <0.2       |
| II                       | სუფთა                  | 0.2-1.0    |
| III                      | ნაკლებად დაბინძურებული | 1.0-2.0    |
| IV                       | დაბინძურებული          | 2.0-4.0    |
| V                        | ბინძური                | 4.0-6.0    |
| VI                       | ძალიან ბინძური         | 6.0-10.0   |
| VII                      | ძალზე ბინძური          | >10        |

გამოთვლების მიხედვით ლოჭინი, წავეისწყალი და გლდანისხევი მიეკუთვნებიან მე-IV კლასს - ნაკლებად დაბინძურებული, ვერე და დიდმისწყალი მე-V კლასს - დაბინძურებული, ხოლო მე-5 ცხრილში მოყვანილ პარამეტრზე დაყრდნობით ნათელია, რომ ქ. თბილისის მცირე მდინარეები ამონიუმის იონის შემცველობაზე დაყრდნობით მიეკუთვნებიან ბინძური და ძალიან ბინძური წყლების კლასს.

**ცხრილი 5. ამონიუმის იონის, ექმ და უბმ-ის შემცველობა სხვადასხვა დაბინძურების ხარისხის ზედაპირულ წყლებში**

| დაბინძურების ხარისხი (ზედაპირულ წყლების კლასები) | NH <sub>4</sub> <sup>+</sup> , მგ/ლ | ექმ, მგO/ლ | უბმ, მგO <sub>2</sub> /ლ |
|--|-------------------------------------|------------|--------------------------|
| ძალიან სუფთა                                     | 0.05                                | 1          | 0.5-1.0                  |
| სუფთა  | 0.1                                 | 2          | 1.1-1.9                  |
| ზომიერად დაბინძურებული                           | 0.2-0.3                             | 3          | 2.0-2.9                  |
| დაბინძურებული                                    | 0.4-1.0                             | 4          | 3.0-3.9                  |
| ბინძური  | 1.0-3.0                             | 5-15       | 4.0-10.0                 |
| ძალიან ბინძური                                   | >3.0                                | >15        | 10.0                     |

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. მ. ტაბატაძე. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება მათზე ანტროპოგენული დატვირთვის გათვალისწინებით. თბილისი, 2009;
2. Фомин Г. С. Вода. Контроль химической, бактериальной и радиационной безопасности по международным стандартам. Энциклопедический справочник. 4-е издание, переработанное и дополненное, М., 2010;
3. Гидрохимические показатели состояния окружающей среды /Под ред. Т.В.Гусевой/ М.: Форум-Инфра-М, 2010.

უაკ:504.4.054, 504.453

**ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდ. მტკვრის ძირითადი შენაკადების თანამედროვე ეკოქიმიური მდგომარეობის შეფასება.** /მ. ტაბატაძე, ნ. დვალისვილი/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, -2013,ტ.119-გვ.247-250-ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია მდ. მტკვრის 5 შენაკადების (ვერე, დიღმისწყალი, წავკისისწყალი, გლდანისხევი და ლოჭინი) ძირითადი ჰიდროქიმიური პარამეტრები. გამოთვლილია თითოეული მდინარის წყლის დაბინძურების კოეფიციენტები. შეფასებულია ქ. თბილისის მცირე მდინარეების ტექნოგენური დატვირთვის ხარისხი.

UAC: 504.4.054, 504.453

**EVALUATION OF THE ECO-CHEMICAL STATUS OF MAIN TRIBUTARIES OF RIVER MTKVARI IN THE CITY TBILISI.** / M. Tabatadze, N.Dvalishvili/Transactions of Institute of Hydrometeorology at Georgian Technical University, , - 2013,v.119,pp.247-250 - Geo., Summ.: /Geo., Eng., Rus.

The major five tributaries of river Mtkvari (rivers: Vere, Digmiskali, Cavkis kali, Gldanis xevi and Lochini) have been evaluated and analyzed. The main hydrochemical parameters are determined in water samples of each river and calculated the level of pollution. The quality of anthropogenic load on small rivers is estimated as well.

УДК: 504.4.054, 504.453,

**ОЦЕНКА СОВРЕМЕННОГО ЭКОХИМИЧЕСКОГО СОСТОЯНИЯ ОСНОВНЫХ ПРИТОКОВ Р. КУРА НА ТЕРРИТОРИИ Г. ТБИЛИСИ.** /М. Табатадзе, Н.Двалишвили/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета, -2013,т.119, с.247-250 - Груз., Рез.: /Груз., Англ., Рус.

Изучены основные гидрохимические параметры 5 притоков р. Кура (Вере, Дигмисцкали, Глданисхеви, Цавкисцкали и Лочини). Вычислены индексы загрязнения вод (ИЗВ) каждой из исследуемых рек. Оценена степень техногенного загрязнения малых рек г. Тбилиси.

უაკ. 502.631.574

## მდ. ყოროლისწყლის ღაბინძურების წყაროების შესწავლა

ვარშალომიძე ჯ.,\* მუმლაძე ნ.,\* მუმლაძე ქ.\*\*

\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

\*\*საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის მტკნარი წყლით უზრუნველყოფა, რამდენადაც წყლის დეფიციტი ხდება ლიმიტირებადი ფაქტორი ტექნიკური პროგრესის პროცესში და მისი გადაწყვეტისაგან მნიშვნელოვნწილად არის დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი. მოსახლეობის რიცხოვნობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, მიუხედავად წყლის რესურსების მოხმარების განუხრელი ზრდისა, მთავარ პრობლემას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში წარმოადგენს არა სასმელი წყლის უკმარისობა, არამედ წყალსატევების პროგრესირებადი დაბინძურება. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით დაავადებათა 80% პლანეტაზე გამოწვეულია უხარისხო სასმელი წყლის მოხმარებით.

წყალსატევების დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ:

- სამრეწველო წარმოშობის დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველი ატმოსფერული ნალექები;
- ქალაქების ჩამდინარე წყლები – საყოფაცხოვრებო, საკანალიზაციო ჩანადენები, რომლებიც შეიცავენ ჯანმრთელობისათვის საშიშ დამაბინძურებელ ნივთიერებებს და სხვა;
- სამრეწველო ჩამდინარე წყლები;
- სასოფლო-სამეურნეო ჩამდინარე წყლები – მეცხოველეობის კომპლექსების ნარჩენები, წვიმისა და საგაზაფხულო მდნარი წყლების ჩამონადენი სასუქებისა და პესტიციდების შემცველი მინდვრებიდან.

წყლების უმეტესობა წყალსატევებში ჩაედინება საერთოდ გაწმენდის გარეშე ან არასაკმარისად გაწმენდილი. ამიტომ თითქმის ყველა მდინარე დაბინძურებულია მძიმე მეტალებით, ნავთობპროდუქტებით, ორგანული და მინერალური ნივთიერებებით და სხვა. ჩამდინარე წყლების წყალსატევებში ჩაშვებას თან ახლავს დამაბინძურებელ ნივთიერებათა დაგროვება ფსკერულ დანალექებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადიდებულ წყლებში დაბინძურების დონის მკვეთრი ზრდა და მეორადი დაბინძურების წარმოქმნა, დაკავშირებული ახალი ქიმიური ნივთიერებების (ზოგჯერ უფრო ტოქსიკური, ვიდრე საწყისები) წარმოქმნასთან.

ხმელეთის წყლების დაცვა წარმოადგენს კომპლექსურ ღონისძიებას მიმართულს ადამიანის საქმიანობის ნეგატიური შედეგების აცილებაზე ან აღმოფხვრაზე წყლის ობიექტზე, რომელიც იმყოფება მოცემულ რეგიონში, რაიონში ან წყალდენის ან წყალსატევის ტერიტორიის მონაკვეთზე [1].

მუდმივად მზარდი წყალმოხმარება ან წყალსარგებლობა განაპირობებს წყლის ობიექტების დაცვის გაძლიერების აუცილებლობას დაბინძურების, დანაგვიანებისა და გამოღვევისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ძალიან ძლიერ შეცვალონ არა მარტო წყლის ხარისხი, არამედ მისი რაოდენობაც. ამასთან წყლის ხარისხის და მისი რაოდენობის მახასიათებლები ხშირად ურთიერთდაკავშირებულია[2].

მდ. ყოროლისწყლის დაბინძურების ბუნებრივი და ანთროპოგენური წყაროების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქბათუმის სასმელი წყლით მომარაგების, ასევე შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩადინების თვალსაზრისით.

მდ. ყოროლისწყალი სათავეს იღებს აჭარაში მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებიდან, ზღვის დონიდან 1160 მეტრი ნიშნულიდან და ჩაედინება შავ ზღვაში ბარცხანის ჩრდილოეთით, მდინარის სიგრძე 13.8 კმ-ია. წყალშემკრები აუზის ფართობი 52 კვ.კმ. აუზის ზედა ნაწილი მთიანია, რომელიც იკვეთება მცირე შენაკადების ხეობებით. მდინარის სივანე არ არის მუდმივი და მერყეობს 8 მ-დან 62 მ-მდე. მდინარე საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლებით. მდ. ყოროლისწყალის საშუალო მრავალწლიური ხარჯია 3.3 კუბ. მეტრი წამში, ხოლო წყლის მინიმალური ხარჯი 0.95 კუბ. მეტრი წამში. მთავარი შენაკადებია: ხალვაშების წყალი, სიგრძე – 3.0 კმ, მდ. ღუჩის წყალი, სიგრძე – 4.2 კმ და კაპრეშუმის წყალი, სიგრძე – 2,8 კმ. მდინარისათვის დამახასიათებელია წყალმოვარდნის რეჟიმი, განსაკუთრებით შემოდგომა – ზამთარში[3].

ბათუმის წყალსადენის მდ. ყოროლისწყლის კაშხლისა და წყალმიღები ნაგებობის ზემოთ, სანიტრული ზონის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარე მთის ტერიტორია ათეული წლებების განმავლობაში სათანადოდ არ იყო დაცული. სანიტარულ ზონაში აკრძალული ქმედებისაგან ადგილი ჰქონდა, როგორც ხე-ტყის გაჩეხვის, გზების გაყვანის, ყანა-ბოსტნების მოწყობის, ასევე მოსახლეობის დასახლების ფაქტებს.

1985 წლამდე სხვადასხვა დროს ამ ტერიტორიაზე დასახლებული იქნა 5 ოჯახი, შემდეგ წლებში მოსახლეობის დასახლების ტენდენცია გრძელდებოდა და მიმდინარე წელს მოსახლეობა საერთო რაოდენობა შეადგენს 11 ოჯახს.



აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მათ მფლობელობაში არსებულ საკარმიდამო ნაკვეთებში ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს; ციტრუსების ბაღებისა და ყანაბოსტნებში მოსავლიანობის გაზრდის მიზნით იყენებენ სხვადასხვა მინერალურ და ორგანულ სასუქებსა და შხამქიმიკატებს; მოწყობილი აქვთ საპირფარეშოები კანალიზაციის გარეშე, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვისათვის ბოსლები და სხვა ნაგებობები. მდინარის პირებს იყენებენ ნაგავსაყრელად, საძოვრებად. სურათებზე წარმოდგენილია მდ.ყოროლისწყლის სანაპიროების დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნაგავით (1) და ჩანადენით (2). აღსანიშნავია, რომ მსგავსი სურათები

საკმაოდ ბევრია.

უამინდობის დროს, განსაკუთრებით ხანგრძლივი ინტენსიური წვიმების პერიოდში, წვიმის წყალს ამ ტერიტორიიდან მდ.ყოროლისწყალში ჩამოაქვს საყოფაცხოვრებო წყლებთან ერთად სხვადასხვა ორგანული და არაორგანული ნივთიერებები, რომლის მდინარეში ჩაშვება სანიტარული ნორმების თანახმად დაუშვებელია, რადგან მდინარის წყალი იმდენად ბინძურდება სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით, რომ მისი სრულყოფილი დამუშავება-გაწმენდა არსებულ გამწმენდ ნაგებობებში მეტად რთულია.



ყოროლისწყლის სათავე ნაგებობის წყალმიღების ქვემოთ ზღვის შესართავამდე ხდება მდინარის დაბინძურება სოფელ ყოროლისთავის, ს. მასაურის, ს. აგარისა და ს. ორთაბათუმის მცხოვრები მოსახლეობის მიერ ზემოდ აღნიშნული მიზეზების ანალოგიურად. გარდა ამისა, სოფ. კაპრეშუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს ნავთობის ტერმინალი, სადაც ექსპლოატაციაში მყოფი რეზერვუარები წარმოადგენს ნავთობის გაჟონვისა და მდინარის დაბინძურების პოტენციურ საფრთხეს.

აჭარის სოფლების მოსახლეობა მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით საშუალოდ და ძლიერ ეროზირებულ ნაკვეთებზე, ხშირად თავისი შეხედულებისამებრ იყენებს აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქების დაუშვებლად გაზრდილ ნორმებსა და დოზებს. აღნიშნულ სასუქებთან ერთად ნიადაგში ხვდება მძიმე ლითონები, რადიოაქტიური ნივთიერებები, ფთორიდები, ქლორი, რომლებსაც ისინი გარკვეული რაოდენობით შეიცავენ. მინერალური სასუქების მხოლოდ 40-50% იხარჯება დაბინძურებისამებრ, დანარჩენი ირეცხება ატმოსფერული, საირიგაციო და გრუნტის წყლებით და ხვდება მდინარეში, შემდგომ კი ზღვაში[4].

მცენარეთა დაცვისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები – პესტიციდები გარემოს მნიშვნელოვანი დამაბინძურებლებია. მოქმედების ტიპის მიხედვით განსხვავებული პესტიციდებიდან საქართველოში მოიხმარება ფუნგიციდები, ჰერბიციდები, ინსექტიციდები, აკარიციდები და თესლის შესაწამლი პრეპარატები.

2006 წლის მონაცემებით აჭარაში პესტიციდებით დამუშავდა სახნავი მიწების 2800 ჰა და მრავალწლიანი ნარგავების 8800 ჰა. ყოფილ სასაწყობე მეურნეობებში აღმოჩენილი ვადაგასული პესტიციდების რაოდენობა კი 15 ტონას შეადგენს[5].

ციტრუსოვანთა და ხეხილოვანთა ბაღებში, თამბაქოს, ბოსტნეულის და სხვა ფართობებზე ყოველწლიურად გამოიყენება 16-მდე დასახელების კონტაქტური და სისტემური მოქმედების შხამქიმიკატი. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ ისეთ პესტიციდებს იყენებენ, რომლებიც 20 წელზე მეტია რაც ხმარებიდან არის ამოღებული[6].

ამგვარად, მდ.ყოროლისწყლის მიმდებარე ფართობების დიდი დახრილობა, ნალექების საშუალო წლიური მაღალი მანქვებელი (1200-3000 მმ-მდე), წლის თითქმის ყველა პერიოდში თავსხმა ხასიათის გახანგრძლივებული წვიმები, რასაც ემატება ზამთრობით მოსული თოვლის ინტენსიური დნობა გაზაფხულზე, განაპირობებს ნიადაგის ჩამორეცხვის გააქტიურებას და მთავარ ეკოლოგიურ რისკს წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენებით და ფერმერული მეურნეობის ფართობების ჩანადრებით მდინარისა და ზღვის სანაპირო ზოლის მინერალური და ორგანული დაბინძურების. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუდმივი მონიტორინგის განხორციელება მდ.ყოროლისწყლის წყლის ხარისხზე, ვინაიდან განაკუთრებით უხედალექიანობის პერიოდებში მდინარის ადიდებისას ხშირად აღინიშნება ბაქტერიალური დაბინძურება.

### ლიტერატურა-REFERENCES- ЛИТЕРАТУРА

1. Охрана природы. Гидросфера. Использование и охрана вод.Основные определения. ГОСТ 17.1.1.01-77.
2. Владимирова А.М., Орлов В.Г. Охрана и мониторинг поверхностных вод суши. Учебник. СПб.:РГГМУ, 2009. - 220 с.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 10. თბილისი. 1986. გვ 659.
4. ა.თხელიძე, რ.ლიპარტელიანი, ნ.მუმლაძე, ხ.ხომასურიძე, გ.დანელია. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა. თბილისი. 2009. გვ 134.
5. საქართველოს ქიმიური პროფილი. 2009.
6. ო.შაინიძე, ა.მურვანიძე, შ.ლამპარაძე. ეკოლოგიური წონასწორობა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა აჭარაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. 2009. №24. გვ.271-274.

უკ 502.631.574

**მდ. ყოროლისწყლის დაბინძურების წყაროების შესწავლა**/ვარშალომიძე დ.ზ., მუმლაძე ნ.გ., მუმლაძე კ.მ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.251-253-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ეკოლოგიურად სუფთა მაღალხარისხოვანი სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მიუხედავად საქართველოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებით სიმდიდრისა, დღეს ბევრი ქალაქი განიცდის ხარისხიანი სასმელი წყლის ნაკლებობას. მდ. ყოროლისწყალი მნიშვნელოვანია, როგორც ქბათუმის სასმელი წყლით მომარაგების, ასევე შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩადინების თვალსაზრისით. ნაშრომში განხილულია აღნიშნული მდინარის დაბინძურების სხვადასხვა წყაროები მისი ზედა წელიდან ზღვასთან შეერთებამდე.

**UDC 504.631.574**

**STUDY OF POLLUTION SOURCES OF THE RIVER KOROLISTKALI**/Varshalomidze D.Z., Mumladze N.G., Mumladze K.M./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013.-V.119.-pp.251-253-Georg.; Summ. Georg., Eng., Russ

One of the major tasks of the contemporaneity is provision of the population with high quality drinking water. Notwithstanding, rich capacity of surface and groundwater sources of Georgia, nowadays, lots of cities are not provided with qualitative drinking water. Korolistkali River serves as a drinking water source for city Batumi and water source for coastal zone of the Black Sea. The study describes different river pollution sources from the beginning of the river till the connection to the Sea.

УДК 504.631.574

**ИЗУЧЕНИЕ ИСТОЧНИКОВ ЗАГРЯЗНЕНИЯ РЕКИ КОРОЛИСЦКАЛИ**/ВАРШАЛОМИДЗЕ Д.З., МУМЛАДЗЕ Н.Г., МУМЛАДЗЕ К.М./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с. 251-253-Груз., Рез. Груз., Англ., Рус.

Одной из важнейших задач современности является снабжение населения чистой высококачественной питьевой водой. Несмотря на богатые возможности Грузии наземными и подземными источниками, сегодня многие города испытывают недостаток подачи качественной питьевой воды. Река Королистскали значима как поставщик питьевой воды г. Батуми, а также с точки зрения снабжения водой прибрежной полосы Черного моря. В работе рассмотрены различные источники загрязнения данной реки в верхней ее части, до слияния с морем.

УДК 551.48(479.24)

## ОСОБЕННОСТИ ВЫНОСА БИОГЕННЫХ ВЕЩЕСТВ РЕКАМИ АЗЕРБАЙДЖАНА

Абдуев М.А.

Институт Географии Национальная Академия Наук Азербайджана, г.Баку

Сток растворенных веществ рек представляет собой интегральную характеристику процессов формирования химического состава поверхностных вод. В естественных условиях он определяется интенсивностью физико-химических и биологических процессов, активно протекающих в зоне контакте водной массы и коры выветривания; в условиях техногенеза фоновые значения претерпевают изменения под влиянием техногенеза. Дополнительное привнесение человеком в агроландшафты биогенных компонентов способствует усилению выноса азота и в меньшей степени фосфора с поверхностной и подземной составляющей стока. Биогенные элементы привносятся также со стоками животноводства. В итоге величина биогенного стока рек выступает одним из показателей агрохозяйственного освоения водосбора.

В данной статье приведены результаты анализа гидрохимических данных по рекам Азербайджана [3,4] за 1975-2009 гг. Произведена систематизация данных и выявлена связи концентраций биогенных элементов с расходами воды. На примере рек Азербайджана показано, что источники антропогенного воздействия оказывают сильное влияние на гидрохимический режим.

Для решения поставленной задачи на территории Азербайджана выбрано 39 пунктов с наиболее длительными (от 14 до 38 лет) рядами наблюдений за концентрациями биогенных веществ. Эти пункты расположены на основных реках республики и относительно равномерно распределены по территории Азербайджана.

Целью работы является описание характера и величины среднемноголетних внутригодовых изменений концентраций биогенных элементов и биогенного стока рек Азербайджана, а также их изменчивости во времени.

Для анализа тенденций в изменении гидрохимических параметров использовалось уравнение линейного тренда, которое имеет вид:

$$Y_t = Y_{cp} + \alpha(t - t_{cp}), \quad (1)$$

где  $Y_t$  – расчетное значение среднегодовой величины минерализации воды в момент времени  $t$ ,  $Y_{cp}$  – средняя величина минерализации за период наблюдений,  $\alpha$  – угловой коэффициент, отражающий наклон линии тренда,  $t$  – порядковый номер члена ряда (для первого члена ряда  $t=1$ ),  $t_{cp}$  – среднее значение срединного члена ряда. Коэффициент  $\alpha$  определяется по формуле [5]:

$$\alpha = \frac{\sum_{i=1}^N (t - \bar{t})(Y - \bar{Y})}{\sum_{i=1}^N (t - \bar{t})^2}. \quad (2)$$

При оценке выноса биогенных веществ с сельскохозяйственных угодий следует иметь в виду, что основная их часть поступает в составе склонового стока с площадей, непосредственно примыкающих к руслам водотоков, что связано с тяготением сельскохозяйственного производства и поселений к речным долинам. Поскольку поверхностный сток с сельскохозяйственных земель не контролируется, он рассматривался нами как диффузный источник загрязнения, а животноводческие комплексы, воды которых частично подвергаются очистке, – в качестве точечных. Использование удобрений на полях и их смыв, наряду со сбросом нормативно-чистых вод ЖКХ, приводят к постепенной смене естественного гидрохимического фона в пределах гидрокарбонатно-кальциевого класса вод [2]. Для оценки этих изменений и факторов динамики биогенного выноса помимо водности рек, концентрации химических веществ, распаханности территорий нами привлекались данные о количестве вносимых удобрений, размерах поголовья скота и птицы в пересчете на кормовые единицы, плотности сельских жителей, доле осушенных земель водосборов. Данные о внесении минеральных удобрений и плотности условных голов скота переведены в удельные единицы в расчете на 1 км<sup>2</sup> площади водосбора, а плотность сельского населения рассчитана на 1 км<sup>2</sup> пашни в пределах водосбора.

В зимний период в реках Азербайджана отмечают высокий уровень содержания нитратов и фосфатов, что обусловлено распадом накопившегося за лето органического вещества (фито и зоопланкто-

на). На подъеме и пике половодья содержание нитратов и фосфатов увеличивается и достигает максимума, что связано с поступлением значительного количества этих биогенных веществ с тальми водами. В мае на спаде половодья концентрации нитратов и фосфатов снижаются. Летом в период интенсивной вегетации водорослей происходит дальнейшее снижение содержаний нитратов и фосфатов. В этот период в поверхностных водах Азербайджана наблюдаются минимальные содержания этих веществ.

Осенью с началом массового распада (разложения) органических веществ и в результате дополнительного поступления с дождевыми паводковыми водами на реках наблюдается второй максимум содержания нитратов и фосфатов. В ноябре-декабре, когда расходы воды достигают максимума на реках Азербайджана, концентрации биогенных веществ (фосфатов, иногда нитратов) резко возрастают, достигая весеннего уровня, а в некоторых случаях даже превышают его. Этот рост концентраций, по-видимому, связан с увеличением роли смыва растворенных веществ с поверхности водосбора.

Нитриты являются промежуточным и наиболее неустойчивым звеном в цикле соединений азота. Их содержание в поверхностных водах Азербайджана регулируется совокупностью весьма динамичных биохимических процессов (нитрификация, денитрификация, потребление фитопланктоном и др.) и поэтому внутригодовое распределение нитритного азота не имеет четкой закономерности. Тем не менее, во внутригодовой динамике нитритов по многолетним данным можно отметить зимний максимум. В остальные месяцы содержание нитритов обычно ниже.

В реках республики по материалам наблюдений за весь период исследования наблюдается сильная зависимость концентрации биогенных веществ от расходов воды (корреляционное отношение  $r$ , как правило, более 0,5). Для нитратов в реках Катехчай, Белоканчай, Гудиалчай, Велвеличай, имеющих повышенную естественную зарегулированность (лесистость), наблюдаются прямые связи, в остальных реках - обратные. Интересно, что в этих же реках, как правило, наблюдается отсутствие связи между содержанием нитритов, фосфатов и расходом воды. Для рек с длинными рядами наблюдения представляет интерес изучение трансформации типа и тесноты связи по периодам. Изменяются во времени также связи концентраций ионов с расходами воды. В современный период наблюдается ослабление тесноты связей  $C=f(Q)$  и преобразование вида функций, аппроксимирующих зависимость  $C=f(Q)$ . Трансформация вида функции  $C=f(Q)$  по периодам представлена в табл. 1.

**Таблица 1. Оценки связи среднемесячных концентраций биогенных элементов (мг/л) и с расходом реки  $Q$  ( $m^3/c$ ) для периодов наблюдений 1975-1990 гг. и 1991-2009 гг. (на примере р. Велвеличай у с.Тянгиалты)**

| Биогенные элементы (мг/л) | Связь $C=f(Q)$ за 1975-1990 гг. | Коэффициент корреляции ( $r$ ) | Связь $C=f(Q)$ за 1991-2009 гг. | Коэффициент корреляции ( $r$ ) |
|---------------------------|---------------------------------|--------------------------------|---------------------------------|--------------------------------|
| $PO_4^{3-}$               | $PO_4^{3-}=13,7+0,0168Q$        | 0.89                           | $PO_4^{3-}=1,94-42,7/Q$         | 0.76                           |
| $NO_2^-$                  | $NO_2^-=1,77-2,03Q$             | 0.62                           | $NO_2^-=2,87-0,000184Q$         | 0.67                           |
| $NO_3^-$                  | $NO_3^-=15,8+0,254Q$            | 0.91                           | $NO_3^-=8,7Q^{-0,2883}$         | 0.80                           |

Для всех рек Азербайджана, кроме Ленкоранских рек, максимальный вынос биогенных веществ наблюдается в весенний период, когда в течение двух месяцев тальми водами с водосбора выносятся до 63% годового стока фосфора и азота. Причем только в апреле во время пика половодья выносятся более 35% годового выноса. Минимальный вынос веществ наблюдается в июне-сентябре (1-5%). Для рек Ленкоранской природной области наибольший сток биогенных веществ приурочен к ноябрю-декабрю (по 13-20%), а также к марту (16-22%), минимальные его значения наблюдаются в июне-августе (1-4%).

Внутригодовые изменения концентраций биогенных веществ не являются постоянными во времени. Проведенное нами [1] на реках Азербайджана изучение внутригодовых изменений концентраций биогенных веществ по периодам выявили наличие существенных отличий в их величине при неизменном характере. Примеры трансформации по периодам представлены в табл. 2.

Прежде всего, необходимо отметить значительное увеличение концентраций биогенных веществ во времени. Анализ материалов за весь период наблюдений показал, что в современный период во всех реках возросла амплитуда внутригодовых колебаний биогенных веществ, особенно нитратов. Для внутригодовой динамики биогенных элементов характерно увеличение среднемесячных концентраций во все сезоны года. Для большинства рек Азербайджана наименьший рост уровня содержания биогенных веществ


наблюдается в холодной период. Исключением являются реки Ленкоранской природной области, где холодной период наблюдаются паводки.

**Таблица 2. Внутригодовая изменчивость концентраций биогенных веществ по периодам**

| Река-пункт            | Период  | $PO_4^{3-}$ , мг/л | $C_v$ | $NO_2^-$ , мг/л | $C_v$ | $NO_3^-$ , мг/л | $C_v$ |
|-----------------------|---------|--------------------|-------|-----------------|-------|-----------------|-------|
| Белоканчай-Белокан    | 1975-84 | 0,032              | 0,32  | 0,002           | 0,48  | 0,32            | 0,54  |
|                       | 1985-94 | 0,028              | 0,34  | 0,003           | 0,39  | 0,34            | 0,48  |
|                       | 1995-04 | 0,034              | 0,67  | 0,0034          | 0,51  | 0,43            | 0,65  |
|                       | 2005-09 | 0,041              | 0,69  | 0,004           | 0,46  | 0,58            | 0,56  |
| Геокчай-Геокчай       | 1975-84 | 0,056              | 0,39  | 0,0325          | 0,37  | 0,39            | 0,38  |
|                       | 1985-94 | 0,063              | 0,41  | 0,0364          | 0,45  | 0,44            | 0,41  |
|                       | 1995-04 | 0,066              | 0,48  | 0,0374          | 0,46  | 0,51            | 0,42  |
|                       | 2005-09 | 0,065              | 0,59  | 0,0518          | 0,71  | 0,68            | 0,57  |
| Кудиалчай-Куба        | 1975-84 | 0,055              | 0,49  | 0,0329          | 0,32  | 0,56            | 0,48  |
|                       | 1985-94 | 0,060              | 0,52  | 0,0381          | 0,36  | 0,59            | 0,52  |
|                       | 1995-04 | 0,061              | 0,55  | 0,0387          | 0,39  | 0,62            | 0,59  |
|                       | 2005-09 | 0,067              | 0,60  | 0,0511          | 0,47  | 0,67            | 0,62  |
| Гошгарчай-Дашкесан    | 1975-84 | 0,040              | 0,30  | 0,0320          | 0,46  | 0,44            | 0,39  |
|                       | 1985-94 | 0,050              | 0,31  | 0,0544          | 0,52  | 0,55            | 0,45  |
|                       | 1995-04 | 0,097              | 0,71  | 0,0696          | 0,82  | 0,63            | 0,55  |
|                       | 2005-09 | 0,064              | 0,71  | 0,0732          | 0,88  | 0,82            | 0,60  |
| Нахичеванчай-Нахчыван | 1975-84 | 0,053              | 0,52  | 0,0403          | 0,64  | 0,41            | 0,42  |
|                       | 1985-94 | 0,055              | 0,56  | 0,0428          | 0,67  | 0,45            | 0,46  |
|                       | 1995-04 | 0,057              | 0,59  | 0,0447          | 0,70  | 0,66            | 0,75  |
|                       | 2005-09 | 0,058              | 0,61  | 0,0478          | 0,76  | 0,67            | 0,77  |
| Виляшчай-Шыхлар       | 1975-84 | 0,070              | 0,61  | 0,0648          | 0,82  | 0,57            | 0,51  |
|                       | 1985-94 | 0,072              | 0,66  | 0,0725          | 0,88  | 0,70            | 0,52  |
|                       | 1995-04 | 0,079              | 0,86  | 0,0800          | 1,09  | 0,66            | 0,81  |
|                       | 2005-09 | 0,082              | 0,10  | 0,0120          | 1,40  | 0,50            | 0,86  |

В вегетационный (летний) период заметное снижение концентраций в последние годы наблюдается только для нитратов, которые из всех форм азота наиболее интенсивно поглощаются фитопланктоном.

Ускоренное увеличение концентрации биогенных веществ, особенно нитратов, в месяцы с повышенным водным стоком свидетельствует о том, что источник дополнительного поступления биогенных веществ в речные воды Азербайджана имеет преимущественно поверхностный генезис. Наибольшее загрязнение поверхностных вод в весенний период биогенными элементами наблюдается при вывозе удобрений на поверхность снега или весной на неоттаявшую почву, а также в случае, когда после внесения удобрений проходит сильный ливень.



**Рис. Изменения нитратов за период 1975-2009 гг. в р. Белоканчай у г. Белокан**



Таким образом, наблюдающееся увеличение амплитуды внутригодовых изменений концентраций биогенных веществ обусловлено ростом их содержания в сточных водах, а также их поступлением с сельскохозяйственных угодий и от животноводческих комплексов.

Оценка изменения режима концентраций биогенных веществ рек Азербайджана за многолетний период проводилась с помощью метода линейного тренда. Анализ многолетних рядов биогенных веществ воды показал, что ее изменения во времени имеют неоднозначный характер.

На реках Малого Кавказа наблюдаются разнонаправленные изменения биогенных элементов. Положительные тренды отмечаются на реках Акстафачай, Таузчай, Шамкирчай, Гяджачай, Гошгарчай, Кендаланчай и Каркарчай. Слабый отрицательный тренд в изменении биогенных веществ отмечается на реках Кюрракчай, Тертерчай, Ахохчай и Акерачай.

На реках Ленкоранской природной области и Нахчыванской АР обнаруживаются слабые положительные тренды в многолетних изменениях биогенных веществ. Основной причиной изменения химического состава речных вод являются антропогенные факторы. Характер многолетних изменений концентраций представлен на рис, где показано изменение годовых взвешенных по стоку концентраций нитратов для рек Азербайджана с наиболее продолжительными периодами наблюдений.

**Таблица 3. Среднемноголетний биогенный сток рек Азербайджана**

| <i>Река-пункт</i>        | <i>Водный сток,<br/>млн. м<sup>3</sup></i> | <i>NO<sub>3</sub><sup>-</sup>,<br/>тон</i> | <i>NO<sub>2</sub><sup>-</sup>,<br/>тон</i> | <i>PO<sub>4</sub><sup>3-</sup>,<br/>тон</i> |
|--------------------------|--|--|--|---|
| Гусарчай-с.Кузун         | 115  | 40,3                                       | 0,81                                       | 3,2   |
| Гудиалчай-г.Губа         | 172  | 61,9                                       | 1,38                                       | 5,8   |
| Гудиалчай-г.Хачмас       | 64   | 18,6                                       | 0,38                                       | 1,9   |
| Гарачай-с.Рюк            | 57   | 18,8                                       | 0,40                                       | 1,8   |
| Чагаджукчай-с.Рустов     | 11   | 3,9  | 0,08                                       | 0,3   |
| Велвелечай-с.Тянгиалты   | 53   | 18,0                                       | 0,32                                       | 1,8   |
| Белоканчай-г.Белокан     | 121  | 339  | 0,61                                       | 4,1   |
| Катехчай-с.Гэбиздара     | 100  | 34   | 0,6  | 3,1   |
| Талачай-г.Загатала       | 119  | 35,7                                       | 0,71                                       | 4,0   |
| Курмухчай-г.Гах          | 96   | 36,5                                       | 0,58                                       | 3,2   |
| Агричай-устье            | 305  | 110  | 1,83                                       | 11,3  |
| Алиджанчай-с.Халдан      | 71   | 19,9                                       | 0,43                                       | 2,6   |
| Турианчай-г.Агдаш        | 311  | 112  | 2,18                                       | 10,6  |
| Демирапаранчай-г.Габала  | 147  | 42,6                                       | 0,74                                       | 5,3   |
| Геокчай-г.Геокчай        | 337  | 98   | 2,36                                       | 9,8   |
| Акстафачай-г.Казах       | 21   | 17,6                                       | 0,06                                       | 0,7   |
| Таузчай-г.Тауз           | 11   | 9,3  | 0,04                                       | 0,55  |
| Шамкирчай-г.Шамкир       | 18   | 5,6  | 0,14                                       | 0,6   |
| Гошгарчай-г.Дашкесан     | 7  | 6,2  | 0,04                                       | 0,5   |
| Кюрракчай-с.Чайкенд      | 59   | 21   | 0,35                                       | 1,9   |
| Тертерчай-пгт.Келбаджар  | 144  | 47,5                                       | 1,15                                       | 5,4   |
| Каркарчай-г.Ханкенди     | 46   | 12,4                                       | 0,41                                       | 1,4   |
| Охчучай-с.Шайыфлы        | 306  | 367  | 2,45                                       | 11,9  |
| Акерачай-пгт.Лачын       | 353  | 120  | 2,47                                       | 12,4  |
| Куручай-с.Туг            | 51   | 16,8                                       | 0,31                                       | 1,7   |
| Кендаланчай-пгт.Кр.Базар | 15   | 5,3  | 0,11                                       | 0,59  |
| Нахичеванчай-г.Нахичеван | 296  | 97,7                                       | 2,66                                       | 10,6  |
| Гиланчай-с.Нургут        | 56   | 16,8                                       | 0,45                                       | 1,6   |
| Парагачай-с.Парага       | 21   | 6,1  | 0,17                                       | 0,6   |
| Виляшчай-с.Шыхлар        | 75   | 21,8                                       | 0,45                                       | 2,8   |
| Ленкоранчай-с.Сифидор    | 198  | 53,5                                       | 1,78                                       | 6,9   |
| Тенгеручай-с.Ваго        | 61   | 16,5                                       | 0,55                                       | 2,0   |
| Истисучай-с.Алаша        | 42   | 10,5                                       | 0,34                                       | 1,3   |

Для экологической оценки водных объектов особенно важное значение имеет изучение стока биогенных элементов. В настоящей работе произведена оценка выноса реками Азербайджана фосфатов, нитратов и нитритов (табл.3). На реках Азербайджана, имеющих наиболее длинные ряды наблюдений, зафиксированы значительные изменения стока биогенных веществ. Следовательно, в настоящее время дополнительное поступление этих веществ в речную сеть из антропогенных источников уже в несколько раз превышает их поступление из природных источников.

В этих условиях основными становятся неточечные источники изменения химического воды – смыл удобрений с сельскохозяйственных территорий. Примерно больше половина территории Азербайджана используется для производства сельскохозяйственной продукции. Рост поголовья крупного рогатого скота на комплексах возрос за 20 лет в 2 раза. Больших масштабов на территории республики достигло применение минеральных удобрений на полях. Внесение фосфатных удобрений в почву после 1985 г. увеличилось в 3 раза [6]. Хорошо растворимы и сравнительно легко выносятся из почвы азотные удобрения в форме нитратов и нитритов. Их внесение по сравнению с началом 90-х годов возросло в 3,3 раза [6]. Дополнительным источником поступления нитратов и нитритов в поверхностные воды могут быть загрязненные соединениями азота атмосферные осадки. Имеется сравнительно небольшое количество данных по химическому составу атмосферных осадков на территории Азербайджана, однако они дают основание говорить об увеличении содержания нитратов во времени.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Абдуев М.А. Изменение режима биогенных веществ и их выноса реками Азербайджанской Республики. //Географический вестник. Пермь, 2011. №3(18). С.14-22
2. Гаджиев Г.А. Химический сток и загрязнение рек Большого Кавказа в пределах Азербайджанской ССР. Автореф. дисс. канд. геогр. наук. Баку, 1984. 24 с.
3. Гидрохимический бюллетень ГГМ по окружающей среды. Баку, 1995-2009 гг. 116 с.
4. Ежегодные данные о качестве поверхностных вод суши. Часть 1. Реки. Баку, 1950-1994 гг. 221 с.
5. Методические рекомендации по учету влияния хозяйственной деятельности на сток малых рек при гидрологических расчетах для водохозяйственного проектирования. Л.: Гидрометеиздат, 1986. 166 с.
6. Салманов М.А. Экология и биологическая продуктивность Каспийского моря. Баку, 1999. 400 с.

UDC 551.583

**FEATURES REMOVAL NUTRIENTS RIVERS OF AZERBAIJAN.**/Abduyev MA / Transactions of the Institute of Hydro-meteorology at the, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.254-258- Russ., Summ. Eng., Russ.

The results of the analysis of hydrochemical data on the rivers of Azerbaijan for 1975-2009 years. Systematization of the data produced and detected concentrations of nutrients due to the cost of water. On the example of the rivers of Azerbaijan shows that the sources of human impact have a strong influence on the hydrochemical regime. To solve the problem in Azerbaijan selected 39 items with the greatest number (14 to 38 years) series of observed concentrations of nutrients. These points are located on the main rivers of the Republic and are relatively evenly distributed on the territory of Azerbaijan. For the analysis of trends in the hydrochemistry use the equation of a linear trend. Analysis of long-term series of nutrient water showed that it changes over time have been mixed. The estimation of the removal rivers Azerbaijan phosphate, nitrate and nitrite.

УДК 551.583

**ОСОБЕННОСТИ ВЫНОСА БИОГЕННЫХ ВЕЩЕСТВ РЕКАМИ АЗЕРБАЙДЖАНА.**/Абдуев М.А./Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с.254-258 - Рус., Рез. Англ., Рус.

В статье приведены результаты анализа гидрохимических данных по рекам Азербайджана за 1975-2009 гг. Произведена систематизация данных и выявлена связи концентраций биогенных элементов с расходами воды. На примере рек Азербайджана показано, что источники антропогенного воздействия оказывают сильное влияние на гидрохимический режим. Для решения поставленной задачи на территории Азербайджана выбрано 39 пунктов с наиболее длительными (от 14 до 38 лет) рядами наблюдений за концентрациями биогенных веществ. Эти пункты расположены на основных реках республики и относительно равномерно распределены по территории Азербайджана. Для анализа тенденций в изменении гидрохимических параметров использовалось уравнение линейного тренда. Анализ многолетних рядов биогенных веществ воды показал, что ее изменения во времени имеют неоднозначный характер. Произведена оценка выноса реками Азербайджана фосфатов, нитратов и нитритов.

უაკ: 631.4/42.551.583

## ალახნის ველის დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების ქიმიური შეფენილობა კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე

ლ.შავლიაშვილი\*, ნ.ქარდავა\*\*, დ.მეტრეველი\*\*, ნ.ხარხელი\*\*, ს.ქუბრიაშვილი\*, გ.როგავა\*  
\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
\*\*ილია ვეკუას სახ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლა

(სტატია შესრულებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო  
საგრანტო კონკურსის „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ №19/10 პროექტის ფარგლებში)

საქართველოში დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების საერთო ფართობი 205 ათას ჰექტარზე მეტია. კახეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს 605 683 ჰა-ს, ხოლო დამლაშებული ნიადაგების ფართობი – 133 000 ჰა-ს, რაც შეადგენს სავარგულების ფართობის 22%-ს. სიღნაღის რაიონში დამლაშებული ნიადაგების ფართობი შეადგენს 54 000 ჰა-ს, დედოფლისწყაროს რაიონში 48 000 ჰა-ს, საგარეჯოს რაიონში – 23 000 ჰა-ს, გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონებში ორივეში – 8 000 ჰა-ს [1].

დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგები ხასიათდებიან აგრონომიულად არახელსაყრელი თვისებებით: მიმე მექანიკურ (თიხიანობით), ნიადაგურუნტში ადვილად ხსნადი მარილების შემცველობით (ძირითადად ქლორიდულ-სულფატური ტიპის), მშთანთქავ კომპლექსში ნატრიუმის დიდი შემცველობით (ე.ი. ბიცობიანობით), მაღალი ტუტე რეაქციით, დაწიდულობით, რაც განაპირობებს მშრალ მდგომარეობაში ნიადაგის ძლიერ სიმკვრივეს, ხოლო ტენიან მდგომარეობაში გაჯირჯვებას და უსტრუქტურობას. იზრდება დისპერსიულობა, ასევე ღამის ფრაქციის რაოდენობა და ნიადაგი ხდება წყალგაუმტარი ან სუსტად წყალგაუმტარი. ამრიგად, დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგები მედიორაციის გარეშე დაბალ პროდუქტიულ ნიადაგებად ითვლებიან.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის მითუმეტეს ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო ერთადერთი რეზერვი დეგრადირებული მიწების აღდგენასა და გამოყენებაში მდგომარეობს.

კლიმატის მიმდინარე გლობალური ცვლილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. კერძოდ, გახშირებული და გაზრდილი ინტენსიურობის სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა, წყალმოვარდნები) იწვევენ სახნავი მიწების პროდუქტიულობის შემცირებას და მიწის რესურსების დეგრადაციის ზრდას. აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან თანამედროვე კლიმატის ცვლილების მიმართ. აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილზე აღინიშნება ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მატება 0,6°C-მდე. ამასთან გახშირდა გვალვები. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში აქ მოსული ნალექების რაოდენობა არ აღემატება 200-250 მმ-ს, რაც 1 მ სისქის ნიადაგის ფენაში არსებული პროდუქტიული ტენის მარაგის მხოლოდ 50-200 მმ-ს შეადგენს. გლობალური დათბობის ფონზე გახშირებული გვალვების შედეგად აღინიშნება ბუნებრივი ლანდშაფტების ტრანსფორმაციის პროცესი [2,3]. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში თითქმის 3 000 კვ.კმ ფართობის ტერიტორია, რომელიც მოქცეულია ნახევრადუდაბნოს ზონაში, განუწყვეტლივ ზიანდება გვალვებისა და ქარისმიერი ეროზიისაგან, განიცდის დეგრადაცია-გაუდაბნობებს. გაუდაბნობის პროცესი კარგად არის გამოხატული ქიზიყის, გარე კახეთის და ქვემო ქართლის რიგ რეგიონებში.

ჩვენი კვლევის ობიექტია სიღნაღის რაიონი, რომელიც ღარბია წყლის რესურსებითა და ატმოსფერული ნალექებით. ზაფხულის თვეებში ჰაერის ტემპერატურა აქ აღწევს 35-40°C-ს, რაც ხანგრძლივ უნალექო პერიოდებთან ერთად ხშირად იწვევს გვალვებს. ყოველივე ეს აქტუალურია გლობალური დათბობის პირობებში, როდესაც მოსალოდნელია გვალვიანი რეგიონის არიალის გადიდება, აორთქლების ხარჯზე ტენის დეფიციტის გაზრდა, აორთქლების ინტენსივობის ზრდასთან ერთად ნიადაგის დამლაშების პროცესების გაძლიერება, ნიადაგის ორგანული მასის სწრაფი მინერალიზაცია და გამოფიტვა, სახნავიფართობების შემცირება, რაც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირებასა და დანაკარგებთან. ყოველივე ეს

განაპირობებს ამ რეგიონში სოფლის მეურნეობის მოწყვლადობის მაღალ ხარისხს კლიმატის ამჟამად მიმდინარე ცვლილების მიმართ და აქტუალურს ხდის საადაპტაციო ღონისძიებათა შემუშავებას და მათ განხორციელებას, რათა სათანადო პირობები შეიქმნას მიწის დეგრადაციის შემცირებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მარტის თვეში ნიადაგისა და წყლის ნიმუშების აღება მოხდა სოფ.ძველი ანაგის ექსპერიმენტალური ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. ძველ ანაგაში შერჩეულ იქნა დრენაჟიანი სარწყავი ნაკვეთი ნაკვ.2-ვენახი და ნაკვ.3-ბალახი. ეს ნაკვეთები მდებარეობენ ქვემო ალაზნის სარწყავი არხის მარცხენა სანაპიროზე, ბაზის ტერიტორიიდან დაახლოებით 500 და 1500 მ-ში. მარტის თვეში საკვლევი ობიექტების ნიადაგის საანალიზო ნიმუშების აღება მოხდა 0-20, 20-40, 40-60, 60-80სმ სიღრმეზე. გარდა ამისა შერჩეულ იქნა გრუნტის წყლის და კოლექტორულ-დრენაჟული წყლების აღების წერტილები, რომლებშიც აღვიღებ მობილური იონომეტრის საშუალებით განისაზღვრა შემდეგი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები: pH, ტემპერატურა და მარილიანობა.

აღებული ნიადაგის ნიმუშები ჩამოტანილ იქნა ლაბორატორიაში, სადაც ნიმუშები გაიშალა გასაშრობად, შემდეგ ისინი გაიწმინდა სხვადასხვა ჩანართებისაგან (მცენარეთა ფესვები, კენჭები), დაიფქვა ფაიფურის როდინში, გაიცრა 1 მმ დიამეტრის საცერში და აიწონა წყლით გამონაწურის მოსამზადებლად, რომელშიც განისაზღვრა შემდეგი კომპონენტები: pH, Na<sup>+</sup>, K<sup>+</sup>, Ca<sup>++</sup>, Mg<sup>++</sup>, Cl<sup>-</sup>, HCO<sub>3</sub><sup>-</sup>, CO<sub>3</sub><sup>-</sup>, SO<sub>4</sub><sup>-</sup>, საერთო მინერალიზაცია [4].


სოფ.ძველი ანაგის ხელოვნური წყალსაცავის წყალი მიეკუთვნება ზომიერი მინერალიზაციის (500-1000 მგ/ლ) მქონე წყლებს [3]. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული წყალსაცავის წყალს ძალიან ცოტა უკლია რათა ის მიეკუთნოთ მაღალი მინერალიზაციის (>1000 მგ/ლ) მქონე წყლებს, მით უმეტეს, რომ ეს წყალსაცავი განთავსებულია მლაშე ნიადაგებზე და გრუნტის წყლის მინერალიზაცია შეადგენს 5212.3 მგ/ლ.

**ცხრილი 1. სოფ. ძველი ანაგის ხელოვნური წყალსაცავის და გრუნტის წყლების ქიმიური შედგენილობა**

| №  | ინგრედიენტები                       | სოფ.ძველი ანაგის ხელოვნური წყალსაცავის წყალი | სოფ.ძველი ანაგის ხელოვნური წყალსაცავის წყალი | გრუნტის წყალი |
|----|-------------------------------------|--|--|---------------|
|    |                                     | 10.09.2012                                   | 17.12.2012                                   | 17.12.2012    |
| 1  | სუნი, ბალი                          | 0  | 0  | 0             |
| 2  | გამჭირვალობა, სმ                    | 12   | 11   | 12            |
| 3  | შეწონილი ნაწილაკები, მგ/ლ           | -  | -  | -             |
| 4  | pH                                  | 7.02   | 6.72   | 6.58          |
| 5  | კარბონატი, მგ/ლ                     | -  | -  | -             |
| 6  | ნახშირორჟანგი, მგ/ლ                 | 1.8  | 1.76   | 0.88          |
| 7  | სიხისტე, მგ/ლ                       | 4.02   | 3.95   | 11.53         |
| 8  | ნიტრატის აზოტი, მგ/ლ                | 0.021  | 0.393  | -             |
| 9  | ნიტრატის აზოტი, მგ/ლ                | 0.036  | 0.072  | 0.267         |
| 10 | ამონიუმის აზოტი, მგ/ლ               | 0.135  | -  | -             |
| 11 | ფოსფატი, მგ/ლ                       | 0.113  | -  | -             |
| 12 | სულფატები, მგ/ლ                     | 390.2  | 513.5  | 3160.8        |
| 13 | ქლორიდები, მგ/ლ                     | 89.2   | 98.9   | 528.9         |
| 14 | ბრომიდი, მგ/ლ                       | 0.464  | 0.482  | -             |
| 15 | ფტორიდი, მგ/ლ                       | 0.985  | 0.278  | 1.229         |
| 16 | ჰიდროკარბონატები, მგ.ექვ/ლ          | 148.8  | 185.4  | 746.6         |
| 17 | კალიუმი, მგ/ლ                       | 4.5  | 1.9  | 2.7           |
| 18 | ნატრიუმი, მგ/ლ                      | 80.5   | 124.0  | 580.0         |
| 19 | კალციუმი, მგ/ლ                      | 122.8  | 42.23  | 131.4         |
| 20 | მაგნიუმი, მგ/ლ                      | 38.5   | 22.42  | 60.5          |
| 21 | სილიციუმი, მგ/ლ                     | 9.0  | -  | -             |
| 22 | ელექტროგამტარობა, $\mu\text{sm/cm}$ | 525  | 972  | 6030          |
| 23 | მინერალიზაცია, მგ/ლ                 | 725.7  | 980.2  | 5212.3        |

სოფ.ძველი ანაგის ხელოვნური წყალსაცავის წყლის ხარისხის ცვლილება განპირობებულია როგორც მასში ჩამდინარე წყლის რეჟიმის ცვლილებით, ისე შიდა ბიოლოგიური პროცესებით: დინების სიჩქარის ცვლილება, გამჭირვალობის გაზრდა, რომელიც გამოწვეულია სამრეწველო, კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენებით, რაც იწვევს ბიოგენური ნივთიერებებით გამდიდრებულ წყალში ფიტოპლანქტონის გაძლიერებას. თუ წყალში გაჩნდნენ ღურჯი და მწვანე წყალმცენარეები, ეს მეტყველებს, რომ ამ წყალში წარმოიქმნებიან ტოქსიკური ნივთიერებები და ბუნებრივია, რომ წყლის ხარისხი უარესდება.

წყლის ხარისხისადმი მოთხოვნილება არსებითად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ წყალს რა გამოყენება აქვს. ამან განაპირობა თევზსამეურნეო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის (ზღკ) გამოყენება, რომლის მიზანია წყალსაცავების, როგორც თევზსამეურნეო და თევზჭერითი ბაზის დაცვა, მეთევზეობისა და თევზჭერის განვითარება. ამიტომ თევზსამეურნეო ზღკ-ის გაანგარიშებისას უპირველესყოფლისა ითვალისწინებენ ქიმიური ნივთიერებების შესაძლო ზემოქმედებას წყლის თვითგასუფთავების პროცესებზე და წყლის ეკოსისტემების (წყალმცენარეები, ბაქტერიები, მოლუსკები, თევზები) სიცოცხლისუნარიანობაზე, აგრეთვე თევზის პროდუქციის ხარისხის გაუარესებასზე.

თევზები ადამიანთან და თბილსისხლიან ცხოველებთან შედარებით უფრო მეტად მგრძობიარენი არიან ტოქსიკური ნივთიერებების მიმართ. ლაყუნების საშუალებით მათ ორგანიზმში

ხვდება უფრო მეტი ტოქსიკური ნივთიერება, ვიდრე ადამიანი ან თბილსისხლიანი ცხოველი დებულობს ჰაერიდან სუნთქვის დროს [4].

ტოქსიკური ნივთიერებების მოქმედება დამოკიდებულია გახსნილ ჟანგბადზე, pH-ზე, ორგანულ ნივთიერებათა კომპლექსზე და სხვა. გარდამავალი პროდუქტები, რომლებიც წარმოიშობა წყლის ეკოსისტემაში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ტრანსფორმაციისას, ხშირად უფრო ტოქსიკურია ვიდრე თავდაპირველი ნივთიერება. ამიტომ ეკოლოგიური თვალსაზრისით დამაბინძურებელი ნივთიერებების გარემოზე დასაშვები დატვირთვის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი ფაქტორების გავლენა არა ცალკეულ ორგანიზმებზე, არამედ მთლიანად ბიოცენოზისა და ეკოსისტემის რეაქციაზე.

გარდა ბიოლოგიური გატუქვიანებისა, სარწყავი მასივებიდან გამოტანილი მარილების ხარჯზე ხდება წყლის მინერალიზაციის ზრდა, მისი ქიმიური შედგენილობის ცვლილება. მდინარეებში მოხვედრილი მარილების რაოდენობა აღწევს ათეულობით, ხოლო ძლიერ დამლაშებული ნიადაგების შემთხვევაში კი ასეულ ტონასაც 1 ჰა-დან.

მდინარეები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან პესტიციდებისა და ნარჩენი მინერალური სასუქების მთავარი სატრანზიტო გზაა. ბიოგენური ნივთიერებების სიჭარბე სანაპირო ზოლში იწვევს წყალმცენარეების “ყვავილობას”, შემდეგ კი წარმოქმნილ ბიომასის დაჟანგვაზე იხარჯება გახსნილი ჟანგბადი, რაც მისი მწვავე დეფიციტის მიზეზი ხდება.

ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემა განთავსებულია ალაზნის ველის მარჯვენა სანაპიროზე. 35 000 ჰა ტერიტორიის მორწყვა ხორციელდება ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხის საშუალებით, რომლის წყლის ხარჯიც სათავე ნაგებობასთან შეადგენს 18 მ<sup>3</sup>/წმ-ში, ხოლო მდ.ალაზანში ვარდნისას 3 მ<sup>3</sup>/წმ-ში. მაგისტრალური არხის კვების წყაროს წარმოადგენს მდ.ალაზანი. ამიტომ წყლის ნიმუშები აღებული იქნა მდ.ალაზნისა და ქვემო ალაზნის სარწყავი არხიდან, რომლებშიც განისაზღვრა pH, მინერალიზაცია და ძირითადი იონები [5].

სარწყავი წყლის მინერალიზაცია ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხის მთელ სიგრძეზე მერყეობს 200-450 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისი მინიმალური მნიშვნელობა აღინიშნება გაზაფხულის ბოლოს – ზაფხულის დასაწყისში, ხოლო მაქსიმალური ზამთრისა და ზაფხულის შუაში. თავისი შემადგენლობით სარწყავი წყალი ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანია. არხის მთელ სიგრძეზე წყლის ქიმიზმი პრაქტიკულად მცირედ იცვლება.

მთავარი იონებიდან მაგისტრალური არხის წყალში უფრო მაღალია HCO<sub>3</sub><sup>-</sup>-ის იონები, რომლის მეტი რაოდენობა სხვა იონებთან შედარებით მკვეთრად გამოხატული გაზაფხულის წყალდიდობის და შემოდგომის წვიმების დროს. SO<sub>4</sub><sup>-</sup>-ის შემცველობა შედარებით მაღალია ზამთრისა და ზაფხულის წყალმცირობისას. SO<sub>4</sub><sup>-</sup>-ის მაღალი შემცველობის ახსნა წყალმცირობის პერიოდში გამოწვეულია ალბათ იმით, რომ მაგისტრალური არხი არ არის მოპირკეთებული და გადის გრუნტში რამდენადმე ამალღებული მარილების შედგენილობით, რაც გავლენას ახდენს სარწყავი წყლის ქიმიურ შედგენილობაზე. ამითვე შეიძლება აიხსნას Cl<sup>-</sup>-ის იონების შედარებით მაღალი შემცველობა წყალმცირების პერიოდში.

მდ.ალაზნის წყალი ჰიდროკარბონატულია, უფრო მეტი მერყეობით ხასიათდებიან HCO<sub>3</sub><sup>-</sup> და SO<sub>4</sub><sup>-</sup>-ის იონები, ხოლო კათიონებიდან Ca<sup>++</sup>-ის და Na<sup>+</sup>+K<sup>+</sup>, უფრო მყარია Cl<sup>-</sup>-ის და Mg<sup>++</sup>-ის იონები. მდ.ალაზნის ქვემო დინების მიმართულებით როდესაც ხდება მაგისტრალურ არხში ჩაშვება, საერთო მინერალიზაცია იცვლება. იგი მერყეობს 203.6 – 650.0 მგ/ლ-ის საზღვრებში. იზრდება SO<sub>4</sub><sup>-</sup> (180.0 მგ/ლ) და Na<sup>+</sup>+K<sup>+</sup> იონები (269.0 მგ/ლ).

თუ შევადარებთ ერთმანეთს ხელოვნური წყალსაცავისა და ქვემო ალაზნის სარწყავი არხის წყლების მინერალიზაციას, აღმოჩნება, რომ მინერალიზაცია წყალსაცავში გაცილებით მაღალია, ვიდრე არხის წყალში, მით უმეტეს დეკემბრის თვეში, როდესაც წყალსაცავში წყალი არ იცვლება. მინერალიზაცია ამ პერიოდში წყალსაცავში აღწევს 980.2 მგ/ლ-ს. ჩვენი მოსაზრებით ეს განპირობებული იმით, რომ წყალსაცავში ჯერ ერთი, ამოდის მლაშე გრუნტის წყლები და მეორეც, ხდება დამლაშებული ნიადაგებიდან ადვილად ხსნადი მარილების გამოტანა, რაც იწვევს მინერალიზაციის მომატებას.

ცხრ.-ში მოცემულია გრუნტის წყალში განსაზღვრული ინგრედიენტების ნუსხა, სადაც ნათლად ჩანს სულფატების, ქლორიდების, ნატრიუმის, მაგნიუმის იონების, მინერალიზაციის ჭარბი შემცველობა. ხელოვნურ წყალსაცავში გრუნტის წყლების ამოსვლის შესაძლებლობა გაზრდის წყალსაცავში იმ ინგრედიენტების შემცველობას, რაც გავლენას მოახდენს წყალსაცავის როგორც

თევზსამეურნეო წყალსარგებლობის ობიექტში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციის ზრდაზე ზღვაზე მეტი რაოდენობით.

ჯანდარის ტბის ქიმიური შედგენილობა, რომელიც განთავსებულია ქვემო ქართლში, სოფელ ჯანდარაში ბიცობიან ნიადაგებზე, მისი pH მერყეობს 8.20-8.60 ფარგლებში. მინერალიზაცია მაქსიმუმს აღწევს ზაფხულის თვეებში და შეადგენს 600-660 მგ/ლ-ს. ეს განპირობებულია ტბის წყლის ინტენსიური აორთქლებით, რის შედეგადაც მარილების კონცენტრაცია მაქსიმალურია. მაის-ივლისის თვეებში მინერალიზაცია ყველაზე დაბალია და შეადგენს 280-300 მგ/ლ-ს, რაც განპირობებულია ჭარბი ნალექების რაოდენობით [6].

ფარაენის ტბა, რომელიც არ მდებარეობს მლაშე და ბიცობიან ნიადაგებზე, ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით, კერძოდ: მინერალიზაცია მერყეობს 62.4-68.0 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო pH მერყეობს 7.20-7.60 – ფარგლებში [3,6]. მლაშე და ბიცობიან ნიადაგებზე ჯანდარის ტბისა და ძველი ანაგის ხელოვნური წყალსაცავის წყლების ქიმიურ შედგენილობას თუ შევადარებთ სოფ. როდიონოვკასთან არსებული ფარაენის ტბის ქიმიურ შედგენილობას, აღმოჩნდება, რომ ფარაენის ტბის ქიმიური შემადგენლობა განსხვავებით ჯანდარის ტბისა და ძველი ანაგის ხელოვნური წყალსაცავის წყლებისაგან ხასიათდება იმით, რომ მისი პარამეტრები ზღვა-ს ფარგლებშია.

ამრიგად, ძველი ანაგის ხელოვნური წყალსაცავი განიცდის დამლაშებული ნიადაგების და გრუნტის წყლების ზეგავლენას, რაც მკვეთრად აისახება მის ქიმიურ შედგენილობაზე, კერძოდ, მის მინერალიზაციაზე და არის რეაქციაზე. გარდა ამისა თევზსამეურნეო წყალსარგებლობის კატეგორიების მიხედვით ზოგიერთი ინგრედიენტის მნიშვნელობა აღემატება ზღვა-ს, როგორებიცაა: ფოსფატები, სულფატები და ნიტრიტული აზოტი.

პროექტი ხორციელდება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით, გრანტი №AR136/9-110/11.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. მ.საბაშვილი. "ნიადაგმცოდნეობა" – თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 354 გვ., 1970.
2. Фомин Г.С., Фомин А.Г. – Вода. Контроль качества и экологической безопасности по международным стандартам. Справочник. Москва, 2001.
3. გ.სუპატაშვილი. "გარემოს ქიმია" – თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 186 გვ., 2009.
4. კ.ბილაშვილი, მ.ელიზბარაშვილი, ნ.წივწივაძე. "ზღვის ეკოლოგია" – თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 238 გვ., 2009.
5. Чантладзе З.И., Шавлиашвили Л.У. «Загрязненность природных вод и почв Грузинской ССР в результате химизации сельского хозяйства» - Ленинград, Гидрометеиздат, 110с., 1982.
6. ლ.შავლიაშვილი, გ.კუჭავა, ლ.ინწკირველი, ნ.ბუაჩიძე, ნ.ტულუში. "დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების გავლენა ჯანდარის ტბის ქიმიურ შედგენილობაზე" – რადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები, ტ.1, გვ.253-260, თბილისი, 2005.

უაკ: 628.143.394

**ალაზნის ველის დამლაშებულ ნიადაგებზე არსებული ხელოვნური წყალსაცავის ქიმიური შედგენილობა/შავლიაშვილი ლ.უ., კორძახია გ.ი., კუჭავა გ.პ., ბუაჩიძე ნ.ს., ბაქრაძე ე.მ., თალაკვაძე ვ.ვ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ.119, გვ.285-289, 2013. ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომში განხილულია ძველი ანაგის ხელოვნურ წყალსაცავზე დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგებისა და გრუნტის წყლების ზეგავლენა, რაც მკვეთრად აისახება მის ქიმიურ შედგენილობაზე, კერძოდ, მის მინერალიზაციასა და არის რეაქციაზე. გამოვლენილია ზოგიერთი ინგრედიენტის მაღალი შემცველობა თევზსამეურნეო წყალსარგებლობის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე.



UDC 628.143.394

**THE CHEMICAL COMPOSITION OF AN ARTIFICIAL RESERVOIR IN SALINE SOILS OF ALAZANI VALLEY.** /Shavliashvili L.W., Kordzakhia G.I., Kuchava G.P., Buachidze N.S., Bakradze E.M., Talakvadze V.V./Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.285-289 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ.

In the article the influence of saline and alkaline soils and groundwater at the chemical composition of an artificial reservoir in v. Dzveli Anaga, in particular on the mineralization and pH are considered. Increased content of maximum allowable concentrations of certain ingredients for fishery water consumption are revealed.

УДК 628.143.394

**ХИМИЧЕСКИЙ СОСТАВ ИСКУССТВЕННОГО ВОДОЕМА В ЗАСОЛЕННЫХ ПОЧВАХ АЛАЗАНСКОЙ ДОЛИНЫ.** /Шавлиашвили Л.У., Кордзахия Г.И., Кучава Г.П., Буачидзе Н.С., Бакрадзе Е.М., Талаквдзе В.В./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с.285-289-Груз., Рез. Груз., Англ., Рус - Сб. Труды с, т. с. 2013.

В работе рассматривается влияние засоленных и солонцеватых почв, а также грунтовых вод на химический состав искусственного водоема в с.Дзвели Анага, в частности на минерализацию и рН. Выявлено повышенное содержание предельно допустимых концентраций некоторых ингредиентов для рыбохозяйственного водопотребления.

უაკ 57043:37022+615.849.63

## ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრები რადიაციისა და ტემპერატურული ზემოქმედების ექსტრემალური რეჟიმის პირობებში

გოგებაშვილი მ.,\* ივანიშვილი ნ.\*, სალუქვაძე ე.\*\*


\*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიის და ეკოლოგიის ინსტიტუტი

\*\*ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი


საქართველოს ფიტოცენოზები სტრუქტურული თავისებურებებით გამოირჩევიან. ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განპირობებულია რელიეფის ვერტიკალური ზონალობით, რაც, თავის მხრივ, მცირე მანძილზეც კი, ფიტოცენოზების შემადგენლობის ბიომრავალფეროვნებას ქმნის. ნებისმიერი სისტემის და, მათ შორის, ეკოლოგიური სისტემის მდგრადობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს. მდგრადობით განისაზღვრება სისტემის უნარი, შეინარჩუნოს სტაბილურობა გარემო პირობების ცვლილებების დროს. აღნიშნული დებულების კონტექსტში მდგრადობა შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლისუნარიანობის ტერმინის სინონიმად. რთული ეკოსისტემების მდგრადობის თვისობრივი და რაოდენობრივი შეფასების თეორიული საფუძვლები აღწერილია მრავალ სამეცნიერო პუბლიკაციაში [1,2,3,4]. ზოგადად, ნაჩვენებია, რომ სისტემის სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება პარამეტრების სამი ჯგუფით-მოცულობით (სისტემის ნივთიერებების მასით), პროდუქტიულობით (სისტემის ნივთიერებების თვითგანახლების სიჩქარით) და სტრუქტურული ჰარმონიულობით. პირველი ორი ჯგუფის პარამეტრების რაოდენობრივი ცვლილებების გამოყენება, ეკოლოგიურ სისტემებთან მიმართებაში, კარგად არის დამუშავებული კლასიკურ ბიოგეოგრაფიაში, ხოლო ეკოსისტემების სტრუქტურული ჰარმონიულობა და, განსაკუთრებით, მასზე ანთროპოგენური ზემოქმედების თავისებურებანი შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული. ენდემური ეკოსისტემების მაღალი პოტენციალი უზრუნველყოფს საწყისი მდგომარეობის შენარჩუნებას გარემოს ექსტრემალური პირობების ზემოქმედების დროს. თავისი ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის შემთხვევაშიც კი, მდგრადი ტიპის ძირითადი ეკოსისტემები აგრძელებენ ბუნებრივი ციკლების რეჟიმის უცვლელობის უზრუნველყოფას. ეს თავისებურება დაკავშირებულია მდგრადობის იმ პარამეტრებთან, რომლებითაც დაცულია ეკოსისტემების მრავალი საწყისი თვისება ტერიტორიების ანთროპოგენური ტრანსფორმაციის შემდეგაც. ეკოსისტემების მდგრადობის პარამეტრების კვლევა მნიშვნელოვანია, ფიტოცენოზების მდგრადობაზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგების პროგნოზირების მიზნით, ადეკვატური მეთოდების დამუშავებისთვის. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტისთვის მიზანშეწონილია როგორც ცალკეული მცენარეული ორგანიზმის დონეზე მოდელური კვლევების განხორციელება, ისე მთლიან ლანდშაფტზე მონიტორინგული დაკვირვებების ჩატარება.

ჩვენს ექსპერიმენტებში მცენარის საპასუხო რეაქციების პარამეტრების განსაზღვრისთვის ექსტრემალური ფაქტორების სახით გამოყენებული იყო მაღალი ტემპერატურა და მაიონიზებული რადიაცია. კვლევა ითვალისწინებდა, ერთი მხრივ, კონკრეტულ მცენარეთა რადიორეზისტენტობის დადგენას და, მეორე მხრივ, მაღალი ტემპერატურული რეჟიმის პირობებში რადიობიოლოგიური რეაქციების ფორმირების შესწავლას. ბუნებრივია, აქცენტი გაკეთდა მცენარეული ორგანიზმების იმ დაცვით ეფექტებზე, რომლებიც განაპირობებენ მცენარის მაღალი ტემპერატურის მიმართ მდგრადობას. გამოკვლეული იქნა ექსტრემალური პირობებისადმი უშუალოდ მცენარეული ქსოვილების რადიორეზისტენტობა და მათი ტრანსპირაციის უნარი, როგორც ინტაქტური ქსოვილების ზედაპირული ტემპერატურის რეგულაციის საშუალება. პირველი სურათიდან ჩანს, რომ მცენარეული ქსოვილები მაღალ ტემპერატურასთან მიმართებაში საკმაოდ დიდი სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდებიან.

აღნიშნულ ექსპერიმენტებში მცენარეული ქსოვილების ტემპერატურული რეჟიმისადმი დამოკიდებულების კვლევა მიმდინარეობდა წყლის დეფიციტის გარეშე [5]; შემდგომში იგივე ცდები ჩატარდა ინტაქტურ მცენარეებზე და როგორც მე-2 სურათიდან ჩანს, დაფიქსირდა ქსოვილების ტრანსპირაციის ინტენსიურობის მაჩვენებლების ცვლილებები.



**სურ.1 მაღალი ექსტრემალური ტემპერატურების გავლენა ფოთლის ქსოვილების სიცოცხლისუნარიანობაზე 1-30<sup>0</sup>C-მდე; 2-40<sup>0</sup>C; 3-50<sup>0</sup>C; 4-60<sup>0</sup>C; 5-70<sup>0</sup>C (ქსოვილების ნეკროტიზაციის ზონა შემოხაზულია)**



**სურ.2 გამა-რადიაციის გავლენა მცენარეული ქსოვილების ტრანსპირაციის ინტენსიურობაზე**

იმისათვის, რომ დაგვედგინა, თუ როგორ რეალიზდება ზემოაღნიშნული ეფექტები ბუნებრივ გარემოში, დაკვირვება ვაწარმოეთ კონკრეტული ლანდშაფტის პირობებში. აქ გამოიკვეთა შემდეგი კანონზომიერება-რადიაციის დოზის ზრდის (20გრემდე) კვალობაზე გაიზარდა საკვლევი მცენარეთა ფოთლების ზედაპირული ტემპერატურა.

პარალელურად ხორციელდებოდა ცდები სავეგეტაციო ჭურჭლებში. მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა იქნა, რომ დასხივებული მცენარეები ხასიათდებიან ნიადაგის წყლის რესურსების ეკონომიური მოხმარებით; თუმცა ექსტრემალური ტემპერატურული ზემოქმედებისას ტრანსპირაციის დონის შემცირება მცენარეული ორგანიზმის ზედაპირის ეფექტური დაცვის საშუალებას არ წარმოადგენს. ამ უკანასკნელი ეფექტის განსაკუთრებული საშიშროება მაშინ იჩენს თავს, როდესაც ტემპერატურული ზღვრული 40<sup>0</sup>C-ს აღემატება. ასეთი ექსტრემალური ტემპერატურული რეჟიმის პირობებში დასხივებულ მცენარეთა კულტივირებისას შეუქცევადი პროცესები მიმდინარეობს და, ხანგრძლივი ზემოქმედების შემთხვევაში, ლეტალური ეფექტებით მთავრდება.

ანთროპოგენური და კლიმატოგენური დატვირთვის პირობებში ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრების განსაზღვრის მიზნით ცდები ჩატარდა ლანდშაფტის დონეზე. საკვლევი ლანდშაფტის სახით შერჩეული იქნა მანგულის (კაზრეთი, ბოლნისის რაიონი) კარიერის მიმდებარე ტერიტორია. არჩევანი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გასაგები მიზეზების გამო, იქ არსებული ფიტოცენოზები მკვეთრად განსხვავდებიან ანთროპოგენური დატვირთვით (სურ.3).



**სურ.3 საკვლევი ფიტოცენოზების ზონების ადგილმდებარეობა**  
(კაშერის სიმაღლე ზღვის დონიდან 14,21 კმ)

1-მინიმალური დატვირთვის ზონა; 2-საავტომობილო სავალი გზისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების აქტიური კულტივირების ზონა; 3-მადნეულის კარიერის მომიჯნავე ტერიტორია

ამ უკანასკნელი მახასიათებლის მიხედვით ფიტოცენოზები, პირობითად, დაიყო სამ ზონად: პირველ ზონად მოიაზრებოდა მინიმალური დატვირთვის ზონა (სურ.3-1); მეორე ზონას წარმოადგენდა საავტომობილო სავალი გზისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების აქტიური კულტივირების ტერიტორიები (სურ. 3-2); ხოლო მესამე ზონად მიჩნეული იყო უშუალოდ მადნეულის კარიერის მომიჯნავე ტერიტორია (სურ. 3-3). ზემოაღნიშნულ ზონებთან მიმართებაში განხორციელდა ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრების შედარებითი ანალიზი. კრიტერიუმს წარმოადგენდა ფიტოცენოზში გაერთიანებულ მცენარეთა ფოთლების ზედაპირული ტემპერატურების პარამეტრების დადგენა, რომელიც ისაზღვრებოდა დისტანციური ლაზერული სკანირების მეთოდით. აღმოჩნდა, რომ ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის პირობებში (30°C-მდე), ეს პარამეტრი ერთგვაროვან ხასიათს ატარებდა სამივე საკვლევი ზონაში, ხოლო ექსტრემალური ტემპერატურული რეჟიმის დროს (40°C-ზე ზემოთ), ზონების მიხედვით იცვლებოდა ზედაპირული ტემპერატურული მაჩვენებელი, სახელდობრ: მეორე და მესამე ზონების ფიტოცენოზებში შემაჯავალ მცენარეთა ფოთლების ზედაპირული ტემპერატურა 3-6°C-ით აღემატებოდა პირველი ზონის ფიტოცენოზების მცენარეთა ფოთლების იგივე მაჩვენებელს, რაც აღნიშნულ ზონებში ფიტოცენოზების მდგრადობის დაქვეითებაზე მეტყველებს.

ზუნებრივია, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აისახება ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრებზე, ხანგრძლივი ან პერმანენტული ზემოქმედებისას ვლინდება სუბცესიური პროცესების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მახასიათებლების ცვლილებების სახით. ჩვენ მიერ აღწერილი ეფექტი თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ ანთროპოგენური და გლობალური კლიმატური დატვირთვის დროს, ანთროპოგენურ ფაქტორს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობისთვის.

### ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. Chen Sh, Chen B, Brian D. Ecological risks assessment on the system scale: A review of state-of-the-art models and future perspectives Ecological Modelling, Volume 250, 10,2013, Pages 25-33
2. Perrodin Y, Boillot C, Angerville R, Donguy G, Emmanuel E. Ecological risk assessment of urban and industrial system: A review Science of The Total Environment, Volume 409, Issue 24, 15, 2011, Pages 5162-5176.
3. Critto A, Torresan S, Semenzin E, Giove S, Mesman M, Schouten A.J., Rutgers M, Marcomini A. Development of a site-specific Ecological risk assessment for contaminated sites: Part I. A multi-criteria based system for the selection of ecotoxicological tests and Ecological observations Science of The Total Environment, Volume 379, Issue 1, 15,2007, Pages 16-33

4. Bruce K. Hope. An examination of Ecological risk assessment and management practices Environment International, Volume 32, Issue 8, 2006, Pages 983-995.
5. Третьяков Н.И. Практикум по физиологии растений, М.Агропромиздат,1990, 272с.

უკ.- 574(075.8)+57(075.8)

**ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრები რადიაციისა და ტემპერატურული ზემოქმედების ექსტრემალური რეჟიმის პირობებში** /მ. გოგებაშვილი, ნ. ივანიშვილი, ე. სალუკვაძე /საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.290-293-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩერნობილისა და ფუკუსიმა ატომურ სადგურებზე განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს ტექნოგენური ავარიების შედეგების პროგნოზირების სერიოზული პრობლემები სხვადასხვა ბიოგეოცენოზებთან მიმართებაში. ამასთანავე, რადიაციული ეფექტების რეალიზაციის პირობების ცვლილებებთან დაკავშირებით, დღეს არსებული პროგნოზირების მოდელი საჭიროებს მუდმივ მოდიფიკაციას. უკანასკნელ წლებში ასეთ მამოდიფიცირებელ ფაქტორად უფრო ხშირად მოიაზრება ექსტრემალური ტემპერატურული რეჟიმი. ეს განპირობებულია გლობალური კლიმატური ცვლილებებით და აქედან გამომდინარე, გარემო პირობების ტემპერატურულ ცვლილებებზე ფიტოცენოზების საპასუხო რეაქციების თავისებურებების დეტალური კვლევის აუცილებლობით. ამ მიზნით წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეული იქნა მაღალი ტემპერატურის პირობებში მზარდი, დასხივებული მცენარეების დაცვითი მექანიზმების ეფექტები. ნაჩვენებია, რომ დასხივებული მცენარეები ხასიათდებიან ნიადაგის წყლის რესურსების ეკონომიური მოხმარებით; თუმცა ექსტრემალური ტემპერატურული ზემოქმედებისას ტრანსპირაციის დონის შემცირება მცენარეული ორგანიზმის ზედაპირის ეფექტური დაცვის საშუალებას არ იძლევა და ფიტოცენოზების ცალკეული კომპონენტების დეგრადაციას იწვევს. ნაშრომში აგრეთვე განხილულია სხვადასხვა ტიპის ფიტოცენოზების მდგრადობის პარამეტრების ცვლილებების საკითხი და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სუბცესიური პროცესების პროგნოზირების შესაძლებლობები.

UDC 574(075.8)+57(075.8)

**Stability Parameters of Phytocenosis under Extreme Radiation and Temperature** /M. Gogebashvili, N. Ivanishvili, E. Salukvadze./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.290-293 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ.

The well-known disasters at Chernobyl and Fukushima nuclear stations revealed serious problems in forecasting the consequences of technogenic impacts on various biogeocenoses. At the same time, even the existing forecasting models need constant updating in the conditions of changing radiation effects. In the last years, extreme temperature has most often been identified as a modifying factor. This is caused by global climatic changes and the need to closely examine the response of the phytocenotic habitat to temperature changes. Pursuing this goal, we studied defensive effects of an increasing number of radiated plants under high temperature conditions. The research revealed economical ground water consumption by radiated plants. However, the reduced transpiration rate at extreme temperatures does not provide effective surface protection in plant population and causes degradation of individual phytocenotic components. The article also discusses changes in stability parameters in various types of phytocenosis and examines long-term forecast opportunities for successive processes.

УДК 574(075.8)+57(075.8)

**Параметры устойчивости фитоценозов при экстремальном режиме радиационного и температурного воздействия.** /Гогებაшвили М.Э., Иванишвили Н.И., Салуквадзе Е.Д./Сб.Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с. 290-293-Груз., Рез. Груз., Англ., Рус

События последних десятилетий, аварии на атомных станциях Чернобыль и Фукусима, показали серьезные проблемы в прогнозировании последствий техногенных аварий на различные биogeоценозы. Вместе с тем даже существующие модели для прогнозирования требуют постоянной модификации в связи с изменениями условий реализации радиационных эффектов. К таким модифицирующим факторам, в последнее время, все чаще относят экстремальный температурный режим. Это связано, прежде всего, с глобальными климатическими изменениями и в связи с этим необходимостью детального изучения особенностей ответных реакций фитоценозов на температурные изменения внешней среды. С этой целью в работе были исследованы эффекты, связанные с защитными механизмами облученных растений произрастающие в условиях повышенной температуры. Показано, что при облучении растительные организмы отличаются более экономным расходом водных ресурсов почвы. Однако при экстремальных температурных воздействиях снижение транспирационного уровня не позволяет эффективно защищать поверхность растительного организма и приводит к деградации отдельных компонентов фитоценозов. В работе также рассматривается вопрос изменений параметров устойчивости различных типов фитоценозов, и возможности прогнозирования сукцессионных процессов на длительный период времени.

უა. 551.58

## სამხრეთ საქართველოს ტყის რესურსები

კაიშაური მ.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

თანამედროვეობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას არსებული ბუნებრივი რესურსების და, განსაკუთრებით, მცენარეული საფარის მაქსიმალური შენარჩუნება და მისი შემადგენლობის ზრდა-განვითარება წარმოადგენს, ვინაიდან მწვანე საფარის დაცვა და სახეობრივი შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესება ყოველი ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის ადამიანის არსებობას განაპირობებს.

ცხადია, რომ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მცენარეული საფარის მოვლა და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და გადაცემა – რეგიონების მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. საქართველოს უნიკალური და მრავალფეროვანი ბუნების უმთავრეს კომპონენტს ტყეები წარმოადგენს, რომელთა რეკრეაციული დატვირთვა კლიმატის ცვლილების პროცესში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მითუმეტეს, რომ ტყე არის გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, იმ ხეების, ბუჩქებისა და ბალახების, აგრეთვე, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და ახდენენ ზეგავლენას როგორც ერთმანეთზე, ასევე გარემოზე. ტყე განსაზღვრავს ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ბალანსის დონეს.

ტყე ბუნებრივი გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის უმთავრესი ელემენტია. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიოსფეროს სტაბილურობის რეგულირებაში, აგრეთვე სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში [4].

დიდია ტყის გარემოსდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, წყალშემნახავი, სანიტარულ-ჰიგიენური, კურორტოლოგიური და რეკრეაციული მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარემოს დამცველი ორგანიზაციები დღეისათვის დედამიწაზე გამოყოფენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების 25 “ცხელ წერტილს”, მათ შორის ერთ-ერთი კავკასიაა, კერძოდ, კი, საქართველო. ამასთან, კავკასია, და, მათ შორის საქართველო, მოიხსენიება იმ 200 გლობალურ ეკორეგიონს შორის, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერაა გამოყოფილი, ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორცაა: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ევოლუციური პროცესები, ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თავისებურებანი, მცენარეული ტიპების მრავალფეროვნება და ბიომების იშვიათობა გლობალურ დონეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ქართული ტყე განსაკუთრებული ფენომენია და მისი დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ტყეების უნიკალურობა თუნდაც იმ გარემოებითაა გამოწვეული, რომ ტყეში ველურად იზრდება 400-მდე სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი, გაერთიანებული 123 ბოტანიკურ გვარსა და ოჯახში. აგრეთვე აღწერილია ამ სახობათა 182 ფორმა და 91 ვარიაცია, მათ შორის: ხეების 153 სახეობა, ბუჩქების 202 და ლიანების 11 სახეობა.

ქართულ ტყეში დენდროფლორის დიდი მრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემურ მერქნიან მცენარეთა სიმრავლე, მათ შორის საქართველოს ენდემია 61 სახეობა, კავკასიის–43. ტყეების ბიომრავალფეროვნებაზე, ტყის ეკოსისტემათა ნაირგვარობასა და რთულ სტრუქტურაზე მიუთითებს როგორც წმინდა, ისე შერეული კორომების არსებობა [2].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტყეებში მრავალი სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი იზრდება, ისინი, ძირითადად, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის, წიფლის, რცხილის, მუხის, აკაციის, წაბლის, თხმელის, ვერხვის და სხვა აბორიგენი მერქნიანი მცენარეების სხვადასხვა სახეობის კორომებით არიან წარმოდგენილნი და მათ მიერ შექმნილი კორომები როგორც კლიმატმარეგულირებელი, ასევე ესთეტიკური მნიშვნელობით განსხვავებულ ცენოზებს ქმნიან.

ტყე წარმოადგენს გეოგრაფიული ლანდშაფტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომლის სახეობრივი შემადგენლობის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა აქვს ქვეყნის კლიმატს და, თავის მხრივ, ტყეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კლიმატის რეგულაციაზე; იგი არის ბუნებრივად განახლებადი კომპონენტების (მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო და სხვ.) ერთობლიობა და, გარდა ბუნებრივი რესურსების მოპოვების საშუალებისა, განხილული უნდა იქნას როგორც

საკურორტო, რეკრეაციული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენი. ეს კი ნათელს ხდის, რომ აუცილებელია თანდათანობით გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორცაა ბიომრავალფეროვნების პოტენციალის გამოკვლევა და აღრიცხვა.

ისტორიულ დროში მსოფლიოში ტყით დაკავებული ფართობი 65%-ით შემცირდა [3].

საქართველოს ტყეები ზრდა-განვითარების გარემო პირობებისა და გეოგრაფიული განლაგების დიდი ნაირგვარობით გამოირჩევიან და მრავალფეროვან ბიოცენოზებს ქმნიან, რისი მთავარი მიზეზია ქვეყნის ბუნებრივად ჩამოყალიბებული ზედაპირის ფორმა(რელიეფი). ყველაზე რთული ბუნებრივი კომპლექსების ფორმირება მთიანი რელიეფის პირობებში ხდება, კერძოდ, მთები, მთაგრეხილები, ქედები, დაბლობები, ტერასები, ზეგნები და სხვ. იმ ფონს ქმნიან, სადაც ტყის ცხოვრება მიმდინარეობს, მაგალითად, ფერდობის მიმართულება (ექსპოზიცია), მისი დაქანების სიმკვეთრე, სიმაღლე ზღვის დონიდან და ა.შ., ანუ მთლიანობაში ოროგრაფია განსაზღვრავს ტყე-მცენარეულობის უზრუნველყოფას სინათლით, სითბოთი, წყლით და სხვა სასიცოცხლო ნივთიერებებითა და ფაქტორებით [1].

საერთო მონაცემებით, საქართველო ტყის სიმდიდრით ევროპასა და აზიაში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და მისი ტერიტორიის, თითქმის, 40% ტყითაა დაფარული, თუმცა საქართველოს რიგ რეგიონებში ტყიანობის პროცენტი საკმაოდ დაბალია; საკვლევ რეგიონში, მაგალითად, ბორჯომის რაიონის ტერიტორიის ტყიანობა 56,3%, ბოლნისის—48,5%, მაგრამ ნინოწმინდის, წალკის და სხვ. რაიონებში, ტერიტორიის ტყიანობა 5%-ს არ აღემატება. [1].

სამხრეთ საქართველო მდიდარია კურორტებით, რომელთა უმეტესობა ტყით დაფარულ ადგილებში მდებარეობს (ბორჯომი, აბასთუმანი, წაღვერი, ლიბანი, ბაკურიანი და სხვ.). ამდენად, მათი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები ბევრადაა დამოკიდებული ამ ტყეებზე. ტყის კურორტოლოგიური მნიშვნელობა, პირველ რიგში, ვლინდება ჰავის ელემენტების რეგულირებაში.

საკვლევ რეგიონში სოჭისა და ნაძვის წმინდა თუ შერეული ტყე, ძირითადად, გავრცელებულია მესხეთში, ფიჭვის მეტ-ნაკლებად ნორმალური კორომები, უმთავრესად, გვხვდება ბორჯომის ხეობაში, მესხეთში, მანგლისში, ალგეთში. მესხეთ-ჯავახეთის ტყეებში, წიწვოვანებიდან, შედარებით დიდი რაოდენობით გავრცელებულია ნაძვი, ფიჭვი და სოჭი, ქვემო ქართლში, კი, ძირითადად, ფიჭვი გვხვდება. მაგარმერქნიანი ფოთლოვანი მცენარეებიდან აღსანიშნავია წიფელი, მუხა.

საქართველოს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით (ტყის ფონდის ერთიანი აღრიცხვის მაჩვენებლები) 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საკვლევ რეგიონის ტყეების ფონდების ხელოვნური ცვლილებების (ტყის გაჩეხვა) შედეგები, საკმაოდ, შესამჩნევ სიდიდეებს იძლევა.

ცხრილებში №(1-2) მოცემულია სამხრეთ საქართველოს სატყეო ფონდების სივრცობრივი ტრანსფორმაცია.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის საერთო ფართობი შეადგენს 2634343 ჰა-ს, აქედან დაცული ტერიტორიების ფართობია მხოლოდ 19% ანუ 495580 ჰა, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობია 76% ანუ 2001150 ჰა.

ამავე უწყების მონაცემებით, რომელიც აღებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილების საფუძველზე, სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ფართობი 2003 წლის მდგომარეობით შეადგენდა 141606ჰა-ს, ხოლო 20013 წლის მდგომარეობით შეადგენს 130122ჰა-ს; ქვემო ქართლში 2003 წლის მდგომარეობით ტყის ფონდის ფართობი შეადგენდა 156789ჰა-ს, ხოლო 2013 წლის მდგომარეობით – 143232ჰა-ს; ე.ი. სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულმა ტყის ფონდმა, სამხრეთ საქართველოში, მოიკლო 25041ჰა-ით, რაც განპირობებული იყო სახელმწიფო საჭიროებისათვის და დაცული ტერიტორიების გაფართოებისათვის სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდიდან ფართობების გადაცემით.

**ცხრილი 1. მესხეთ-ჯავახეთის ტყის ფონდი**

| სატყეო უბანი         | მუნიციპალიტეტი | ტყის ფონდის ფართობი, ჰა | მ.შ. საკურორტო და მწვანე ზონა | დანიშნულება | ტყეების ფართობი, ჰა | მერქნის მარაგი, მ³/ჰა | ტყის ფონდის ცვლა 2003-2011წწ, ჰა |
|----------------------|----------------|-------------------------|-------------------------------|-------------|---------------------|-----------------------|----------------------------------|
| ადიგენი              | ადიგენი        | 37999                   | 2040                          | საკურორტო   | 27909               | 6922,0                | 31156-37999                      |
| ახალციხე             | ახალციხე       | 32223                   | 2888                          | მწვანე ზონა | 27854               | 4431,5                | 32168-32223                      |
| ბორჯომ-ბაკურიანი     | ბორჯომი        | 44330                   | 34156                         | საკურორტო   | 51704               | 13880,0               | 54244-44330                      |
| ასპინძა-ახალქალაქი   | ასპინძა        | 15252                   | 99                            | საკურორტო   | 13064               | 1920,9                | 14859-15252                      |
|                      | ახალქალაქი     | 3520                    | ---                           | ---         | 7297                | 493,3                 | 9179-3520                        |
|                      | ნინოწმინდა     | 1022                    | ---                           | ---         | -                   | -                     | 1022                             |
| სულ მესხეთ-ჯავახეთში |                | 134346                  | 39183                         |             | 127828              | 27647,7               | 141606-134346                    |

**ცხრილი 2. ქვემო ქართლის ტყის ფონდი**

| სატყეო უბანი       | რაიონი     | ტყის ფონდის ფართობი, ჰა | მ.შ. საკურორტო და მწვანე ზონა | დანიშნულება | ტყეების ფართობი, ჰა | მერქნის მარაგი, მ³/ჰა | ტყის ფონდის ცვლა 2003-2011წწ, ჰა |
|--------------------|------------|-------------------------|-------------------------------|-------------|---------------------|-----------------------|----------------------------------|
| ბოლნისი            | ბოლნისი    | 46970                   | 25418                         | მწვანე ზონა | 40036               | 5274,8                | 43426-46970                      |
| ღმანისი            | ღმანისი    | 22680                   | ---                           | ---         | 24179               | 3069,5                | 25161-22680                      |
| წალკა-თეთრიწყარო   | წალკა      | 7491                    | ---                           | ---         | ---                 | ---                   | 6902-7491                        |
|                    | თეთრიწყარო | 46961                   | 33033                         | მწვანე ზონა | 44781               | 4804,2                | 47638-46961                      |
| გარდაბანი-მარნეული | გარდაბანი  | 4673                    | 19199                         | მწვანე ზონა | 15466               | 1288,4                | 19199-4673                       |
|                    | მარნეული   | 13876                   | 9526                          | მწვანე ზონა | 12609               | 1649,9                | 13804-13876                      |
| სულ ქვემო ქართლში  |            | 142651                  | 87176                         |             | 137071              | 16086,8               | 156130(156789)-142651            |

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაცული ტერიტორიების ფართობი 2003 წლის მდგომარეობით შეადგენდა 71700ჰა-ს, ხოლო 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 97826ჰა. ქვემო ქართლში დაცული ტერიტორიების ფართობი 2003 წლის მდგომარეობით შეადგენდა 10306ჰა-ს და 2012 წლის მდგომარეობით შეადგინა 13564ჰა. ანუ მთლიანად, სამხრეთ საქართველოში დაცული ტერიტორიების ფართობმა მოიმატა 2012 წლისათვის 29384ჰა-ით, რაც განპირობებული იყო დაცული ტერიტორიების სამოქმედო ტერიტორიების გაფართოებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2003-2011 წლებში, საკვლევ რეგიონში წარმოდგენილ დაცულ ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებებისათვის დამზადებული და გაცემული იქნა შემდეგი რაოდენობის ხე-ტყე: სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტერიტორიიდან გაიცა



43468მ<sup>3</sup> ხე-ტყე; ქვემო ქართლის რეგიონის დაცული ტერიტორიებიდან სულ გაიცა 13570მ<sup>3</sup> ხე-ტყე, ჯამში, სულ სამხრეთ საქართველოს დაცული ტერიტორიებიდან, 2003-2011 წლებში გაიცა 57038მ<sup>3</sup> მერქნითი რესურსები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობმა, სამხრეთ საქართველოში, მოიმატა 4343 ჰა-ით.

სამხრეთ საქართველოში სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში 2003 წლის მდგომარეობით მწვანე ზონის და საკურორტო ზონის ტყეების, რომლებიც ამჟამინდელი მდგომარეობით წარმოადგენენ განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნებს, ფართობი შეადგენდა 127018 ჰა-ს, ანუ სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ფართობის (299395 ჰა) 42%-ს და 2010 წლის შემდგომ უნდა დამტკიცებულიყო აღნიშნული ტყეების ნუსხა, რაც დღემდე არ არის განხორციელებული.

**ცხრილი 3. 2006-2010 წლებში დამზადებული ხე-ტყე, მ<sup>3</sup>**

| წლები | მესხეთ-ჯავახეთი |           | ქვემო ქართლი |          |
|-------|-----------------|-----------|--------------|----------|
|       | მასალა          | შეშა      | მასალა       | შეშა     |
| 2006  | 7846,44         | 77439,77  | 27,6         | 43806,7  |
| 2007  | 9256,65         | 97324,84  | 198,77       | 87957,17 |
| 2008  | 23508,29        | 96229,97  | 36,5         | 81757,22 |
| 2009  | 7142,74         | 91555,8   | 30           | 90079,85 |
| 2010  | 8363,03         | 86009,56  | 30           | 89666,16 |
| სულ   | 56117,15        | 448559,94 | 322,87       | 393267,1 |

როგორც ცხრ.3-დან ჩანს, 2006-2010 წლებში მესხეთ-ჯავახეთში დამზადდა 100935,4მ<sup>3</sup> ხე-ტყე, ქვემო ქართლში – 78717,99მ<sup>3</sup>, მთლიანად სამხრეთ საქართველოში, კი, 2006-2010 წლებში მოპოვებული იყო 179653,39მ<sup>3</sup> ხე-ტყე.

სამხრეთ საქართველოში, საშუალოდ, ყოველწლიურად, კანონიერად იჭრება 185190 მ<sup>3</sup> ხე-ტყე, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთში 104965 მ<sup>3</sup>, ხოლო ქვემო ქართლში – 80225 მ<sup>3</sup>.

გარდა ამისა, დაცულ ტერიტორიაზე, საშუალოდ, ერთ წელიწადში, სამხრეთ საქართველოში, იჭრება 6337,5მ<sup>3</sup> ხე-ტყე, აქედან მესხეთ-ჯავახეთში – 4829,7მ<sup>3</sup>, ქვემო ქართლში – 1507,8მ<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ 2003-2011 წლებში სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში ჩატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები ტყის კულტურების აღდგენა-გაშენების კუთხით, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში გაშენებულ იქნა 18,5 ჰა ფართობი, ხოლო ქვემო ქართლში – 74,5 ჰა, ანუ მთლიანად სამხრეთ საქართველოში 2003-2011 წლებში ტყის აღდგენა განხორციელდა 93 ჰა ფართობზე.

სამწუხაროდ, განუვითარებელია საგზაო ინფრასტრუქტურა, რაც იწვევს ხე-ტყის დამზადებას სატრანსპორტო საშუალებებისათვის მისადგომ უბნებში და ბუნებრივია ინტენსიური ესპლუატაციას ექვემდებარება მისადგომი უბნები.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. განხორციელდეს ტყეების ინვენტარიზაცია, რათა შესაძლებელი იყოს განსაზღვრა მოსაპოვებელი რესურსის რა მოცულობაა დარჩენილი და შესაძლოა თუ არა ხე-ტყის ინტენსიური დამზადების გაგრძელება;
2. გამოვლენილი იქნას ტყის აღდგენას დაქვემდებარებული ტერიტორიები და დაწყებული იქნას ტყის აღდგენითი სამუშაოები;
3. ჭრაგავლილ უბნებში განხორციელდეს ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები და მკვეთრად შეიზღუდოს ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედება (მათ შორის, თიბვა, ძოვება, და სხვ.);
4. მოძიებული იქნას ალტერნატიული სათბობი რესურსი;
5. გამოვლენილი იყოს ტერიტორიები, სადაც შესაძლებელი იქნება ენერგეტიკული პლანტაციების გაშენება.

**ლიტერატურა—REFERENCES—ЛИТЕРАТУРА**

1. გიგაური გ. საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბ., 2000;
2. გიგაური გ. საქართველოს ტყეები. თბ., 2004;
3. მიქაძე ი. ეკოლოგია. თბ., 2005;
4. საქართველოს ტყის კოდექსი.

უაკ. 551.58

**სამხრეთ საქართველოს ტყის რესურსები**/კაიშაური მ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.294-298-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში განხილულია სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ტყის ფონდის რესურსული პოტენციალი, განსაზღვრულია მისი შეფასება და ანთროპოგენური დატვირთვები, მოცემულია რეკომენდაციები.

UDC 551.58

**FOREST RESOURCES OF SOUTH GEORGIA.**/Kaishauri M./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp. 294-298 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ

This article is considered the potential of Resources of Forest of South Georgia, in particular, regions of Meskhet-Javakheti and Kvemo Kartli, its evaluation and anthropogenic loads are determined, the recommendations are described.

УДК 551.58

**ЛЕСНЫЕ РЕСУРСЫ ЮЖНОЙ ГРУЗИИ.**/Кайшаури М.Н./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с.294-298 -Груз., Рез. Груз., Англ., Рус.

В статье рассмотрены потенциал фонда лесных ресурсов Южной Грузии, в частности, регионы Месхет-Джавахеги и Квемо Каргли, определены их оценка и антропогенные нагрузки, представлены рекомендации.

უაკ 51.001.57 : 502.7

**კავკასიის რეგიონის შესაძლო ღაბინაშურების რიცხვითი მოდელირება  
სომხეთის ატომური ელემენტროსაღბურიდან <sup>131</sup>I ჰიკოთეშური  
ამოფრქვევის შემთხვევაში**

ა.სურმავა\*, ღ.ინწკირველი\*, ნ.გიგაური\*\*, ს.გიორგაძე\*\*\*, გ.კვინიკაძე\*\*\*, ა.მელია\*\*\*

\* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

\*\* ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

\*\*\* გ. კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა.

*(სტატია შესრულებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ PR/7/9-270/12 პროექტის ფარგლებში)*

სომხეთის ატომური ელემენტრო საღბური (საეს) წარმოადგენს ეკოლოგიურად მეტად სახიფათო ობიექტს. ის მდებარეობს სეისმურად საშიშ 9 ბალიან ზონაში და მასში დამონტაჟებულია საბჭოთა კავშირში შექმნილი ჩერნობილის ტიპის ბირთვული რეაქტორი (ББЭР-210). შესაბამისად, მაღალია ავარიისა და რადიოაქტიური ნივთიერების გაჟონვის ალბათობა. ადამიანების უსაფრთხოების თვალსაზრისით მიზანშეწონილია წინასწარ განისაზღვროს აეს-ის ავარიის შემთხვევებში რადიოაქტიური დრუბლის შესაძლო გავრცელების ტრეაქტორია და დაღეკვის ზონები სხვადასხვა მეტეოროლოგიურ სიტუაციებში.

წარმოდგენილ ნაშრომში კავკასიაში ატმოსფერული პროცესების განვითარების რეგიონალური მოდელის [1] გამოყენებით და რადიოაქტიური ნივთიერების გადატანა-დიფუზიის განტოლების (1) რიცხვითი ინტეგრირებით რიცხობრივად მოდელირებული და გამოკვლეულია საეს-დან ავარიულად ამოფრქვეული 10 მკმ რადიოაქტიური <sup>131</sup>I აეროზოლის შესაძლო გავრცელებისა და დაღეკვის ზონები.

განტოლება, რომელიც აღწერს რადიოაქტიური ნივთიერების გადატანა-დიფუზიას, ჩაიწერება შემდეგი სახით [2]:

$$\frac{\partial C}{\partial t} + u \frac{\partial C}{\partial x} + v \frac{\partial C}{\partial y} + (\tilde{w} - \frac{W_{sed}}{h}) \frac{\partial C}{\partial z} = \mu \Delta C + \frac{\partial}{\partial z} v \frac{\partial C}{\partial z} - \alpha C \quad (1)$$


სადაც  $t$  დროა;  $x, y$  და  $z$  აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და ვერტიკალურად ზევით მიმართული დეკარტეს კოორდინატა ღერძებია;  $C$  - <sup>131</sup>I კონცენტრაციაა;  $\zeta = (z - \delta) / h$  განუზომადი ვერტიკალური კოორდინატაა;  $\delta = \delta(x, y)$  რელიეფის სიმაღლეა;  $h = H - \delta$ ;  $H(t, x, y)$  ტროპოპაუზის სიმაღლეა;  $u, v$  და  $\tilde{w}$  ქარის სიჩქარის მდგენელებია  $x, y$  და  $\zeta$  ღერძების გასწვრივ;  $W_{sed}$  და  $\alpha$  <sup>131</sup>I-ის დაღეკვის და დაშლის სიჩქარეებია;  $\mu$  და  $V$  ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის კოეფიციენტია;  $u, v, \tilde{w}, \mu$  და  $V$  დროის ყოველი მომენტისათვის გამოითვლებიან [1] მოდელის საშუალებით.

განტოლება (1)-ის რიცხვითი ინტეგრირება განხორციელდა კრანკლ-ნიკოლსონის სქემითა და გახღების მეთოდის გამოყენებით [3], 10 კმ -ის ტოლი ჰორიზონტალური და 1/17 - ის ტოლი ვერტიკალური ბიჯებით.


გამოთვლები ჩატარდა 48 სთ ფიზიკური დროის ინტერვალისათვის. მოდელირებული იქნა <sup>131</sup>I აეროზოლის გავრცელება იმ ჰიპოთეტურ შემთხვევაში, როდესაც 6 სთ-ის განმავლობაში ის უწყვეტად ამოფრქვევა საეს-დან ატმოსფეროს 10კმ×10კმ×2,52 კმ მოცულობის არეში. ინგრედიენტის კონცენტრაცია ამოფრქვეულ ჭავღში 100 პირობით ერთეულის (პ. ე.) ტოლია.

მოდელირების ზოგიერთი შედეგი ნაჩვენებია ნახ. 1-ზე. განხილულია სამი შესაძლო მეტეოროლოგიური სიტუაცია, როდესაც ქრის სამხრეთის (ა), სამხრეთ-დასავლეთის (ბ) და სამხრეთ-აღმოსავლეთის (ც) ფონური ქარები. ნახ. 1-დან ჩანს, რომ რადიაციული დრუბელი საქართველოს საზღვარს აღწევს პირველი 6 საათის განმავლობაში. 24 საათისათვის ის იმყოფება როგორც სამხრეთ კავკასიის, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე. 24 საათის შემდეგ რადიაციური დრუბელი თანდათანობით ტოვებს სამხრეთ კავკასიას, გადაეღება მთავარ კავკასიონის ქედს და 48 საათი-

სათვის მისი ძირითადი მასა განაწილება ჩრდილოეთ კავკასიის თავზე. ამ დროისათვის  $z=2$ კმ სიმაღლეზე  $^{131}\text{I}$  ის კონცენტრაცია მცირდება დაახლოებით 10-ჯერ.



ნახ. 1. ქარის სიჩქარისა (მ/წმ) და  $^{131}\text{I}$  კონცენტრაციის (პ. ე) განაწილება, როცა  $t = 6, 24$  და  $48$  სთ-ს  $z=2$ კმ სიმაღლეზე ფონური სამხრეთის - (a), სამხრეთ-დასავლეთის - (b) და სამხრეთ-აღმოსავლეთის - (c) ქარების შემთხვევებში.



ნახ. 2. მიწის ზედაპირზე დალექილი  $^{131}\text{I}$  კონცენტრაციის (პ. ე) განაწილება როცა  $t = 48$  სთ სამხრეთის - (a), სამხრეთ-დასავლეთის - (b) და სამხრეთ-აღმოსავლეთის - (c) ქარების შემთხვევებში.

რადიოაქტიური ნივთიერება ძირითადად ილექება სამხრეთ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ, ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში ფონური სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის ქარების შემთხვევებში (ნახ. 2). დიდი რაოდენობით დალექვის ზონის სიგრძე დაახლოებით 750 კმ-ის ტოლია სამხრეთ აღმოსავლეთის ფონური ქარის დროს, და – 350 კმ-ის, სხვა შემთხვევებში. ამ ზონის სიგანე დაახლოებით 150 კმ-ს უდრის. მიღებულია, რომ როდესაც 10 მკმ ზომის აეროზოლის ამონაფრქვევის კონცენტრაცია ამონაფრქვევ ჭავლში 6 სთ-ის განმავლობაში 100 პ.ე./მ<sup>3</sup>-ის ტოლია, მაშინ დალექილი რადიოაქტიური ნივთიერების ზედაპირული სიმკვრივე მაქსიმალური დალექვის ზონაში მცირდება 360 პ.ე./მ<sup>2</sup>-დან 1 პ.ე./მ<sup>2</sup>-მდე.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Kordzadze A. A., Surmava A. A., demetrashvili D. L., and Kukhalashvili V. G. Numerical Investigation of the Influence of the Caucasus Relief on the Distribution of the Hydrometeorological Fields. 2007, Izvestia, Atmospheri and Oceanic Phys., vol. 43, No. 6, pp. 722-730.
2. Марчук Г. И. Математическое моделирование в проблеме окружающей среды.- М.: Наука, 1982, 316 с.
3. Марчук Г. И. Численное решение задач динамики атмосферы и океана. Л.: Гидрометеиздат. 1974, 302 с.

უაკ 51.001.57 :502.7

**კავკასიის რეგიონის შესაძლო ღაბინაშურების რიცხვითი მოდელირება სომხეთის ატომური ელემენტო-სადგურთან <sup>131</sup>I კიპოთეზური ამოფრქვევის შემთხვევაში/სურმავა ა. ინჟირველი ღ., გიგაური ნ., გიორგაძე ს., კვინიკაძე გ.მელია ა./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული -2013.-ტ.119.-გვ.299-302.-ქართ.; რეზ.:ქართ.,ინგლ.,რუს.**

კავკასიაში ატმოსფერული პროცესების განვითარების რეგიონალური რიცხვითი მოდელისა და მინარევის გავრცელების განტოლების გამოყენებით შესწავლილია სომხეთის ატომური ელემენტოსადგურიდან ატმოსფეროში კიპოთეზური შესაძლო ავარიის შედეგად ამოფრქვეული რადიოაქტიური ელემენტის <sup>131</sup>I-ის გავრცელება ფონური სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარების შემთხვევაში. გათვალისწინებულია რადიოაქტიური დაშლისა და აეროზოლის დალექვის პროცესები. განხილულია მხოლოდ 10 მკმ დიამეტრის რადიოაქტიური ნუკლიდის გავრცელება.

გამოთვლებით ნაჩვენებია, რომ დაახლოებით 48 საათია საჭირო იმისათვის, რომ რადიაციური ღრუბელი გადაეღოს სამხრეთ კავკასიას და გავრცელდეს ჩრდილოეთ კავკასიაში. რადიოაქტიური ნივთიერება ძირითადად ილექება სამხრეთ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ, ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში ფონური სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის ქარების შემთხვევებში, შესაბამისად. დიდი რაოდენობით დალექვის ზონის სიგრძე დაახლოებით 750 კმ-ის ტოლია სამხრეთ აღმოსავლეთის ფონური ქარის დროს, და – 350 კმ-ის სხვა შემთხვევებში. ამ ზონის სიგანე დაახლოებით 150 კმ-ს უდრის. მიღებულია, რომ როდესაც 10 მკმ ზომის აეროზოლის ამონაფრქვევის კონცენტრაცია ამონაფრქვევ ჭავლში 6 სთ-ის განმავლობაში 100 პ.ე./მ<sup>3</sup>-ის ტოლია, მაშინ დალექილი რადიოაქტიური ნივთიერების ზედაპირული სიმკვრივე მაქსიმალური დალექვის ზონაში მცირდება 360 დან 1 პ.ე./მ<sup>2</sup>-მდე.

UDC 51.001.57 :502.7

**NUMERICAL SIMULATION OF THE POSSIBLE POLLUTION OF THE CAUCASION REGION IN CASE OF THE HYPOTHETICAL/ Surmava A.,Intskirveli L.,Gigauri N.,Giorgadze S.,Kvinikadze G.,Melia A./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Tekhnical University. -2013. - т.119. – pp. 299-302. -Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.**

By means of regional model of development of atmospheric processes in the Caucasian Region and the equation of a substance transfer the spatial distributions of zones of radioactive deposition are investigated. In the model the radioactive decay and aerosols deposition processes are taken into account. The distribution of radioactive pollution is simulated in cases of the South, South West and South East background winds. The distribution of only one radionuclide aerosol <sup>131</sup>I with diameter 10 μm is considered.

Numerical simulation shows that the 48 hours are necessary for the radioactive cloud to overflow the South Caucasus and distribute over the territory of the North Caucasus. The radioactive pollution is falling out mainly in the central, southeast and northwest parts of the South Caucasus. The zone of the radioactive deposition is extended along the background wind and deformed by the influence of the relief. The maximum length of the zone of significant deposition of radioactive substance equals approximately 750 km in case of the background South East wind and 350 km in other cases. The maximum width of the zone approximately equals 150 km. It is obtained that the surface density of the deposited radioactive nuclide in the zone of significant radioactivity decreases from 360 a.u./m<sup>2</sup> down to 1 a.u./m<sup>2</sup> when the concentration of 10 μm aerosol <sup>131</sup>I in emission plume during 6 hours are equal to 100 a.u./m<sup>3</sup>.

УДК 51.001.57 :502.7

**ЧИСЛЕННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ВОЗМОЖНОГО ЗАГРЯЗНЕНИЯ КАВКАЗСКОГО РЕГИОНА В СЛУЧАЕ ГИПОТЕТИЧЕСКОГО ВЫБРОСА  $^{131}\text{I}$  НА АРМЯНСКОЙ АТОМНОЙ ЭЛЕКТРОСТАНЦИИ/Сурмава**

А.А.Инцкирвели Л.Н.Гигаური Н.Г.გიორგაძე С.С. Квиникадзе Г.Т. Мелиа А.О./Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. –2013. – т.119. – с. 299-302 – Груз. ; Рез. Груз., Англ.,Рус.

С помощью региональной модели развития атмосферных процессов в Кавказском регионе и уравнения переноса примеси исследовано пространственное распределение радиоактивного загрязнения ( $^{131}\text{I}$ ) в атмосфере в случае возможной гипотетической аварии на Армянской атомной электростанции. В модели учтены процессы радиоактивного распада и осаждения на подстилающую поверхность. Распространение радиоактивного загрязнения смоделировано для случаев южного, юго-западного и юго-восточного ветров и радиоактивного аэрозоля с диаметром 10 мкм.

Получено, что радиоактивному облаку необходимо приблизительно 48 часов для перетекания через Южный Кавказ. Основная часть радиоактивного загрязнения выпадает над центральной, северо-западной и юго-восточной частями Южного кавказа. Зоны радиоактивного осаждения вытянуты вдоль фоновых ветров и частично деформированы под влиянием рельефа территории. Максимальная длина зоны значительного выпадения радиоактивного вещества приблизительно равна 750 км в случае фонового юго-восточного ветра и - 350 км для других направлений фоновых ветров. Получено, что когда в течение первых 6 часов концентрация частиц с диаметром 10 мкм равна 100 п.е./м<sup>3</sup> (произвольная единица/м<sup>3</sup>), тогда поверхностная плотность выпавшего радиоактивного вещества в зоне максимального загрязнения уменьшается от максимального значения 360 п. е./м<sup>2</sup> до 1 п. е./м<sup>2</sup>.

უაკ. 551.551.1, 551.575-6

## ეკოლოგიურად აქტუალური ზოგიერთი მეზომეტეოროლოგიური პროცესის რიცხვითი მოდელირება

გელაძე გ., ბეგალიშვილი ნ., ბეგალიშვილი ნ. ნ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

**შესავალი.** სულ უფრო იზრდება რიცხვითი მოდელირების როლი ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესების შესწავლის დარგში. თანაც კვლევათა ფრონტი ვითარდება ყველა მიმართულებით. ამ მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მეზომეტეოროლოგიურ პროცესებს. ამჟამად შექმნილია რიგი ცალკეული მეზომეტეოროლოგიის რიცხვითი მოდელისა ( ატმოსფეროს მეზომეტეოროლოგიური სასახლო ფენა – **ამსფ.** ღრუბლები, სხვადასხვა სახის ნისლი, აერო-ზოლის ტურბულენტური დიფუზია და ა.შ. ). მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ისეთი რიცხვითი მოდელის შექმნა, რომლებიც შეისწავლიან ამ პროცესებს ერთიან კომპლექსში, მათ შორის არსებული რთული ურთიერთკავშირების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, 21-ე საუკუნეში ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ნომერ პირველი არის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების პრობლემა, რაც გამოწვეულია ყველასათვის კარგად ცნობილი გარემოს ძალიან ინტენსიური დაბინძურებით, გლობალური დათბობით და ა. შ.

აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ მეტად საშური საქმეა **ამსფ**-ის თერმოჰიდროდინამიკის ფონზე შესწავლილ იქნას ღრუბელ- და ნისლფორმირება (სწორედ ამ მეტეოროლოგიურ ობიექტებში ხდება მავნე ნივთიერებების აკუმულირება, სხვადასხვა სახის “სმოგების” წარმოქმნა) რიცხვითი მოდელირების მეთოდების საშუალებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ თემა არის ნამდვილად, ”ქართული”, გამომდინარე მეზომეტეოროლოგიური პროცესების მასშტაბებისა და ჩვენი ქვეყნის ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებიდან.

თემის აქტუალურობა განპირობებულია აგრეთვე ისეთი მეტად მნიშვნელოვანი დარგებით, როგორცაა ამინდის ლოკალური პროგნოზი, საავიაციო-, აგრო- და საზღვაო მეტეოროლოგია, სამშენებლო მექანიკა, ქარის ენერგეტიკა და ა. შ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ნისლი და ღრუბლები არიან პასუხისმგებელი დედამიწის რადიაციულ და წყლის ბალანსზე; მათი სახით მომავლისათვის გვაქვს მტკნარი წყლის უსასრულო მარაგი; ასევე დიდია მათი როლი ჩვენი პლანეტის ელექტრომაგნიტური რეჟიმის ჩამოყალიბებაში; გასახსენებელია ის ფაქტიც, რომ ამ პროცესებზე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდებოდა აქტიური ზემოქმედება [1, 2] (ამ სამუშაოებში უშუალოდ და საკმად წარმატებულად მონაწილეობდა ჩვენი ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტიც).

ჩვენი **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს **ამსფ.** ფენა, რომელშიც ვლინდება ქვეფენილის არაერთგვაროვნება (ტემპერატურული, რელიეფური, “წყლიანური”, ანტროპოლოგიური და ა. შ.). მისი ჰორიზონტალური ზომებია 100 – 200 კმ, ვერტიკალური კი 2 კმ. ძირითად აქცენტს ვაკეთებთ **ამსფ**-ის თერმოჰიდროდინამიკასა და ნოტიო (ფენა ღრუბლები, ნისლი) ველებზე.

**ნაშრომის მიზანს** წარმოადგენს ჩვენს მიერ უკვე დამუშავებული **ამსფ**-ის რიცხვითი მოდელის სრულყოფა. აქცენტს ვაკეთებთ ეკოლოგიური თვალსაზრისით ისეთ მომენტებზე, როგორცაა ფენა ღრუბლებისა და რადიაციული ნისლის მოდელირება. შესწავლილი გვაქვს რიგი ანომალური მეტეოპროცესისა, ცალკეული მეტეოპარამეტრების როლი პროცესის ფორმირებაში.

იმ დარგის ამოცანები, რომლებშიც ჩვენ გვიხდება მუშაობა, **ამსფ** და, ზოგადად, მეზომეტეოროლოგია, აღიწერება თერმოჰიდროდინამიკისა და დიფუზიის პარაბოლური ტიპის არსებითად არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით. ამიტომ იშვიათი გამონაკლისი შემთხვევების გარდა **კვლევის მეთოდად** გამოიყენება რიცხვითი მეთოდები. ამჟამად ძირითადად საქმე გვაქვს 2-განზომილებიან ამოცანებთან (  $x - z$  ) ვერტიკალურ სიბრტყეში. კომპიუტერული ტექნოლოგიების არსენალიდან ძირითადად ვიყენებთ: Fortran, Algol, TP-7, MathCad, Maple, MatLab, Mathematica, ... მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ვიყენებთ ანალიზურ ამოხსნებს (გამარტივებული ამოცანები, ტესტები, წინასწარი შეფასებები და ა. შ.). კომპიუტერული ტექნოლოგიები დიდ სამსახურს გვიწევენ მიღებული რეზულტატების ხარისხიანად ილუსტრირების საქმეშიც.

ნაშრომის **მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ **ამსფ**-ის თერმოჰიდროდინამიკა და ღრუბელ-ნისლწარმოქმნა ეკოლოგიური თვალსაზრისით გაერთიანებულია ერთიან რიცხვით მოდელში. გარდა ამისა, ჩვენის აზრით, პირველად “დავიჭირეთ” ჰორიზონტალური ტურბულენტობის როლი მეტეოპროცესების ჩამოყალიბებაში; გააკეთდა საინტერესო პარალელები **ამსფ**-ს დაკონვექციურ-ტორნადო-ტროპიკული ციკლონის ამოცანებთან დაკავშირებით, იმიტირებულ იქნა ნოტიო პროცესთა ანსამბლები.

კვლევის **თეორიულ მნიშვნელობად** მიგვაჩნია ის, რომ შექმნილია **ამსფ**-ის 2-განზომილებიანი კომპლექსური რიცხვითი მოდელი, რომლის საშუალებითაც ვსაზღვრავთ **ამსფ**-ის თერმოჰიდროდინამიკის (ტემპერატურა, ქარის მდგენელები, წნევა, სინოტივე, ღრუბლისა და ნისლის წყლიანობა) ველებს. მოდელირებული გვაქვს ფენა ღრუბლებისა და რადიაციული ნისლის ჩასახვა-განვითარება-დაშლის სრული ციკლი. თეორიულად დავადგინეთ ჰორიზონტალური ტურბულენტობის როლი მეზომეტეოროლოგიური პროცესების ჩამოყალიბებაში, მოდელირებულ იქნა ნოტიო პროცესების ანსამბლი. შევისწავლეთ რიგი ანომალური პროცესებისა.

შრომის **პრაქტიკულ მნიშვნელობად** შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ჩვენს მიერ დამუშავებული რიცხვითი მოდელის რეზულტატები შეიძლება გამოყენებულ იქნენ ამინდის ლოკალური პროგნოზის დარგში. ის შეიძლება პარამეტრიზებულ იქნას მსხვილმასშტაბიან და გრძელვადიანი პროგნოზის ამოცანებში მათი შემდგომი დაზუსტების მიზნით; შესაძლებელია ზოგიერთი ეკოლოგიური ამოცანის გადაწყვეტა. გარდა ამისა, მოდელის გამოყენება შეიძლება ზოგიერთ მეზომეტეოლოგიურ “თეორიულ” ხელოვნური ზემოქმედების დარგში: მეტეოპროცესებზე ზემოქმედება ძალიან დიდ რისკთან, მატერიალურ და შრომით რესურსებთანაა დაკავშირებული. ამიტომ წინასწარი “თეორიული” ზემოქმედება მეტად აქტუალურია ამ სფეროში.

**საწყის განტოლებათა სისტემა.** ზოგადად, კლასიკური ჰიდროდინამიკიდან ცნობილია, რომ სასაზღვრო ფენა არის სითხის ის ფენა, რომელშიც ვრცელდება კედლის არაერთგვაროვნება. კერძოდ, **ამსფ** არის ატმოსფეროს ის ფენა, რომელშიც ვლინდება დედამიწის ზედაპირის, როგორც კედლის, არაერთგვაროვნება (ტემპერატურული, რელიეფური, ე. წ. “წყლიანური”, ანტროპოგენური და ა.შ. ჩვენ ვიხილავთ 2-განზომილებიან არასტაციონარულ ამოცანას ვერტიკალურ ( $x, z$ ) სიბრტყეში (ვთვლით, რომ ( $0, y$ ) ღერძის გასწვრივ პროცესი ერთგვაროვანია). მცირე ჰორიზონტალური მასშტაბების გამო შეგვიძლია კორიოლისის ძალა უგულებელვყოთ. როგორც მიღებულია **ამსფ**-ის ამოცანების განხილვისას, არ ვითვალისწინებთ ჰაერის სიმკვრივის ვარდნას სიმაღლის მიხედვით. თუ გამოვიყენებთ მაკრომასშტაბური მოვლენების მეზომეტეოლოგიურ ზეგავლენის გათვალისწინების მეთოდს, ბუსინესკის თავისუფალი კონვექციის გამარტივებას, კვაზისტატიკურ მიახლოებას, ტურბულენტობის კოეფიციენტების მუდმივობას, მაშინ **ამსფ**-ის თერმოჰიდროდინამიკის ამოცანის საწყის განტოლებათა სისტემას წყლის ორთქლის ფაზური გარდაქმნის გათვალისწინებით ექნება ასეთი სახე [ 3 – 6 ]:

$$\frac{du}{dt} = -\frac{\partial \pi}{\partial x} + \Delta' u, \tag{1}$$

$$\frac{\partial \pi}{\partial z} = \lambda \vartheta, \tag{2}$$

$$\frac{\partial u}{\partial x} + \frac{\partial w}{\partial z} = 0, \tag{3}$$

$$\frac{d\vartheta}{dt} + Sw = \frac{L}{c_p} \Phi + \Delta' \vartheta, \tag{4}$$

$$\frac{dq}{dt} + \gamma_q w = -\Phi + \Delta' q, \tag{5}$$

$$\frac{dv}{dt} = \Phi + \Delta' v, \tag{6}$$

$$\frac{d}{dt} = \frac{\partial}{\partial t} + u \frac{\partial}{\partial x} + w \frac{\partial}{\partial z}, \quad \Delta' = \mu \frac{\partial^2}{\partial x^2} + \nu \frac{\partial^2}{\partial z^2}$$



სადაც  $u, w$  არიან ქარის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მდგენელები, შესაბამისად,  $\pi, \theta, q$  - წნევის ანალოგის, პოტენციური ტემპერატურისა და ხვედრითი სინოტივის ნაზრდები, შესაბამისად,  $v$  - ხვედრითი წყლიანობა,  $\lambda, S$  - ატმოსფეროს ფლოტაციისა და სტრატოფიკაციის პარამეტრები, შესაბამისად,  $\gamma_0$  - ფონური ხვედრითი სინოტივის ვერტიკალური გრადიენტი,  $\Phi$  - წყლის ორთქლის კონდენსაციის სიჩქარე,  $L$  - კონდენსაციის ფარული სითბო,  $c_p$  - მშრალი ჰაერის კუთრი სითბოტევადობა მუდმივი წნევის დროს,  $\mu, \nu$  - ტურბულენტობის ჰორიზონტალური და ვერტიკალური კოეფიციენტები, შესაბამისად.

**სასაზღვრო და საწყისი პირობები.** ჩამოვყალიბოთ საწყისი და სასაზღვრო პირობები (1) - (6) სისტემისათვის ზოგადი სახით.

$$\text{თუ } z=0 \quad u=0, \quad w=0, \quad \vartheta=F(x,t), \quad q=0, \quad v=0 \quad (7)$$

სადაც  $F(x,t)$  არის ამსფ-ის ქვეფენილის ტემპერატურა, რომელსაც ვიღებთ მეტეოექსპერიმენტებიდან :

$$F(x,t) = \begin{cases} 0 & 0 \leq x \leq 32km, \quad 48km < x \leq 80km, \\ 5 \sin \omega t & 32km \leq x \leq 48km, \end{cases} \quad (8)$$

აქ  $\omega$  არის დედამიწის დღე-ღამური ბრუნვის კუთხური სიჩქარე. ე. ი. ამსფ-ის ამოცანას ვიხილავთ ქვეფენილის მხოლოდ ტემპერატურული არაერთგვაროვნების, კერძოდ, სითბური "კუნძულის" დღეღამური სვლის კანონით გათბობის პირობებში.

$$\text{თუ } z=Z \quad u=0, \quad \pi=0, \quad \vartheta=0, \quad \frac{\partial q}{\partial z}=0, \quad \frac{\partial v}{\partial z}=0 \quad (9)$$

$$\text{თუ } x=0, X \quad \frac{\partial u}{\partial x}=0, \quad \frac{\partial \vartheta}{\partial x}=0, \quad \frac{\partial q}{\partial x}=0, \quad \frac{\partial v}{\partial x}=0 \quad (10)$$

სადაც  $X, Z$  არიან ამსფ-ის ჰორიზონტალური და ვერტიკალური საზღვრები.

$$\text{თუ } t=0 \quad u=0, \quad \vartheta=0, \quad q=0, \quad v=0, \quad (11)$$

ამრიგად, ჩვენი ძირითადი ამოცანა დაყვანილია (1) - (6) სისტემის მართკუთხა ( $0 \geq x \leq X, 0 \geq z \leq Z$ ) არეში ამოხსნაზე (7) - (10) სასაზღვრო და საწყისი პირობების გათვალისწინებით.

მოვიყვანოთ იმ ფიზიკური კონსტანტებისა და ამოცანის პარამეტრების მნიშვნელობებს, რომლებიც სხვადასხვა რიცხვით ექსპერიმენტებში არ იცვლებოდნენ:  $\lambda=0.033 m^2 / (sec \cdot grad)$ ,  $S=0.004 grad/m$ ,  $L=600 cal/g$ ,  $c_p=0.24 cal/(g \cdot grad)$ ,  $\mu=10^4 m^2/sec$ ,  $\nu=10m^2/sec$ , ფარდობითი ტენიანობა  $f=95\%$ ,  $X=80km$ ,  $Z=2km$ .

**ამოცანის ამოხსნის მეთოდი.** ამ ამოცანის ამოხსნა დაკავშირებულია ერთ-ერთ ისეთ მნიშვნელოვან სირთულესთან, როგორცაა მოდელში ნოტიო პროცესების ჩართვა ( ღრუბლების წარმოქმნა, რიგი რადიაციული პროცესებისა და ა. შ. ). ეს პრობლემა დაკავშირებულია რიგ სიძნელეებთან, რომელთა შორის ყველაზე არსებითია წყლის ორთქლის კონდენსაციის სიჩქარის,  $\Phi$ , გათვალისწინება [ 5, 8 ]. ეს სიძნელეები ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ (4) - (6) განტოლებების ამოხსნა, რომლებიც შეიცავენ  $\Phi$ -ს, გვაძლევს დიდ ცდომილებას იმიტომ, რომ, ჯერ-ერთი,  $\Phi$ -ის ცხადი სახე ექსპერიმენტიდან არა გვაქვს, მეორე ის, რომ  $\Phi$  განიცდის ღრუბლის საზღვარზე წყვეტას და აქ დაშვებული მცირე ცდომილებაც კი შეიტანს მნიშვნელოვან ცდომილებას სითბოსა და სინოტივე-წყლიანობის ბალანსში. ამიტომაცაა, რომ პრობლემისადმი ასეთი მიდგომისას ამოცანის თვლა მიმდინარეობს დროის მცირე მონაკვეთის განმავლობაში, რის შემდეგაც ადგილი აქვს თვლის არამდგრადობას. გარდა ამისა, ამ განტოლებების პირდაპირი ამოხსნისათვის საჭიროა სპეციალური მონოტონური სხვაობიანი სქემების გამოყენება, რაც დაკავშირებულია დამატებით სიძნელეებთან.

ამ პრობლემის გადაჭრისათვის და ოგურამ [ 7 ] მატყევემა [ 8 ] დაუდეს სათავე ახალ მიმართულებას, რომელიც დაფუძნებული იყო  $\Phi$ -ის გამორიცხვაზე (4) - (6) სისტემიდან. ამირომაც გამოიყენა მეთოდი, რომელიც ამ მიმართულებას ეკუთვნის, ოღონდ ის უფრო ზუსტად ითვლის ღრუბლის ტემპერატურას და სხვა მეტეოელემენტებს [9,10].

**რიცხვითი სქემა.** მოცემული სისტემა იხსნება ცხადი სასრულ-სხვაობიანი რიცხვითი სქემის საშუალებით. (2.1.3), (2.1.6) და (2.1.7) განტოლებების აპროქსიმაცია შესრულდა ბრაიენის


სქემის მიხედვით, რომელიც არ ხასიათდება არაწრფივი არამდგრადობით. (2.1.4) და (2.1.7) განტოლებების ინტეგრებას კი ვახდენდით ტრაპეციის ფორმულით.

განხილულ რიცხვით სქემას აქვს პირველი რიგის აპროქსიმაცია დროის მიხედვით და მეორე რიგის აპროქსიმაცია კოორდინატის მიხედვით.

ჩვენს მიერ შემუშავებული რიცხვითი მოდელის საფუძველზე ვიკვლევთ ამსფ-ის ზოგიერთ ანომალურ მეტეოპროცესს.

**ღრუბლისა და ნისლის ერთდროული არსებობა.** ჩვენი მოდელის საშუალებით იმიტირებულ იქნა ამსფ-ის ისეთი რეჟიმი, როცა ერთდროულად არსებობს ნისლიცა და ღრუბელიც. ამ დროს ადგილი აქვს ღრუბლის მიღევასა და ნისლის გაძლიერებას. ღრუბლისა და ნისლის ერთდროული არსებობა საინტერესოა არა მარტო ლოკალური პროგნოზის, არამედ ეკოლოგიური თვალსაზრისითაც. სწორედ ამ დროს კონდენსაციის ფარული სითბოს გამოყოფა აპირობებს რამდენიმეფენიანი ტემპერატურული ინვერსიის გაჩენას ( ღრუბლისქვეშა, ღრუბლისზედა, ნისლისზედა და ა.შ. ინვერსიები ) , რომელშიც ადგილი აქვს მანვნივთიერებათა აკუმულაციას. ამ მოვლენას მატყვევმა უწოდა დინამიური წარმოშობის ინვერსია.

რა თქმა უნდა, ეს რეჟიმი მიიღწევა მაღალი ფარდობითი ტენიანობის ( $f=95\%$ ) დროს. მოვიყვანოთ ის პარამეტრები ( $\mu = 10^4 m^2/sec$ ,  $\nu = 10 m^2/sec$ ), რომლის დროსაც გვაქვს ზემოთაღნიშნული სურათი [ 40, 42 ]:



ნახ.1. ღრუბლისა და ნისლის წყლიანობის  $v$  (გ/კგ) იზოხაზები ( $t = 15$  სთ )


როგორც ნახაზიდან № 1 სჩანს, 15 საათისათვის ერთდროულად დაიმზირება როგორც ნისლი, ასევე ღრუბელი, თანაც ნისლის მაქსიმალური წყლიანობა (1გ/კგ) სჭარბობს ღრუბლისას (0,7 გ/კგ).

**ღრუბლისა და ნისლის გაერთიანებული ვერტიკალური კომპლექსი.** მოცემული მოდელის საშუალებით შესაძლებელია ღრუბლისა და ნისლის არა მარტო ერთდროული არსებობა, არამედ მათი გაერთიანებული ვერტიკალური კომპლექსის სიმულირება. ამის მიღწევა ხორციელდება ფარდობითი ტენიანობისა და ტურბულენტური რეჟიმის გარკვეული პირობებში, კერძოდ, როდესაც  $f=98\%$ ,  $\mu = 9000 m^2/sec$ ,  $\nu = 10 m^2/sec$ .

ნისლისა და ღრუბლის გაერთიანება მოხდა მხოლოდ ვიწრო, სამი დერძული ერთწერტილიანი „ყელის“ საშუალებით, ნახ. № 2. ამიტომაც ვიყავით იძულებული, რომ აგველო იზოხაზების დიდი რაოდენობა; ნახაზი რომ არ გაგვერთულებინა, იზოხაზებს რიცხვითი მნიშვნელობები არ წავაწერეთ. სიცხადისათვის მაინც აღვნიშნავთ, რომ ღრუბლის წყლიანობის მაქსიმალური მნიშვნელობა უდრის 1,72 გ/კგ, ხოლო ნისლისა კი 1,01 გ/კგ. რომ გვქონოდა უფრო მცირეებიჯიანი ბადე, ალბათ უფრო განიერ „ყელს“ მივიღებდით. ღრუბლისა და ნისლის გაერთიანებული კომპლექსი არსებობდა  $\approx 13$  - დან 17 საათამდე.

ნახ. № 2 აშკარად გვაგონებს ტორნადოს „ხორთუმს“. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამსფ-ის მოდელის ფარგლებშიც კი ტურბულენტობის გარკვეულ კრიტიკულ რეჟიმებში შესაძლებელია ტორნადოსა და ტროპიკული ციკლონისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი (მაგ.,

წყლიანობის ვერტიკალური "ხორთუმი") შტრისის დაჭერა. რიგი რიცხვითი ექსპერიმენტებისა გვაფიქრებინებს, რომ მიზეზი ტორნადოში, ტროპიკული ციკლონისაგან განსხვავებით, „ხორთუმის“ არსებობისა მდგომარეობს იმაში, რომ ტროპიკული ციკლონის განვითარება ხდება პორიზონტალურად, ხოლო ტორნადოსი კი ვერტიკალურად. ჩვენის აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ ორი ობიექტის ტურბულენტური რეჟიმებია განსხვავებული. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ნამდვილად ღირს კვლევის გაგრძელება.




ნახ.2. ღრუბლისა და ნისლის გაერთიანებული კომპლექსის წყლიანობის  $v$  (გ/კგ) იზოხაზები ( $t = 15$  სთ )


**ღრუბლებისა და ნისლის ანსამბლი. (რიცხვითი ექსპერიმენტი).** აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნისლისა და ღრუბლების ფორმირებისას და, განსაკუთრებით, მათი ერთდროული და, მით უმეტეს, მათი ანსამბლის არსებობისას, ადგილი აქვს წყლის ორთქლის კონდენსაციის ფარული სიბოლს გამოყოფას, რის გამოც ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის მრუდი ტრანსფორმირდება ტეხილ წირად. ამ წირის "კლაკნილები" ქმნიან ტემპერატურულად ინვერსიულ ქვეფენებს, რომლებშიც ხდება მავნე ნივთიერებათა "ჩაჭერა". ამ ინვერსიული ქვეფენების ფორმირება არის ღრუბელ-ნისლფორმირების აუცილებელი თანმდევი პროცესი.

რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგად (ამოცანის გარკვეული პარამეტრების შერჩევის ხარჯზე - განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებთ პორიზონტალურ ტურბულენტობაზე  $\mu = 9000m^2/sec$ ) იმიტირებულ იქნა ასეთი საინტერესო სცენარი: როდესაც ნისლი ძლიერდება, ის, ძირითადად, ტურბულენტობის გამო გადაფარავს, სცდება „კუნძულის“ პორიზონტალურ ზომებს. ტემპერატურის დღე-ღამური სვლის დროს, როდესაც ქვეფენილი იწყებს გათბობას, ბუნებრივია, სიბოლური "კუნძულის" თავზე არსებული რადიაციული ნისლი სუსტდება, ან გადაგვარდება ფენა ღრუბლად, ან სულაც განიბნევა, იმ დროს, როცა მის გარეთ შენარჩუნებული გვაქვს ნისლი. ფაქტიურად ადგილი აქვს რადიაციული ნისლის ტრანსფორმაციას ორ დაბალ ფენა ღრუბლად, შემდეგ კი თვითონ გადაგვარდა ფენა ღრუბლად: ნახ. 4 გვაქვს 3 ფენა ღრუბელი და ერთი რადიაციული ნისლი, ხოლო ნახ. 5 - 4 ფენა ღრუბელი.

ფიზიკურად აქ ყველაფერი ლოგიკურ ჩარჩოში ჯდება, მაგრამ მეტეოროლოგიური დაკვირვებებიდან ამგვარი პროცესი ჩვენთვის არ იყო ცნობილი. საინტერესოა სწორედ ისაა, რომ ეს ანომალური სცენარი გათამაშდა ჩვენი რიცხვითი მოდელის საშუალებით. ვეცდებით მომავალში მოვიპოვოთ შესაბამისი ექსპერიმენტული მასალა.



ნახ.3. ღრუბლებისა და ნისლის ანსამბლი  
 (v g/kg, t = 23,2 სთ)



ნახ.4. ღრუბლების ანსამბლი  
 (v g/kg, t = 23,6 სთ)

**ამოცანის პერიოდულობა.** ჩვენი ამოცანების (არაწრფივი კერძოწარმოებულიანი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა) ამოხსნისას ჩვენ ვერ ვამტკიცებთ დასმული ამოცანის კორექტულობას ( ამოხსნის არსებობა, ერთადერთობა, მდგრადობა და ა. შ. ) – ეს ჩვენი დარგის სპეციალისტების აქილევის ქუსლია. ამიტომ მიღებული ამონახსნების შემოწმების მიზნით გვიხდება სხვადასხვა ფიზიკური, თუ მათემატიკური ტესტების გამოყენება. ჩვენს შემთხვევაში, **ამსფ-ის** ქვეფენილის პერიოდული გათბობისას, ასეთ ერთ-ერთ ტესტად გამოდგება ამონახსნის პერიოდულობის მიღება, რასაც ადგილი აქვს რეალურად ბუნებაში.

ამ მიზნით „გაფუშვით“ ამოცანა სათვლელად რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში. მივიღეთ მეტად დამაკმაყოფილებელი სურათი (სტატიის მოცულობა არ გვაძლევს ილუსტრაციების მოყვანის საშუალებას): მიღებული რეზულტატების ზერეფე ანალიზიც კი აშკარად მეტყველებს პროცესის კარგ პერიოდულობაზე. საყურადღებოა, რომ მე-2, მე-5 და მე-10 დღეების წყლიანობის ველები უფრო მსგავსია, ვიდრე პირველი დღისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოწვეულია ველების სხვადასხვა ხარისხის ადაპტაციით. ამ ფაქტს არა მარტო გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს ( ამინდის ლოკალური პროგნოზი ), არამედ ის მეტყველებს ამოცანის დასმის კორექტულობის შესახებაც. საკითხი, რა თქმა უნდა, მოითხოვს უფრო დეტალურ შესწავლას, რასაც უახლოეს მომავალში დავუბრუნდებით.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Сулаквелидзе Г. К. Ливневые осадки и град. – Л.: Гидрометеиздат, 1967, 409 с.
2. Бартишвили И. Т., Надибаидзе Г. А., Бегалишвили Н. А., Гудушаури Ш. Л. К физическим основам метода ЗакНИГМИ борьбы с градом. Тр. ЗакНИГМИ, 1978, вып. 67(73), с. 73-82.
3. Гутман Л. Н. Введение в нелинейную теорию мезометеорологических процессов – Л.: Гидрометеиздат, 1969, -295 с.
4. Геладзе Г. Ш. К численной модели мезомасштабного пограничного слоя атмосферы. – Сообщения АН ГССР, 1975, т. 77, #1, с. 69-72
5. გელაძე გ. შ., ბეგალიშვილი ნ., დავითაშვილი თ. ატმოსფეროს მეზოპროცესებში სითბური ტალღის გავრცელების შესახებ. ჰიდრომეტინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესია, 2010 წლის 20-21 მაისი.
6. გელაძე გ. შ., ბეგალიშვილი ნ., დავითაშვილი თ. ზოგიერთი ანომალური მეზოპროცესის მოდელირება. ჰიდრომეტინსტიტუტის 57-ე სამეცნიერო სესია, 2010 წლის 20-21 მაისი.
7. Ogura Y. The evolution of a moist convective element in a shallow, conditionally unstable atmosphere : a numerical calculation. – J. Atmos. Sci., 1963, v. 20, N5, p.407-424.
8. Матвеев Л. Т. Некоторые вопросы теории образования и эволюции слоистообразной облачности. – Тр. ААНИИ, 1959, т. 228, вып. 1, с. 14-38.

9. Амиров А. Д. Метод расчёта полей влажности и температуры в задаче о кучевом облаке. – Изв. АН СССР. Физ. атмосфю и океана, 1971, т. 7, #7, с. 723 – 730.
10. Амиров А. Д., Геладзе Г. Ш., Перов В. Л. Учёт фазовых переходов влаги в некоторых задачах мезометеорологии. – Тр. Зап.-Сиб регион. н.-и. гидрометеорол. ин-та, 1975, вып. 14, 5-17.

უაკ: 551.5.001.57

**ეკოლოგიურად აქტუალური ზოგიერთი მეზომეტეოროლოგიური პროცესის რიცხვითი მოდელირება.**

/გელაძე გ., ბეგალიშვილი ნ. ა., ბეგალიშვილი ნ. ნ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.303-309-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს დასმულია და ამოსწილია რიცხვითი მეთოდების საშუალებით ატმოსფეროს მეზომეტეოროლოგიური სასაზღვრო ფენის (ამსფ) 2-განზომილებიანი (x-z ვერტიკალურ სიბრტყეში) არასტაციონარული ამოცანა. მასში გათვალისწინებულია ეკოლოგიურად მეტად აქტუალური ისეთი პროცესები, როგორცაა ღრუბლისა და ნისლის განვითარების სრული ციკლი და აეროზოლის გავრცელება ამსფ-ის თერმოჰიდროდინამიკის ფონზე.

მოდელირებულია რიგი ანომალიური მეტეოპროცესებისა: ფენა ღრუბლისა და რადიაციული ნისლის ერთდროული არსებობა; ფენა ღრუბლისა და რადიაციული ნისლის გართიანებული ვერტიკალური კომპლექსი; დღე-ღამურად “უწყვეტი” ღრუბლიანობა; ნოტიო პროცესების ანსამბლი, კერძოდ, ერთდროულად იმიტირებულია ჯერ სამი ღრუბელი და ნისლი, რომელიც შემდგომ ტრანსფორმირდება 4 ღრუბლად.

ახლებურადა გვაქვს გააზრებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ტურბულენტობის როლი ტროპიკული ციკლონისა და ტორნადოს ჩამოყალიბებასა და ნოტიო პროცესების ურთიერთტრანსფორმაციაში. შესწავლილია რიგი მეტეოპარამეტრების გავლენა აეროზოლის გავრცელებაზე.

გარდა ამისა, კომპიუტერული რეალიზაციის სტადიაზეა მიყვანილი ისეთი ამოცანები, როგორცაა ამსფ-ის “მეორადი” დაბინძურება (უკვე დაღეჭილი აეროზოლის ატაცება და განმეორებითი გადატანა); ღრუბლისა და ნისლის საზღვრებზე არსებული “გამოციების” გათვალისწინება; ღრუბლის ჩრდილის გავლენა ამსფ-ის პროცესებზე; ქვეფენილის რთული ტემპერატურული არაერთგვაროვნების გათვალისწინება.

UDC 551.5.001.57

**NUMERICAL MODELLING OF SOME ECOLOGICALLY ACTUAL PROBLEMS OF MESOMETEOROLOGY/** Geladze G. Sh., Begalishvili N. A., Begalishvili N. N./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.303-309 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ.

It is put and solved numerically 2- dimensional (in a vertical plane x-z) a non-stationary problem about a mesometeorological boundary layer of atmosphere (MBLA). In it ecologically such actual processes, as a full cycle of development of a cloud and a fog and aerosol distribution are considered against of MBLA thermohydrodynamics.

A number of abnormal meteo-processes is simulated: Simultaneous existence of a stratus cloud and radiation fog; An incorporated vertical complex of a stratus cloud and radiation fog; Daily continuous overcast; Ensemble of humidity processes, particularly, three clouds and a fog which then were transformed to four clouds are simultaneously simulated.

To the new the role of horizontal and vertical turbulence in formation of a tropical cyclone and a tornado and in mutual transformation of humidity processes are considered. Influence of some meteoparameters on aerosol distribution is investigated.

Besides, such problems are resulted in a stage of computer realisation, as "secondary" pollution MBLA (capture already sedimented aerosols and its repeated carrying over); the account of cooling process, available on cloud and fog border; influence of cloudy shades on MBLA processes; the account of difficult temperature heterogeneity of an underlying surface.

УДК: 551.5.001.57

**ЧИСЛЕННОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ НЕКОТОРЫХ ЭКОЛОГИЧЕСКИ АКТУАЛЬНЫХ ЗАДАЧ МЕЗОМЕТЕОРОЛОГИИ /**Геладзе Г. Ш., Бегалишвили Н. А., Бегалишвили Н. Н./Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с.303-309 -Груз., Рез. Груз., Анг., Рус

Поставлена и решена численно 2-хмерная (в вертикальной плоскости x-z) нестационарная задача о мезометеорологическом пограничном слое атмосферы (МПСА). В ней учитываются экологически такие актуальные процессы, как полный цикл развития облака и тумана и распространения аэрозоля на фоне термогидродинамики МПСА.

Смоделирован ряд аномальных метеопроцессов: одновременное существование слоистого облака и радиационного тумана; объединённый вертикальный комплекс слоистого облака и радиационного тумана; обложная облачность; ансамбль влажностных процессов, в частности, одновременно имитированы три облака и туман, которые затем трансформировались в четыре облака.

Поновому рассмотрена роль горизонтальной и вертикальной турбулентности в формировании тропического циклона и торнадо и во взаимной трансформации влажностных процессов. Исследовано влияние ряда метеопараметров на распространение аэрозоля.

Кроме этого, к стадии компьютерной реализации приведены такие задачи, как «вторичное» загрязнение МПСА (захват уже осаждённой аэрозоли и её повторный перенос); учёт выхолаживания, имеющегося на границе облака и тумана; влияние облачных теней на процессы МПСА; учёт сложной температурной неоднородности подстилающей поверхности.

УДК 551.510.42

## СОВРЕМЕННЫЕ ЭКОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ОБЕСПЕЧЕНИЯ УСТОЙЧИВОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ

Гуния Г.С.\* , Сванидзе З.С.\*\*

\*Институт гидрометеорологии Грузинского технического университета

\*\*Грузинский технический университет

Одной из наиболее актуальных проблем современности представляет охрана природы. Уже давно учеными и практиками отмечается, что основным фактором негативного воздействия на состояние природной среды является ее загрязнение. При этом спектр загрязняющих веществ достаточно широк: - газообразные вещества, тяжелые металлы, органические вещества, радиоактивные элементы и др.

Природная среда Грузии, которая характеризуется сложной орографией и разнообразием климатических условий, богатым животным миром и разнообразным растительным покрытием, требует большого внимания к разработке практических и теоретических вопросов охраны и мониторинга антропогенного воздействия. В частности, оценок качественных и количественных параметров экологического состояния отдельных компонентов природной среды и выявления тенденций их ожидаемых изменений. Результаты научной проработки этих вопросов, в свою очередь, позволяют планировать и осуществлять практические мероприятия по предупреждению результатов вредных воздействий на природную среду.

В Грузии еще со второй половины прошлого века мониторинг состояния природной среды представляет первостепенную задачу, с целью разрешения которой была создана Государственная служба контроля загрязнения атмосферы. В начале ее основной задачей являлось получение засекреченной информации о радиоактивном загрязнении атмосферы и подстилающей поверхности земли в результате испытаний атомных и ядерных бомб и возможных аварийных выбросов из атомных электростанций и реакторов. И только, в последствии, с 70-х годов прошлого века, к ней были добавлены новые функции, предусматривающие сбор и анализ информации о загрязнении природных сред промышленных районов и крупных городов в результате эмиссий в атмосферу промышленных и автотранспортных отходов.

За период функционирования указанной системы мониторинга осуществлено достаточно большое количество исследований, в том числе, авторами данной статьи выполнены [3,4]:

- Исследование и уточнение физико-химических особенностей ряда вредных для здоровья населения примесей атмосферы;
- Распределение вредных примесей атмосферы по территории Грузии;
- Исследование минерализации атмосферных осадков, выпадающих в различных районах Кавказа;
- Исследование вопросов оценки данных наблюдений экологического мониторинга атмосферы;
- Разработка новых методов мониторинга загрязнения природной среды;
- Разработка прогнозных схем загрязнения атмосферы химическими и радиоактивными веществами;
- Изучение влияния метеорологических и синоптических процессов на трансграничный перенос и величины концентраций атмосферных примесей;
- Изучение антропогенных влияний на изменения химического состава атмосферы и климат;
- Исследование вопросов мониторинга глобальных эффектов антропогенных воздействий на региональный и глобальный климат и др.

Исследование эффективности работы данной системы в Грузии [1] показало, что до 1990-го года она перманентно возрастала. После чего, так же, непрерывно происходило разложение ее функционирования и в настоящее время деятельность данного мониторинга, практически свернута.

Как показывают исследования [3] состояние, в котором находится в настоящее время система экологического мониторинга не удовлетворяет требования, предъявляемые к получению адекватной информации об изменениях химического состава окружающей природной среды, позволяющей судить об антропогенных эффектах, влияющих на состояние ее отдельных компонентов, климатические характеристики и трансграничные переносы вредных примесей.

Исходя из изложенного, становится очевидным, что существует необходимость в получении детальной и объективной информации о современном экологическом состоянии природной среды данной территории, по-

звolyающей своевременно разработать превентивные меры, способствующие рациональному использованию природных ресурсов и обеспечивающие их воспроизводство.

Таким образом, очевидна необходимость в налаживании новой системы экологического мониторинга, предназначенной для регулярных, длительных наблюдений в пространстве и времени с целью сбора, обработки и анализа информации о состоянии окружающей среды и установлении механизмов ее эффективного функционирования.

При этом, должен быть осуществлен комплексный подход к выполнению указанного мониторинга, учитывающий сбор информации о многомерных эко-гидрометеорологических параметрах для описания явлений региональных и глобальных масштабов, ориентированный на применение современных информационных технологий.

Учитывая, что единая программа комплексного экологического мониторинга пока еще не разработана, а также сложность антропогенных воздействий на экологические и климатические факторы регионов Грузии, наличие их разнообразных прямых и обратных связей вызывает необходимость создания новой системы сбора и обработки данных наблюдений за этими процессами и требуют к нему научно-обоснованного, системного подхода.

При этом, становится необходимой разработка методологических и практических основ новой, многокомпонентной и комплексной системы мониторинга, созданной с целью выявления эффектов антропогенного воздействия на окружающую среду и климат, включающая региональный информационно-аналитический центр, оснащенный современными информационными технологиями.

Она, в основном, должна иметь информационный характер, хотя может содержать и элементы системы управления.

Так-как указанный мониторинг должен представлять собой разнородную информационно-аналитическую систему, он должна состоять из таких элементов, как:

1. Система наблюдений за химическим составом природной среды и рядом гидрометеорологических элементов;
2. Система оценки химического состава и факторов воздействия на природную среду и климат;
3. прогнозы тенденций изменений химического состава природной среды и климата;
4. Современная виртуальная информационная система.

Главным принципом данного мониторинга должна быть - его комплексность, что обуславливает осуществление одновременных наблюдений за изменениями химического состава природной среды и метеорологических параметров.

Комплексный экологический мониторинг должен учитывать и международные цели. Лишь при помощи системы, основанной на общепринятых принципах мониторинга, опирающейся на наблюдения, выполненные унифицированными методами и анализом его результатов возможно сопоставление полученных данных и оценки процессов, протекающих в региональном (национальном) и глобальном масштабах. В результате этого информация, полученная при помощи данного мониторинга, предстанет предметом международных обменов, а создание сети станций наблюдения и сбора информации будет примером международного сотрудничества.

При этом, в достаточно сложных современных экологических условиях территории Грузии необходимо, прежде всего, удовлетворение требований, установленных международными обязательствами и государственным законодательством в сфере охраны природной среды, представляющих значительный гарант для претворения в жизнь общепринятых принципов устойчивого экономического развития.

Следует заметить, что все возрастающие потребности населения в энергетических ресурсах, промышленной продукции, а также, для удовлетворения этих потребностей, осуществление научно-технических и технологических мероприятий, оставляют свой след и оказывают влияние на состояние природной и социальной среды современного общества и будущего поколения.

Недооценка вышеуказанного часто бывает причиной создания опасности для сохранения исторически сформировавшегося экологического равновесия. Иногда это вызывает непредусмотренное отрицательное (в ряде случаев необратимое и уничтожающее) воздействие на состояние природной среды, живые организмы и памятники историко-культурного наследия.

Определение опасного уровня загрязнения отдельных компонентов природной среды (атмосфера, поверхностные и подземные воды, почва) требует профессионального подхода. Это связано с тем, что оно, часто, в начале явно не ощущается и лишь со временем становится причиной ухудшения здоровья широких слоев населения и особо опасного воздействия на природную среду.

Для установления характеристик, соответствующих уровням такого вредного воздействия и с целью своевременного предотвращения негативного воздействия примесей вредных веществ на природную среду, приняты величины предельно допустимых концентраций (ПДК) и установлен государственный контроль над их величинами.

В современных условиях, в населенных местах могут наблюдаться загрязнения природной среды несколькими примесями одновременно. В таких случаях от указанной смеси получаем суммарный эффект воздействия (эффект суммации). Исходя из этого, устанавливаются величины ПДК, как для отдельно взятых веществ, так и для их комбинаций.

Комплекс стандартов, используемых в сфере охраны природы, основывается на регламентирующие величины значений ПДК вредных веществ и характеристик фоновых загрязнений данной местности. А это при оценках воздействий промышленных объектов на природную среду, дает возможность использовать нормы ПДК для вредных веществ, характерных эмиссиям, соответствующим специфике данного предприятия.

Существующий уровень загрязнения природы и тенденция его роста делают актуальным вопрос необходимости решения задач регулирования взаимоотношений, направленных на охрану природы и рациональное использование природных ресурсов, в международных и государственных масштабах. Для этого необходимо соблюдение требований, обеспечивающих устойчивое экономическое развитие, рекомендованных международной практикой [2].

«Устойчивое развитие» это такая система развития общества, которая путем соблюдения интересов экономического развития и охраны природы обеспечивает рост качества уровня жизни населения и право будущих поколений – пользоваться, максимально охраненными от необратимых количественных и качественных изменений, природными ресурсами и средой.

Внедрение принципов устойчивого развития должно основываться на, признанных международным сообществом, обязательное соблюдение следующих принципов:

- люди имеют право на здоровую и плодотворную жизнь в условиях гармонизации с природой;
- государства имеют суверенное право использовать свои природные ресурсы в соответствии с природо-охранной и экономической политикой. При этом, они ответственны за то, чтобы подконтрольные им деятельности не причинили вреда природной среде других государств;
- право на развитие так должно быть реализовано, чтобы было обеспечено справедливое удовлетворение требований сегодняшнего и будущих поколений в сферах экономического развития и охраны природы.

Для достижения устойчивого развития необходимо, чтобы охрана природы стала неотделимой частью процесса развития и не рассматривалась в отрыве от него.

Обязательное условие устойчивого развития – искоренение бедности. Все государства и народы должны сотрудничать с этой целью, чтобы уменьшились резкие различия между уровнями их жизни и были удовлетворены жизненные требования большинства населения мира:

- особое значение придается положению и требованиям экономически и экологически отсталых стран;
- государства взаимодействуют с целью глобального сотрудничества для сохранения, защиты и восстановления естественного состояния и цельности экосистемы земли. Все государства разделяют общую ответственность в деградации глобальной среды в соответствии со своим «вкладом»;
- участвуя в международных сотрудничествах с целью достижения устойчивого развития, развитые страны осознают соответствующую ответственность с учетом того, в какой степени воздействуют они на природную среду и какие их технологические и финансовые возможности.

С целью обеспечений устойчивого развития и более высокого уровня жизни для каждого человека, государства должны ограничить и упразднить нежизнеспособные модели производства и потребления и провести соответствующую демографическую политику:

- государства должны сотрудничать с целью укрепления национального научного потенциала для достижения устойчивого развития в сфере научно-технического прогресса путем обмена опытом;
- государства принимают правовые акты в сфере охраны природы на основе собственной специфики, так-как стандарты одной страны с социально-экономической точки зрения могут оказаться полностью неприемлемыми для другой, особенно для развивающихся стран;
- для решения экологических проблем государства должны сотрудничать с целью создания выгодной и открытой международной системы, что во всех странах обеспечит экономический рост и устойчивое развитие;
- государства должны способствовать интернационализации экологических расходов и использовании таких экономических инструментов, согласно которым загрязнитель оплачивает убыток пострадавшей сторо-



не в соответствии с нанесенным ущербом. При этом необходимо соблюдение интересов и прав международной торговли и инвестирования.

В решении экологических проблем огромная роль принадлежит коренному населению, его знаниям и традиционной практике. Государства должны поддерживать самобытность, культуру и интересы местного населения и обеспечить его эффективное участие в деле достижения устойчивого развития.

Мирное существование, экономическое развитие и охрана природы тесно взаимосвязанные и неразделимые понятия.

Следует заметить, что в Грузии при взаимодействиях государства и общественности не всегда полностью соблюдаются принципы устойчивого развития. В этом направлении у нас мало обращается внимание на проведение целенаправленных мероприятий, охватывающих проблемы как локальных и региональных, так и глобальных масштабов.

В этой связи наиболее важными факторами социально-экономического развития Грузии являются:

- гармонизация между процессами пользования природными ресурсами, производства и использования материальных богатств страны;
- внедрение и использование экологически оптимальных и безопасных методов производства и решение, стоящих перед государством, приоритетных экологических проблем.

Государственная политика страны и законодательная база в сфере охраны природы должны быть тесно связаны с соблюдением требований в сфере охраны окружающей природной среды.

Еще в последние десятилетия прошедшего века человечество обратило внимание на тот факт, что наша планета, несмотря на его кажущуюся беспредельность, обладает ограниченными ресурсами. При этом отмечается, что, в целом, существование человека зависит от сложных взаимосвязей, сформировавшихся в природе. Вмешательство человека в эти связи, в частности, путем изменения состояния поверхности Земли и роста темпов воздействия на отдельные компоненты природной среды, вызвали серьезную озабоченность.

В современной научной литературе различают ряд видов состояния природной среды:

- естественное – среда не измененная хозяйственной деятельностью человека;
- равновесное – скорости процессов восстановления равны или выше темпов антропогенных разрушений;
- кризисное - скорости антропогенных разрушений выше темпов самовосстановления природных систем, но еще не происходят их коренные изменения;
- критическое – протекает пока еще обратимая замена ранее существовавших природных систем на менее продуктивные системы;
- катастрофическое – уже имеет место труднообратимый процесс закрепления малопродуктивных природных систем;
- состояние коллапса - необратимая потеря продуктивности природных систем.

Очевидно, что оптимальное состояние природной среды – естественное состояние.

В этом случае компонентов природной среды характеризует относительная постоянность. Однако, основным признаком современного состояния природной среды планеты является наступление кризисного этапа, а в отдельных регионах – критического и катастрофического, что, так или иначе, связывается с техногенезом. При этом, из разнovidных результатов воздействия современного общества на природную среду одним из наиболее важных является изменение климата. Оно признано многими учеными, как феномен, выявленный в результате постоянного роста в атмосфере концентраций окиси углерода и аэрозолей.

Хорошо известно, что изменение солнечного излучения, поглощаемого землей, при других постоянных условиях, вызовет изменение ее средней планетарной температуры. А изменение температуры земли хотя бы на 1°C имеет большое практическое значение, так - как этого достаточно для перемещения изотерм на поверхности земли на 260км. Последнее вызовет изменение широтного положения различных районов на поверхности земли. Если учесть, что, в большинстве случаев, в них произрастают хозяйственные культуры характерные лишь для этих районов, становится очевидным причина беспокойства ученых.

Влияние загрязнения атмосферы на климат, своими далеко идущими результатами, относительно ясно вырезано в городах. Вместе с этим, их большая часть выходит за городские границы и могут считаться происшедшим фактом мезоклиматического масштаба.

Кроме этого, тот факт, что загрязнение атмосферы оказывает вредное воздействие на живые организмы и растительный покров, является одним из основных причин, вынуждающих обращать серьезное внимание на мониторинг загрязнения атмосферы.

В современных условиях трудно представить территорию (регион, населенный пункт) подверженную урбанизации, в которой не существовала бы необходимость защиты отдельных компонентов ее природных и культурных сред от негативного антропогенного воздействия.

В настоящее время уже ни у кого не вызывает сомнения, что экологический мониторинг загрязнения природной среды является наиболее важной частью организованной деятельности человека. Он направлен на бережное, рациональное использование природной среды и его ресурсов для создания наиболее благоприятных условий жизнедеятельности человека и повышения его благосостояния.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გუნია გ. საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების ანთროპოგენური ფაქტორების მონიტორინგის შესახებ. - საქ. მეცნ. აკად. შმი-ის შრომები, 2001, ტ.104, გვ.146-163.
2. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. - საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997, № 1-2, 21 გვ.
3. Гуния Г. Метеорологические аспекты экологического мониторинга атмосферы. – Тб.: АН Грузии, 2005, 265с. (Груз.)
4. Гуния Г.С. Вопросы мониторинга загрязнения атмосферного воздуха на территории Грузинской ССР. Л.:Гидрометеиздат, 1985,- 84 с. (Рус.)

უაკ: 551.510.42

**საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის თანამედროვე ეკოლოგიური ასპექტები/** სვანიძე ზ, გუნია გ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.310-315- რუს., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს ბუნებრივი გარემო, რომელიც რთული ოროგრაფიითა და კლიმატური პირობების ნაირსახეობით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით ხასიათდება, დაცვისა და ანთროპოგენური ზემოქმედების მონიტორინგის საკითხების დამუშავების მიმართ დიდ ყურადღებას მოითხოვს. კერძოდ, გარემოს ცალკეული კომპონენტების ეკოლოგიური მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებელი პარამეტრების შეფასებასა და მათი მოსალოდნელი ცვლილებების ტენდენციების გამოვლენას. ეს კი, საშუალებას იძლევა დაიგეგმოს და განხორციელდეს გარემოზე მავნე ზეგავლენის აცილების პრევენციული ღონისძიებები.

საქართველოს ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დაკმაყოფილდეს საერთაშორისო ვალდებულებებითა და ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში, რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა საყოველთაოდ მიღებული მდგრადი განვითარების პრინციპების გასატარებლად ცხოვრებაში.

“მდგრადი განვითარება” არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ურთიერთობებით აღიარებულ შემდეგ პრინციპთა უცილობელ დაცვას:

- ადამიანებს აქვთ უფლება ჰქონდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი სიცოცხლე ბუნებასთან ჰარმონიულობის პირობებში;

- განვითარების უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა სამართლიანი დაკმაყოფილება ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის სფეროში;

- მდგრადი განვითარების მიღწევისათვის აუცილებელია, რომ გარემოს დაცვა იქცეს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილად და არ განიხილებოდეს მისგან მოწყვეტით;

- მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა სიღარიბის აღმოფხვრა.

ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენამ და მთავრობამ უნდა ითანამშრომლონ ამ მიზნით.

UDC 551.510.42

**MODERN ECOLOGICAL ASPECTS OF ENSURING SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA./**

Svanidze Z., Gunia G./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -vol.119. - pp.310-315- Russ., Summ. Georg., Eng., Russ.

Environment of Georgia, being characterized difficult orography, the variety of climatic conditions, rich flora and fauna, demands great attention to questions of protection and monitoring of anthropogenous influence. In particular, to questions of qualitative and quantitative estimations of characteristic parameters of an ecological condition of separate components of environment and tendencies of their expected changes. It gives the chance to plan and carry out practical actions for the prevention of results of negative impacts on environment.

In modern conditions of Georgia the satisfaction of the requirements established by the international obligations and the state legislation in the sphere of protection of environment, that is a considerable guarantee of carrying out in life of the standard principles of sustainable economic development of the country, first of all, is necessary.

Sustainable development» is such system, which by combination of interests of economic development of a society and wildlife management, provides growth of quality of a standard of living of the person.

Use of principles of sustainable development should be based on obligatory observance of the principles recognized as the international mutual relation, including:

People have the right to conduct a healthy and fruitful way of life in the conditions of harmonization with environment;

Realization of the right of development should be carried out so that in sphere of economic development and wildlife management lawful requirements of the present and the future of generations have been satisfied;

For sustainable development achievement it is necessary, that wildlife management became an inseparable part of development and wasn't considered in a separation from it;

Sustainable development indispensable condition is poverty eradication.

For this purpose various segments of the population of the country and its government should cooperate closely.

УДК 551.510.42

**СОВРЕМЕННЫЕ ЭКОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ОБЕСПЕЧЕНИЯ УСТОЙЧИВОГО ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ. /**

Гуния Г.С., Сванидзе З.С./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета -2013.-т.119.-с.310-315 - Рус., Рез. Груз., Англ., Рус.

Природная среда Грузии, характеризующаяся сложной орографией, разнообразием климатических условий, богатствами флорой и фауной, требует большого внимания к вопросам охраны и мониторинга антропогенного воздействия.

В частности, к вопросам качественных и количественных оценок характерных параметров экологического состояния отдельных компонентов природной среды и тенденций их ожидаемых изменений. Это дает возможность планировать и осуществлять практические мероприятия по превенции результатов негативных воздействий на природную среду.

В современных условиях Грузии, прежде всего, необходимо удовлетворение требований, установленных международными обязательствами и государственным законодательством в сфере охраны природной среды, что является значительной гарантией проведения в жизнь общепринятых принципов устойчивого экономического развития страны.

«Устойчивое развитие» это такая система, которая совмещением интересов экономического развития общества и охраны природы обеспечивает рост качества уровня жизни человека.

Внедрение принципов устойчивого развития должно основываться на обязательное соблюдение принципов, признанных международным взаимоотношением, в том числе:

- люди имеют право вести здоровый и плодотворный образ жизни в условиях гармонизации с природной средой;
- реализация права развития должна осуществляться так, чтобы в сфере экономического развития и охраны природы были удовлетворены законные потребности настоящего и будущего поколений;
- для достижения устойчивого развития необходимо, чтобы охрана природы стала неотделимой частью процесса развития и не рассматривалась в отрыве от него;
- обязательным условием устойчивого развития является искоренение бедности.

С этой целью должны тесно сотрудничать различные слои населения страны и его правительство.

UDC: 314.581.5

## PROBLEMS OF POPULATION CAUSED BY AN ECOLOGICAL CONDITION OF INDUSTRIAL ZONES (on an example of Kaspi)

Meladze G.G.

I.Javakhishvili Tbilisi State University

The city of Kaspi is one of the largest producers of building materials in Georgia. A number of industrial enterprises and educational, cultural and health establishments function in Kaspi. According to the official statistical data, 15,8 thousand residents were registered in Kaspi in 2011. According to the most recent census of the population (in 2002), the ratio of children aged <15 of the gender structure of the population was 22%. The ratio of the able-bodied citizens was 64%, and 14% of the total population was older the working-ability age.

The study aimed to investigate the people's opinion of the ecological conditions in the city of Kaspi. A sociological survey was organized in the months of February and March of 2011, by interviewing. The survey questionnaire was developed and the set of population to be interviewed was selected; the training about the questionnaire specifics and interviewing techniques was held with three local interviewers. Total 80 respondents were interviewed. We divided them into three age groups (<30, 30-59 and 60+).

57,5% of the interviewed evaluated the situation in Kaspi as heavy (Table 1) and about fifth of the interviewed think the ecological state in Kaspi is extremely heavy. The respondents thinking that the ecological conditions in the city are good were few in number (3,8%).

It should be noted that 53,5% of women evaluated the ecological situation of the city as heavy. Of the same opinion are 57,5% of the interviewed men. The results of the survey among the respondents thinking that the ecological situation is extremely heavy are opposite, with the percentage of women (26,5%) exceeding that of men (18,8%). The ratio of the respondents estimating the ecological situation of the city as fair was low among both, men and women.

**Table 1. Evaluating the ecological situation by sex of interrogated (%)**

|                 | Male | Female | Both sexes |
|-----------------|------|--------|------------|
| Good            | 5.4  | 2.3    | 3.8        |
| Satisfactory    | 21.6 | 18.6   | 20.0       |
| Heavy           | 62.2 | 53.5   | 57.5       |
| Extremely heavy | 10.8 | 25.6   | 18.8       |

Approximately one-third of the respondents think that the ecological situation in the city of Kaspi has deteriorated in recent years. This position was supported by 35,6% of women and 28,6% of men. In the opinion of the one-fourth of the interviewed, the ecological situation in the city has improved in recent years (Table 2) . Of the same opinion are 26,7% of women and 22,9% of men. Almost a half of the latter (48,6%) thinks that the ecological situation has not changed in Kaspi in recent years and remains the same. The same indicator among the women fell 10,8 points back that among the men and amounted to 37,8%.

**Table 2. Respondents' opinion about the changes in the ecological situation in the city of Kaspi in recent years (%)**

|                  | Male | Female | Both sexes |
|------------------|------|--------|------------|
| Improved         | 22.9 | 26.7   | 25.0       |
| Remains the same | 48.6 | 37.8   | 42.5       |
| Deteriorated     | 28.6 | 35.6   | 32.5       |

Interesting results were gained through the analysis of the respondents' self-estimate of their state of health. According to the respondents' self-estimate, 14,8% of the respondents have good to extremely good state of health, amounting to 25% for men what exceeded the same indicator for women by 10,2 points. Over half of the interviewed women estimated their state of health as satisfactory what is 12,2 points more than the same indicator among the men.

According to the respondents' self-estimate, approximately 40% of the interviewed men and women had poor health. 42,2% of the interviewed women think they have poor health what is 6,1 points more than the same indicator among the men (Table 3).

**Table 3. Respondents' self-appraisal of their state of health (%)**

|                | Male | Female | Both sexes |
|----------------|------|--------|------------|
| Extremely good | 5.6  | 0.0    | 2.5        |
| Good           | 19.4 | 6.7    | 12.3       |
| Satisfactory   | 38.9 | 51.1   | 45.7       |
| Bad            | 36.1 | 42.2   | 39.5       |

Quite often, the respondents explain their satisfactory to poor health by irritation or excitation. This reason was named as number one by equal numbers of men and women. In the opinion of one-fifth of the respondents, their poor health was evidenced by **their headaches. This response was given by more or less equal numbers of men and women. Such symptoms, as weakening and insomnia** were named by 18,1% of the respondents of both sexes as the evidence of their satisfactory to poor health (Table 4).

**Table 4. Respondents' opinions of the symptoms evidencing their satisfactory to poor health (%)**

|                          | Male | Female | Both sexes |
|--------------------------|------|--------|------------|
| Headache                 | 20.8 | 19.8   | 20.1       |
| Weakening                | 18.9 | 17.7   | 18.1       |
| Dullness                 | 11.3 | 13.5   | 12.8       |
| Irritation or excitation | 24.5 | 25.0   | 24.8       |
| Insomnia                 | 18.9 | 17.7   | 18.1       |
| Other reason             | 5.7  | 6.3    | 6.0        |

83,5% of the respondents of both sexes named the following reasons as the ones causing their health problems: air pollution (36,1%), noise (25,6%) and water pollution (21,8%). A significant part of the interviewed (12,8%) name the soil pollution as the reason for their poor health.

It should be noted that the above-listed reasons among men and women with their values coincided with the general trend. However, there was certain difference in the responses of both sexes. For example 41,9% of men named as the major reason for their poor health exceeding the same number among the women by 8,5 points (Table 5). As for such reasons, as noise and water pollution, the female respondents naming them as the reasons for their poor health amounted to 3,4 exceeding that of men by 4,7 points.

**Table 5. Distribution of the respondents across the reasons causing their health problems (%)**

|                 | Male | Female | Both sexes |
|-----------------|------|--------|------------|
| Air pollution   | 41.9 | 33.3   | 36.1       |
| Water pollution | 18.6 | 23.3   | 21.8       |
| Soil pollution  | 16.3 | 11.1   | 12.8       |
| Noise           | 23.3 | 26.7   | 25.6       |
| Other noise     | 0.0  | 5.6    | 3.8        |

Most of the respondents of both sexes (63,0%) having various diseases named the ecological state as the major reason for their diseases. 66,7% of women and 58,1% of men shared this opinion.

According to the duration of their illness, the respondents' answers were as follows: 40,8% of the interviewed complain about their illness for 5 or more year; 33,8% complain about 3 to 5 years of illness; 19,7% complain about 1 to 2 years, and 5,6% complain about their illness lasting for up to 1 year. The analysis of the interviewed of both sexes gave the same results (Table 6).

**Table 6. Distribution of the respondents according the duration of their illnesses (%)**

|           | Male | Female | Both sexes |
|-----------|------|--------|------------|
| up to one | 3.6  | 7.0    | 5.6        |
| 1-2 year  | 25.0 | 16.3   | 19.7       |
| 3-5 year  | 32.1 | 34.9   | 33.8       |
| 5 year    | 39.3 | 41.9   | 40.8       |

The analysis of the respondent’s self-estimate of the plants named as the reasons for the respondents’ illnesses gives interesting results.

75,1% of the interviewed thought „Heidelbergcement” and other cement plants in the city of Kaspi as of the major reasons for their illnesses making 84,4% and 84,1% among men and women, respectively. 11,7% of the respondents think the flour mills as of the major reason for their illness. The proportion of „Tskalkanali” and cellular telephone tower was over one-tenth of point (Table 7).

**Table 7. Distribution of the plants in Kaspi thought in terms of the major reasons for the illnesses by the respondents (%)**

|                          | Male | Female | Both sexes |
|--------------------------|------|--------|------------|
| Heidelbergcement         | 34.4 | 42.2   | 39.0       |
| Wheat flour mill         | 6.3  | 15.6   | 11.7       |
| Cement plants            | 50.0 | 24.4   | 35.1       |
| Cellular telephone tower | 3.1  | 13.3   | 9.1        |
| Tskalkanali              | 6.3  | 0.0    | 2.6        |
| Saqcementi               | 0.0  | 2.2    | 1.3        |
| non indicate             | 0.0  | 2.2    | 1.3        |

Despite a number of positive changes in recent years in the city, if considering the results of the population survey, the ecological situation can be assessed as poor in the city of Kaspi. The above-cited problems can be regulated only through active preventive measures to be accomplished by the local authority and relevant enterprise managements.

უაკ: 314.581.5

**ინფორმაციული ზონების ეკოლოგიური მდგომარეობით გამოწვეული მოსახლეობის პრობლემები (ქასის მხარეზე) /მელაძე გ.გ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013-ტ.119-გვ.316-319-ინგლ., რუხ. ქართ., ინგლ., რუს.**

ქასის სამშენებლო მასალების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია საქართველოში. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2011 წლის მონაცემებით ქასში 15,8 ათასი ადამიანი ცხოვრობდა. გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ეკოლოგიური მდგომარეობის ზეგავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ჩვენი გამოკვლევა შეიცავდა ხუთ ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს: 1. გამოკვლევის მომზადება; 2. პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოგროვება; 3. მოგროვილი ინფორმაციის მომზადება დასამუშავებლად; 4. დამუშავებული ინფორმაციის ანალიზი; 5. გამოკვლევის შედეგების ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

პროექტი განხორციელდა ეკოლოგიური სამართლის ცენტრის მიერ, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის თანამშრომლობით. ქალაქ ქასში გამოკვლევა ჩატარდა 2011 წლის 15 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით. ინტერვიუების პრინციპით გამოკითხულ იქნა 80 ადამიანი (37 მამაკაცი და 43 ქალი). რესპონდენტები დაყოფილნი იყვნენ სამ ასაკობრივ ჯგუფად (30 წლამდე; 30-59; 60 და უფროსი ასაკის). გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 59 პროცენტი ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობას თვლიდა როგორც მძიმეს, ხოლო 18 პროცენტი აფასებდა როგორც ძალიან მძიმეს. დაახლოებით 40 პროცენტი თავიანთ ჯანმრთელობის მდგომარეობას აფასებდა როგორც ცუდს. გამოკითხულთა აზრით, ზემოაღნიშნული პრობლემების ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორებია: ჰაერის დაბინძურება და ხმაური.

UDC 314.581.5

**PROBLEMS OF POPULATION CAUSED BY AN ECOLOGICAL CONDITION OF INDUSTRIAL ZONES (ON AN EXAMPLE OF KASPI)** /Meladze G.G./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. - 2013. -vol.119. -pp.316-319- Eng., Summ. Georg., Eng., Russ.

Kaspi one of the largest producer of building materials in Georgia. According to official data population of the city in 2011 was 15.8 thousand. The purpose of this research was studying of influence of an ecological condition on population health. Our research included 5 interconnected stages: 1. Research preparation; 2. Gathering of the primary sociological information; 3. Preparation of the collected information for processing; 4. The analysis of the processed information; 5. Preparation of reports by results of research with conclusions and recommendations.

The project has been carried out by the Centre of Ecological Justice with support of fund of the Eurasian Partnership Foundation. In the city of Kaspi research was carried out to the period from 15 February to 31 March 2011. By a principle interview 80 persons (37 men and 43 women) have been interrogated. Respondents have been divided into 3 age groups (<30 years, 30-59 and 60 years and more). Results of research have shown that 59 percent interrogated considered that city's ecological condition has been heavy and 18 percent believed that very heavy. About 40 percent of respondents estimated the condition of their own health as bad. According to interrogated, provoking factors above mentioned problems basically are: air pollution and noise.

УДК 314.581.5

**ПРОБЛЕМЫ НАСЕЛЕНИЯ ВЫЗВАННЫЕ ЭКОЛОГИЧЕСКИМ СОСТОЯНИЕМ ИНДУСТРИАЛЬНЫХ ЗОН (НА ПРИМЕРЕ Г.КАСПИ)** /Меладзе Г.Г./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2013.-т.119.-с.316-319 - Англ., Рез. Груз., Англ., Рус.

Каспи один из крупнейших в Грузии производителей стройматериалов. По официальным данным 2011 года в городе проживало 15,8 тыс. жителей.

Целью данного исследования являлось изучение влияния экологического состояния на здоровье населения. Наше исследование включало 5 взаимосвязанных этапов: 1) подготовка исследования; 2) сбор первичной социологической информации; 3) подготовка собранной информации к обработке; 4) анализ обработанной информации; 5) подготовка отчетов по результатам исследования с выводами и рекомендациями. Проект был осуществлён центром экологической справедливости при поддержке фонда Евразийского сотрудничества. В городе Каспи исследование проводилось в период с 15 февраля по 31 марта 2011 года. По принципу интервьюирования было опрошено 80 человек (37 мужчин, 43 женщины). Respondents были разбиты на 3 возрастные группы (до 30 лет, 30-59 и 60 лет и старше).

По результатам исследования 59 процентов опрошенных считали что экологическое состояние города тяжёлое а 18 процентов полагали что очень тяжёлое. Около 40 процентов респондентов состояние своего здоровья оценивали как плохое. По мнению опрошенных, провоцирующими факторами вышеуказанных проблем в основном являются: загрязнение воздуха и шум.

უაკ 546.214, 66.094.35

## ეკოლოგიურად სუფთა და იაფი აბროსასურსათო პროდუქციის წარმოება

თალაკვაძე ვ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობა მისი ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს. აქ შესაძლებელია თითქმის ყველა სახის აბროსასურსათო პროდუქციის ეკონომიკური თვალსაზრისით ეფექტიანი წარმოება. ადგილობრივი ბაზრის თითქმის სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობის გარდა, წარმოებულ პროდუქციას რეალური საექსპორტო პოტენციალი აქვს.

საქართველოსათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი კლიმატური პირობები და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნაირსახეობა ამავე დროს განაპირობებს მცენარეთა მავნებლების, დაავადებების და სარეველების ფართო გავრცელებას. სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ ქიმიურ საშუალებათა რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება. დიდ დადებით ეფექტთან ერთად, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების მასიური გამოყენება ზიანს აყენებს გარემოს, გამოყენებული სასუქების 50% და პესტიციდების 90% უმიზნოდ იფანტება გარემოში [1]; პესტიციდებით იღუპება არამარტო მავნე, არამედ სასარგებლო ფაუნაც; ვინაიდან მავნებლები პესტიციდებს ეგუება, ამიტომ საჭირო ხდება ახალი, უფრო ტოქსიკური შხამქიმიკატების გამოყენება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს შხამქიმიკატების მაღალი ღირებულება, რაც მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას.

პესტიციდების გამოყენების არსებული ტექნიკა და მეთოდები განაპირობებს მათ ინტენსიურ გაბნევას გარშემო. პესტიციდებით ყველაზე მეტად დაზინძურებულია ნიადაგები, საიდანაც ისინი ირეცხება ატმოსფერული და გრუნტის წყლებით. პესტიციდები ხვდებიან მდინარეებში, წყალსაცავებში, ხოლო მათი საბოლოო რეზერვუარი ზღვები და ოკეანეებია. პესტიციდების უმრავლესობას მაღალი ბიოკონცენტრირების კოეფიციენტი აქვთ. მათი მასიური გამოყენება, გადანაწილება ჰაერში, სასმელ წყლებში და საკვებ პროდუქტებში შესაძლო პირობებს ქმნის ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისათვის.

ცხადია, ეკოლოგიურად უვნებელი პესტიციდი არ არსებობს და თუკი ეს მოხერხდება, მათი გამოყენება უნდა აიკრძალოს, ან შეიზღუდოს. ეს შესაძლებელი გახდება, თუ სელექციური მეთოდებით გამოყვანილი იქნება მავნებლებისა და დაავადებების გამძლე ჯიშები, ანდა მოიძებნება მათთან ბრძოლის რეალური და უვნებელი მეთოდები.

ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე ქვეყანაში შექმნილია ე.წ. ბიომეურნეობები, სადაც არათუ ქიმიურ საშუალებებს, ნაკელსაც კი არ იყენებენ. ასეთ მეურნეობაში მოსავლიანობა დაბალია, მაგრამ პროდუქცია ჩვეულებრივზე რამდენჯერმე ძვირია.

ამრიგად, ეკოლოგიურად სუფთა, მდგრადი აბროსასურსათო პროდუქციის წარმოებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და მეტად აქტუალურია დღევანდელ პირობებში. საქართველო მცირემიწიანი აგრარული ქვეყანაა, რომელსაც აქვს პოტენციალი აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს ექსპორტის შესაძლებლობის გაზრდის კუთხითაც. შესაბამისად, ნათელია მიწის რესურსების ეფექტიანი მართვის მნიშვნელობა ქვეყნისათვის არამარტო გარემოს დაცვის, არამედ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

კვლევის მიზანს შეადგენს ეკოლოგიურად სუფთა, მდგრადი სასურსათო პროდუქციის წარმოება ოზონირებული წყლისა და ოზონის გამოყენებით ვენახის შესაწამლად და ხორბლის თესლის დასამუშავებლად. შეთავაზებული მეთოდოლოგიის მიხედვით პროდუქციის წარმოებისას ხდება გარემოს სისუფთავის შენარჩუნება და დაცვა. ამავე დროს, მიღებული პროდუქცია გაცილებით იაფი ჯდება ე.ი. მათი თვითღირებულება გაცილებით ნაკლებია იმ პროდუქციის თვითღირებულებასთან შედარებით, რომელიც სოფლის მეურნეობაში მიიღება ჩვეულებრივ, შხამქიმიკატების გამოყენებისას.

ოზონს ახასიათებს ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, და ანტიფუნგიციდური მოქმედება. ოზონის დაშლის შედეგად მიიღება მოლეკულური და ატომური ჟანგბადი. სწორედ ატომური ჟანგბადი მოქმედებს ვირუსებზე, მიკრობებზე და სოკოებზე დამღუპველად [2].

ოზონატორის საშუალებით წარმოიქმნება ოზონი აირის სახით, რომლის ბარბოტაჟი ხდება წყალში - მიიღება ოზონირებული წყალი. ოზონირებულ წყალსაც ახასიათებს ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და ანტიფუნგიციდური მოქმედება. ვენახის შეწამვლა მოხდება ოზონირებული წყლით, ხოლო ხორბლის თესლის დამუშავება - გაზობრივი ოზონის საშუალებით.



ოზონით დამუშავებისას სხვა ქიმიური საშუალებების გამოყენება არ არის საჭირო, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ასევე ხარჯი ოზონის გამოყენებისას უმნიშვნელოა, რაც გვაძლევს ეკონომიკურ ეფექტს. საქართველოსთვის ოზონის გამოყენება სოფლის მეურნეობაში არის ინოვაციური მეთოდი.

უკრაინაში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის პოტენციური დანაკარგი შეადგენს დაახლოებით 20%-ს მარცვლეულის მთლიანი მოსავლიდან. ამიტომ უკრაინაში ფართოდ არის გამოყენებული ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი პერსპექტიული და ეკოლოგიურად სუფთა მიმართულება - თესლის თესვისწინა დამუშავება ოზონით, რომლის მიხედვითაც ხდება, თესლის გარეგანი და შინაგანი ფიტოპათოგენური მიკროფლორის განადგურება, თესლის სიცოცხლისუნარიანობის აქტივიზაციის პროცესებისა და ვეგეტაციის პერიოდში გამოყენებული ქიმიური საშუალებებისგან მცენარითა დაცვა.

ცხრ. 1-ში მოყვანილია ოზონით თესლის თესვისწინა დამუშავების შედეგები, რომელიც განაპირობებს მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას [3].

**ცხრ 1. თესლის თესვისწინა დამუშავების გავლენა ქერის მოსავლიანობაზე**

| ვარიანტები                | მოსავლიანობა, ტ/ჰა |      |      |      | საშუალო | კონტროლამდე |      |
|---------------------------|--------------------|------|------|------|---------|-------------|------|
|                           | 2000               | 2001 | 2002 | 2003 |         | ტ/ჰა        | %    |
| საკონტროლო(დაუმუშავებელი) | 2,59               | 2,27 | 3,23 | 3,49 | 2,90    | 0,00        | 0    |
| ოზონიანი                  | 3,36               | 2,60 | 3,60 | 4,02 | 3, 40   | 0,50        | 17,2 |

ყველა ჯიშის თესლის დამუშავებისათვის რეკომენდირებულია ოზონის 0,05-0,5 გ/მ<sup>3</sup> კონცენტრაცია. საველე მონაცემების მიხედვით დარეგისტრირებულია მოსავლიანობის შემდეგი მატება: ხორბალი-22%, ქერი-14%, ბარდა-11%, წიწიბურა-31% [4,5].

ამრიგად, თესლის დამუშავება ოზონით იწვევს:

- მავნე მიკროფლორის განადგურებას;
- თესლის ამოსვლის გაუმჯობესებას;
- არასასიამოვნო ზემოქმედებისადმი მცენარის გამძლეობის გაუმჯობესებას;
- მცენარის გაზრდისა და განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფას;
- საბოლოო ჯამში მოსავლიანობის გაზრდას.

ეკოლოგიურობა:

- ოზონი არ ახდენს მავნე გავლენას გარემოზე;
- ოზონი არ გროვდება გრუნტში;
- ოზონი არ გროვდება მცენარეულ პროდუქტებში.

ეკონომიურობა:

- ოზონი აჩქარებს თესლის აღმოცენებას და ხელს უწყობს მცენარის პროდუქტიულობის გაზრდას;
- ოზონი იწარმოება უშუალოდ თესლის დამუშავების ადგილზე, არ საჭიროებს შენახვას და ტრანსპორტირებას;
- რეაგენტის დაბალი ღირებულება;
- ქიმიური რეაგენტების გამოყენების 2-4 ჯერ შემცირება.

შედეგი:

- საშუალებას იძლევა 10-15%-ით გაზარდოს მოსავლიანობა ქიმიურ დამუშავებასთან შედარებით.

### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გ.სუპატაშვილი "გასრემოს ქიმია (ეკოქიმია)", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გ.41-52, 2009;
2. Луин В.В., Попович М.П., Ткаченко С.Н. – Физическая химия озона. - М., изд-во МГУ, 480 ст. 1998;
3. Ганичев В.В. - Применение озонных технологии в сельском хозяйстве. – Материалы V Всеукраинской научно-практической конференции «Современные аспекты применения озона в медицине и быту», Украина, г. Ялта, ст.144-150, 2007;
4. Силантьев В.В. - Применение озона в гигиенических и экологических целях. - М.; Имидж, 17 ст. 1992;
5. Синтез озона и современные озонные технологии. Материалы XXII-го Всероссийского семинара. М. изд-во МГУ, 53 ст. 2001.

**უკ: 546.214, 66.094.35**

**ეკოლოგიურად სუფთა და იაფი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება** /თალაკვაძე ვ.ვ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.320-322-ინგლ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია ეკოლოგიურად სუფთა და იაფი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოებისათვის ინოვაციური მეთოდის - ოზონირებული წყლისა და ოზონის გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

**UDC: 546.214, 66.094.35**

**Production of low-cost and environmentally friendly agricultural products** /Talakovadze V.V./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.320-322- Eng.; Summ. Georg., Eng., Russ.

The article deals with the production of clean and cheap agricultural products using an innovative method of ozonated water and ozone in agriculture.

**УДК: 546.214, 66.094.35**

**Производство дешевых и экологически чистых агропродуктов** /Талаквадзе В.В./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с.320-322 - Англ., Рез. Груз., Англ., Рус.

В работе рассматривается производство экологически чистых и дешевых агропродуктов с применением инновационного метода озонированной воды и озона в сельском хозяйстве.

უაკ 697.947, 66.094.35

**ხელოვნური თევზსაშენების ოზონირებული წყლით დამუშავების  
ეფექტურობა**

თალაკვაძე ვ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკოლოგიური თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი „სუფთა“ დარგი იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო მისი ქიმიზაცია. მოსავლიანობის გაზრდისა და მავნებლებისაგან მისი დაცვის მიზნით, სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ ქიმიურ საშუალებათა რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება. დიდ დადაებით ეფექტთან ერთად, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების მასიური გამოყენება ზიანს აყენებს გარემოს. გამოყენებული სასუქების 50% და პესტიციდების 90% უმიზნოდ იფანტება გარემოში; პესტიციდებით იღუპება არამარტო მავნე, არამედ სასარგებლო ფაუნაც; ვინაიდან მავნებლები პესტიციდებს ეგუება, ამიტომ, საჭირო ხდება ახალი, უფრო ტოქსიკური შხამქიმიკატების გამოყენება [1].

პესტიციდებით ყველაზე მეტად დაბინძურებულია ნიადაგები, საიდანაც ისინი ირეცხება ატმოსფერული და გრუნტის წყლებით. პესტიციდები ხვდებიან მდინარეებში, წყალსაცავებში, ხოლო მათი საბოლოო რეზერვუარი ზღვები და ოკეანეებია. პესტიციდების უმრავლესობას მაღალი ბიოკონცენტრირების კოეფიციენტი აქვთ. მათი მასიური გამოყენება, გადანაწილება ჰაერში, სასმელ წყლებში და საკვებ პროდუქტებში შესაძლო პირობებს ქმნის ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისათვის.

ზედაპირული წყლები (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები) მტკნარი წყლის ძირითადი, რეალური, განახლებადი რესურსია. ჩვეულებრივ ზედაპირულ წყლებს აქვთ მცირე და საშუალო მინერალიზაცია. ბოლო საუკუნის მანძილზე მდ. არაგვისა და, განსაკუთრებით, მტკვრის მინერალიზაცია რამდენადმე გაიზარდა. ეს ცვლილება ლოგიკურია, რადგან ამ პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა რეგიონის ანთროპოგენური დატვირთვა. [1].

ბუნებრივი წყლები ჰეტეროგენული სისტემებია. დისპერსული ფაზა ჩვეულებრივ წარმოდგენილია ნიადაგების და ქანების ეროზიის პროდუქტებით, აგრეთვე ბიოგენური (პლანქტონი და სხვა), ქემოგენური (კარბონატები, ჰიდროქსიდები) და ანთროპოგენური ნივთიერებებით.

წყლის დაბინძურების შედეგად იცვლება მისი ფიზიკური თვისებები (ფერი, სუნი, სიმღვრივე), ქიმიური შედგენილობა (ორგანული და ბიოგენური ნივთიერებები, მძიმე ლოთონები და სხვა), მიკროფლორა.

წყლის ხარისხისადმი მოთხოვნილება არსებითად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ წყალს რა გამოყენება აქვს. ამან წარმოშვა თევზსამეურნეო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზღვ), რომლის მიზანია წყალსაცავების, როგორც თევზსამეურნეო და თევზჭერითი, ბაზის დაცვა, მეთევზეობისა და თევზჭერის განვითარება. ამიტომ თევზსამეურნეო ზღვ-ის გაანგარიშებისას უპირველესყოფლისა ითვალისწინებენ ქიმიური ნივთიერებების შესაძლო ზემოქმედებას წყლის თვითგასუფთავების პროცესებზე და წყლის ეკოსისტემების (წყალმცენარეები, ბაქტერიები, მოლუსკები, თევზები) სიცოცხლისუნარიანობაზე, აგრეთვე თევზის პროდუქციის ხარისხის გაუარესებაზე.

თევზები ადამიანთან და თბილსისხლიან ცხოველებთან შედარებით უფრო მეტად მგრძობიარენი არიან ტოქსიკური ნივთიერებების მიმართ. ლაყუნების საშუალებით მათ ორგანიზმში ხვდება უფრო მეტი ტოქსიკური ნივთიერება, ვიდრე ადამიანი ან თბილსისხლიანი ცხოველი ღებულობს ჰაერიდან სუნთქვის დროს [2].

წარმოდგენილი შრომის მიზანია ხელოვნური წყალსაცავების დაცვა გაბინძურებისაგან ოზონირებული წყლის გამოყენებით. ეს არის საქართველოს პირობებისათვის ნანოტექნოლოგია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მეცნიერული, ისე ეკონომიკური სფეროსთვისაც, ვინაიდან ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაიზრდება სასურსათო პროდუქციის მოსავლიანობა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და შესაბამისად, მნიშვნელოვან მატერიალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ეფექტს მოიტანს.

ოზონს ახასიათებს ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და ანტიფუნგიციდური მოქმედება. ოზონის დაშლის შედეგად მიიღება მოლეკულური და ატომური ჟანგბადი. სწორედ ატომური ჟანგბადი მოქმედებს ვირუსებზე, მიკრობებზე და სოკოებზე დამღუპველად. ხოლო მოლეკულური ჟანგბადის მოქმედე-

ბით ცოცხალ ორგანიზმზე ხდება იმუნიტეტის მომატება და ნივთიერებათა ცვლის გაძლიერება, რაც დადებითად აისახება ცოცხალ ორგანიზმზე [3].

ოზონირებულ წყალს აქვს ფართე გამოყენება მეთევზეობაში კერძოდ: შენობების, საწყობების და მოწყობილობების დეზინფექციისთვის; თევზების მოშენების დროს წყლის გაუსნებოვნებისთვის; თევზების დაავადებების პროფილაქტიკისთვის და სხვა [4].

დაკვირვებები ტარდება დუშეთის რაიონში სოფ. თხილიანა (შუაფხო)-ში ხელოვნურ წყალსაცავზე, სადაც ხდება თევზის მოშენება სარეალიზაციოდ. წყალსაცავი ივსება არაგვის წყლით. წყალსაცავის დამუშავება და ლიფსიტების გამოსაყვანი აუზი მუშავდება ოზონირებული წყლით. წყლის სინჯების აღება შესამოწმებლად ხდება აუზში შემავალი (N1), აუზის (ექვსი აუზია N2-N7) და აუზიდან გამავალი (N8) წყლის საკონტროლო და საცდელი ვარიანტებიდან [5].

ცხრილ 1-ში მოცემული 2012 წლის აგვისტოს თვის წყლის მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები.

**ცხრილი 1. ხელოვნური წყალსაცავის მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები**

| №                 | მეზოფილური აერობები და ფაკულტა-ტური ანაერობები 1მლ-ში |                       | საერთო კოლიფორმული ბაქტერიები 300მლ-ში | E-coli 300 მლ-ში |
|-------------------|---|-----------------------|--|------------------|
|                   | ზღკ   |                       |  |                  |
|                   | <100-22 <sup>0</sup> C                                | <20-37 <sup>0</sup> C | არ დაიშვება                            | არ დაიშვება      |
| <b>საკონტროლო</b> |   |                       |  |                  |
| 1                 | 125   | 40                    | აღმოჩნდა                               | არ აღმოჩნდა      |
| 2                 | 142   | 47                    |  |                  |
| 3                 | 185   | 52                    |  |                  |
| 4                 | 193   | 38                    |  |                  |
| 5                 | 175   | 43                    |  |                  |
| 6                 | 165   | 54                    |  |                  |
| 7                 | 187   | 61                    |  |                  |
| 8                 | 210   | 65                    |  |                  |
| <b>საცდელი</b>    |   |                       |  |                  |
| 1                 | 45  | 15                    | არ აღმოჩნდა                            | არ აღმოჩნდა      |
| 2                 | 58  | 9                     |  |                  |
| 3                 | 74  | 10                    |  |                  |
| 4                 | 67  | 12                    |  |                  |
| 5                 | 60  | 7                     |  |                  |
| 6                 | 86  | 5                     |  |                  |
| 7                 | 88  | 13                    |  |                  |
| 8                 | 95  | 17                    |  |                  |

ანალიზის შედეგების მიხედვით ოზონირებამდე აღებული ყველა ნიმუში (N1-N8), ე.ი საკონტროლო ვარიანტები დაბინძურებულია კოლიფორმული ბაქტერიებით, ხოლო მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობების რაოდენობა სცილდება ნორმის (<100-22<sup>0</sup>C და <20-37<sup>0</sup>C ) ფარგლებს.

ოზონირების შემდეგ კოლიფორმული ბაქტერიების ამოთესვა არ დაფიქსირებულა არც ერთ ნიმუშში (N1-N8) - საცდელ ვარიანტზე. მეზოფილური აერობებისა და ფაკულტატური ანაერობების რაოდენობა ნორმის ფარგლებშია. ნაწლავის ჩხირები არც ერთ ნიმუშში არ აღმოჩენილა.

ფერმერებმა უნდა ირწმუნონ, რომ ნანოტექნოლოგიის გამოყენებით ისინი შეამცირებენ სამეურნეო დანახარჯებს, უფრო მომგებიანად გაყიდონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას და რაც მთავარი-სტაბილურს გახდიან შემოსავლებს. ეს პროცესები თანდათან მიგვიყვანს სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებასთან და ფერმერულ მეურნეობათა გაზრდილ შესაძლებლობასთან.

## ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გ.სუპატაშვილი "გასრემოს ქიმია (ეკოქიმია)", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 186 გვ., 2009;
2. კ.ბილაშვილი, მ.ელიზბარაშვილი, ნ.წიფწივაძე "ზღვის ეკოლოგია", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 238 გვ., 2009;
3. Лунин В.В., Попович М.П., Ткаченко С.Н.– Физическая химия озона. - М., изд-во МГУ, 480 ст. 1998;
4. Ганичев В.В. - Применение озонных технологии в сельском хозяйстве. – Материалы V Всеукраинской научно-практической конференции «Современные аспекты применения озона в медицине и быту», Украина, г. Ялта, ст.144-150, 2007;
5. სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №349/ნ 2007 წლის 17 დეკემბრი, თბილისი.

უაკ: 697.947, 66.094.35

**ხელოვნური თევზსაშენების ოზონირებული წყლით დამუშავების ეფექტურობა /თალაკვაძე ვ.ვ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. 119, გვ.323-325, 2013. ქართ.; რუმ. ქართ., ინგლ., რუს.**

ნაშრომში განხილულია ხელოვნური თევზსაშენის ოზონირებული წყლით დამუშავების ეფექტურობა. მოცემულია დუშეთის რაიონის ხელოვნური წყალსაცავის მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები.

UDC: 697.947, 66.094.35

**Effectiveness of treatment with ozonated water artificial fish nurseries/Talakovadze V.V./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp.323-325- Eng.; Summ. Georg., Eng., Russ.**

This paper considers the effectiveness of treatment with ozonated water artificial fish nurseries. Given the results of the microbiological analysis of an artificial pond in Dusheti region.

УДК: 697.947, 66.094.35

**Эффективность обработки озонированной водой искусственных рыбопитомников/Талаквадзе В.В./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с.323-325 - Англ., Рез. Груз., Англ., Рус.**

В работе рассматривается эффективность обработки озонированной водой искусственных рыбопитомников. Даны результаты микробиологического анализа искусственного водоема в Душетском районе.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის  
საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის  
“ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები”**

**დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქ.თბილისი

29 მაისი 2013 წ.

2013 წლის 28-29 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე “ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები”. კონფერენციაზე განხილული იყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, აშშ-ს, უკრაინის სამეცნიერო-კვლევითი, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, სამთავრობო სტრუქტურებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოხსენებები, რომლებიც ეხებოდა შემდეგ პრობლემებს:

- 1) წყლის რესურსები, მათი პროგნოზი და მართვა;
- 2) საინჟინრო ჰიდროლოგია;
- 3) მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია;
- 4) ბუნებრივი გარემოს დაბინძურება;
- 5) ჰიდრომეტეოროლოგიური და ეკოლოგიური პროცესების მართვა.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების მოსმენისა და განხილვის შედეგად სესიის მონაწილენი მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს და მთავრობას შემდეგი წინადადებებით:

1. შემდგომი განვითარება უნდა ჰპოვოს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ისეთმა მიმართულებებმა, როგორცაა მეტეოროლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, ბუნებრივი გარემოს (ატმოსფერული ჰაერი, ზღვისა, მდინარისა და მიწისქვეშა წყლები, ნიადაგები, მცენარული საფარი) დაბინძურების საპროგნოზო მეთოდების დამუშავება;
2. ქვეყნის მთიან თავისებურებათა გათვალისწინებით მეტი ყურადღება დაეთმოს საშიში ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების რისკების კვლევა და განაწილების კარტირებას, მათი საპროგნოზო მეთოდების შექმნას და ადრეული გაფრთხილების სისტემების დამუშავებას;
3. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის განვითარებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-ტექნიკურ და სამეცნიერო-მეთოდურ ამოცანათა გადაწყვეტას;
4. აუცილებელია ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფერული და სადრუბლო პროცესების კვლევის ლაბორატორიული კომპლექსის აღდგენა-განვითარება;
5. ბოლო წლებში სტიქიით (წყალდიდობები, თოვლის ზვავები, ღვარცოფები, სეტყვა და გვალვა) ქვეყნისთვის მიყენებული დიდმა ეკონომიკურმა ზარალმა დღის წესრიგში დააყენა ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების ხელოვნური რეგულირების სამუშაოთა აღდგენა, მათთან დაკავშირებული კვლევების განახლება. ამ დარგში 30-წლიანი მუშაობის გამოცდილება გააჩნია ჰიდრომეტეოროლოგიის და გეოფიზიკის ინსტიტუტებს;
6. კონფერენციაზე მოსმენილი მოხსენებების კრებული, გამოცემული ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მიერ, მიზანშეწონილია დაეგზავნოს საჯარო, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, უნივერსიტეტების და საქინფორმის ბიბლიოთეკებს;
7. კონფერენციის დადგენილების ტექსტი გადაეცეს ეკონომიკური განვითარების, ენერჯეტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობის სამინისტროებს და სამთავრობო უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის პრობლემებთან.